

ქსენია სიხარულიძე

ქ ა რ თ უ ლ ი
ს ა ბ ა ვ უ ვ ო უ ო ლ კ ლ ო რ ი

კუსთავის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

სერია:

ქართული ფოლკლორი

III

რედაქტორი: მ. ჩიქოვანი

ტექ.-რედაქტორი ვ. ბოლქვაძე.

მთადლიტის № 2169

სტამბის შეკვეთის № 133

გამომც. შეკვეთის № 16

ტირაჟი 5000

აწყ. ზომა 6×10'

ქალ. ზომა 60×92¹/₁₆

გადაეცა წარმოებას 13/III—ად

ხელმოწ. დასაბ. 10/VII—38

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ფოლკლორული მასალების შეკრებასა და დაგროვებას ჩვენში თითქმის ერთი საუკუნის ისტორია აქვს. მეცნიერული კვლევა-ძიების ობიექტად კი ის დღეს იქცა, სოციალისტური კულტურის განვითარების პირობებში. საბჭოთა მეცნიერება ღირსეულად ათვისებს მემკვიდრეობით მიღებულ კულტურულ ღირებულებას და მის შესწავლას გადაუდებელ ამოცანად სახავს.

ფოლკლორის ნამდვილი მეცნიერული შესწავლა ჩვენში ახლა იწყება. ჩნდება და იზრდება მკვლევართა და შემკრებ-ჩამწერთა ახალი კადრები. სწარმოებს როგორც რევოლუციამდე არსებულ, ისე რევოლუციის შემდეგდროინდელი, ახალ ცხოვრების ფონზე შექმნილი ხალხური შემოქმედების ძეგლების შეკრება და გამოქვეყნება. თუ საერთოდ ქართული ფოლკლორი ამ მდგომარეობაში იმყოფება, მით უფრო მეტის თქმა შეიძლება კერძოდ მისი ერთ-ერთი დარგის საბავშვო ფოლკლორის შესახებ. საბჭოთა რუსეთში ამ დარგში აღსანიშნავია გ. ვინოგრადოვის,¹ ო. კაპიცას² და მ. რიბნიკოვას³ მიერ ჩატარებული მუშაობა.

საქართველოში ამ მიმართულებით ჯერ კიდევ გაუქაფავი გზაა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ეურნალ-გაზეთებში ვხედებით საბავშვო ფოლკლორის ნიმუშებს; იბეჭდებოდა საბავშვო თამაშობანი და ზღაპრები; ხალხური შემოქმედების ნიმუშებით გაამდიდრა დაწყებითი სახელმძღვანელო წიგნი „დღეა ენა“ ცნობილმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ ი. გოგებაშვილმა.

საბავშვო ლიტერატურისადმი დღეს განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება, მაგრამ საბავშვო ლიტერატურის შესწავლა

¹ Г. С. Виноградов. Детский фольклор и быт. [Программа наблюдений. Иркутск. 1925 г.;

Детский народный календарь. „Сибир. Жив. Стар“. Вип. II. 1924 г.

² О. И. Капица. Детский фольклор. гам. „Прибой“. Ленинград. 1928г.

³ М. Рыбникова. Детский фольклор и детская книга. „Литературный критик“ № 1, 1935 г.

არასოდეს არ იქნება სრულქმნილი, თუ არ არის ამოცნობილი საბავშვო ფოლკლორი; მის მიმზიდველ ფორმას შეუძლია ბევრი რამ მისცეს საბავშვო ლიტერატურას. ის ბავშვის შემოქმედებითი უნარიანობისა და მოთხოვნილებათა ერთ-ერთი კეშმარიტი საზომია. მხატვრული სიტყვის ოსტატი და საბავშვო ლიტერატურის გულთბილი მზრუნველი მ. გორკი საბავშვო მწერლებს მიუთითებს წერის ისეთ მანერაზე და ხერხებზე, რომლითაც ხასიათდება საბავშვო ფოლკლორი: გასართობი კილო, მსუბუქი სატირა, ნიქიერი თხრობა, ადვილად შესათვისებელი ფორმა, ყველაფერი ეს ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ბავშვის კომუნისტურად აღზრდისათვის. მ. გორკი ამტკიცებს, რომ ბიბლიური ზღაპრები, როგორც მაგალითად დავით კაბუკის გოლიათთან მარტო შებმა, ან ლეგენდა პერსიის შესახებ და სხვა ასეთები იქმნებოდნენ ბავშვებისათვის და ამაზე ზრდინდნენ სპარტაკებს, ფრა-დოლჩინოს და სხვა რევოლუციონერებს¹. აქ საბავშვო ფოლკლორის დაუფლების აუცილებლობის საკითხი ისმის. რა თქმა უნდა ბევრი რამ საბავშვო ფოლკლორიდან, ამ შემკვიდრობით მიღებულ კულტურულ ღირებულებიდან, არ გამოდგება თანამედროვე მისწრაფებისათვის, მაგრამ თანამედროვე თაობა უარყოფს მას, რაც გამოუსადეგია მისი მსოფლმხედველობისთვის და გადაახალისებს და შეითვისებს იმას, რაც ახალი ადამიანის ფსიქოლოგიას შეესაბამება.

საბავშვო ფოლკლორის ნიმუშების გამოცემას და შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენში როგორც აღვნიშნეთ, ამ მხრივ ჯერ პირველი ნაბიჯიც არ გადადგმულა. რამდენიმე წელია დავიწყე ამ მიმართულებით მასალების შეკრება-ჩაწერა და ამოკრეფა ათეული წლების განმავლობაში დაგროვილი მასალებიდან. ბევრი საინტერესო მასალა არის ჯერ კიდევ შესაკრები. თანამედროვე ცხოვრების ფონზე შექმნილი საბავშვო ფოლკლორი საკმარისი სისრულით ჯერ კიდევ არ გვაქვს შეკრებილი. საჭიროა შემკრებთა და მკვლევართა ყურადღება მომავალში აქეთკენ იქნეს მიმართული. ასეთი მასალები საშუალებას მოგვცემენ თანამედროვე ბავშვთა ინტერესებისა, მოთხოვნილებისა და მისწრაფებათა გაცნობისა და შესწავლის.

საბავშვო ფოლკლორი შეიცავს, როგორც ბავშვებისათვის შექმნილს, ისე მათ შორის გავრცელებულ ფოლკლორულ მასალებს. მისი დამოუკიდებელ სფეროდ გამოყოფის დროს ანგარიში უნდა გაუ-

¹ М. Горький. О безответственных людях и о детской книге наших дней. 1930 г.

წიოთ ორ გარემოებას: ერთის მხრით უნდა გავითვალისწინოთ და შევეისწავლოთ სოციალური გარემო, რეალური პირობები, რომელშიაც შექმნილია და იქმნება საბავშვო რეპერტუარი და მეორე მხრით—ბავშვის თავისებური ფსიქიკა. საბავშვო რეპერტუარში ახალთან ერთად დამკვიდრებულია განვითარების გრძელი მანძილით მოსული ხალხური შემოქმედების ნიმუშები; ისინი შინაარსითა და ფორმით ეფარდებიან ბავშვის მოთხოვნილებას, გემოვნებას და შეთვისების უნარიანობას. ბევრი მათგანი პირველადვე ბავშვებისთვის იყო შექმნილი (ზოგიერთა აკენის სიმღერა და სალალაო—შესაქცევარი); ზოგი ბავშვის გემოვნებასთან შეფარდებით უცვლელად, თუ შეცვლილი სახით დიდების რეპერტუარიდან გადმოვიდა საბავშვოში. გარკვეული ზღვარის გავლება უფროსებისა და საბავშვო ფოლკლორის შორის ხშირად ძნელდება, მიუხედავად იმ ბევრი თავისებურებისა, რომელიც საბავშვო ფოლკლორს ახასიათებს და ხდის მას დამოუკიდებელ სფეროდ. ჩვენ არ ვეთანხმებით გ. ვინოგრადოვის განმარტებას, რომელიც საბავშვო ფოლკლორში გულისხმობს ხალხური შემოქმედების მხოლოდ იმ ნიმუშებს, რომელიც გავრცელებულია ბავშვებში და არ შედის დიდების რეპერტუარში¹. საბავშვო ფოლკლორი, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ო. კაპიცა, შეიცავს უფროსების შემოქმედებას ბავშვებისათვის და თვით ბავშვების შემოქმედებას. მისი შინაარსი და ფორმა, რომელიც მის შემქმნელ სოციალურ გარემოთა განსაზღვრული, უშუალოდ არის დაკავშირებული ბავშვის ყოფიერებასთან და ფსიქიკასთან. მშვენიერი, მიმზიდველი ფორმა: განმეორებანი, ბგერათა მიმბაძეელობა, რიტმი, ალიტერაცია და სხვა ბავშვის გემოვნებასა და მხატვრულ უნარიანობას აკმაყოფილებს.

საბავშვო ფოლკლორის კლასიფიკაცია შეკრებილი მასალების მიხედვით იძლევა შემდეგ სურათს:

1. აკენის სიმღერები
2. სალალაო და შესაქცევარი
3. ლექსები და სიმღერები
4. ცოცხალი ტყუილი
5. საგინგლაო და გამოსაჯავრებელი
6. გათვლა
7. თამაშობანი
8. ზღაპრები

¹ Г. Виноградов. Детский фольклор и быт. гл. 22.

9. გამოცანები

10. ენის გასატეხი.

კლასიფიკაციას აძენილებს ის გარემოება, რომ საერთოდ ხალხური სიმღერები და ლექსები იცვლიან დანიშნულებას; ამიტომ არის შემთხვევა, როცა ერთი და იგივე მასალა ერთგვარი უფლებით შეგვიძლია მივაკუთნოთ სხვა და სხვა სახეს. „ძერამ წაიღო წიწილა“, შევიტანეთ ცოცხალ ტყუილში, შეიძლება მისი მოთავსება ფრინველების შესახებ ლექსებთანაც; „ზღაპარ იყო“ ზღაპრის ელემენტია, შესავალი, მაგრამ ამავე დროს ცოცხალი ტყუილიც, „ანანა მანანა“ გათვლაც არის და უბრალო გასართობი ლექსიც; „სვიმონასა და გიგოლასა“ გამოსაჯავრებელი ლექსიცაა და ცოცხალი ტყუილიც, ზოგი სალალაო და შესაქცევარი ამავე დროს თაქანობის ელემენტარული სახეა და სხვა. მიუხედავად ამ სიძნელისა მასალების განაწილებაში მაინც დავიცავით ერთგვარი სისტემა. მოცემული კლასიფიკაციის დროს მხედველობაში მივიღეთ ბავშვის ასაკი და ცალკე სახეთა თავისებურებანი.

ქართული საბავშვო ფოლკლორის საფუძვლიანი შესწავლა მომავლის საქმეა, როდესაც მასალების შეკრება და სისტემატიზაცია მოწესრიგებული იქნება. ვეცდებით, შეკრებილი მასალების მიხედვით, გავარკვიოთ ჩვენი საბავშვო ფოლკლორის ხასიათი და ბუნება, რათა რთული ამოცანების დასახვა მაინცნათელი გახდეს. ავითეულ ზემოთ ჩამოთვლილ სახეს თავისებურება ახასიათებს და ჩვენი (და ამ თავისებურებისა და მათი მნიშვნელობის გარკვევისაგან იქნება მიმართული.

აკენის სიმღერები. აკენის სიმღერები გავრცელებულია საქართველოს ყველა კუთხეში. მისი დანიშნულება ბავშვის დაძინებაა. იშვიათია ისეთი გლეხის ოჯახი, სადაც ბავშვს დაძინების წინ არ უმღეროდნენ. საბავშვო ფოლკლორის ამ სახის მატარებლები ქალებია. დედა, ძიძა თუ მომვლელი, დაბალი ხმითა და მარტივი მელოდიით უმღერის ბავშვს და ამ სიმღერაში აქსოვს ფიქრებს, რომელსაც თითონ განიცდის; ან იმ იმედებსა და სურვილებს, რომელსაც პატარა არსებას უსახავს. ხშირია აკენთან იმპროვიზაცია. ასეთი ხასიათის მასალა ჩვენ ჯერჯერობით არა გვაქვს შეკრებილი.

ზოგიერთი მკვლევარი აკენის სიმღერებს საბავშვო ფოლკლორს არ აკუთვნებს. მკვლევართა ასეთ რიცხვს ეკუთვნის გ. ვინოგრადოვი. საბავშვო ფოლკლორის შემსწავლელი და მკვლევარი ო. კაპიცა მას საბავშვო ფოლკლორის კუთვნილებად თვლის, რადგანაც სიმღერათა ერთ ჯგუფში მოცემულია ბავშვის სამყარო მისი სიხა-

რულითა და სევდით. მეორე ჯგუფი, სადაც სიმღერის შემსრულებელის სამყარო იშლება, არ შედის საბავშვო ფოლკლორში.

ჩვენ საფუძვლიანად მიგვაჩნია ის აზრი, რომ აკვნის სიმღერების იმ ჯგუფს, სადაც ბავშვის სამყაროა მოცემული, სადაც ვეცნობით მის ყოფიერებას, სრული უფლება აქვს, იყოს განსაკუთრებული ქანრი.

ჩვენში აკვნის სიმღერებს „ივენანას“ ან „ნანას“ უწოდებენ. შეკრებილი გვაქვს რამდენიმე ტრადიციული ტექსტი, გადმოსული თაობიდან თაობაზე. სიმღერაში ჩაქსოვილი სურვილები, რომელსაც პატარა არსებას მომავალი ცხოვრებისთვის უსახავენ, მაგალითად ინგილოური ტექსტი „და-და შულო“, ან კახეთში ჩაწერილი „ნანი-ნანი ყმაწვილო“, სადაც მაღალი მხატვრული ღირებულების შედარებაანი, იძლევიან აგრეთვე მდიდარ საყოფაცხოვრებო ნასალას. აკვნის სიმღერა ამჟღავნებს თავის სოციალურ ბუნებას. გლეხურ მშრომელ წრეში შეიძლება შექმნილიყო მხოლოდ ასეთი შინაარსის სიმღერა:

„ეე ნაო ძილასაო
სამკალ გაჩენილასაო.
დედა ძუძუს მოუტანდა
ზის-ცვრით გატენილასაო...“ და სხვა.

ძილის წინ პატარას მრავალფეროვანი შედარებებით ხოტბას ასხავენ:

„ეს აკვანი ლებანოზი,
შიგა მწოლი ანგელოზი;
ეგ აკვანი ხარატური,
შიგა მწოლი ჩახატული;
ეგ აკვანი ბეოლისაო,
შიგა მწოლი ბროლისაო“ და სხვა.

ბევრი დღემდე მოღწეული აკვნის სიმღერა უძველესია და ატარებს საწესო ხასიათის ნიშნებს. საწესო მოქმედების ნიშნები შემოუნახავეს:

„იას გიკრეფ, ვარდს გიკონაჰ ნანა, ნანა, ნანა, ბატონო!

სასთუმალ ქვეშ ამოვიდებ ნანა, ნანა, ნანა ბატონო...“
რა თქმა უნდა დღეს ეს მეტწილად გამოყენებულია, როგორც ერთგვარი დაპირება ბავშვისადმი, რათა ტკბილად დაიძინოს:

„შენ თუ ტკბილ ძილს დამისრულებ,

მე ტკბილ ნანას მოგახსენებ...“ და სხვა, მაგრამ აქ საწესო მოქმედების კვალიცა ჩანს. იისა და ვარდის მიძღვნა დღესაც რი-

ტუალის სახით გვხვდება ჩვენში, ზოგიერთ ადგილებში წითელათი, ხველითა და ყვავილით დაავადებულისადმი. ასეთ სახად ავადმყოფობას, როგორც ცნობილია „ბატონებს“ ეძახოდნენ. აღნიშნული აკვნის სიმღერის რეფრენში შემონახულია ეს სახელწოდებაც:

„...ნანა, ნანა, ნანა ბატონო“! ზოგი აკვნის სიმღერა პირდაპირ საწესო სიმღერის ნაწყვეტია. მაგალითად კახეთში ჩაწერილი:

„ია ვკრიფე, ვარდი ვშალე,
წინ ბატონებს გაუშალე.
იაგუნდი! მარანშია
ღვინო დგება ლალის ფრისა,
შიგ ალვის ხე ამოსულა,
ტოტები აქვს ნარგიზისა.
ზედ ბულბული შემომჯდარა,
იადონი მხრებს უშლისა.
იავ ნანა, ვარდო ნანა,
იავ ნანინაო“!

საყურადღებოა სოფელ ქურთაში ჩაწერილი „იავ ნანა“. აკვანში მწოლიარე პატარას ხალხი იდეალად უსახავს საამაყო მგოსნის აზრებს:

„დაიძინე გენაცვალე,
შოთას აზრისაო“,

ან კიდევ ხალხის საყვარელი გმირის ტარიელის ვაჟკაცობას:

„დაიძინე ტარიელო,
გნირის ჯანისაო“...

და ნესტანის სილამაზეს:

„დაიძინე გენაცვალე,
დარეჯნის თელისაო—“ და სხვა.

აკვნის სიმღერა ვრცელდება წიგნის საშუალებითაც. ჩვენში ამის მაგალითია აკ. წერეთლის „იავ ნანა“, დაწერილი ხალხურ კილოზე.

ჩვენი აკვნის სიმღერები გარდა იმისა, რომ იძლევიან საყოფაცხოვრებო მასალებს და გვაცნობენ გარდასულ დროთა ზნე-ჩვეულებებსა და მისწრაფებებს, წარმოადგენენ მხატვრული გემოვნების იშვიათ ნიმუშებს. მუსიკალურ მხარესთან შეთანხმებული მხატვრული სახეები და მოზღნეილი შეღარებანი კმნიან მათ ფორმალურად სრულკმნილს.

სა ლ ა ლ ა ო და შ ე ს ა ქ ც ე ვ ა რ ი. საბავშვო ფოლკლორის განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენენ ისეთი ლექსები და სიმღერა-

ბი, რომელნიც უშუალოდ დაკავშირებულნი არიან სხეულის ან მისი რომელიმე ნაწილის მოძრაობასთან. მისი დანიშნულებაა ბავშვის გართობა იმ ასაკში, როდესაც მას ჯერ კიდევ არ აქვს დამოუკიდებლად გართობის უნარი. საბავშვო ფოლკლორის ამ დარგს რუსები „пестушки и потешки“-ს ეძახიან. ჩვენ სალალაოს და შესაქცევარს ვუწოდებთ. იმ ასაკში, როდესაც ბავშვის ცხოვრების მთავარ შინაარსს თამაშობა და გართობა შეადგენს, უფროსები იგონებენ სალალაოსა და შესაქცევარს. ბავშვზე გავლენას ახდენს რიტმი და ლექსის ფორმა შესრულებული უმეტესად სიმღერითა და სხეულის რომელიმე ნაწილის მოძრაობით. ისინი პატარა არსებებში თავიდანვე ანვითარებენ საღ და მხიარულ ემოციებს.

პატარა ბავშვს დაისვამენ მუხლზე და ამბობენ:

„აჩუ, აჩუ ცხენო,
საით გაგაქენო...“ და სხვა.

პოპულარული შესაქცევარია ჩვენში „ხბო წითელა“. ბავშვს ხელის გულზე უსვამენ თითს, სადაც თითქოს დასაკლავი ხბო წითელა იმყოფება. ბავშვის თითები მომქმედ პირების როლშია, რომელთაც მორიგეობით უკეცავენ სათანადო სიტყვების დართვით. უკანასკნელი სიტყვებით ააყოლებენ ხელს მკლავზე და მკერდზე უღიტინებენ, რაც ბავშვის გულიან სიცილს იწვევს. ეს შესაქცევარი მოგვაგონებს რუსულ „сорока“-ს.

გავრცელებულია ბავშვის სიარულის სწავლასთან დაკავშირებული სალალაონი. ზოგი მათგანი მალალი მხატვრული ღირებულების მქონეა და მომხიბვლელი არაჩვეულებრივი შედარებებით. აქაც მსგავსად აკენის სიმღერებისა მშვენიერ ხობტაში ჩაქსოვილია დედის კეთილი სურვილები პატარა შვილისადმი, რაც საყოფა-ცხოვრებო მასალასაც იძლევა. მაგალითად ახალციხეში გაგონილი და ჩაწერილი:

„დან-დანი, დან შვილო,
ატმისა გულგაქრილო,
გოგმანით მოფრენილო,
დედის კაბისა ღილო“, და სხვა.

სიარულის სწავლასთან დაკავშირებულ ლექსებში ხშირად ვხვდებით „დან-დანი“-ს. ეს საალერსო ფორმაა და გულისხმობს „დადგა“-ს. სალალაო-შესაქცევარში ხშირად მოცემულია გარკვეული სოციალური ფენის მისწრაფებანი. მოვიყვანოთ მაგალითი ტფილისში ჩაწერილი ტექსტიდან:

„...იცი, თუ შენ ვის მიგცემ?

„ქალაქის ბატონის შვილს მიგცემ;

ერთ ლიტრიან ჯაჭვს მოგცემ;

ვერაზე წყლის წიქვილს მოგცემ...“ და ა. შ.

აქედან ჩანს რომ ამ სოციალური ფენის წარმომადგენლები შვილის მომავალ ბედნიერებას სიმდიდრეში და უზრუნველად ცხოვრებაში ხედავდნენ.

როდესაც ბავშვი იწყებს სიარულს, დაუდგებიან შორი ახლო და ამბობენ:

„სია ტა-ტა,

ფეხის ადგმა,

არ დაეცე,

კაკას მოგცემ“.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გავრცელებულია შესაქცევარი „წიპო, წიპო წიპონია“. ეს სრულდება ხელების ერთი მეორეზე შეკოწიწებით. უკანასკნელ სიტყვებთან ერთად ხელებს გაშლიან ბავშვის სახესთან, რაც მასში იწყევს სიცილს. ანას ხშირად თითონ ბავშვები ასრულებენ, როდესაც უმუშავდებათ დამოუკიდებლად გართობის უნარი.

საბავშვო ფოლკლორის ეს სახე უქმნის ბავშვებს საღ, მხიარულ ემოციებს.

ლექსები და სიმღერები. ზრდასთან ერთად იცვლება ბავშვის მხატვრული გემოვნება და მოვლენათა ათვისების უნარიანობა. აკვნის სიმღერები და სალალაო-შესაქცევარნი აღარ იზიდავს და ვერაფრითაა შთაბეჭდილებას ვერ ახდენს ბავშვზე, ამ ასაკში, როდესაც უმუშავდება უნარი დამოუკიდებლად გართობისა. ამ ასაკში ბავშვებს თავიანთ რეპერტუარში შეაქვთ მთელი რიგი ლექსები და სიმღერები. ესენი უფროსების შემოქმედებაა და გრძელი მანძილის გამოვლით ზოგი უცვლელად და ზოგი გადამუშავებული და შეცვლილი ბავშვის ინტერესებისა და ესთეტიური მოთხოვნების მიხედვით შესულა საბავშვო რეპერტუარში. შეკრებილი მასალები ნებას გვაძლევენ ვთქვათ, რომ ჩვენი საბავშვო ფოლკლორი ძლიდარია ლექსებითა და სიმღერებით, რომელიც წარმოდგენილია მრავალფეროვანი თემებითა და შინაარსით. გვაქვს ლექსები შექმნილი ახალი ცხოვრების ფონზე. როგორც უფროსები, ისე ბავშვებიც მღერიან ხალხის საყვარელ ბელადზე:

ცაზე მოვარე ამოცურდა,

ნიშანია დარისა,

კოლექტივმა გაიმარჯვა,
ვენაცვალე სტალინსა.

ეს გავრცელებული სიმღერაა და მისი ვარიანტები ჩავიწერე
„გურიის“ და იმერეთში ბავშვებისაგან. ბედნიერი, მზიარული მოზარ-
დი თაობა უფროსებთან ერთად უმღერის მშრომელი ხალხის ბელა-
დებს. თანამედროვე ბავშვი ითვისებს ახალ ეპოქას, უფროსებთან
ერთად თითონაც ქმნის ახალი გმირის სახეს და ბავშვური უმანკო
სიყვარულით უმღერის მას. შეკრებილ მასალებში მოგვეპოვება მცო-
რეწლოვან ფშაველის ფ. რაზიკაშვილის ლექსი.

„მომკვდარა ჩვენი ლენინი,
ალარა გვეყავის ბრძენია;
დაპგლოფიარდენ მშრომელნი,
გულს დაიკრიფეს ხელია.
ლენინის ადგილას არის
ეხლა სტალინი ჩვენია,
შეხარის ქარხნის მუშები
შენი ქირიმე; შენია!

შორი-შორ ერიდებიან:

„არ მივაკაროთ მტვერია“.

ხელში ფანქარი უქერავ,

მოულერებავე ყელია...

ალარცად არი ძველი დრო,

გზირი, ხატი და ღვდელია.

ვაჟის გვარისა არის,

ემაგ ლექსისა მთქმელია;

ბალლია პატარუნაი,

არც ეწამება წვერია,

ლექსს იტყვის ჩვენსა მამაზე,

კალამი დაუქერია“.

მკვლევარისათვის ეს ლექსი ბევრის მხრივ არის საინტერესო.
ეს არის ნიმუში ბავშვის შემოქმედებისა და ამდენად საზომი მისი
შემოქმედებითი უნარიანობის; გარდა ამისა ვეცნობით ბავშვის მიერ
ახალი ცხოვრების გაგებას, მის ჯანსაღ გრძნობებსა და განცდებს.
მან არ იცის ავადმყოფური სასოწარკვეთა; შეგნებული აქვს, რომ
დიდი დანაკლისია რევოლუციის ბელადის სიკვდილი, მაგრამ იცის
ისიც, რომ ლენინის საქმეს ღირსეული გამგრძელებელი ყავს დიდი
სტალინის სახით. ბავშვებისაგან მაქვს ჩაწერილი ლექსები, სადაც
უმღერიან საბჭოთა ხელისუფლებას:

„ჩვენს დროშაზე ახატია,
ჩაქუჩი და ურო,
საბჭოთა ხელისუფლებავ
უნდა გემსახურო“, ან კიდევ:

„ჩვენს დროშაზე ახატია:
ჩაქუჩი და ნამგალი,
საბჭოთა ხელისუფლებავ
მუდამ იყავ მაგარი“.

ბავშვები უფროსებთან ერთად მღერიან კოლექტივის მიღწევებზე, რომ ტექნიკური კულტურა გაშენდა იქ, სადაც უწინ მხეცთა საძეგლი იყო:

„სადაც კიოდა
მგელი და ტურა,
კოლექტივმა გააშენა
ჩაის კულტურა“,

რომ კოლექტივმა მიიზიდა მწრომელი ქალები:

„...კოლექტივში ჩაწერილან
ჩვენი ქალები“;

კოლმეურნეობების საშუალებით წელში გაიმართა გლეხობა. რომელიც საუკუნეთა მანძილზე დაჩაგრული იყო:

„...გლეხკაცობა, ლარიბობა
შენ გამართე წელშია“, და სხვა.

ბავშვებში გავრცელებულია ლექსები, სადაც გაკიცხულია ის წოდება, რომელიც საუკუნეთა მანძილზე სხვისი ნაოფლართ საზრდოობდა. ეს არის ლექსები ბატონ-ყმობაზე, რომელიც ბავშვებს შეუთვინებიათ უფროსებისაგან, ან გავრცელებულა წიგნის საშუალებით. ისინი იძლევიან საინტერესო ცნობებს წარსულ შავ-ბნელ ხანაზე. ეს ლექსები ამჟღავნებენ თავის სოციალურ ბუნებას, რომ ისინი შექმნილია გლეხურ მშრომელ წრეში; მათ მძიმე ტვირთად აწვა მუქთახორა ბატონი და ყოველ ფეხის ნაბიჯზე არბევდა მას:

„დასაქცევი მებატონე
ჩამოივლის ვარიანსა,
წიოკობას აუყენებს
ქათაჰსა და ვარიასა“ ან

„...პური ბატონმა წამართვა,
შენ ქადი ქამე მუდამა“, და სხვები.

ასეთ ლექსებში ხშირად ისმის მუქარა, წყევლა და პროტესტი: შრომელი გლეხობისა პარაზიტი წოდების მიმართ:

„აზნაური და თავადი
სულ გადაყვარე კლდესაო,
იმათი ცოლი და შვილი
სულ დავაქამე მგელსაო,
იმათი სახსენებელი
ამოიწყვიტოს ღლესაო“.

ასეთი შინაარსის ლექსებს უმცროსი ასაკის ბავშვებისაგან იშვიათად გაივონებთ, ის მათ შეუთვისებიათ მხოლოდ გარკვეული ფორმის წყალობით. საშუალო და უფროსი ასაკის ბავშვებს ისინი აძლევენ გარკვეულ წარმოდგენას წარსულ სოციალურ უსამართლობაზე.

ბავშვებში გავრცელებულია ლექსები მღვდლებზე და დიაკვნებზე, სადაც გაკიცხული და დაგმობილია ამ წოდების სიმახინჯენი. ზოგი მათგანი ნამდვილი წყევლა-კრულის მაგალითია:

„ა ხუცესო ხაქაპური,
ტყეში გნახე გაქაპული“, ან
„ა ხუცესო ხმიადი,
ტყეში გადახრიალდი“.

საბავშვო რეპერტუარს განსაკუთრებით ამდიდრებს ლექსები ცხოველებისა და ფრინველების შესახებ. ცნობილია, რომ ეს სამყარო ბავშვების საყვარელი თემაა. ზოგი მათგანი ადრევე იყო შეტანილი საბავშვო წიგნებსა და ჟურნალებში. შეკრებილ მასალებში ვხვდებით სხვადასხვა ცხოველებსა და ფრინველებს მათი დამახასიათებელი ნიშნებით. მელა, მგელი, დათვი, კურდღელი, ირემი, მამალი, ტოროლა, ქორი და მრ. სხვა მოცემულია თავიანთი თვისებებით.

გვხვდება საყოფაცხოვრებო და იუმორისტული შინაარსის ლექსები: დაცინვა პატარძლებზე, ქვრივებზე, გასათხოვარ ქალებზე და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ბავშვებში გავრცელებულ ბევრ ლექსსა და სიმღერაში ყოველთვის არ არის დაცული შინაარსის მთლიანობა. მოცემულია ცალკე სახეები და ეპიზოდები, მაგალითად „ტაი-ტაი ტაბელაო“, ან „რძლის მოთქმა“ და სხვები.

ბავშვის მხატვრულ გემოვნებას მისთვის საინტერესო შინაარსთან ერთად აკმაყოფილებს ლექსის ფორმალური მხარე: განმეორებანი. „თოვს, თოვს ხოშკაკლავს“, „წვიმა, წვიმა, დაუწვი“, „მზეო-

ამოდი, ამოდი“, „მელა, მელა ჩიკოტელა“ და მრ. სხვა; წყვილი შე-
ხამებული სიტყვები: „აკრატელი-მაკრატელი“ და სხვა;

კითხვა-პასუხი:

„სადა ყივი?

—ქინქარაში!

რა გაცვია?

—ფარჩის კაბა!... და სხვა.

ბავშვს იზიდავს აგრეთვე რიტმი, ბგერათა მიმბაძველობა და კუმულიაცია. კითხვა-პასუხით შესრულებული სიმღერები საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება შეკრებილ მასალებში. ასეთ ლექსებსა და სიმღერებს ასრულებს ორი პირი. ეს არის უძველესი პოეზიის მიერ ნაანდერძევი ამებეური ფორმა. ისმის კითხვები: რა? სად? ვინ? რას? და სხვა. კითხვა-პასუხი ბავშვების საყვარელი ფორმაა და ამგვარად შესრულებული ლექსები და სიმღერები გავრცელებულია ყველა ერის ბავშვებში. მოვიყვანოთ მაგალითი ვ. პ. შეინის მიერ შეკრებილ მასალებიდან:

„Где коза была?“

—Я коней стерегла.

„Что выстерегла?“

— Коня в седле,

В золотой узде...¹

საბავშვო რეპერტუარში. მრავლად მოგვეპოვება ლექსები და სიმღერები, რომელნიც იძლევიან გარკვეულ წარმოდგენებს საგნებსა და მოვლენებზე. ასეთია გავრცელებული „მოდის ვნახოთ ვენახი“. ეს ლექსი ი. გოგებაშვილის მიერ შეტანილი იყო „დედა ენა“-ში და მისი ვრცელი ვარიანტი ჩაწერილი მესხეთში შეტანილია ჩვენს მასალებში. ლექსი ხასიათდება კუმულიაციით. იმდენჯერ მეორდება ჩამოთვლა თვითეული საგნის პირველიდან დაწყებული, რამდენიც ახალი ფლემენტი ემატება. ლექსს ასრულებს სამი ბავშვი: შემკითხველი, მოპასუხე და გამმეორებელი. უკანასკნელი ამთავრებს ლექსს და ჩამოთვლის საგანთა და მოვლენათა მთელ რიგს, მათი ფუნქციონალობითა და თავისებურებით: „წყალი, წყალი, წყალმა ცეცხლი, ცეცხლმა ხმალი, ხმალმა ლომი, ლომმა ვიგრი, ვიგრმა ვეფხვი, ვეფხმა ძაღლი, ძაღლმა მელა, მელამ კატა, კატამ თაგვი, თაგვმა მიწა, მიწამ ქანგი, ქანგმა თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შექამა“.

¹ В. П. Шейн.—Великоросс в своих песнях, обрядах и верованиях. :Изд. Акад. наук, 1898 г., т. I.

საყოფაცხოვრებო შინაარსის ლექსები ბავშვებს ნაღესსები აქვთ ლფროსების რეპერტუარიდან. საბავშვო რეპერტუარში გვხვდება საწესო სიმღერები. შორეულ წარსულიდან მომდინარე ასეთი ხასიათის ლექსები და სიმღერები, ხშირად წყდებოდნენ გარკვეულ წესს და ზღებოდნენ გართობის საშუალებად. წესს მოწყვეტილი, დიდებისათვის უკვე არა საინტერესო პოეზია შედის საბავშვო რეპერტუარში, როგორც უბრალო სიმღერა, ან თამაში. იყო მთელი რიგი საწესო მოქმედებათა, სადაც დიდებთან ერთად ბავშვებიც იღებდნენ მონაწილეობას. მათი მიზანი იყო ბუნების ძალების მოქმედების გაძლიერება, ნაყოფიერების ზრდა, საქონლის გაპრავლება, ბუნების მოვლენების გამოწვევა და სხვა. საბავშვო რეპერტუარში შენახულია საწესო და საკულტო პოეზიის ნიმუშები; ისინი უძველესი წარმოშობისაა და თავდაპირველად პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდათ; დღეს მათ აღარა აქვთ ეს დანიშნულება, გამოცლილი აქვს სოციალური ფუნქცია და თანამედროვე ბავშვისთვის ესთეტიკური მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი საშუალებაა. ჩვენ მოგვეპოვება ასეთი წარმოშობის ლექსები, მიმართები ბუნებისა და ცხოველებისადმი. მზის კულტთან და მსხვერპლის შეწირვის წესთან იყო დაკავშირებული ლექსი:

„მზეო, მზეო გამოდი,
ჩვენს ერდოში ჩამოდი,
მიანათე ბაკებსა,
ცხეარს დაგიკლავ მაქესა“.

მზისადმი მიმართვას წარმოადგენს გავრცელებული „მზეო ამოდა, ამოდი!“ რა თქმა უნდა დღეს ბავშვებს ესენი შეთვისებული აქვს მათი პირველადი დანიშნულების გარეშე. გავრცელებულია მიმართვები წვიმისადმი, ქარისადმი შინაურ და გარეულ ცხოველებისა და ფრინველებისადმი (ხარი, ირემი, ბატი, ქორი და სხვა).

საბავშვო რეპერტუარში ვხვდებით ამინდთან, წელიწადის დროებთან და თვეებთან დაკავშირებულ ლექსებს: „თოვს, თოვს ხოშკაკლავს“, „თებერვალი დადგაო“, და სხვები.

არის ლექსები თვეების, რიცხვების ან კვირის შემადგენელი დღეების შესახებ. მაგალითად „თვეების სიმღერა“, ან თექმის-ხევში ჩაწერილი ძველად მოწაფეთა შორის გავრცელებული ლექსი: „ორშაბათი სისხლად მესმის“, როპლის ანალოგიურია რუსული ხალხური ლექსი:

В понедельник—на могильник,
Во вторник—на кокорник.
В среду—на переды.
В четверг—на коты.

В пятницу—на мельницу.

В субботу—на работу.

В воскресенье—на веселье.

ბავშვებს აქვთ საცეკვაო სიმღერებიც: „ტაში გიგო, ტაში მართა“, „აბა ჩემო ბაბუსი“, და სხვა.

ბავშვები მღერიან ცინიკურ ლექსებსაც, რაც გარკვეული წრის ვაგლენით აიხსნება.

საბავშვო რეპერტუარში შესული სიმღერები ხშირად იწყება: ეო, მეო; ესო, მესო; ტაი-ტაი, ტასო, და სხვა.

ბავშვებს უყვართ ლექსები, რომელთაც ახასიათებთ დინამიური მდინარება. მაგალითად „მელიას ბედი“.

ესო, მესო,

მელა ჩიოდესო.

— გამიგდეს და გამომიგდეს,

სოროს შამაგდესო;

შამამიბოლესო,

შიგ გამომალრჩესო,

კავი შემოყვესო,

გამომათრიესო;

შინ ამიტანესო,

მალლა დამკიდესო... და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი სახე საბავშვო ფოლკლორისა არ არის ისე მრავალმხრივი და მრავალფეროვანი თემებით, შინაარსითა და ფორმით, როგორც ლექსები და სიმღერები. ეს გარემოება ართულებს მის სისტემატიზაციას, მაგრამ ჩვენ მაინც ვცადეთ მასალების დალაგების დროს დაგვეცვა თემატიკური თანმიმდევრობა.

საერთოდ ცნობილია, რომ ბავშვი კონკრეტული მოაზროვნეა და ამავე დროს რეალურ გარემოს თავისებურად აღიქვამს და ითვისებს. ამიტომ მათ რეპერტუარში შესული ხალხური შემოქმედების ნიმუშები, ყოველთვის შეფარდებულია ბავშვის კონკრეტულ აზროვნებასთან და რეალური გარემოს აღქმის უნარიანობასთან. ფაქტიური მასალა გვიჩვენებს, რომ დიდებისაგან ბავშვებს მეტწილად უსესხებიან და შეუთვისებიან ისეთი ლექსები და სიმღერები, სადაც შინაარსი იუმორისტულია და მოქმედება დინამიური.

საბავშვო ხალხური ლექსების მრავალფეროვანი შინაარსი და ზღაპრული მხატვრული ფორმა: შედარებანი, ალიტერაცია, ასონანსი,

ჯანმეორებანი, კუმულიაცია და სხვა ბავშვებისათვის მიმზიდველი და ადვილად შესათვისებელია.

ცოცხალი ტყუილი. ყველა ერის ფოლკლორში ფართოდ არის გავრცელებული ლექსები, სიმღერები და პატარა მოთხრობები, სადაც დარღვეულია ბუნებრივი კანონები და სინამდვილე წარმოდგენილია შებრუნებულად. სამყაროს შებრუნებული წარმოდგენით ერთ საგანს მინიჭებული აქვს ფუნქცია და თვისება მეორესი; ცხოველი ან ფრინველი გადაცმულია ადამიანურად და ასრულებს ადამიანის ფუნქციას; ადამიანები მოქმედობენ არაჩვეულებრივ პირობებში; პატარა რაიმე წარმოდგენილია გაზვიადებული სახით და სხვა. ყველა ამათ ჩვენ ცოცხალ ტყუილს ვუწოდებთ.

ასეთი ხასიათის ლექსები და მოთხრობები თავისი იუმორისტული შინაარსითა და საბავშვო ფოლკლორისათვის დამახასიათებელი ფორმით, ბავშვების საყვარელი ქანრია. ზოგი მკვლევარი მას 'საბავშვო ფოლკლორს არ აკუთვნებს. ჩვენ საფუძვლიანად მიგვაჩნია იმ მკვლევართა აზრი, რომელნიც ამ ქანრს საბავშვო ფოლკლორის კუთვნილება უთვლიან. ბავშვები მათ ადვილად ითვისებენ და ამდენად ისინი გვაცნობენ ბავშვთა მოთხოვნილებებს, გემოვნებასა და ფსიქიკას. ბავშვებში ფეხს იკიდებს და ვრცელდება ის მასალა, რომელიც გრძელ მანძილზე განმტკიცებულა და მოთხოვნილებებთან შეფარდებით მათ კუთვნილებად გამხდარა.

ამ ქანრის წინააღმდეგ პედაგოგიკაც იბრძოდა. საბავშვო მწერალს კ. ჩუკოვსკის, რომელმაც არა ერთი და ორი საკუთარი ნაწარმოები უძღვნა ბავშვებს ამ ქანრით, თავის წიგნში მოყავს ერთ-ერთი პედაგოგის საყვედურებით სავსე ბარათი, რომ ასეთი ქანრით წერა ამახინჯებს რეალურ ფაქტებს¹. უმართებულოა ბრძოლა ამ ქანრის წინააღმდეგ. მისი სარგებლიანობა გარდა იმისა, რომ აქ მოცემული იუმორი ბავშვს ჯანსაღ, მხიარულ იუმორს უწვდის იმისა, რომ ეს არის გონებრივი თამაში საგანთა შებრუნებული კოორდინაციით; ამას იგივე სარგებლიანობა მოაქვს, რაც საერთოდ თამაშობას.

ასეთი შინაარსის მასალებში ხშირად არის მითითებული, რომ რაც მოთხრობილია, ტყუილია. ჩვენში გავრცელებულია ზღაპარი, რომლის ჩონჩხი ასეთია: ორი მგზავრი, რომელთაც ნაპოვნი ოქრო უნდა გაიყონ, ეჯიბრებიან ერთმანეთს ტყუილის თქმაში; ვინც უფრო კარგ ტყუილს იტყვის, ოქროც მას ერგება. აქ გამოყვანილია ტვირ-

¹ К. Чуковский. Маленькие дети. Прибыл—Ленинград, 1929 г. 33. 209.

თის შიდაევი ბატი, როპელაც მოკედება, მაგრამ შაინც მდინარეს აშრობს და ქვესენელს აოხრებს; გამოყვანილია მიწის მხენელი ფუტკრები. ხის ტოტზე ნასროლი მიწის ბელტი ერთ ქცევა მიწად გადაიქცევა და სხვა, ამ ზღაპრის ერთ-ერთი ვარიანტის სათაურია „მეტე ტუილი“¹.

შებრუნებული წარმოდგენებით ნორმის დარღვევა და ადამიანის მოქმედება არაჩვეულებრივ პირობებში მოცემულია ლექსში: „სანთლის გუთანს ავაშენებ.“

ლექსში „ძერამ წაილო წიწილა“ მოცემულია სურათი ნამდვილი ბრძოლის ველისა. ფრინველები გადაცმულია ადამიანურად და ასრულებენ ადამიანურ ფუნქციებს.

ადამიანი და მწერი მოქმედობენ ერთგვარად:

„მე და ჰინჰველამ ურთერთსა,
ვლანძღეთ, ვაგინეთ ცოლები.
ერთი შემოეკარ ღონიერად,
შემომათეთრა თვალები;
ერთი იმანაც შამამკრა,
სულ დამამტვრია ძვალები“.

ხშირია პატარა რაიმეს გაზვიადება. ამის მაგალითებია: „რწყილი“, „ხოვლეში სამი რწყილია“, „წავალ კლდესა თავს გარდვიგდებ“ და სხვები. ცოცხალი ტუილი როგორც აღვნიშნეთ გვხვდება მოთხრობათაც. მაგალითად გურიაში ჩაწერილი „დიდი შაშვი“. შაშვი „დააქცია ერთი ფუთი სისხლი. გადმუარდა ძირს. შევიტანეთ შინ, გავბუქეთ, გავქენით. ავჩარიქეთ-დავჩარიქეთ; ავკუწეთ-დავკუწეთ; ავქარით-დავქარით. თავ-ფეხი და გულ-ღვიძლი თელ ხსნილში გვეყო. გულ-მკერდი და ბარკალი დალბა, გადაეყარეთ ზეთ...“² ასეთი შინაარსის მასალები უნვითარებს ბავშვს ნორმასა და სწორი ორიენტაციის უნარს.

ცოცხალი ტუილი მსგავსად საბავშვო ფოლკლორის სხვა სახეებისა ფორმალურად სრულქმნილია. მოცემულია არა ბუნებრივი სახეები:

„ეს რა ვნახე საკვირველი,
ყინულის კაბას კერავდენ,

¹ რუსთველის სახ. ინსტიტუტის ფოლკლორის სექციის მასალები რიგ-კატ. № 363.

² რუსთველის სახ. ინსტ. ფოლკლორის სექციის მასალები, რიგ. კატ. № 11058.

ფიფქსა უღებდენ სარწულად,
ზღვასა ნემსითა სწვერავენ-.

ს ა გ ი ნ გ ლ ა ო და გა მო ს ა ჯ ა ვ რ ე ბ ე ლ ი. არც ერთი სახე საბავშვო ფოლკლორისა არ გვაძლევს იმდენ მასალას ბავშვის შემოქმედებითი უნარიანობისა და ენის შესასწავლად, როგორც ის ლექსები, რომელთა დანიშნულებაა გალიზიანება, ან გამოჯავრება ვინმესი. მეტწილად აქ ბავშვთა შემოქმედებასთან გვაქვს საქმე. ეს ლექსები მოსწრებული სიტყვებითა და იუმორით მათ გონებამახვილობას ამელავენებს. არის ლექსები, სადაც დიდების შემოქმედებასთან გვაქვს საქმე, როგორც ფოლკლორის სხვა სახეები, ესენიც გარკვეული ნიშნების წყალობით ბავშვებს თავიანთ საკუთრებად გაუხდიათ. საბავშვო ფოლკლორის ამ სახეს რუსები ძრავნიაკი, под-девки и остроты-ს უწოდებენ. ჩვენ შესაფერისად ვცანით მისთვის საგინგლაო და გამოსაჯავრებელი გვეწოდებია.

ბავშვებს უყვართ დაცივნა საკუთარ სახელებზე. დაცივნის საგნად გამხდარა: არჩილ, ილო, ოთარი, ნინო, თინიკო, ლაღო, რეზო და თითქმის ყველა სახელი. ამას ყველგან გაიგონებთ: სკოლაში, ქუჩაში, ეზოში და სხვა. დაცივნის საბაბს იძლევა სიზარმაცე და გაუმადლოობა:

„... პურის კამაზე მარდი ხარ,
საქმეზე წელი გწყდებოა...“ ან კიდევ:

„... კამა დიდი შუუძლია,
მუშაობა არა“.

დასცინიან ფიზიკურ თვისებებსა და ნაკლს: კოქლს, ქაჩალს, ქერას, შავგვრემანს, გრძელ ცხვირას და სხვა; აბრაზებენ თმაგაკრეკილს:

„ხოტორ-ხოტორ ხრიკა,
ყვაფი ნიგოზს ყრიდა,
ყვაფო ერთი ჩამომიგდე,
ლობიოსთვინ მინდა“.

უკანასკნელ სიტყვებთან ერთად თავში წკიპურტს ჩაჰკრავენ, თითქოს ნიგოზი ჩამოვარდაო.

უყვართ ატირებული ბავშვის გამოჯავრება: „მტირალა, მტირალა“, „ტირიასა ბანი“ და სხვა. დასცინიან ერთი მეორეს მშობლებს:

„მამაშენი, მამაშენი,
ცხვირი გრძელით...“ და სხვ.

ბავშვებს განსაკუთრებით ეჯავრებათ, როდესაც აღიზიანებენ ცოლით ან ქმრით. გურიში, ჩოხატაურის რაიონში, სადაც ჩავიწერე ლექსი:

„თამარიკე ქალია,
ლობეს ამოფარია,
ვინც გეიარს—გამეიარს,
ყველე მისი ჭმარია“;

პატარა გოგონა, სახელად თამარი ცრემლებამდე მიიყვანეს ასეთი გამოჯაფრებით. არის სასკოლო წარმოშობის გამოსაჯაფრებელი ლექსები. უმცროსი ჯგუფის მოწაფეები აბრაზებენ იმ ამხანაგს, რომელმაც შესასწავლად სავალდებულო ლექსი არ იცის:

„ცი, ცი, ცი!
ლექსი არ ვიცი.
მოდო მასწავლებელო,
ყური ამიწი!“

ბავშვებში გავრცელებულია გართიმული წინადადებებით გამოჯაფრება. ერთი ბავშვი მეორეს ათქმევინებს ამა თუ იმ სიტყვას და გართიმული წინადადებით აღიზიანებს მთქმელს. მაგალითად გალიზიანება რიცხვების გართიმვით:

„ერთი!
— გაგიწყრა ღმერთი.
ორი!

— მოგიკვდა ღორი...“ და ა. შ.

ძველ რეპერტუარში გვხვდება ნაციონალური შუღლის გამომხატველი ლექსებიც, სადაც დაცინვის საგანს წარმოადგენს სხვა და სხვა ეროვნება. ესენი წარსულიდან ნაანდერძევი უფროსების შემოქმედებაა და თანამედროვე ბავშვებში თითქმის აღარ გვხვდება.

ბავშვები აღიზიანებენ იმ ამხანაგს, რომელიც დაეცემა ან იტყენს რაიმეს:

„შეგეზრდება, შეგემატება,
ხეალ უარესი დაგემართება“.

როგორც აღვნიშნეთ ეს სახე საბავშვო ფოლკლორისა მეტწილად ბავშვების შემოქმედებას შეიცავს; ამიტომ ხშირად გვხვდება ლექსი, სადაც არ არის დაცული შინაარსის მთლიანობა; ბავშვი ვერ იცავს მას, მაგრამ სამაგიეროდ ეხერხება გართიმვა. ამის ნიმუშებია:

„ილო, ილო,
გაბერილო,
ჩაის ტილო
გარეცხილო“, ან
„ქოლა, ქოლა,
კიტრის ტოლა,

შაკმანხული
ვირის ტოლა“, და სხვა.

ლექსები, სადაც გამოხატულია დაცინვა კუთხობრივობაზე, რომელიც მოცემულია იუმორით, უფროსების შემოქმედებაა და საბავშვო რეპერტუარში შესულა იუმორისტული შინაარსისა და გარკვეული ფორმის (შედარება, ალიტერაცია, ასონანსი და სხვა) წყალობით.

საგინგლო და გამოსაჯავრებელი ლექსების საფუძვლიანი შესწავლა მოითხოვს ხანგრძლივ სისტემატურ დაკვირვებას ბავშვებზე. ცალკე შემთხვევებთან დაკავშირებით ისინი ქმნიან ამგვარ ლექსებს, რომელზედაც დაკვირვება ტრადიციულ ლექსებთან ერთად მოგვცემს მდიდარ მასალას ბავშვის ენის, ყოფისა და შემოქმედებითი უნარიანობის შესასწავლად.

გათვლა და თამაშობანი. საბავშვო თამაშობამ ადრევე მიიქცია მკვლევართა ყურადღება. თამაშობას სწავლობდნენ და იკვლევდნენ პედაგოგები ბავშვის ცხოვრების ბუნების ამოსაცნობად; მას იხილავდნენ ეთნოგრაფები ეროვნული კულტურის თავისებურებათა შესასწავლად.

საბავშვო თამაშობანი ადრევე იყო აღწერილი, შესწავლილი და გამოკვლეული. რუსეთში მე-19 საუკუნის მკვლევართა შორის ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს პაკროვსკიმ¹, კულრიავცევმა,² სეკრეტოვმა³ და სხვებმა. თამაშობა ბავშვის განვითარების სტიმულია. ის წვრთნის მას, როგორც გონებრივად, ისე ფიზიკურად. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი რეალურ გარემოს თავისებურად ითვისებს, ის მაინც რეალისტია. თამაშით ბავშვი სინამდვილეს ასახავს. საგნები მისთვის იღებენ ახალ მნიშვნელობას. ჯობი, რომლითაც ის ცხენობანას თამაშობს, მისი თამაშის რეალური მონაწილეა. ამგვარი წარმოდგენები მიმართულია მისი ემოციონალურ მოთხოვნილებებისაკენ და ინტერესისაკენ. თამაშობა ბავშვის ესთეტიური აღმზრდელიცაა და ამავე დროს მისი შემოქმედების ერთ ერთი ფორმა.

დღეს არავის საექვოდ არ მიაჩნია თამაშობის დიდი როლი ბავშვის განვითარებაში; ფიზიკურ განვითარებასთან ერთად თამა-

¹ Д-р Покровский. Детские игры. 1892 г.

² В. Ф. Кудрявцев. Детские игры и песни Нижегород. губ. Нижн. Новг. 1871 г.

³ Секретев. Детские игры в Семикаракорской станице Донской области. „Вед.“ 1875 г. № 12, 14, 19.

შობა ბავშვს აძლევს გარკვეულ წარმოდგენებს საგნებზე, მოვლენებზე და მათ ურთიერთობაზე; თამაშობა ბავშვს გონებაბაზვილობას, მხიარულ ემოციებს და ჯანსაღ პერსპექტივებს უწვითარებს.

მსგავსად სხვა ერებისა ჩვენ საბავშვო თამაშობის მრავალგვარი სახე გვაქვს. თამაშობანი სათამაშოებით: ბურთი, დედოფალა, ბზრი-ალა და სხვა; მოძრაი და გუნდური თამაშობანი: მალულობია, აგან-გალა-განგალა, ქორობია და მრ. სხვა.

გუნდური თამაშობანი იწყება კენქის ყრითა და გათვლით-გათვლა ბავშვების საყვარელი თანრია და მისი დანიშნულებათა თამაშის დაწყების მოგვარება, რიგის დაწესება. ჩვენში გავრცელებულია გათვლის ტრადიციული სახეები: „იწილო, ბიწილო,“ „კომში, კომში კომარა,“ „ბრინჯი, ბრინჯი დავითა“ და სხეები. გათვლაში ძირითადია რიტმი, სიტყვათა აზრიანობას მნიშვნელობა არა აქვს. ხშირია ზაუმი, როგორცაა „ებერ-ბებერ თირქეთა და სხვა. ხშირად ხელოვნურად შეკოწიწებულია სხვადასხვა ებიზოდებო, მაგრაჰ როგორც აღნიშნეთ აქ მთავარია ბგერათა განაწილება, რიტმი.

ჩვენში გავრცელებული ბებერი საბავშვო თამაშობა უძველესი წარმოშობისაა და შეუნახავს კვალი გუნდური მოქმედებისა. ბებერი საწესო და საკულტო ხასიათს ატარებდა და განვითარების ხანგრძლივი პროცესით ბავშვების გასართობად იქცა. ზოგი თამაშობა გარკვეული მიზნით ვარჯიშს წარმოადგენს; მაგალითად სეანური „ლიფ-შედანალ“ ბავშვს შვილდ-ისრისა და თოფის სროლაში წვრთნის. როგორც გადმომცენ „ლიფშედანალ“-ს დიდებიც ასრულებენ.

ზოგი თამაშობა მოიხზოვს განსაკუთრებულ სიმარდესა და აზროვნების სისწრაფეს; ასეთია გავრცელებული „აგანგალა-განგალა“, რომელიც დიდი ხალისით სრულდება. ბავშვებს ძალიან უყვართ „მალულობია“-ს თამაში. ეს ჩვენში გავრცელებულია სხვადასხვა სახით. სრულდება ყოველთვის ხალისით და დაკავშირებულია ხიტყვიერ შემოქმედებასთან. არჩეულ „დედა“-სა და დანარჩენ მოთამაშეებს შორის იმართება დიალოგი. ეს ახასიათებს თითქმის ყველა გუნდურ თამაშს, ამდენად ისინი შემცველი არიან დრამის ელემენტების. საბავშვო თამაშობის მკვლევარი გ. პოკროვსკი აღნიშნავს, რომ „მალულობია“ ძველი ბერძნული წარმოშობისაა და გავრცელებულია ყველა ერის ბავშვებში ეროვნული თავისებურების ჩვენებით¹. ზოგი გუნდური თამაშობა სრულდება სიმღერით, მაგალითად „დათვი და კაცი“-აკეთებენ წრეს გადაჯაჭულ ხელებით; „კაცი“ დგას წრეში: „დათვი“

¹ Г. А. Покровский. Детские игры. 2-е изд. 1892 г.

დასდევს დასაქვრად, რომელსაც მოთამაშენი აღიზიანებენ სიმღერით:
„დათვი ხეზე როგორ გავა,
ჩემო დათუნაო“.

ამ თამაშობის სახეა შეკრებილ მასალებიდან „კატა-თავგობია“
(რუს. кошка мышка). აქაც ხელჩაკიდებული ბავშვები მღერიან:
„აბა ბავშვებო, წრე შეეკრათ,
შიგ ჩავაბათ თავუნია,
თვალი გეკვიროთ, რომ წრეში,
არ შემოდერეს კატუნია“.

ცეკვითა და სიმღერით სრულდება „მზე-მყრულო“. ამის მსგავსია
ჩვენი შეკრებილ მასალებიდან სვანური „მურამელდი ქულა“. აქ
აღვილი აქვს დიალოგს, გაბრძოლებასა და შეჯიბრს.

ბავშვებს ძალიან უყვართ ხალხის საყვარელი გმირების ან ყაჩა-
ღების შიბაძვა. მას შემდეგ, რაც ნაჩვენები იყო ფილმი „ჩაპაევი“,
ხშირად მინახავს ბავშვები ბაძავენ ჩაპაევს. თამაშობენ არსებობა-
საც. ასეთ შემთხვევებში ისინი განიცდიან წიგნის ან თეატრის გავ-
ლენას. მომავალში ჩვენი ყურადღება ძველ ტრადიციულ თამაშობას-
თან ერთად ასეთი თამაშის აღწერისაკენაც იქნება მიმართული. ყველა
ეს მაჩვენებელია იმისა, რომ თამაშობის შექმნაში მთავარი ფაქტო-
რია სოციალური გარემო, რომლის შესწავლისა და გარკვევის გა-
რეშე, ძნელია მათი ახსნა. ძველ ტრადიციულ საბავშვო თამაშობებს,
ისე როგორც სხვა სახეებს საბავშვო ფოლკლორისას, ერთ დროს
გარკვეული სოციალური ფუნქცია ჰქონდათ, რომელიც დღეს დაკარ-
გული აქვს.

საბავშვო თამაშობანი ააშკარავენს ინტერესთა სხვადასხვაო-
ბას. ბიჭებს უყვართ მეტწილად ჯოხით ცხენობანას თამაში; ქალებს-
კი—დედოფალათი, რასაც განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრო-
ბიან, როგორც შვილს. თამაშობის ხასიათს განსაზღვრავს ასაკიც.
თამაშობათა მთელი რიგი სახიერდება თითებით, ხელებით ან სხე-
ულის რომელიმე ნაწილის მოძრაობით. ამის შესახებ ზევით გვექონდა
ლაპარაკი სალალაო და შესაქცევარის განხილვის დროს; ეს არის
ბავშვის განვითარების პირველი საფეხური. შემდეგ ასაკში იწყება
თამაშობანი სათამაშოებით. უკანასკნელი საფეხური ხასიათდება გუნ-
დური თამაშობით, როდესაც ბავშვებს განაწილებული აქვთ როლე-
ბი. ასეთებია: „ქორობია“, „ავანგალა-განგალა“, „მალულობია“,
„მელორობა“ და სხვები.

თამაშობანი ერთერთი მნიშვნელოვანი სახეა საბავშვო ფოლკლო-
რისა. ისინი მდიდარ მასალას იძლევიან ბავშვის ყოფიერებისა და

ფსიქიკის შესასწავლად; მათში საყოფიერო პირობებისა და მხარის-
თავისებურების შესასწავლ მასალასაც ეპოულობთ; ბევრი მათგანი
საინტერესოა ხალხური დრამის საწყისების გასარკვევად და შესას-
წავლადაც.

ზღაპრები. ზღაპარი ყოველთვის ითვლებოდა და ითვლება
საბავშვო ასაკის კუთვნილებად. არც ერთი სახე საბავშვო ფოლკ-
ლორისა არ უყვართ ბავშვებს ისე, როგორც ზღაპარი. ამის საუკე-
სო ილიუსტრაციაა პ. ა. რუბცოვას წიგნში მოთავსებული დიაგრამა¹.
ზღაპარი განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ბავშვზე; ღრმად
იპყრობს მის ფსიქიკას. ყველა ეს მაჩვენებელია იმისა, რომ ის ახ-
ლოა ბავშვის მოთხოვნილებებთან და ინტერესებთან. ეს არასოდეს
სადაო არა ყოფილა. თუ ზღაპრის წინააღმდეგ მიიწეო იყო ბრძო-
ლა, აქ საკითხი ისმოდა სხვა მხრივ: რას წარმოადგენს ის აღმზრდე-
ლობითი მნიშვნელობით. მიუხედავად იმ იერიშებისა, რომელიც მიჰ-
ქონდათ ზღაპრის აღმზრდელობითი მნიშვნელობის წინააღმდეგ, მას
დამცველებიც ყავდა და ყველა ეპოქის საბავშვო ლიტერატურა ზღაპ-
რით მდიდარი იყო. დღეს ეს საკითხი ჩვენში დაფას არ იწვევს.
საქმაოდ გარკვეულია მისი დანიშნულება და აღმზრდელობითი მნიშ-
ვნელობა.

ჩვენ ვეცდებით გავარკვიოთ, რომელი ზღაპარი შეიძლება ჩაი-
თვალოს საბავშვოდ და როგორია მისი ბუნება. ზღაპარი უფროსე-
ბის შემოქმედებაა და როგორც საბავშვო ფოლკლორის სხვა სახე,
საბავშვოდ ჩაითვლება ის, რომელიც უშუალოდ ბავშვის მოთხოვნი-
ლებებს და ინტერესებს აკმაყოფილებს. ჩვენში საბავშვო ზღაპრების
გამოყოფას ართულებს ის გარემოება, რომ გარდა საბავშვო წიგნე-
ბისა და ჟურნალებში ადრევე შეტანილი ზღაპრებისა, შეკრებილ მა-
სალებში არ არის ნაჩვენები, რომელ ზღაპარს უამბობენ ბავშვებს
და რომელი მოსწონთ და ითვისებენ. მუშაობა მომავალში, უშუალო
დაკვირვება ზღაპრის თხრობაზე და მის მიერ ბავშვში გამოწვეულ
რეაქციებზე, გააადვილებს საბავშვო ზღაპრის გამოყოფის საქმეს. ჩვენ
შევარჩიეთ ზღაპრები, რომელნიც გარკვეული ნიშნების გამო საბავ-
შვოდ მიგვაჩნია.

საბავშვო ასაკის კუთვნილებად ჩაითვლება ზღაპრები ცხოველ-
თა სამყაროდან. ცხოველთა სამყარო ბავშვების საყვარელი თემაა-
ლენინი დიდ მნიშვნელობას აძლევდა ასეთი შინაარსის ზღაპრებს:
„ბავშვებს თუ არ მივცემთ ზღაპრებს, ისე, რომ მამალი და კატა არ

¹ П. А. Рубцова. Что читают дети, Москва, 1928 г. გვ. 49.

მეტყველებდეს ადამიანის ენაზე. ისინი არ დაინტერესდებიანო¹. შეკრებილ მასალებში ასეთი ზღაპრები საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება. ზოგი მათგანი ადრევე იყო შეტანილი საბავშვო წიგნებსა და ჟურნალებში. ბევრი მათგანი გარდა იმისა, რომ აცნობს ბავშვს ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს, მომხიბვლელია თავისი არაჩვეულებრივი ფორმით. მაგალითად „რწყილი და კიანქველა“, რომელმაც 1923 წელს ვენაში საბავშვო წიგნთა შორის მიიღო პირველი ჯილდო. მარტივი, იუმორისტული შინაარსი მოცემულია არაჩვეულებრივი დინამიურობით. გამოყენებულია კუმულიაცია. კუმულიაცია განსაკუთრებული ხერხია საბავშვო ფოლკლორის, რომლის საშუალებით ბავშვი ეცნობა საგანთა და მოვლენათა წრეს; ეს გვხვდება ყველა ერის მასალებში. მაგალითად რუსული „Колобок“, „Петушок и курочка“ და სხვა.

გვაქვს არაკისებური ზღაპრები ნელას, მგლის, დათვის და სხვა ცხოველთა შესახებ. ცოცხალი სიუჟეტით და დამაჯერებელი ხერხებით აღწერილია მელას ცბიერება და მოხერხება, მგლის გაუმაძღრობა და დათვის უგუნურობა. ზღაპრები ცხოველთა და ფრინველთა სამყაროდან საესეა იუმორისტული ელემენტებით და ბავშვში იწვევს ჯანსაღ სიცილს. ასეთებია: „ჩიტი და მელა“, „ნადირთა ძმობა“, „სანათლაოდ მეძახიანო“, „მელა და მგელი“, „კურდღლის და მისი ბაჭიების თავგადასავალი“, „ვეფხვი კატის მოსარჩლე“ და სხვები.

ბავშვებს განსაკუთრებით უყვართ იუმორისტული ჟანრი. ამიტომ საბავშვო ასაკს მივაკუთვნებ ზღაპართა ის კატეგორიაც, სადაც მოცემულია მახვილი იუმორი, იუმორისტული პერსონაჟები და გასაოცარი თვალთმაქცობა. დაკვირვება ნებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ასეთი ზღაპრები აკმაყოფილებენ ბავშვის ემოციონალურ მოთხოვნილებებს. ბავშვებს უყვართ თვალთმაქცობა, მოხერხებული ტყუილი და სადაც ეს მოტივებია, ადვილად ითვისებენ მას. ზღაპარი „ნაცარქექია“, რომლის ვარიანტები დიდი რაოდენობით მოიპოვება ქართულ ზღაპრებში, განსაკუთრებით მოსწონთ ბავშვებს. მოსწონთ აგრეთვე „ნასია“, „ზარმაცია“, „ობოლი და ქოსა მატყუარა“ და სხვები. იუმორისტული კილოთია მოთხრობილი „ან ჰო, ან არა“. მოხერხებული ბიჭი ვირის წიხლებს თავს აღწევს ხმადაბალი ლილინით:

„ეექ ჩვენი ბატონი ცოლს შეირთავს,
ან შეირთავს, ან არა!“

¹ Ленин, т. XXIII, გვ. 325.

იმათ შვილი გაუჩნდებათ,
გაუჩნდებათ, ან არა!
იმას მკედლობას ასწავლის,
ან ასწავლის, ან არა!
მაშინ წავალთ მე და ჩემი ბატონი,
ან წამოვალთ, ან არა!
მოვალთ და ავაყენებთ ამ ვირს,
ავაყენებთ, ან არა!“

კომიკურ შთაბეჭდილებას ტოვებს ანეგდოტისებური ზღაპარი „ვირის მაძებარი“. კინტოები ატყუებენ გლეხს, რომელსაც პროკურორი მისი ვირი ჰგონია; მოაბამს თოქს და გაიძახის: „ეს ჩემი ვირი არის, აქ გამომეპარა და უნდა წავიყვანო“. გლეხს სცემენ და სახლიდან გააგდებენ. ასეთი ზღაპრები განსაკუთრებით უყვართ ბავშვებს; მახვილი იუმორი ბავშვს მხიარულ ემოციებს უწვითარებს და ზღაპრები სადაც ეს არის მოცემული, საბავშვოდ ჩაითვლება.

გვაქვს ზღაპართა მთელი რიგი, სადაც ფანტასტიკა გამართლებას პოულობს მის რეალურ ემოციონალურ საფუძველში; მის მიერ გამოწვეული გრძნობა მიმართულია სინამდვილისაკენ. ეს არასოდეს მძიმე ტვირთად არ დააწვება ბავშვის ცნობიერებას; ზღაპრები ასეთი ფანტასტიკით საბავშვოდ შეიძლება ჩავთვალოთ. ისინი მიშვილველი არიან დამაჯერებელი ხერხებით, გასაოცარი თვალთმაქცობითა და მოქმედების დინამიურობით. ამ მხრივ აღსანიშნავია ზღაპარი „თვალთმაქცი ოსტატი და შეგირდი“. ფანტასტიკას, რომელიც დინამიური ქცევადობითაა მოცემული, რეალური ემოციონალური საფუძველი აქვს. ბავშვი ეცნობა საგანთა და მოვლენათა მთელ რიგს და მათ ფუნქციონალობას: შეგირდი იქცევა ჯორად, მასწავლებელი მყიდველია; იქცევა თევზად და მიცურავს წყალში; მასწავლებელი გადაიქცევა ბაღედ და იჭერს; თევზი იქცევა თაგვად: ბაღე—კატად; თაგვი—ვაშლად; კატა—დანად; ვაშლი—ფეტვად; დანა—წიწილებიან კრუნხად; ფეტვის მარცვალი—ნემსად; კრუნხი—ძაფად და გაეყრება ნემსში; ნემსი ჩახტება ცეცხლში და სწვავს ძაფს. ამგვარად შეგირდი გამარჯვებული გამოდის.

საბავშვო ასაკის კუთვნილებაა ზღაპრები: „ცერა“, „ღოვლათი დავეკარგე“, „ღარიბი გლეხი და ღვეები“, და მრ. სხვა. ასეთი ზღაპრები ბუნებრივად გადადის ბავშვებში ზემოდ აღნიშნული ნიშნების გამო. ბავშვების საყვარელი ზღაპარია „წიქარა“. ეს ზღაპარი როგორც ხალხური შემოქმედების მხატვრული ნიმუში შეტანილი იყო სახელმძღვანელო წიგნშიც.

საბავშვოა ზღაპრები დიდაქტიური მოტივით, სადაც დიდაქტიკა არ არის მშრალი და შინაარსი მოცემულია დაბავშვებელი ხერხებით. ესენი ადვილად იპყრობენ ბავშვის ფსიქიკას. ცნობილია, რომ ზღაპარი თამაშობდა მნიშვნელოვან როლს აღზრდის საქმეში. ზღაპრები დიდაქტიური მოტივით უშუალო კავშირშია ხალხურ პედაგოგიკასთან. ასეთებია: „ცრუ და მართალი კაცი“, „ქკუა და დოვლათი“ და სხვები.

ჩვენ გვერდი აუარეთ საბავშვო ფოლკლორში შეტანილ ზღაპართა კლასიფიკაციას. საერთოდ ზღაპრის მკვლევარების მიერ ზღაპართა საბოლოო კლასიფიკაცია არ არის დადგენილი. ამის მიზეზი ზღაპრის მოტივთა მრავალფეროვნებაა; ხშირად ერთი მოტივები მეორეში გადადის. მასალების დალაგების დროს ჩვენ მაინც ვცადეთ ერთგვარი თანამიმდევრობის დაცვა, ძირითადი მოტივების მიხედვით.

ზღაპრის სიუჟეტები ლექსადაც გვხვდება, რომელთაც აქვთ ტენდენცია საბავშვოდ გახდომისა. ასეთია „ღვინის საყიდლად წაყედი“, ტექსტი მოგეყავს მთლიანად:

ღვინის საყიდლათ წაყედი,

ღმერთო, მიმართე ხელია.

ტიკქორა დიდი შევკერე,

შვიდი კამეჩი მთელია.

ორასი კოკა ჩავასხი,

ტიკქორა ისევ ხმელია.

ორასი კიდევ დავასხი,

ტიკ მაშინ მოვჰკარ ყელია.

შევჰკარ და წამოვიკიდე,

აღმართი ასასვლელია.

წინ კაცი შემომეყარა:

—წყურვალი კაცი ძნელია,

ემ გვერდას შეგიროინებ,

თუ ჩამისველებ ყელია.

—ყელ როგორ არ ჩავისველებ,

ოთხასი კოკა მეტია.

ტიკქორას ტუჩი დაადო,

ტიკქორა დარჩა ხმელია.

კაცი ჩექმაში ჩაისვა,

მაგრამ მოიკრა ყელია,

მივიდა და ცოლს შეჰკეცხის:

„საქმე ვქენ საკურველია“.

ცოლმა რო ჩექმა გაჰხადა,
 კაცი გაგორდა მთელია.
 — ეგ რა საკურველია,
 ზოგი დედაჩემი ნახე,
 ის არის საკურველია.
 — წავალ, იმასაც ვნახამ,
 სადაც რომ დედაბერია...
 მუშაში ჯერი მიჰქონდა,
 შვიდი კამეჩი მთელია.
 თორმეტი კოდი ნამცხვარა;
 ტომრები დატენილია.
 პური ვთხოვე და არ მამცა,
 შორ გამიშვირა ხელია.
 გამოურბინე, მოვტაცე
 ერთი შეწული შველია.
 ერთი წიფელა მოგლიჯა,
 შვიდი საქენი მეტია.
 მოგლიჯა და გამამიდგა,
 „ნეტავი დაგეწეოდე,
 ...წავარტყა წნელია“.

ბავშვებს უყვართ პაროდია ზღაპარზე, სადაც დასაწყისი ზღაპ-
 რისაა, მაგრამ შინაარსი აღარ ვითარდება და დაუსრულებლად
 მეორდება ერთი და იგივე. მისი მიზანია, ზღაპრით დაინტერესებული
 პირის მოტყუება. ეს გავრცელებულია ყველა ერის ფოლკლორში.
 ჩვენში ამის ნიმუშია: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი დედაბერი, ბე-
 რიკაცი და ძაღლი. დედაბერს უყვარდა ბერიკაცი; ბერიკაცს—ძაღლი;
 ძაღლს—დედაბერი; დედაბერს უყვარდა ძაღლი; ძაღლს—ბერიკაცი;
 ბერიკაცს—დედაბერი“ და ა. შ.

ბავშვებში გავრცელებულია ზღაპრის შესავალი დამოუკიდებე-
 ლი სახით. მაგალითად ცოცხალ ტყუილში შეტანილი „ზღაპარ იყო“. მისი მიზანია მსმენელის შეყვანა ზღაპრის სამყაროში, მისი დაინტე-
 რესება ზღაპრით.

გამოცანები. გამოცანების ფუნქცია ისტორიულად დიდია, რომლის მთლიანი შესწავლა ჩვენი კვლევის სფეროში არ შედის; ჩვენ მას ვიხილავთ, როგორც საბავშვო ფოლკლორის ერთერთ სახეს. დღეს ისინი მეტწილად ბავშვების კუთვნილებას წარმოადგენენ და სხვა ფუნქცია თითქმის გამოცლილი აქვს. ბავშვთა შორის გავრცელებული გამოცანების უმრავლესობა დიდების შემოქმედებაა. მათ

ახსიათებთ საგნობრივობა, კონკრეტულობა და ცხოვრების დეტალებისადმი მიმართება; ის ბავშვს უნვითარებს აზროვნებას, გამოცდილებას და დაკვირვებას. ბავშვი ეცნობა, რა საიდან არის, რა რისაგან კეთდება, რა რისთვის გამოდგება. აქ მოცემულია საგნის გენეზისი, ფუნქცია და სხვა. გამოცანების დიდ როლს ბავშვის გონებრივ განვითარებაში ადრევე გრძნობდნენ და საბავშვო წიგნებში და პერიოდიკის ფურცლებზე მას დათმობილი ჰქონდა შესათერისი ადგილი, როგორც საჭირო და აუცილებელ ჟანრს. შეკრებილ მასალებში მრავლად მოგვეპოვება თვით ბავშვების მიერ ჩაწერილი გამოცანები, ბევრი მათგანი მიუხედავად ამოცნობის სიძნელისა გავრცელებულია მათ შორის. ალიტერაცია, ასონანსი, შედარებანი და სხვა მხატვრული ხერხები ხდის მათ ბავშვებისათვის მიმზიდველსა და ადვილად შესათვისებელს.

გამოცანების თემა მრავალფეროვანია. გამოცანების შექმნაში მთავარია სოციალური გარემო. ბავშვთა შორის გავრცელებულია ახალი წარმოშობის გამოცანები მაგალ. გამოცანა ლენინზე:

„მუშისთვის თავდადებულნი
მშრომელთ ერთგული ფოლადნი,
ის იყო დიდი ოქტომბრის
რევოლუციის ბელადნი“.

არის გამოცანა ოქტომბერზე:

„პროლეტარმა მაგარ მკლავით
ძალა ხელში რომ აიღო,
მტარვალებს რომ მეხი დასცა,
ვინ მიხვდება, რა თვე იყო?“.

ბავშვთა შორის გავრცელებულია გამოცანები ადამიანის სხეულზე და მის ნაწილებზე. მათ უყვართ გამოცანები, სადაც ამომცნობს ეპიქურებიან დაცინვით:

„...ვინც ამას ვერ გამოიცნობს,
თხაც არის და ბენტერაცა“.

მოხდენილი შედარებანი და საგნის თვისების დასახელება აადვილებს გამოცანით გათვალისწინებულ საგნის ამოცნობას. მაგალითად: გამოცანა წისქვილის შესახებ:

„თოფი ხისა,
ტყვია წყლისა,
ხეს ეცა და
ქვა გაიქცა“.

ასეთივეა გამოცანა რწყილის, მამლის, კვერცხის შესახებ და მრ. სხვა. გამოცანები ყოველმხრივ მდიდარ მასალას იძლევიან და ამიტომაც პედაგოგიური აზროვნება ყოველთვის მისკენ იყო მიმართული. იქ მოკლედ, რამოდენიმე სიტყვით მოცემულია ბუნების მოვლენები და მისი კანონები:

„აბლი, ბაბლი,
ოქროს ტახტი,
მზით ავილე,
მთვარით დავდგი“.

ეს ჟანრი გარეგნულად წაგავს გათვლას. მათში ხშირია ალიტერაციისა და ასონანსის შემთხვევები, მაგალითად:

„სირი, სირი ქათამო,
სველი ფრთები გასხია“ და სხვა.

კერძო შემთხვევებთან დაკავშირებით ბავშვები ხშირად ქმნიან გამოცანებს. მათი შეკრება და შესწავლა მოგვეცემა ბავშვთა შემოქმედებითი უნარიანობისა და ენის შესასწავლ მდიდარ მასალას.

ბავშვებს უყვართ აგრეთვე ხელხური წარმოშობის ამოცანები. ეს გართობის ერთ-ერთი საშუალებაა და მოითხოვს გონების ვარჯიშს. გულუბრყვილო ამომცნობელი მას მათემატიკური ხერხებით წყვეტს და ვარდება სასაცილო მდგომარეობაში. მაგალითად ამოცანას: „ხეზე იჯდა თორმეტი ჩიტი, თოფი ესროლეს, ერთი მოკვდა, რამდენი დარჩა?“ ხშირად ბავშვი წყვეტს ასე: თერთმეტს გამოაკლებს ერთს და ამბობს, რომ ხეზე დარჩა ათი ჩიტი.

რომ ეს ჟანრი ბავშვებს განსაკუთრებით უყვართ და მოსწონთ, ამას გვიმტკიცებს ყოველდღიური დაკვირვება.

ენის გასატეხი. საბავშვო ფოლკლორის ერთ-ერთ სახეს ენის გასატეხი წარმოადგენს. მათი დამახასიათებელი თვისება გამოთქმის სიძნელეა. ბავშვები ეჯიბრებიან ერთი მეორეს ენის გასატეხის რამოდენიმეჯერ (მეტწილად სამჯერ) სწრაფად განმეორებაში. ამით ეჩვევიან სიტყვების სწრაფად და სისწორით წარმოთქმას, რისთვისაც ეძახიან მას ენის გასატეხს. ამ დარგს პედაგოგიკა ყოველთვის აქცევდა ყურადღებას, როგორც სიტყვების სწრაფად და სწორად გამოთქმის შესასწავლ საშუალებას. საბავშვო წიგნების ფურცლებზე ყოველთვის უთპობდნენ მას შესაფერის ადგილს.

ბავშვები ხშირად ამბობენ ისეთ ენის გასატეხს, რომლის სწრაფად წარმოთქმის დროს, მოისმის თქმულის მსგავსი სასაცილო სიტყვა.

საბავშვო შელოცვები. საბავშვო ფოლკლორის დამოუკიდებელ სახეს შეადგენს აგრეთვე საბავშვო შელოცვანი. აქ საქმე გვაქვს უძველეს დროიდან მომდინარე მავიურ პოეზიასთან, რომელსაც დღეს გამოცლილი აქვს პირვანდელი სოციალური ფუნქცია. აქაიქ მაინც ვხვდებით ზოგიერთ ნიმუშებს. როდესაც ბავშვებს თვალში ჩაუვარდებათ რაიმე, სამი თითის თვალში სამჯერ ამოხმით, სამჯერ გაიმეორებენ:

„ივანესას მივდიოდი,
თვალში რალაც ჩამივარდა,
ამოვისვი სამი თითი,
მაშინათვე ამოვარდა“.

ყველა ერის ბავშვებში და ჩვენშიც გავრცელებულია კბილის ამოღებასთან დაკავშირებული მიმართვა თავისადმი:

„თავო, ჩემი კბილი შენ,
შენი კბილი მე“,

ამ სიტყვებით ამოღებულ კბილს თავზე სამჯერ შემოივლებენ და ისვრიან ისეთ ალაგას, სადაც თავი ბუდობს. ასეთი ხასიათის ლექსები თითქმის აღარ ცოცხლობენ თანამედროვე ბავშვებში.

ქართული საბავშვო ფოლკლორის საფუძვლიანი შესწავლა, როგორც ეს ბევრჯერ აღენიშნეთ, მომავლის საქმეა. საქიროა უშუალო ხანგრძლივი, სისტემატიური დაკვირვება ბავშვებზე; საქიროა მათი რეპერტუარის ზედმიწევნითი შესწავლა სოციალურ გარემოსთან დაკავშირებით. ტრადიციული ტექსტების გვერდით უნდა დავაგროვოთ იმპროვიზაციები, ბავშვის შემოქმედებითი უნარიანობისა, მოთხოვნილებებისა და ინტერესების შესასწავლად. მაგრამ ყველაზე მეტად საქიროა საგრძნობი რიცხვით დავაგროვოთ ბავშვებს შორის გავრცელებული თანამედროვე ცხოვრების ფონზე შექმნილი ფოლკლორული მასალები. აუცილებელია შევისწავლოთ თანამედროვე ქალაქისა და სოფლის ბავშვთა სიმღერები, ახალი ტემპით, ახალი გაბგერებით, ახალი სიუჟეტითა და მორალით. უნდა დავაგროვოთ და შევისწავლოთ მოწაფეთა ფოლკლორი. ამით არ უარვყოფთ ძველი ცხოვრების ფონზე შექმნილ მასალებს. კლასობრივ ბრძოლის, საზოგადოებრივ ურთიერთობის და უშუალოდ ხალხის წიაღში განმტკიცებულ სულისკვეთებისა და მისწრაფების გამომხატველი ხალხური შემოქმედების ნიმუშებს შესაფერისად შევარჩევთ და გამოვი-

ყენებთ თანამედროვე მისწრაფებისთვის. ყველა ამას შესაფერისად
მივაწვდით თანამედროვე ბავშვს, რომ განუვითარდეს ჯანსაღი პერ-
სპექტივები, სალი ოცნება და ფანტაზია. გრძელი მანძილის გამოფ-
ლით გამტკიცებული ძეგლები დამკვიდრებული საბავშვო რეპერ-
ტუარში ის ქვაკუთხედია, რომელზედაც ვაშენებთ ახალს.

აკვნის სიმღერები

1

ი ა ვ ნ ა ნ ა

იავნანა, ვარდო ნანა,
იავნანინაო!
დაიძინე გენაცუალე.
შოთას აზრისაო.

იავნანა, ვარდო ნანა,
იავნანინაო!
შოთა იყო ბრძენი კაცი,
დიდი აზრისაო!..

იავნანა, ვარდო ნანა,
იავნანინაო!
მან დასწერა დიდი წიგნი
დიდი აზრისაო!

იავნანა, ვარდო ნანა,
იავნანინაო!
შიგ სიტყვები ჩააქსოვა,
ოქროს წნელისაო.

იავნანა, ვარდო ნანა,
იავნანინაო!
დაიძინე ტარიელო,
გმირის ჯანისაო.

იაენანა, ვარდო ნანა,
იაენანიანაო!
დაიძინე, გენაცვალე,
დარეჯნის თვალისაო.

იაენანა, ვარდო ნანა,
იაენანიანაო!
დარეჯანი ქალი იყო,
მზეზე ლანაზიო.

2

იას გიკრეთ, ვარდს გიკონამ, ნანა, ნანა, ნანა ბატონო!
სასთუმალ ქვეშ ამოგიდებ, ნანა, ნანა, ნანა გეთაყვა!
შენ თუ ტკბილ ძილს დამისრულებ, ნანა, ნანა, ნანა ბატონო!
მე ტკბილ ნანას მოგახსენებ, ნანა, ნანა, ნანა გეთაყვა!
ჩონგურო, ჩემო ჩონგურო, ნანა, ნანა, ნანა ბატონო!
გათლილო წმინდის ხისაო, ნანა, ნანა, ნანა გეთაყვა!
ბაბუა ჩემის ხნისაო, ნანა, ნანა, ნანა ბატონო!
ეს აკვანი ლეზანოზი, ნანა, ნანა, ნანა გეთაყვა!
შიგა მწოლი ანგელოზი, ნანა, ნანა, ნანა ბატონო!
ეგ აკვანი ხარატური, ნანა, ნანა, ნანა გეთაყვა!
შიგა მწოლი ჩახატული, ნანა, ნანა, ნანა ბატონო!
ეგ აკვანი ბეოლისაო, ნანა, ნანა, ნანა გეთაყვა!
შიგა მწოლი ბროლისაო, ნანა, ნანა, ნანა ბატონო..”

3

ი ა ვ ნ ა ნ ა

იაგუნდის მარანშია
ღვინო დგა და ლალი სქვიცსო,
შიგ ალვის ხე ამოსულა
შავარდენი ფრთასა ჰშლისო.
ნეტავი თქვენ, ბულბულეზო,
მალლა სხედხარ, ლულუნებთო!

ხმესურული ნანა

-ეე, ნანა“ ვეტყოდითო,
თვალთა ძილი ესმოდისო.
მტრედები ულულუნებდის,
ანგელოზებ ასწევდესო.

5

ნანი ნანა ნანინა,
ტკბილი ძილით დაიძინე,
გულ ნათელი დაიფინე,
ეს აკვანი ცუდი ხისა
შენ ხარ მასუკლავ ცისკრისა.
თვალის სინათლე დედისა,
მერმე სუ ამ ქვეყნისა.
ენა მამე მგალობლისა,
რომ ნანა გითხრა ქებისა.

6

ნანი-ნანი ყმაწვილო!
თეთრის ჰურის ნაწილო!
მამის ოქროს გუთანო,
დედის ჩიქილ-მანდილო!
ბიძის ქამარ-ხანჯალო,
ძალოს წითელო ვაშლო!
სუფრას საგორებელო
ქვეყნის მამგონებელო.

7

ბალჩაშია გადვიხედე,
ბროწეული ყვაეილობდა,
იმ ბროწეულის ყვაეილსა
ნარგიზი შემოხვეოდა.
ანგელოზების წყალობა
ამ ჩვენ ღიზას ეხვეოდა.

ეე ნაო ძილასაო,
 სამკალ გაჩენილასაო.
 დედა ძუძუს მოუტანდა,
 ზის-ცვრით გატენილასაო.
 ეე ნაო ძილასაო,
 ეე ნაო ქალასაო.

დაჲ-დაჲ შულო, დაჲ!
 კოხტა ქანი, დაჲ!
 ჩემო გულო, დაჲ!
 დაჲზინ, შულო, დაჲ!
 დაჲ ქენ, თოლო, დაჲ!
 შენამ შემგეელებ. დაჲ,
 ტკბილად დაჲზინ, დაჲ,
 ქანიჰ ქირიმენ, დაჲ,
 ვაშკაც გაკდი, დაჲ,
 დღეშმან ბევრ გყავ, დაჲ,
 საქმეჲ ბოლ გოქ, დაჲ,
 შენ რუმ გაიზდებ, დაჲ,
 ხანქალს მოგცემ; დაჲ,
 მამალ მოუარ, დაჲ,
 შემოამაგრ, დაჲ
 დაჲ, დაჲ, დაჲ, დაჲ, დაჲ.

სალალაო და შესაქცევარი

10

აჩუ, აჩუ ცხენო!..

აჩუ, აჩუ ცხენო,
საით გაგაქენო,
ალაზანი დიღია
შიგ ბებერი ჰკიღია.
ფაფა კამა, არ მაქამა,
ჩემი ცოდო ჰკიღია.

11

აჩუ, აჩუ ცხენო!..

აჩუ, აჩუ ცხენო,
გელის დასაქმელო,
უნაგირი ვერ ვიშონე,
რეით გაგაქენო.

12

აჩუ, აჩუ ცხენო!.

აჩუ, აჩუ ცხენო,
საით გაგაქენო,
ჯერ ქერი არ გიჭამია,
შიგ კულ მოსაქრელო.

ალი პაპალი პალები

ალი პაპალი პალები
მაყვალს გიგავს თვალეზი,
თვალი მაყვალს დაუდგეს,
მე შენ გენაცვალეზი.

ლოლია, ლოლია

ლოლია, ლოლია,
ხბო წითელა (ხელის გულზე უსვამენ თითს)
ამან დაკლა (დაუქეცავენ ნეკს),
ამან გაატყავა (არათითს),
ამან დასკრა (შუა თითს),
ამან მოხარშა (საჩვენებელ თითს),
ამან ჩაყლაპა (ცერს)!

მოძვრებოდა, მოძვრებოდა, მოძვრებოდა, ლუტუ, ლუტუ!

დან-დანი ფვილო

დან-დანი შვილო, დან-დანი,
დედას ოქროს შანდამი.
იცი, თუ შენ ვის მიგცემ,
ქალაქის ბატონის შვილს მიგცემ;
ერთ ლიტრიან ჯაქვს მოგცემ;
ჩარექიან გულისაბამს მოგცემ;
ჩარექიან ქამარს მოგცემ;
ვერაზე წყლის წისქვილს მოგცემ;
ორთაქალაში ბალს მოგცემ;
კრწანისში ვენახს მოგცემ;
მალანის (ციხის) აბანოს ჯიბის სახარჯოთ მოგცემ;
თამროს მოახლეთ მოგცემ;
შაქროსაც ბიჭათ მოგცემ;
დან-დანი კეკელოჯან, შენ ჯანი კეკელოჯან!

დ ა ნ - დ ა ნ ი

დან-დანნი, დან შვილო,
 ატმისა გულგაქრილო;
 გოგმანით მოფრენილო;
 დედის კაბისა ღილო;
 მამიდის მწვანე ბოსტანო;
 მამის ქამარ-ხანჯალო;
 პაპის ჩაყრილო ვენახო,
 დაბერებული მენახო.

ს ი ა ტ ა ტ ა

სია ტატა
 ფეხის აღგმა,
 არ დაეცე,
 კაქას მოქცემ.

ჯან-ჯან ჯანშია,
 პურს ჩაგიყრი ჯაშშია,
 არ გაგზაენი ჯარშია,
 ხანჯალს მოგცემ ხელშია.

ს ა ვ ა რ ც ხ ე ლ ო ნ უ მ ა ტ კ ე ნ

სავარცხელო ნუ მატკენ,
 თორემ კიკებს დაგამტვრევ.

ნ ი პ ო ლ , ნ ი პ ო ლ , ნ ი პ ო ლ ნ ი ა

ნიპოლ, ნიპოლ, ნიპონია,
 თოთო კვერცხი გიჭამია,
 პირზე გცხია, გიხარია,
 ხა, ხა, ხა, ხა, ხა.

შენამც გენაცვალეზა

შენამც გენაცვალეზა,
მოკლე ქალი ანაიო,
გალმა ელინარიო,
მისი და მარიამიო,
სკვანჯლოს სოლოდინი,
უდეს გოგოლინი,
სტამბოლს ეფრკაშვილი..

III

ლექსები და სიმღერები
თანამედროვე ლექსები და სიმღერები

22.

ცაზე მთვარე ამოცურდა,
ნიშანია დარისა,
კოლექტივმა გაიმარჯვა,
ვენაცვალე სტალინსა.

23.

ჩვენს დროშია ახატია
ჩაქუჩი და ურო,
საბჭოთა ხელისუფლებავ
უნდა გემსახურო.

24.

ჩვენს დროშია ახატია
ჩაქუჩი და ნამგალი,
საბჭოთა ხელისუფლებავ
მუდამ იყავ მაგარი.

25.

სადაც კიოდა
მგელი და ტურა,
კოლექტივმა გააშენა
ჩაის კულტურა.

26.

დედავ რას ხედავს
ჩემი თვალები,
კოლექტივში ჩაწერილან
ჩვენი ქალები.

27.

კოლექტივო, მე შენს მომგონს
ვენაცვალე ყელშია,
გლუხკაცობა, ღარიბობა,
შენ გამართე წელშია.

23

მალლიდან მოვდიოდი,
ფეხი დავკარ სინაზე,
კოლექტივი არ იშლება,
კულაკების ჯინაზე.

29

დედავ გამიშვი,
ზემო ფარცხმაში,
კოლექტივს დავეხმარები
ჩაის დარგვაში.

30.

ქალაქიდან მომიტანა
მამამ ბოტები,
კოლექტივში ვერ შევიდე,
ჯაფრით მოგვედები.

31.

მომკვდარა ჩვენი ლენინი,
ალარა გეყაეის ბრძენია;
დამგლოვიარდენ ნშრომელნი,
გულს დაიკრიფეს ხელთა.
ლენინი ადგილას არის
ეხლა სტალინი ჩვენია,
შეხარის ქარხნის მუშები...
შენი ჭირიმე, შენია!
შორი-შორ ერიდებთან:
„არ მივაკაროთ მტვერია“.
ხელში ფანქარი უქერავ,
მოულერებაე ყელია...
აღარცად არი ძველი დრო
გზირი, ხატი და ლედელია.
ვაჟაის გვარისა არის,
ემავ ლექსისა მთქმელია;
ბაღლია პატარუნაი,ე
არც ეწამება წვერია,
ლექსს იტყვის ჩვენსა მამაზე,
კალამი დაუქერია.

— * —

ლექსები ბატონ-ყმობაზე

32.

მუცელი აზნაურისა
აღლი და ნახევარია,
საწყალი გლეხიკაცისა
არც იმის ნახევარია.

33.

დასაქცევი მებაჭონე
ჩამოივლის ვარიანსა,

წიოკობას აუყენებს
ქათამსა და ვარიასა.

34.

ჰოდელია, ჰოდელია—
ეს როგორი სოფელია,
ნახევარი ქვრივი არის
ნახევარი ობოლია!
თოვლს დადებს, აღარ აიღებს,
ბატონის ყმობა ძნელია.

35.

ამდენმა აღმართ-დაღმართმა,
წელი მომწყვიტა გუდამა!
პური ბატონმა წამართვა
„შენ ჰადი ჰამე მუდამა!“

36.

აზნაურს და თავადსაო
შორით მივსცემ სალამსაო,
სულ ოხრად დაფუნარჩუნებ
საწერელს და კალამსაო.

37.

აზნაური ჰადს არა ჰამს;
თუ მოშივდა, ჰირსაც მანჰამს.

38.

ორი შაური არა მაქვს,
რომ ვაწირვინო ღვდელსაო!
აზნაური და თავადი
სულ გადაჯყარე კლდესაო,
იმათი ცოლი და შვილი
სულ დავაჰამე მგელსაო,
იმათი სახსენებელი
ამოიწყვიტოს ღღესაო!

37.

ბატონ-ყმობა გადავარდა,
გლებო კაცო, გაიხარე,
აზნაურო და თავადო,
თავში კოხი-ქვა იხალე!

40.

მოჯამაგირის ბელი

ეს მამაძალი კუკია,
ხარი გამოდის წუწკია,
მოჯამაგირის ცოდვითა
ყანები აუტრუსია.
მოჯამაგირის ულუფა
ერთი დამწვარი კუტია,
იმასაც არ აღირსებენ,
თუ არ გაშალა ჩხუბია.

41.

მოჯამაგირე

სხვისა მოჯამაგირობას
ადვილად იტყვის ენაო,
დილიდან სალამოდისინ
არ მქონდა მოსვენებაო.
დილით ძროხაში გამგზავნეს,
სალამოს ღორისკენაო,
თან მწვერები გამატანეს,
იქ ინადირე შენაო.
თუ კურდღელი დაიჭირო
ხორცი ჩვენ, ტყავი შენაო,
და თუ მელა დაიჭირო,
ტყავი ჩვენ, ხორცი შენაო!

42.

ობოლი

ობოლი დავრჩი დედასა,
გამოვეყე ქარავენასაო.

ურმის ბოლოზე უჯექი,
ვასხამდი ქალამანსაო,
წალმა-უკულმა უყრიდი,
უკვირდა ქარავანსაო.

მღვდლების შესახებ:

43.

ხაჩაფი ერთი ღვდელია

ქერემში ერთი ღვდელია,
ციკან მიუგავ წვერია,
ის ხომ იმას არ კითხულობს,
რაც რომ ქალაღში სწერია.
დარი და გოლვა დაუდგეს,
გათხელებოდეს წვერია,
ღმერთო, შენ ამოუწყვიტე
მინდორში ლურჯი ცხენია.

44.

კახეთი ერთი ღვდელია

კახეთში ერთი ღვდელია,
ჩებიანს მიუგავ წვერია,
წირვა და ლოცვა არ იცის,
რომელ კუთხეში სწერია.

45.

ხუცესმა უთხრა ხუცესსა:
— ალაპი არის უცხერსა.
— ქე არ მეშორებაო,
მაგრამ მეჭორებაო.

46.

მეწულოვი ჩვენი ღვდელი
ტანში არის ცოტა სქელი,
სანამ ტაბლას აკურთხებდა,
მანამ მოისვარა წვერი.

ზემო-ქართლელი ხოცესი
გადაიპარა ყურძენში;
გამაძლარიყო ყურძნითა,
ატამს იყრიდა უბეში.

48.

დიაკვანსა და ხუცესსა
გველი ჩაუძვრეს მუცელსა!

49.

უფლისციხურ ტერტერასა
მოეპარა ნამგალიო:
—თუ რომ გაიგებს ვინმეო,
სიცილი და გარგარიო,
თუ არაეინ გაიგებსო,
არის კარგი ნამგალიო!

ზრომის სიმღერები

50.

პ ე რ ი ბ ი ზ ო

პერი ბიჰო, პერიო,
პერი, პერი, პერიო,
სხვა საქმენი შევაჩეროთ,
რთველს მოგვიდოთ ხელიო.
პერი ბიჰო, პერიო,
პერი, პერი, პერიო,
ავლესოთ, ავაქანქალოთ
ნამგალი და ცელიო.
პერი ბიჰო, პერიო,
პერი, პერი, პერიო,
ბრიგადირო გენაცვალე,
შენ წინ გამომყევიო.

ჰერი ბიკო, ჰერიო,
ჰერი, ჰერი, ჰერიო,
საქმე ყველამ გავიჩინოთ,
გავათავოთ რთველიო.

51.

შენი ზირიმი გუთანო

შენი ჰირიმი გუთანო,
ჯამბარას ბანი უთხარო,
ჯამბარას ბანი რად უნდა,
წინა მებრეებს უთხარო.
ეს საკეთელმა წეიტყო,
ქებით რათ ამბობ მაგასა,
შენ ჩემზედ მეტი რა გხედება,
მეტის-მეტი წინ ძლოლითა
წინა კბილი არა მრჩება.
ეს ჯამბარამ რომ გაიგო,
ჩემზედ მეტი შენ რა გხედება,
ავდარია მე დავლპები,
მზეა, ცეცხლად მომედება.
ეს რომ ხარებმა გაიგეს,
ჩვენზედ მეტი თქვენ რა გხედებათ.
ზედ დავვისშენ მებრეებსა
თუ არ გასწევ... არ იქნება!...
გადმოგვცხებენ სახრეებსა,
ცაში აგვასხმიენ ტვინსა,
დაუწოქებ და შევბლაელი
ჩემს გამჩენსა უფალ ღმერთსა.
აქედან მე რა გიშველო,
მეც მაგინებენ ცაშია,
როს მოვლენ ღვთის სამართალში,
ჩავადებ ჯოჯოხეთშია.

52.

გუთნის ლეძი

სახნისმა სთქვა: „ქვესკნელს დავალ,
მზისა შუქი მენატრება.

საკვეთელმა გაიგონა:
ჩემზედ მეტი შენ რა გხედება?
მეტის-მეტის წინძოლოთა
წინა კბილი არა მრჩება*.

ეს ჯამბარამ გაიგონა:
„ჩემზედ მეტი თქვენ რა გხედება?
აედარია, მე დავლპები,
დარი ცეცხლად მომედება*.

ეს ხარებმა გაიგონეს:
„ჩვენზედ მეტი თქვენ რა გხედება?
დაგვადებენ შიმიე ულელს,
ზედაც მებრე დაგვაჯდება;
ჩაგვიყრიან შინდის ტაბიკს,
არ გასწიო, არ იქნება.
ის უსჯულო გუთნის დედა
ქვეშ-ქვეშ გამოიყურება;
იმას არ ეტყვის მებრესა,
უდიერობა არ იქნება.

53.

გუთანი

შენი კირიმი გუთანო,
გათლილო წმინდის ხისაო,
შენ აქმევ პურსა ცოცხალსა,
დამმარხველი ხარ მკვდრისაო.

54.

სიმიინდის რჩევა

სიმიინდს ვარჩევთ კალოზედა,
ბიკო, უნდა დაგვეხმარო!
მაგიერად შენი იყოს,
რაც კი ნახო ნედლი ტარო.
თან სიმღერა შემოვძახოთ
გუგუნით და გრიალითა,
გავაცალოთ ტაროს ჩალა
ფურჩქნითა და შრიალითა.

ბ უ ნ ე ბ ა

55.

მზე და მთვარე

ნათელმა მთვარემა ბრძანა,
ბევრით მე ვჯობივარ მზესა;
დაჯდა, დასწერა წიგნები,
ზენა ქარი მიათრევსა.
მზეს რომ კაცი მიუვიდა,
მზე ძალიან გაჯავრდესა:
მე და ვარ და ის ძმა არის.
რად ვძულდებით ერთმანეთსა;
ავი ამინდი რომ დადგეს,
ის ხომ ვერ გააშრობს გზებსა;
ცივანა კაცს ვერ გაათბობს,
თუ არ დაანთებდა ცეცხლსა.
თუ ეს სიტყვა ტყუილია,
ჰკითხვევით ლამის მეხრესა...
ლამის მეხრე დაიბარეს,
ულვაშებზედ ისვამს ხელსა...
„დაჯექ, ბიჭო, სწორეთა სთქვი,
თორემ მიგცემთ სატანჯველსა“.
დასვეს და ალაპარაკეს,
მეუფე ყურს დაუგდებსა:
„მე უმზეოდა ვერ გავძლებ,
ლამით კი გავტეხავ ბნელსა;
დღისით შევზევრავ ბალახებს,
ლამით მივრეკ საქონელსა“.
ერთი მაზარა უბოძეს,
ლამით მავალია ესა.
ღვინოზედ კაცი გაგზავნეს,
ორივე შეარიგესა.
ცისკარი მოჩანჩალებდა,
თავისს ტყავსა მოათრევსა;
გათენებისას ამოდის,
პანლური ჰკრეს, გააგდესა.
შუქურ-ვარსკვლავი მობრძანდა,

ის ძალიან დაათვრესა;
ხალათი გამოუცვალეს,
კაი ჩოხა ჩააცვესა.

56.

თოვს, თოვს

თოვს, თოვს, ხოშკაკლავს,
დედაბერი ხუოს დაკლავს,
კაცი მუაედეს გამგზავნი,
თავ-ფეხს გამომიგზავნის.

57.

მზეო, მზეო გამოდი,
ჩენს ერდოში ჩამოდი,
მიანათე ბაკებსა
ცხვარს დაგიკლავ მაკესა.

58.

მზეო ამოდი, ამოდი

მზეო ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა,
სიცივეს კაცი მოუკლავს,
საწყალი აგერ გორავსა.

59.

წვიმა, წვიმა დაუშვი,
კოკობანში ჩაუშვი,
კოკობანი ბევრია,
ლობიოს გაუბერია.

60.

თეგვირვალი დადგაო

თეგვირვალი დადგაო,
ხევში წყალი ჩაღგაო,
ჩიტმა ჩიორამაო
სამი კვერცხი დადგაო:
ერთი ყინვამ გაუხეთქა,
ერთი თეხონ დარჩაო.

თეზერვალე დადგაო

თებერვალე დადგაო,
ხეში წყალე ჩადგაო,
ჩიტმა ჩიორამაო
საძირკველი ჩადგაო.

62.

თეზერვალე ბერამსაო

თებერვალე ბერამსაო,
მარტი კაბას კერამსაო;
აპრილი გაცხარებულა,
წითელ კვერცხებს ლებავსაო.

63.

თეზერვალე სიგლერა

იანვარი მოზუზუნებს,
როგორც რომ მშიერი მგელი.
თებერვალმა დაუბრა,
როგორც კარგი საბერველი.
მარტმა სთქვა: „თოვლ-ქუაპს ვაპირებ,
ღმერთო, მიმართე ხელიო,
ცხვარი და ძროხა გავწყვიტო,
არ ვუშვა ქაღი ცხენიო;
ღრანტე ხევები ავავსო,
არ სქამდეს ტურა, მგელიო.
ორშაურად გაგიხადო
კამეჩის გავა სქელიო.
აპრილმა შემოუთვალა:
„მარტო, ხარ ქეუა თხელიო;
სახნის-საკვეთი დავპიროთ,
გუთანს ვუმართოთ ხელიო;
ურემში შევდვათ უღელი,
შევაბათ ყოყინებო;
ჯერ ქერები დავათავოთ,
მერმე ყანებს ვპყოთ ხელიო“.

64.

ზენა ძარი

შენ ამოდი, ზენა ქარო,
უნდა ხვაფი ვახორხარო,
გამოვაცხო თბილი პური,
ყმაწვილები დაეახარო.

65.

ვარდისა ბუჩქი ჩიოდა,
ზამთარმა მამცა ზიანი,
უცებ დამაჰკნო, დამადნო,
დღეც კი არ მამცა მზიანი.

66.

შე დალოცვილო ზაფხულო,
მომწყინდა შენი ლოდინი,
როდის იქნება მეღირსოს,
გარეთ დამეგოს ლოგინი.

67.

ზამთარი ვარდსა გაახმობს,
ზაფხულს გვალვასა ჩივიან,
შეეხედავ შემოდგომასა,
ხესაც ფურცელნი სცივიან.

68.

სმტყვა

ხიდისთავს სეტყვა გროვდება,
ნამჭერი მოდის სვეტათა,
უფლისციხური მინდვრები
დასეტყვა მეტის-მეტათა.
ხიდისთავს ქვევრი მოგლიჯა,
დაულო კარებს კეტადა.

69.

რთვილი

იმ წყეულმა იალბუზმა
გადაივარცხნა წვერია,
კალოობა მოიყვანა,
ალარ გვაჩვენა რთველია.

ცხოველები და ფრინველები

70.

მელიას ჩივილი

ესო, მესო,
მელა ჩიოდესო:
—გამიგდეს და გამომიგდეს,
სოროს შამაგდესო,
შამამიბოლესო,
შიგ გამომალრჩესო,
კავი შემოყვესო,
გამომათრიესო,
შინ ამიტანესო,
მალლა დამკიდესო,
ჩამომატყავესო,
ურემს დამიდესო,
ქალაქს წამიდესო.
ამატარეს, ჩამატარეს,
ფასი ძლივს დამდესო.
წვრილად დამწუწესო,
ქათიბს დამიდესო!

71.

საწყალი მელა

საწყალი მელა ჩიოდა,
არ მომივიდა ძილია,
ერთსა საქათმეს მივაგენ,
გამოგუთხარე ძირია:
იხესა, ბატსა და ქათამსა
ყველას გაგკარი კბილია...
უკუ ვიხედე, მომდევდა
პატრონი—გზირის შეილია;
მხარზედ გაედო კომბალი,
გათლილი შინდის ძირია;
გადმომკრა, გადმომიშხივლა,
კამდის ავასხი ტვინია;
მაგრამ ტვინს ვილა ჩიოდა,

კოლ-შვილი დამრჩა ქერივია;
კოლიც მალე გათხოვდება,
ობლები დანჩა წვრილია;
ობლებიც დაიზრდებიან,
თავი დავკარგე გმირია.

72.

მელია და მამალი

ორშაბათ დილა გათენდა,
რა ავი დარი დგებოა;
რს ჩენი წუწკი მელია
საომრად ემზადებოა;
წავიდა იქ მიცუნცულდა,
სადაც მამალი ჯდებოა:
— პატარა ხორცი მიბოძე,
გზა იარაღ-ბოა.
— შენ ჩუა ხორცა როგორ შეირგებ,
ყელს ძვალი დაგადგებოა;
ჩემს პატრონს კარგი თოფი აქვს,
მეხიფეთ გავარდებოა.
— მეც კარგა ვიცნობ ძინს პატრონს,
ჟუყარს მუცელზე გდებოა;
თოფი კახხას უკილია,
ჩახმახი უჟანგდებოა;
თუნდ მუგუზალი დაადოს,
მაინც არ გავარდებოა.

73.

მოდო ვნახოთ ვენახი

მოდო ვნახოთ ვენახი, რამ შეკამა ვენახი?
თხამ შეკამა ვენახი.
თხა, თხა, თხამ ვენახი შეკამა.
მოდო ვნახოთ თხა, რამ შეკამა თხა?
მგელმა კამა თხა.
მგელი, მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეკამა.

მოდი ვნახოთ მგელი, რამ შექამა მგელი?
 დათვმა ჰამა მგელი.
 დათვი, დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შექამა.
 მოდი ვნახოთ დათვი, რამ შექამა დათვი?
 თოფმა ჰამა დათვი.
 თოფი, თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა,
 თხამ ვენახი შექამა.
 მოდი ვნახოთ თოფი, რამ შექამა თოფი?
 ჟანგმა ჰამა თოფი.
 ჟანგი, ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი,
 მგელმა თხა, თხამ ვენახი შექამა.
 მოდი ვნახოთ ჟანგი, რამ შექამა ჟანგი?
 მიწამ ჰამა ჟანგი.
 მიწა, მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა დათვი,
 დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შექამა.
 მოდი ვნახოთ მიწა, რამ შექამა მიწა?
 თაგვმა ჰამა მიწა.
 თაგვი, თაგვი, თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფ-
 მა დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი
 შექამა.
 მოდი ვნახოთ თაგვი, რამ შექამა თაგვი?
 კატამ ჰამა თაგვი.
 კატა, კატა, კატამ თაგვი, თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა
 თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა,
 თხამ ვენახი შექამა.
 მოდი ვნახოთ კატა, რამ შექამა კატა?
 მელამ ჰამა კატა.
 მელა, მელა, მელამ კატა, კატამ თაგვი, თაგვმა მიწა,
 მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა დათვი, დათვმა
 მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შექამა.
 მოდი ვნახოთ მელა, რამ შექამა მელა?
 ძაღლმა ჰამა მელა.
 ძაღლი, ძაღლი, ძაღლმა მელა, მელამ კატა, კატამ თაგვი,
 თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა
 დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი
 შექამა.
 მოდი ვნახოთ ძაღლი, რამ შექამა ძაღლი?
 ვეფხვმა ჰამა ძაღლი.

მგელი და მცხვარი

მგელმა სთქვა: „მთაზედ მცხვარეს
 შემოეშალა ცხვარიო;
 თიკანს რო პირი დავაულე,
 თხამ დაიძახა ვაიო;
 იმ ჩამოსარჩობ მურიას,
 ჩემსკენ ექირა თვალიო.
 გადმოეშველა მცხვარე,
 ექირა შინდის კავიო;
 გადმომიჭირა, გადმომკრა,
 მომტება თეძოს თავიო;
 ძლივს გავასწარი რა ყოფით,
 დლე დამაყენა შავიო.
 მაცალე, შვილო მცხვარე,
 მოგსვლოდეს ტკბილი ძილიო,
 შინ გაგპარვოდნენ ძალღებო,
 ღია დამიხედეს კარიო;
 შეესულიყო შენს ფარებში,
 მეწყვიტოს თხა და ცხვარიო.
 გამოსულიყვე დილაზედ,
 გეგლიჯოს თმა და წვერიო;
 თავს დაგჩხაოდნენ კაჭკაჭნი,
 გედოს სიკვდილის ფერიო“ .

75.

მგელმა სთქვა: გუშინ გორს ვიყავ,
 ატენს ავილე ვალია,
 გადავიხედე ვენახში,
 დამწიფებულა ბალია,
 ატამი გაყვითლებულა,
 ყურძენს შესვლია თვალია;
 გავხედე ჩემსა ძმობილსა,
 გადმოეშალა ცხვარია,
 დავთვალე, მეტი მოვიდა

და ის ურჯულო თხანია,
მე და თხა დავიტაკუნით,
თხამ დაიძახა „ვანია!“

76.

მგელმა სთქვა: ქორწილს ვაპირებ,
ლენო ჩავასხი ნასეტყვი,
წავალ, მეცხვარეს ცხვარსა ვთხოვ,
ციკანს მამცემს, თუ კრავს მეტყვის
არ მამცემს, ძალად წავართმევ,
თუ იჭირებს და ბანს ვეტყვი.

სამი მგელი

77.

სერზედ მიდის სამი მგელი,
ტუჩმოკლე და კუდაგრძელი,
ერთმანეთს ეუბნებიან:
ქალას არის ლურჯა ცხენი;
ერთმა თავსა დაურბინოს,
ორმა გავეკრათ გავას ხელი,
პატრონს კაცი ვაფუგზავნოთ,
ნულარ გინდა თივა, ქერი.

78.

ვირო არ დაიპროჰინო

ორშაბათ დილა გათენდა,
ვირებს გაულე კარიო,
გკარ ჯოხი, ქალას ჩაველაღე,
იქ იყო ლურჯი ნარიო.
წინ მგელი შემოეყარა,
ერთი პირმურა არიო.
მოიტა ვირო, მომიქერ
პატარა ზურგის მხარიო.
შენ ჩემს ხორცს როგორ მიირთმევ,
ვზიდე მარილის ქვანიო,
თუ გინდა გამოგიგზავნო
შენელებული მხალიო.
—მე მხალი-მხული არ ვიცი,

არა ქამს ჩემი გვარიო,
კული არ გააცანცარო,
არ გამომთხარო თვალიო,
დიდი არ დაიუროყინო,
არ შემეყარო ჯარიო.

79.

ჯორაქა

ერთი ჯორაქა ვიყიდე,
ყურები ჰქონდა გრძელია,
წუხელი რო კარში დამრჩა,
ყურზე მამივლეს ხელია.
ბატონო, მოგეხსენებათ,
მგელი იმისი მტერია.
ხურჯინი ლექსით სავსე მაქვს,
გულა პირ-მოუხსნელია.

80

მ ი რ ი

ქალაქიდან წამოვედით
მე და ჩემი თეთრი ვირი,
შეტლინკა და გადმომაგლო,
ლაფში მომისვარა ცხვირ .
სტვირმა ტალახი აიკრა
ჩარეჭი და ორი სტილი.
ჰაი, ჰუი, საყვარელო,
სამი დღეა შენთვის ვტირი!
საით უნდა წაგიყვანო,
საით უნდა გიყო პირი?

81.

ცხვარი და მწყემსი

ცხვარო რად უნდი პატრონსა,
თოვლ-ფიფქი ჩამოსდიოდე.
მაშინ კარგი ხარ ტიალო,

საბრეოდ შემოსდიოდე.
იწველებოდე შიშაქო,
ყველ დილო ამოსდიოდე.
გორს იქით ბატკნის ბლავილო,
გორს აქეთ გადმოსდიოდე.
ქერო წინ მოუძღვებოდე,
კუნელში ამოსდიოდე,
მწყემსო გეხვიოს ნაბადი,
ზენაით ჩამოჰკიოდე.

82.

მ ა რ ვ ი

წუხელი მაჩვი ქვიოდა,
არ მომივიდა ძილია,
მებალეს გადავეპარე,
ხახეს ამოუგდე ძირია;
თალგამსა გადავაბიჯე,
წიწმატმა დამწო პირია,
ლობესა გადმოშავალსა
ფეხში შემერკო ჩხირია.
უკუ ვიხედე, მომდევდა
მებალის შვილი გზირია,
მხარსა გაედო ჯომბახი
გათლილი შინდის ძირია.
გადმომცხო, გადმომიქირა,
მომტეხა თეძოს თავია,
წავედი ზეზობლისასა,
მოვიმძინარე თავია;
შულამე რომ შეიქნა,
მოჲა და ნნახავს ქალია,
მაგ შენმა წუწკმა მუცელმა
ცეცხლზედ დაგისხა წყალია;
წუხელი დაგათმობინა
თვალუთუნ თეთრი ქალია,
სამწუთრო ბევრი მოჰქონდა,
მსხალი და ვაშლი ბევრია.

დათვის სიზმარი

დათვა სთქვა: სიზმარი ვნახე,
 რაც რომ თავს გადამხდებოდა:
 სიმინდი ბევრი შეეკამე,
 ხილად არ გამიხდებოდა;
 ხელი შეუუწყე სკაში თაფლს,
 ვსვლიპე, ვინ მიმიხვდებოდა;
 მელორეს ტყეში გადაველ,
 იქ ღორი მეგულებოდა;
 ერთი ბურვაკი შეეკამე,
 შხამადაც შემერგებოდა;
 სოფლის ბოლოს რომ გავედი,
 ვიცოდი არ შემრჩებოდა;
 ლამაზ-ლამაზი ბიჭები
 თოფ-იარაღში სხდებოდა;
 ლამაზ-ლამაზი მწვევრები
 თითის ფრჩხილებზე სდგებოდა;
 გამიგდეს ისეთს მინდორსა,
 თვალი არ გადასწვდებოდა;
 ისეთს ხევ-ხუეში ჩამაგდეს,
 ქორი ვერ ჩაფრინდებოდა;
 დამაზილეს ბევრი ტყვია,
 სიკვდილი მომსურდებოდა;
 იქ დადგა სისხლის მორევი,
 ზედ ნავი მოსცურდებოდა;
 მოვიდა ყვაევი, ყორანი,
 სვამდა და არ ილეოდა
 ორბებმა გამინაწილეს,
 სვაევი ძვალ-ძეულით ძლებოდა.

84.

ატირდა დათვი, ატირდა,
 რისთვის დაუაგდე მთა-წყალი?
 შემომელია საგზალი,
 მუცელმა იწყო კანქყალი;

გავედი ოხერ მინდორსა,
მე არა მყამღს სარდალი.
დამიხვდა წინ კიკოლიკი,
ტანად მორჩილი დაბალი,
ვეცი და ქვეშ ამოვიდე,
შეეხუთე თეძო-ბარკალი.
— არიქათ, მოეშველენით,
ობოლია და საწყალი!
გარს შემოუნთეთ ცეცხლები,
თავს წამოხურეთ საბანი.
ჩქარა მოგვარეთ ექიმი,
თორემ მოუსწრებს ზამთარი.

85.

ქურდღღღის სიზმარი

ქურდღღღმა სთქვა: ჩირგვში ვზივარ,
ვერვინ მოვა ჩემზედაო,
გავეიხედე სერზედაო,
ბატონი ზის ცხენზედაო.
წინ მეძებრები მოუღის,
დაგეშილი ჩემზედაო.
დამისიეს, გამომიდგნენ,
გავექეცი განზედაო.
აღმართშია მე ვაჯობე,
იმათ თავდაღმართზედაო.
ერთმა წუწკმა მეძებარმა,
კბილი გამკრა გვერდზედაო;
გამწიეს და გამომწიეს,
ჩამომკიდეს ცხენზედაო.
მზარეულებს მიმაბარეს,
კარგად შესწვით ცეცხლზედაო;
ცალი გვერდი ცეცხლზედ იწვის,
ცალი ერბოს აღზედაო.
უყურეთ ამ მსუნაგებსა,
რა ყოფა აქეთ ჩემზედაო.
ამარიგეს, ჩამარიგეს,
წერილ-წერილ ლამბაქებზედაო,
ხორცი ხორცად შემიქამეს,
ძვლებს იმტვრევდნენ ცერზედაო.

86.

მთაში ლორმა დაიკვება

მთაში ლორმა დაიკვება,
ყველგან გავიკეთე ბინა,
ვერც არას თოვლი დამაკლებს,
ვერცა შემოდგომის წვიმა,
მე რომ კბილებს გავილესაფ,
ვერვინ დამიდგება წინა.

87.

შენ ჩემო ლორო ქედაო,
თორმეტი გოკის დედაო,
საბალახოზედ გაგიშვი,
კვრინჩხების ბოლოზედაო,
ნეტავე ლორო, გიპოვო,
მოგაჯდე ქეჩოზედაო,
მოგდო და მოგდო კომბალი
მაგ ცხვირის ნეშტოზედაო.

88.

ხარო ხარი ვინ დაგარქვა

ხარო, ხარი ვინ დაგარქვა?
ხარო, სახე მშვენიერო.
ჩვენო იმედო, ნუგეშო,
ქედ ნაკურთხო, ლონიერო.

89.

ხარო, დადგა მაისი

ხარო, დადგა მაისი,
ახლა ხორციტ გაივსი,
წყალია და ბალახი,
გასუქდი და გალალდი.

90.

კამეჩი კვდება ბეხია,
შეუშვერია ფეხია,
— წადი, უთხარი ჩემს პატრონს:
წაილოს ჩემი ლეშია!
მეც მაშინ მოვაგონდები,
როცა რო წავა ტყეშია;
შეებას წვრილი შოზვრები,
იკლაკნებოდენ წელშია,
საწყალი იწის ცოლ-შვილი
იქაქებოდენ ცეცხლშია.

91.

კურდღელო, ნუ სძოვ ყანასა

კურდღელო, ნუ სძოვ ყანასა,
ნალარია და ბრალია,
თორემ მოგისევ მწვევრებსა,
ჩემი ალარა ბრალია.

92.

ი რ ე მ ი

— ირემო, მთასა მყვირალო,
რად ჩამოვარდი ბარადა?
— მეუღლე ჩემი მომიკლეს,
დავეხეტები ცალადა.

93.

საბრალო დედაბერი

საბრალო დედაბრისასა
თავენი ყანასა მკიანო,
ლომნი უგრეხენ ულოსა
და ვეფხენი შეუკვრიანო;
დევნი ურემსა აბიან,
ირემნი ძნასა ჰყრიანო;
შველნი კევრებში შეგბმულან,

კალოს გარს დარბენიანო.
ზედ ანგელოზნი უსხედან,
წერილ ხმაზედ დასძახიანო;
კინკეპი მარდად ჟქცევენ,
ყანასა გაჰფოცხიანო;
ტახნი მისწევენ კალოსა,
მელები კუდით ჰგვიანო;
წერონი ანიავებენ
და ბატნი დაჰკმაზიანო;
დათეებს ჰკილიათ ტომრები,
ორმოში პურსა ჰყრიანო;
მგლები წისქვილში გაგზავნეს,
პურს მალე დაუფქვიანო;
შაშვი ფქვილს მტკიცავს, გნოლი ჰზელს,
კაქკაქნი ამოჰქნიანო;
მტრედნი ჩააკვრენ ლავაშსა
და გერიტნი ამოჰყრიანო;
ვარიები ამზადებენ,
იხენი სუფრასა ჰშლიანო;
ზეცას ტოროლა გაგზავნეს,
ფრინველნი მოჰკრიბიანო;
შენს მადლსა, ჩხიკენი ნუ გინდა,
სუფრასა აგვიშლიანო.
სილამაზითა ხოხობი
შუაში ჩაისვიანო,
ბულბული გალობისათვის
სულ თავსა დაისვიანო;
საწყალი ბერი ქედანი
ბოლოში მოიგდიანო.
ერთად სმენ, სკამენ, ლხინობენ,
ჰარალეს დასძახიანო.

91.

თაგვი და კატა

თაგვი ავად გამზდარიყო,
ტანში იყო ლეწვითაო,

დაეგო თავის ლოგინი,
ბუმბულს იწვა ბეწვითაო;
კატამან ეს რომ გაიგო,
ღმერთს შეჰქანავლა ხვეწნითაო,
მუხლებზედ ბევრი იცემა,
თმა იგლიჯა წეწითაო.
ადგა კატა, წამობრძანდა.
თავის ღიდის ჯართაო,
თაგვის კარზედა ჩამოხდა
ფირუზის კარავითაო;
თაგვი იწვა მხარ-თეძოზედ,
ფიცხლავ ფეხზედ წამოხტაო,
მაშინვე კარი შიგნითგან
საჩქაროთ დაიკეტაო.

— რა გინდაო, ყურდილაო?
— შენთან მოველ, ყურცქვითაო.
— რა გინდა, რომ ავად ვიყვე,
შენი ნახვა არ მინდაო!
კატა უკან გამობრუნდა
თავის ღიდი ჯართაო,
თავ-პირი გამოიტყუა,
სულ თაგვები დაგვიფთხაო.

95.

ცალფეხი კატა ტიროდა

ცალფეხი კატა ტიროდა,
ფეხი მტკივა და ბარკალი,
ქალებმა ყველი შეჰამეს,
მომკლეს მე კატა საწყალი.

96.

ჰარია, მალლა ღარია

ჰარია, მალლა ღარია,
ქორმა წაიღო ვარია,
წამოდი, გავაგდებინოთ,
ცოცხალია თუ მკვდარია.

97.

აფრინდა ქორი

აფრინდა ქორი, აფრინდა,
არაგვი ჩაინადირა,
მცხეთას დაეცა დედალსა,
ავქალას მტვერი აღინა.

98.

ტოროლა

ტოროლას მაინც არ მოვკლავ,
ბევრიც რომ მქონდეს წამალი,
საწყალის ღამის მეხრისა
ის არის კარგი მამალი.

99.

ვარდი და ბულბული

ვარდმა გასძახა ბულბულსა:
ეგ ბალი დამიცალეო.
— განა სხვა ბალი არ არის,
რა ჩემზე მოიცალეო.

100.

ბატო, ბატო

ბატო, ბატო, თეთრო ბატო,
ეხლა რალა მოგიმატო?
ე ბუმბული მაინც მომე,
ე ოხერი, თავი დაედო.

101.

ყვავო, ყვავო, ყვანჩალო
დედაშენი ჩანჩალო,
წყალითგანა დამჩევალო,
უბედური ცარცალო.

ნ ა რ ე ვ ი

102.

ოდელა, ოდელა

ოდელა, ოდელა,
გოგვამ თხაჲ მოდენა,

საჯოგეში შედენა.
დიდმა რძალმა მოწველა,
პაწა რძალმა ჩაკვეთა,
სიედმა ამეილო,
კერიაზე დადუა.

- რძალო, ყველი რეიქნა?
- ციფუნია მ წეილო!
- ციფუნე რე იქნა?
- ხიდეზე გევიდა!
- ხიდე რე იქნა?
- წყალმა წეილო!
- წყალი რე იქნა?
- ბზემა დააშრო!
- ბზეა რე იქნა?
- მუხას ამიეფარა.
- მუხა რე იქნა?
- ცულდმა მოშქრა.
- ცულდი რე იქნა?
- გატყდა.
- ნატეზე რე იქნა?
- ცას გადალმა გადავარდა.

103.

ტაი, ტაი, ტასო

ტაი-ტაი ტასო,
ტაბელაისასო!

- რას თხონილობ?
- ცოცხს ვთხონილობ.
- ცოცხი რათ გინდაო?
- დარბაზს დაგხვეტაეო.
- დარბაზი რათ გინდაო?
- ყაჟ-აბრეშუმს ვაკეთებო.
- ყაჟ-აბრეშუმი რათ გინდაო?
- მარიამ ჩემს შევეუკერაეო.
- სად აგზავნი?
- სატირელს.
- ვინ მომკვდარა?
- ხარაჟუჟი.

— ვაიმე, ჩემო ხარაქუჭი,
თვალი რომ დაგიკუჭი?!

104.

თეთრო ქათამო

თეთრო ქათამო

საით მიფრინავ?

— რაქას მიფრინავ ბატონო!

— რაქას რა გინდა თეთრო ქათამო?

— ყაქის საყიდლათ ბატონო!

— ყაქი რად გინდა?

— სიძეს მოვიყვან.

— სიძე რად გინდა?

— შეშას მოიტანს.

— შეშა რად გინდა?

— ცეცხლს ავიბოლებ.

— ცეცხლი რად გინდა?

— წყალს ავიღებ.

— წყალი რად გინდა?

— თავს მოვიფუფქავ.

105.

ქი, ქი, ქი, ქი

ქი, ქი, ქი, ქი!

მა, მა, მა, მა!

— სადა ყივი?

— ქინქარაში!

— რა გაცვია?

— ფარჩის კაბა!

— ვინ გიყერავს?

— ხარაზი მყავს!

— რომ მოგიკედეს?

— აღაპს ვუხამ!

— რას დუუქლავ?

— ნიკორასა!

— დამპატიებ?

— როგორ არა!

— სად დამაჯენ?

— კარის თავსა!

— რას მომართმევ?

— კატის თავსა!

უცუციო მამალო

- უცუციო მამალო!
 — სადა ხარ?
 — კინკარში.
 — დავსუსხავს.
 — ფაჩუჩები მაცვია.
 — დავიგჯება.
 — ხარაზი მყავს.
 — მოგიკვდება.
 — ცხვარს დოჟკლამ.
 — სად დაკვლენ?
 — ხიდის თავში.

ელენიკის ძათამიო

- ელენიკის ძათამიო
 · ღობის ძირში დავკალიო;
 იმის კურტუმ-ბარკალიო
 · ბატონ მეფეს მივართვიო.
 ბატონ მეფემ დამიწუნა,
 ბიძაჩემსა მივართვიო.
 გობ ქვეშ შეინახა,
 · კატამ შეუქამა.
 — კატა რე იქნა?
 — ხიდზე გვეიდა.
 — ხიდი რე იქნა?
 — წყალმა წეილო.
 — წყალი რე იქნა?
 — მზემ დააშრო.
 — მზე რე იქნა?
 — გორას მეეფარა.
 — გორა რე იქნა?
 · — ხორას მეეფარა.
 — ხორა რე იქნა?
 — ცეცხლში დეიწვა.

რძლის მოთქმა

ჩემო რძალო, ჩემო რძალო,
 ჩემი ქუჩუჩა დედალი მად არის ?
 — აქ არის.
 — რამდენი კვერცხი დადვა?
 — ერთი ხულა ბელელი.
 — ვინ შექაპა?
 — ჩემმა რძალმა, შენმა რძალმა.
 — სად წვევინენ?
 — სახტარზედ.
 — არ მოსულან?
 — ჩემი მოვიდა და შენი კლდეზე გადავარდა. -
 — ვაიმე, ვაიმე რძალო,
 უცნაურად მკვდარო.
 შენი მაზლი დიაკონი
 სახლი უკან ფლავსო,
 ზედ კანაფი ამოსულა,
 ლალივითა დგასო.
 ლალი ამიკონია,
 კურში ჩამიკონია,
 კური აღუღებულა,
 ქალი აკივლებულა.
 ქალსა ვაჟიჭმიცემია,
 მამას გახარებია.
 მამა აკვანზედ წასულა,
 ბოვშ სული გამთქნარებია...
 ადე შვილო კიკიკო,
 ქალა მოინადირე.
 ქალა ეკლიანია,
 მუხა ძეწკვიანია.
 შეყვე, შეყვე მაღალსა,
 გადაძახე თამარსა.
 თამარი ჩემი რძალია,
 ნეკ ბეჰედი აცვია.
 ნეკ ბეჰედი გამოტყუე...

ხილთა ძეგა

ლეღვი მალა ზის, ბუსა ჰგავ,
 არ არის კარგი ნაქნარი,
 არც არის დანით სათალი,
 არცა კურკა აქვს მაგარი,
 კაცსა ნურც გინდა, ნურცა სქამ,
 ქალისგან არის ნაქრთამი.
 ყურძინმა სთქვა დალოცვილმა:
 ხის თაეზე წამოვცუცქედები,
 მამკრეფენ ქურში ჩამასხმენ,
 უცეცხლოდ წამოვდუღდები;
 ქეუიანთან რა კარგი ვარ,
 ბრიყვთან ქე წამოვგიყედები.

110.

ბიამ სთქვა

ბიამ სთქვა: მეც ხომ ხილი ვარ,
 თითო და თითო ყაღარი;
 სიმწიფით თავსა ვერ ვიქებ,
 დაბადებით ვარ მაგარი.

111.

კ რ მ შ ი

კომშმა თქვა: მეცა ხილი ვარ,
 ყოველი ხილის საღარი.
 მოკწყდები, ჩამოვარდები,
 სულით მეძებენ „სად არი?“.

112.

მს ბიჭი კარგათ თამაშობს

ეს ბიჭი კარგათ თამაშობს,
 თითის წვერებზე დგებაო.
 მაგან რომ რამე იტკინოს,
 გოგონას დაბრალდებაო.

113.

ტაში ზიგო

ტაში ვიგო, ტაში მართა
 თამაშობა გაიმართა.

114.

აბა ჩემო ნატალია

აბა ჩემო ნატალია
ვაშლი ხარ თუ ატამია.

115.

აბა ჩემო ბაბუსი

აბა ჩემო ბაბუსი,
ფეხი მაგრა გაუსვი.

116.

ორგოში ფეტი ჩავყარე

ორგოში ფეტი ჩავყარე, შესანახადო;
ორგოში წყალი ჩასულა, დასალბობადო;
ორგოდგანა ამოვყარე გასაშრობადო;
ჩიტი ლობეზედ შემოჯდა, ასაკენკადო;
ჩიტსა ჯოხი წამოვუსვი, მოსაკლავადო;
ჩიტი ბატონთან გაიქცა, საჩივლელადო.
ჩიტმა კაცი მოიყვანა დასარბევადო;
იმან სრულიად წამართვა, რაც რამ მებადო.

117.

ბიჭი ვიყავ კვირკვინტელა

ბიჭი ვიყავ კვირკვინტელა
ცოლი მყავდა გვრიტინტელა,
წავიყვანე ხონში,
ჩამივარდა ფონში.
შევიყვანე ეზოში,
ძალლი ეცა თეძოში;
შევიყვანე სახლში,
ქვაი დაკრეს თავში.
მშობლებს გული მოუვიდა
და გაგვყარა კარში.

118.

დედამ კაბა შემიკერა

დედამ კაბა შემიკერა,
მომიყოლა აშია,

ავკეცე და დავკეცე,
ჩავდე ზანდუკაშია.
ჩაყოლოდა ნაპერწკალი,
ქე მოსწოდა აშია.
დავჯექი და სულ ვიტირე
ჩემ პატარა სახშია.
დედაჩემი რომ მევიდა,
სარი მარტყა თავშია,
მამაჩემი რომ მევიდა,
თლა გამაგდო კარშია.
ეზო შემომარბენია,
მოქუა მომადენია.
ცივი ღომი ხელში მომცა,
ნახშირი მიმატკვერია.

119.

დედამ კაბა შემიკერა

დედამ კაბა შემიკერა,
მომიყოლა ბანტები.
მე მეგონა გამათხოვდა,
მაწყესვია ბატები.

120.

დედამ კაბა შემიკერა

დედამ კაბა შემიკერა,
მომიყოლა „აბორკა“,
მე მეგონა გამათხოვდა,
თურმე ტყვილა დამბორკა.

121.

ხბოს ლეძნი

წუხელი სიზმარი ვნახე,
ვითომ დამსეოდა ხროი,
ორშაბათ დილა გათენდა,
ქე მომიკტა ჩემი ხბოი.
საყვარელო ჩემო ხბოო,

მერჩიე აღდგომის კვერცხსა,
 რა შენ მომშორდი, მომიკვტი,
 სულ ვიტირე მე იმ დღესა.
 უშენოთ ძროხას ვერ მოვწველ:-
 არცა ჩამოუშვებს რძესა,
 დერგში ყველი დამელია,
 რალა მივაკამო კვერსა?
 ფერადათ იყავ წითელი,
 სახელად გეთქვა არიფა,
 დაგასიე დოხტურები,
 შენი მორჩენა არ იქნა.
 ცოტა ბალახს მოწიწკნიდი,
 წამოგიბერაედა მუცელს,
 შენთან ლოცვა არ გვიდა,
 კიდევ ვაწიოვიე ხუცესს.
 ბოლოს მეც კი გაგიჯავრდი,-
 გადაგათრიე შარაზე,
 მეორე დილას რომ გნახე
 ტურას ეკბინა ბარკალზე.
 მაშინ ძრიელ შემეცოდვე,
 ცრემლები მომადგა თვალზე.
 სატირელად მოვემზადე,
 ხელი შემოვიკარ თავზე.

122.

ჩიტსა ბოლო-რქასა

ჩიტსა ბოლო-რქასა,
 ჩიტი მოეხარშა.
 ეცა, ბეცა,
 მეც მაჭამე, მეცა.
 საბძელშია შავიხედე,
 თივაც იყო, ბზეცა.
 ერთი ქალი თამაშობდა,
 მთვარეც იყო, მზეცა.

123.

აკოლანთ ძორწილი ჰძნეს.

აკოლანთ ქორწილი ჰქნეს,
 დაჰკლეს კულა თხაო,

ქანგიან ქვაბში ჩაპყარეს,
წვენი არა ჰქნაო,
პატარძალი ათამაშეს,
გახტა-გამოხტაო.

124.

საზანდრიანთ ქორწილი ძმის

საზანდრიანთ ქორწილი ქნეს
ერთი მუკა ფქვილითაო,
პატარძალი მოიყვანეს
შეკაზმული ვირითაო,
ვირი კარებზე დააბეს,
ვერ გააძღეს თივითაო.

125.

შინის ცინილი

ყანაში თივას ვთიბამდი,
გამოხტა მწყერი;
ვინც არ გეიყინოს,
გაცეინდა წვერი.

126.

ტაი-ტაი ტაბელაო

ტაი-ტაი ტაბელაო,
ჩემო ნიკორ წითელაო.
თუ მიტაფე, ქე მიტაფე,
თვარა წიგნი დამიწერე.
— წიგნი დამიწერიო,
ზღვაში ჩამიფენიო,
ზღვაი აღუღებულაო,
ქალი აკივლებულაო,
ქალსა შვილი ჰყოლიო,
ერთი ბრუცი, ერთი კოჭლი,
ერთი ყველაის უკეთესი.
ჩემო ყველაის უკეთესო,
ხვალე აღრე ამიდექი,

სანადიროს წამიდექი,
ის ხოხობი დამიკირე,
ძეწკვით მომიბი გვერდშია.
ძეწკვი გაუწყვეტაო,
მთაი გადურბენიაო.
მთასა შევედექი მალალსა,
გადაეუძახე თამარსა.
თამარ ეგერ მოკუროლულობს
თათრულითა ცხენითაო,
მას ქამარი რამ არტყია
მოკედელი ვერცხლითაო.
სახლი დავდგი ოქროისა,
აფრა მარგალიტისაო,
შიგა რძალი მოვიყვანე
ბედნიერი ფეხისაო.
დაჯდება და კერავსაო,
ატიკტიკებს ენასაო,
გამოაცხობს კვერასაო,
შიგ მიურთავს ყველისაო,
თითო ნატებს ჩამოგვიტებს,
წაგვამწარებს ყველასაო.

127.

აპრატელი მაპრატელი

აკრატელი-მაკრატელი,
მე ვარ კოკროკინატელი.
ცხენი მყვანდა ცხენქედელია,
უნაგირი შექედელია.
თუ ის ცხენი მამიკვდება,
სამ წელიწადს პურს არა ვკამ,
ხოხბის მეტსა, კაკბის მეტსა,
გამტკიცული შოთის მეტსა.

128.

ნათლია ჩემი მეწვია

ნათლია ჩემი მეწვია,
ჯიბეში ედო ყარყარა,

ერთი ქათამი დაუკალ,
კუდა იყო და ნაცარა.
სულ ერთიან გაუკეთე
ერთი პატარა ჩაღბანა,
ათი ჩურჩხელა მივართვი,
ერთი ფიცარი თათარა,
ისე შექამა ისინი,
წვერი არ გააცანცარა.
—რაც შენ ნათლიად გიშოვე,
სახლში აღარა შემრჩა—რა,
სამჯერ რომ მე დაგპატიეო,
რატომ შენ ერთხელ აღარა!

129. -

მსო მმსო, ჩახმახო და კმმსო

ესო, მესო,
ჩახმახო და კვესო,
აგატარეს, ჩაგატარეს,
სილა გაგაკრესო,
გლეხის კარზედ მიგიყვანეს,
თაფლით გაგაძღესო.

130.

ღელიასა, ღელიასა

ღელიასა, ღელიასა,
ქმარი უნდა ბებიასა.
პატარა ბიჭის ღელაო
შეჯდება კურდღელზედაო,
გააქენ-გამოაქენებს,
გადმოვარდება ზედაო,
გასკდება მუცელზედაო.

131.

ერთი ცხენი

ერთი ცხენი,
ერთი კვიცი,

ამის მეტი
ალარ ვიცი.

132.

ჰაერო, ჰაერო

ჰეერო, ჰეერო,
ჩიკრიკო და მწყერო!
ჩიკრიკისა მთაზედა
გველი იწვა ქვაზედა;
შიველ, ტყავი ავხადე,
შიგ აბაზი ვიპოვე;
წაველ, დედას ვახარე,
დედამ კვერი დამიკრა;
მამამ ტყეში წაიღო;
იმან გვრიტი მომგვარა;
გვრიტმა კვერცხი დამიღო;
ამიგორდა, ჩამიგორდა,
ხუცის ცოლთან მიმიგორდა;
ხუცის ცოლი შინ არ იყო,
კარს უკანა ფურსა სწველდა.
ფურმა წიხლი გაიქნია,
ჯამ-ქურქელი დაუმტვრია.
პატარძალი გაგულისდა,
ცხრა ყმაწვილი აატირა;
თითო ვაშლი დაურიგა,
ისევ თითონ დააჩუმა.

133.

წისქვილი

წისქვილის ამბავს თუ მკითხავ,
მე მოგახსენებ რა უნდა:
სათავე აშენებული,
ლარსა პირამდე თლა უნდა.
ქვეშ-ქვეშ ლამაზი ბორბალი,
შიგნით ლამაზი ქვა უნდა.
ხეიმირა და სარეკელა,

საქინწიალო სხვა უნდა,
ზედ რომ პური დაარიგო,
იმასაც კარგი ფქვა უნდა.

134.

ვინც ზაფხულობით არა მკის,
ზამთარში სად რა იშოვოს?
უცეცხლოდ მაინც შესცივა,
რა გინდ პატარა ითოვოს.

135.

პური, ღვინო და მჭადი

პურმა სთქვა სახელქებულმა:
მე ვარ ყველაში ქებული,
კაცი უჩემოდ არ ვარგა,
არც გლეხი, არც დიდებული.
ღვინომ სთქვა სახელქებულმა:
მეცა ვარ ყველგან ქებული,
მცირედი კაცი არ დამლევს,
თუ არა მირონლებული.
მჭადმა სთქვა, მეც ვიხსენები
სუფრისა ბოლოს გდებული,
მდიდარი კაცი არა მჭამს,
თუ არ ყელგადაგდებული.

136

პური

პურმა სთქვა, მე ვარ ქებული,
მუდამ სუფრასა დებული,
ღვინოვ, შენ თავსა ნუ იქებ,
ქკუა არა გაქვს ქებული;
მე შენგან კაცი მინახავს
შერცხვენილ, თავს ლათდასხმული,
წუნწუხში ამოთხუპნული,
კლდეზედა გადავარდნილი.

მონაწილე სწავლაზედ

ბიჭო ვისი ხარ მალხაზი,
დაურჩი დედა შენსაო,
საქმე რომ არა გქონდეს რა,
ჩამოირბენდე ჩვენსაო;
გადგიული წიგნსა პატარას,
მეც მოგიჯდები გვერდსაო;
გასწავლი წერა-კითხვასა,
არაკებს გეტყვი ბევრსაო;
ვიმღერ და შენცა გამღერებ,
ლექსებს გასწავლი ძველსაო.

უაუარო და უმადო

უაუაროსა სიწითლითა,
უანა დაუმშვენებია,—
უმაწვილსა კარგი სწავლითა
სახლი გაუხარებია.

უამს ლუდსა, წითელ ღვინოსა

უამს ლუდსა, წითელ ღვინოსა,
განა სუყველას სმა უნდა?
პირში მოსულსა სიტყვასა,
განა სუყველას თქმა უნდა?

ქველად უმადობის სიმღერა

ორშაბათი სისხლად მესმის,
სამშაბათი—ჩემად მკვლელად;
ოთხშაბათი გამახელეფს,
ხუთშაბათი გამჭრის ველად.
მცირედ მესმის პარასკები,
ზეგ შაბათი მევლინება,
კვირასაც ხომ ვითამაშებთ.

ლირსეული კაცო

არც არავის ყმა ვყოფილვარ,
 არც არავინ ყმად მყოლია,
 ძველი პური, ძველი ღვინო
 წლით-წლობამდინ გამყოლია.

პატარა ძაღლის ნატვრა.

ნეტავი რადმე მაქცია,
 ბულბულად გადამაქცია;
 ბულბულის ენა მასწავლა,
 ამ ბალებს შემომაჩვია.

ს ა ხ ს ა რ თ ძ ე ბ ა

სახსართ ქებას მოგახსენებ
 კაცთა სხეულთა მრავალთა,
 ფრჩხილებმა შემოუთვალეს
 აღმასის ნათალთ ვგავართა,
 საწყალო ფეხის კვანჩხებო
 დლითა და ლამით მავალნო,
 ნებებმა დაიბრაგუნეს
 ლომის ტოტებსა ვგავართო;
 კოჭმა ასე მოახსენა,
 ნებო მეც ზეით ვდგავარო;
 თეძო ამას მოგახსენებს
 —გმირი შავარდენს ვგავარო,
 ტანადობით მოგახსენებ
 როსტომ ტარიელს ვგავარო...
 ბეჭი ამას მოახსენებს
 ჯვარის ძალივით ვდგავარო,
 თითებმა სთქვეს დალოცვილმა
 ობოლ მარგალიტს ვგავართო.
 ჭედი ამას მოგახსენებს,

ყველაზე უფრო ღრმა ვარო;
კბილებმა სთქვეს დალოცვილმა
რუსის ჯარივით ვდგავართო,
წისქვილად მოწყობილები
სულ ერთმანეთზე ვდგავართო.
ენის კლიტე მოგახსენებს,
მტერთან წავდგები უშიშრად
სამოცდახუთი გზა ვარო,
საითკენაც პირს ვიქ—წავალო,
თავი ასე მოგახსენებს:
კკუა-გონებით სავსე ვარ,
მაგრამ ხოკერა კვახსა ვგავარო.

ცოცხალი ტყუილი

144.

შხაპლაგელია?

სანთლის გუთანს ავაშენებ,
 შიგ შევაბამ ულელს დევსა;
 ზღვაში ეხნავ და ზღვაში ვთესავ,
 მშრალად ვინადირებ თევზსა;
 ყინულზედ კალოს გავლეწავ,
 მორევში გადავყრი ბზესა;
 კინკველას გოდორს ავკიდებ
 და დევებს დავუყრი ბზესა.

145.

ხოვლეში სამი რწყილია

ხოვლეში სამი რწყილია,
 გასუქებულან ხრილითა;
 ისეთი გასუქებულაჲ,
 ლობეს ამტვრევენ კბილითა.

146.

ეს რა ვნახე საქვირველი

ეს რა ვნახე საკვირველი,
 ყინულის კაბას ჰკერამდნენ,
 ფიფქსა უდებდენ სარჩულად,
 ზღვასა ნემსითა სწვერამდნენ.

თაგვავი

წისკვილს საფქვავი წავიღე,
 აუჭკიდე სამსა კატასა,
 წინ თაგვნი შემომეყარნენ,
 ჩამისხდნენ ალაგ-ალაგსა.
 ერთსა ვჰკარ, ფეხი მოეტეხე,
 მეორე აღგა ალასა.
 მესამე მემუქრებოდა,
 კიდევ დათესამ ყანასა,
 ისე მოგიჰამთ ერთიან,
 ცელს ვერ ავლებდე ჩალასა.

148.

წავალ კლდესა

წავალ კლდესა, თავს გარდვიგდებ,
 კინკველ ნათხარს გორაზედა;
 წავალ, თავსაც ჩამოვიხჩობ,
 ბოსტანში მდგარ ქონდარზედა.

149.

მკვეხარა

აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ
 და იქით გორას ძერას ვუზამ;
 აღიდებულსა დიდს მტკვარსა
 დავაყენებ და ცლაპს ვუზამ;
 ასს ლიტრა რკინას დავღეჰავ
 კევივითა და ყლაპს ვუზამ.

150.

იმისთანა შენსა მტერსა

იმისთანა შენსა მტერსა
 ჩვენში რომ დედაბერია,
 სამი ტურა შეეკაზმა,
 მესამე დათვის ბელია.

გააქან-გამოაქანა,
სოფელი შეარბენია.
ოსეთს შეიქნა ხრიალი,
კატა გადმოხტა რქიანი,
დათვი ხელთოფებიანი,
ირემი შვილდ-ისრიანი,
კურდღელი ყურცკვიტიანი,
ბერჯუმი ფერჩხუტიანი.

151.

ძერამ წაილო წიწილა

ძერამ წაილო წიწილა,
კრუხმა ვერ უყო ჩხუბია,
თუ მე ეს შენ შეგარჩინე,
ჩემი სილაჩრე ცუდია!
თავს დაიხურა ჩაჩქანი,
ვით რო ბოხოხი ქუდია,
წელს შემოირტყა ხანჯალი.
ხელში აილო შუბია.
ზევიდან ძერა მოვიდა,
ძირს გაიძართა ჩხუბია.
კრუხმა სცა ხმალნი ფრანგული,
წავიდა სისხლქს გუბეა.
ინმარეს შუბი და ფარი,
ლახტების ტკაცა-ტკუცია.
ძერამ თქვა: „წავხდი სილალით,
თვალი შემექნა ბრუდია;
მთას დამრჩინენ წვრილი ობლები,
იმათ ნალები ბუდია.
ისინი დაიზღებინან,
იმათი კანქიც ბრუნდია“.

152.

ჟ ა რ ა ნ ა

ყანაშია ყარანაო
ტურთად გასუქებულაო.

წავალ, ყარანას დავიპერ,
თოკ მოვაბამ ყელზედაო.
შევჯღები და შევაგოგებ
ამ პიტალო კლდეზედაო.
წინ კაცი შემეყრება:
„გამიცვალე ცხენზედაო“.
— ყარანას მაინც არ მოგცემ,
ორი მომცე ერთზედაო!
ამოვიღე და დავკალი
თათრის მოედანზედაო.
ფრანგული ცული გავტეხე
იმის ყელის კრაზედაო,
ფრანგული დანა გავტეხე
იმის ტყავებაზედაო.

153.

რ ვ შ ი ლ ი

წუხელი რწყილმა მიკბინა.
გათენებისა ხანსაო;
ავდექ, ავანთე სანთელი,
გაუდექ იმის კვალსაო.
გავიხედე და გასულა
აზამბურისა თავსაო,
დაუჩოქე და ვესროლე,
მოვარტყი ბეჭის ფთასაო.
ასსა ურემზე დაუდებ,
სამას უღელსა ხარსაო,
მიჰქონდეს გაჰირვებითა,
ამტვრევდეს ფერსო-ქალსაო.
ამას ქალაქში ჩავიტან
დიდი ვეზირის კარსაო,
ლიტრას აბაზად გავყიდი,
უყურე მოგებასაო!

ზღაპარ იყო

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
 კლას ჩიტი მომკვდარიყო,
 მალლა შევდე -- გამხმარიყო,
 ჩამოვიდე -- დამბალიყო;
 დიდ ქვაბში არ ეტეოდა.
 პატარაში ლალი იყო,
 ასმა კაცმა ვერ შექამა,
 ერთი კაცის ლუკმა იყო.

V

საგინგლო და გამოსაჯავრებელი

155.

ი ლ ო

ილო, ილო,
გაბერილო,
ჩაის ტილო
გარეცხილო.

156.

ო თ ა რ ი

ოთარი, ოთარი,
დამტვრეული ქოთანი.

157.

ჟ ე ნ კ ა

ჟენკა, ჟენკა,
სიმინდი აგვიკენკა.
მიეპარა ჩვენი ძალღი,
კაბა დააწეწა.

158.

თ ი ნ ი კ ო

თინიკო, თინიკო,
წუხელ თქვენსა ვინ იყო.
ლოთები, ლოთებღ,
დაგიმტვრიეს ბოთლებღ.

159.

კ ო ლ ა

კოლა, კოლა,
კიტრის ტოლა,
შაკმანხული
ვირის ტოლა.

160.

ი ვ ა ნ ე

ივანე, ივანე,
ქალაქს დაიგვიანე,
ერთი თევზი მოგქონდა,
ისიც დააქიანე,
დაჯექ და იღრიალე.

161.,

კ ო წ ი ა

კოწია, კოწია,
პაპიროსი მოსწია.
მამამისმა გაუგო
და ყურები მოსწია.

162.

რ ე ზ ო

რეზო, რეზო,
მოირბინე ეზო,
შენი სასმელ-საქმელი
ძალღებმა შესვლიპესო.

163.

ზ ა ჭ ა რ ი ა და კ ვ ი რ ი ა

ზაქარია და კვირია,
რათ დაგილიათ პირია?

თფილი კადი ვერ გიზონე,
ციგმა მოგკვეთა კბილია,
სამმა ქოთანმა მაწონმა,
ვერ გაგისოვლათ პირია.

164.

გლახა, გლახა

გლახა, გლახა,
დუჟულია ხახა.
ქამა დიდი შეუძლია,
მუშაობა არა.

165.

ვაჟო ეგ შენი ძეგარო

ვაჟო ეგ შენი ქებაო
არა ვსთქვა, არ იქნებაო.
პურის კამაზე მარდი ხარ,
საქმეზე წელი გწყდებაო.

166.

რ ი ჟ ა

რიჟა, რიჟა!
ფაიტონში იჯდა,
ფაიტვნიდან გადმოვარდა,
თავი გაიტყლიჟა.

167.

ხოტორ-ხოტორ

ხოტორ-ხოტორ ხრიკა,
ყვავი ნიგოზს ყრიდა,
ყვავო ერთი გადმომიგდე,
ლობიოსთვინ მინდა.

168.

ქ ა ჩ ა ლ ი

ქაჩალი მიდის მთასა,
მიარახუნებს თავსა,
ბუნებო ჩამოეხსენით,
თორემ მოიკლავს თავსა.

169.

ქ ა ჩ ა ლ , ქ ა ჩ ა ლ ქ ე ტ ი

ქაჩალ, ქაჩალ ქეცი;
გაიქეც კედელს ეცი,
შენი წამალი არის
გახურებული ქეცი.

170.

ს ვ ი მ ო ნ ა ს და გ ი გ ო ლ ა ს ა

სვიმონას და გიგოლასა
თავი მიუგავთ ქილასა,
ორი რწყილი ასულა,
იქ იკეთებენ ბინასა.
ფეხი ვერსად მოიკიდეს,
გადმოდიოდნენ ყირასა.

171.

ცხვირა, ცხვირა,
ღმერთმა შეგარცხვინა.

172.

ტ ი რ ი ა ს ა ბ ა ნ ი

ტირიასა ბანი,
ერთი გობი ფხალი.

მტირალა

მტირალა, მტირალა,
 ღორებს ჩამოგილაღამ;
 თუ ღორები არ გინდა,
 ძალლებს ჩამოგილაღამ;
 თუ ძალლებიც არ გინდა,
 კატებს ჩამოგილაღამ;
 თუ კატებიც არ გინდა,
 ვირებს ჩამოგილაღამ.

გამოვიარე წინუბანს,
 ვირი ეკალზე მიუბამთ,
 იმათი ნურა გინდათ რა,
 ცხვირ-პირი ეშმაკთ მიუგავთ:
 გამოვიარე სვირსაო,
 ნონე უკრავდა სტვირსაო,
 პატრონი მგლოვიარეა,
 ბიჭო, ნუ უკრამ სტვირსაო.
 გამოვიარე კლდესაო,
 ახალშენს ხარშეენ ვირსაო,
 ლობეეთ გააცივესა,
 ონლორას ისე შესქამეს,
 წვენი არ დააქციესა.
 ავიარე ბნელასაო,
 თოფი ვესროლე მელასაო,
 სოფლის ბოლოს რო გავედი
 კაცი მოეკლა ჩხვერასაო.
 ავიარე დადეშასაო,
 რა კაი აღათი ჰქონიათ,
 გვერდით მისმენ დადესაო.
 გავიარე ნიჯგორსაო,
 ფაშა იჯდა დიდ ჯორსაო.
 ავიარე საროსაო,
 დათვი ძვრება სოროსაო.
 გავიარე ტოლო-როკეთსა,

ქალი კრებს ჩინჩხვარსაო.
ავიარე აძვეიტასა,
კურდღელი ყურს აცქვიტამსა.
ავიარე ტლობსაო,
წისქვილი უბრუნს ბოლოსაო.
ავიარე ხერთვისსაო,
იქ ორი წყალი ერთვისაო.
ავიარე ჩუნჩხასაო,
ბებერი ჰკრეფს ჩინჩხვარსაო.
ავიარე კვარშასაო,
ვირს ეძახიან ფაშასაო.
ავიარე მგელსუნდასა
მათი ცხვარი მგელს უნდასა.
ავიარე ფიასაო,
ქალნი ჰკრებენ ბიასაო.
ავიარე ქილდასაო
ვირს ეძახიან ქირვასაო.
ავიარე ხანდოსაო,
ხან მაწონს ვქამ, ხან დოსაო.

175.

სვიმრჯაღაშის ომიო.

სვიმონელების ომიო
ტყემალი და ლომიო;
სვირელების „ხაზინაო“
ოდელა და პრასინაო.
წვევლების ლხინიო—
ქონდარი და თხილიო;
ისიც რო გამეფეფათ,
დეერეფათ ჭირიო.

176.

კეკელო და მართა,
ჩხუბი გაიმართა,
ძიგი, ძიგი მამალო,
შენ იცი და მაგანო-

178.

მშია, მშია,
კატა მქვია,
რომ გაეძღები,
როსტომ მქვია.

179.

როცა გშია ზაქარია,
ცივი მკადიცი ზაქარია.

180.

ღმერთმა მოგცეს ბატის ტვინი
ინდაურის გონება,
ერთ კვირაში შეგეკამოს
მამაშენის ქონება.

181.

ცი, ცი, ცი,
ლექსი არ ვიცი,
მოდო მასწავლებლო,
ყური ამიწი!

VI

გ ა თ ვ ლ ა

182.

ყ ლ უ ფ .

იწილო,
ბიწილო,
შროშანო,
გერიტინო,
ალხო,
მალხო,
ჩიტმა გნახოს,
შენი ფესვი,
ფესვმადური,
აბდა,
უბდა,
გადასკუბდა,
ნეფე ჩაჯდა,
კურკა ახტა,
წალესა,
წაპულესა,
გადგა ესა.

183.

დო ლ , დო ლ ბაია -

დო ლ , დო ლ ბაია,
ახჩა, ბახჩა ჩაიარ,
თევზი მითალ. მოთალა,
ყალა ქოჩი, ქოთანა,
ქოთანს ძირი გავარდა,
მანუნი დაიღვარა.

კომში, კომში, კომარა

კომში, კომში, კომარა,
 კომში გადმომიყარა,
 თინამ დაკლა ქათამი,
 არ მაჭამა ბარკალი.
 ხალხო იმას გაუწყვიტე
 წიწილა და ქათამი.

185.

კომში, კომში, კომარა

კომში, კომში, კომარა,
 კომში გადმომიყარა,
 დობილმა სთქვა: მართალია,
 წიწილო და ქათამა

186.

წითელი ვაზლი ვის უნდა.

წითელი ვაზლი ვის უნდა,
 შენ თუ მე?
 შენ დაიხუტე-

187.

ბრინჯი, ბრინჯი ღამითა

ბრინჯი, ბრინჯი დავითა,
 კოხტა ქალი წაიქცა,
 უნდა ერთი მეკოცნა,
 წამოხტა და გაიქცა.

188.

ანანა, მანანა.

ანანა, მანანა,
 თინათი, თამარა,
 ლოლე, კყორე,
 მათეს ცოლე,

ელიფე-მელიფე,
ჩიტი მალალურიფხე,
ვაშკარაფე—ვარვარაფე,
თეთრი ქალი ღვირლილაფე,
არ მომიკვდეს მარინე,
ალარ მქონდეს მარილი.

თამაშობანი

189.

„არა თითი, მარა თითი“

ერთი ხელის თითები მომწყვედელია მეორე ხელში ისე, რომ მხოლოდ თითების ბოლოები სჩანან. ამომცნობელს ეუბნებიან: „არა თითი, მარა თითი, რომელია შუა თითი?“

ამომცნობელმა უნდა ამოარჩიოს მუკში მომწყვედელ თითებიდან შუა თითი.

190.

ქმრა-ქმრა

ერთ ბავშვს კრუხად აირჩევენ, რომელსაც უკან მიბმული ყავს „წიწილები“. მეორე ბავშვი ძერაა და ცდილობს „წიწილების“ მოტაცებას. კრუხი დაკუზული ქეჭავს მიწას და ძერას ეკითხება:

— ძერა, ძერა რას აკეთებ?

ძერა:—წინდის ჩხირსა!

— წინდის ჩხირი რად გინდა?

— წინდას მოვქსოვ!

— წინდა რად გინდა?

— შვილს ჩავაცმევ!

— შვილი რად გინდა?

— წყალს მომიტანს!

— წყალი რად გინდა?

— კომს მოვზილავ.

უკანასკნელ სიტყვებთან ერთად ხელზე გაშლილი ძერა წამოხტება ფეხზე წიწილების მოსატაცებლად. კრუხი წინააღმდეგობას უწევს. იმართება ხელჩართული ბრძოლა.

191.

ჩაძუძულა

ჩამდენიმეჯერ გათელის შემდეგ, ვინც ზეზე დარჩება, ის არის „ძალი“, რომელსაც ჩაქუჭული ბავშვები ხან ფეხზე ადგომით, ხან ჩა-

ქუჩით (ე. ი. დაკუზული) აღიზიანებენ: „შენ ძალი ხარ, შენ ძალი ხარ...“. „ძალი ცდილობს მათ დაქერას. ვისაც დაიჭერს, ის არის „ძალი“, შემდეგ ჰოთამაშენი მას აღიზიანებენ, და ა. შ.

192.

სალიკ-შალიკ

მოგროვდება რამოდენიმე ბავშვი; მათი რიცხვი უნდა იყოს წყვილი. აირჩევენ ორ დედას. ბავშვები წყვილ-წყვილად მივლენ დედებთან და ეკითხებიან, თუ რომელი ქალაქი უნდა თითო მათგანს (მათ დედების ჩუმად მიკუთვნილი აქვთ ორი სხვადასხვა ქალაქის სახელი). ამგვარად მოთამაშეები იყოფა ორ ჯგუფად. ამის შემდეგ დედებიდან ერთი გაშლილ ხელს იჩემებს, მეორე—მუშტს. ბავშვებმა არ იციან, რომელი გაშლილი ხელია და რომელი მუშტი. ცალკე გაყვანილი ბავშვი რომელ ხელსაც ამოირჩევს, იმ სახელის დედის ბავშვების ჯგუფი ჩადის წინასწარ მოხაზულ წრეში და დარბიან. დედაც მათთან არის. გამოდის მოპირდაპირე ჯგუფის ბავშვი და ასკინკილით ჩაივლის წრეში. ვისაც შეეხება, ის დაჭრილად ითვლება, ამიტომ გაურბიან. დაღლილობის დროს ერთი მეორეს ეცვლებიან, ვიდრე არ დაცალიერდება მთელი ჯგუფი. ვისი ჯგუფიც პირველად დაცალიერდება, ის წაგებულია.

193.

ჟულ მაჰარაოგა

რიგრიგობით წახრილნი განსაზღვრული ადგილიდან თეხებს შორის გაისვრიან ქულებს. ყველა ცდილობს ქუდი შორს გადააგდოს. დანიშნული ადგილიდან ვისი ქუდიც ყველაზე ახლოს იქნება, ის თავის ქუდს დადებს მიწაზე და იცავს ბავშვების შემოტევისაგან; ეს უკანასკნელნი კი ცდილობენ, ქუდს წიხლი¹ ამოკრან და გადააგდონ ისე, რომ ქუდის პატრონმა ტანზე ხელი არ შეახოს; წინააღმდეგ შემთხვევაში „დაჭრილი“ დაიკავენს პირველის ადგილს. თუ ქუდის პატრონი ერთერთ მოთამაშეთაგანს დაედევნა და ქუდი დასტოვა (ქუდი სულ ერთ ალაგას დევს), დანარჩენები ცდილობენ პაშინივე „გაწიხლონ“ ქუდი, ვინაიდან თუ ქუდის პატრონმა გაქცეული,

¹ ერთხელ წიხლამოკრული ქუდი მეორედ აღარ „გაიწიხლება“, ვიდრე მისი პატრონი ხელახლა თავის ადგილს არ დადებს ქუდს.

ქუდის „გაწიხლამდე“ „დასკრა“, ახლა ამ უკანასკნელმა უნდა დადოს ქუდი და თუ ქუდი უფრო ადრე „გაიწიხლა“, სანამ პატრონი ხელს შეახებდა გაქცეულს, მაშინ თამაშს ისევ პირველი აგრძელებს. თუ რომელიმე მოთამაშეთაგანი ჩამოწვა და ისე ამოკრა ქუდს ფეხი, ქუდის პატრონმა გინდა „დასკრას“ კიდევ, არ ითვლება, რადგან მხოლოდ და მხოლოდ ფეხზე ნადგომი მოთამაშე უნდა „დაიკრას“.

194.

ჯართად მოვლა

ბავშვები ფეხებს შორის ისერიან ქუდებს. დამარცხებული იმგვარადვე, როგორც ქუდმაურაობაში მოუვლის „ჯართას“. ქუდების გასროლის შემდეგ ბავშვები ახლო-ახლო მჭიდროდ ჩამომსხდარნი აკეთებენ წრეს. ის ბავშვი, ვისი ქუდიც ყველაზე ახლოს დავარდა, ქუდით ხელში უვლის „ჯართ“ (ბავშვებს). ბავშვებს უფლება არა აქვთ უკან ცქერის. ქუდის პატრონი ერთერთ მოთამაშეთაგანს ჩუმად უდებს ქუდს უკან—მიწაზე. თუ მოთამაშემ გაიგო ქუდის დადება, წამოხტება, ამოკრავს ქუდს ფეხს და საჩქაროდ შემოურბენს ჩამომსხდარ მოთამაშეებს; ქუდის პატრონი კი გარბის „გაწიხლული“ ქუდის მიმართულებით, დასტაცებს ქუდს ხელს და ისერის ჩამომსხდარი ბავშვების მიმართულებით. თუ „გამწიხლავმა“ მოასწრო, შემოუარა ბავშვებს და დაჯდა თავის ადგილას, სანამ გამოსროლილი ქუდი ბავშვებთან მოვა, მაშინ „ჯართ“ ისევ პირველი უვლის; წინააღმდეგ შემთხვევაში კი თითონ უნდა მოუაროს თავისი ქუდით. არის შემთხვევა, როცა „ჯართ“ მომვლელი დაუდებს ქუდს რომელიმე ბავშვს და ეს უკანასკნელი ვერ გაიგებს. მაშინ ქუდის პატრონი შემოუვლის ირგვლივ ბავშვებს, მივა თავის ქუდთან და აიღებს. ახლა „ჯართ“ „დაძინებული“ შემოუვლის თავისი ქუდით.

195.

ტამფაოვა

ტამფა თავ-ბოლო გადახერხილი მორგვალეული ხეა; სიგრძით დაახლოვებით ოთხი გოჯი. ამოხტიანი მიწას, ჩააგდებენ შიგ ქვას, ქვაზე დააყენებენ ტამფას. მოხაზავენ წრეს. აქვთ თითო მეტრიანი ჯოხები იმდენი, რამდენიც ბავშვია. ერთი დადგება წრეში და ჯოხებს. თავზე გადაისერის უკან. რომელი ჯოხიც წრისა და ტამფის ახლოს დავარდება, მისი პატრონი დგება ტამფის დარაჯად. ხელში უჭირავს ტენგა. სხვები წაეღენ წრიდან იმდენი ნაბიჯის მო-

შორებით, რამდენიც მოთამაშეა. მორიგეობით ისერიან ჯოხს ტამფისაკენ; თუ ჯოხი ტამფას მოხვდა, ჯოხის პატრონი ჯოხისაკენ მირბის, ტამფის დამცველი—ტამფისაკენ; გადმოისერის ტამფას წრისაკენ; წრეში თუ მოთავსდა ტამფა და ჯოხის მსროლელმა ვერ მიასწრო წრეში, მაშინ მცველი, ჯოხის პატრონს ესერის ტენგას. თუ მოარტყა თავისუფლდება მცველობისაგან და მის ალაგს იკერს ის, ვისაც ტენგა მოხვდა; თუ ვერ მოახვედრა ტენგა, მაშინ ისევ თითონ რჩება მცველად.

196.

ხელსახოცით თამაში

ხელსახოცს გამონასქეავენ მათრახის მსგავსად. გააკეთებენ წრეს. ერთს ხელში უჭირავს ხელსახოცი, დანარჩენებს უკან აქვთ ხელები დაწყობილი. ხელსახოციანი უელის წრეს და ჩუმად გადასცემს რომელიმეს, ის მის გვერდით მყოფს დაარტყამს მაგრად. დარტყმული მოთამაშე გარბის, უნდა შემოუაროს წრეს და მიასწროს თავის ადგილზე. ხელსახოციანი მისდევს და თუ დაეწია, სცემს.

197.

წყვილი კაკლებით თამაში

რამოდენიმე ბავშვი ამოირჩევს ერთი კვადრატული მეტრის ოდენა ვაკე ადგილს. თამაში იწყება ოთხი კაკლით. პირველი მოთამაშე ხელის გულზე დაილაგებს კაკლებს და მიწიდან ერთი მტკაველის დაშორებით ხელს ჰაერში შემოატრიალებს. კაკლები გაიშლება ვაკე ადგილზე. მოთამაშემ უნდა ეცადოს კაკლები მიწაზე დავარდნის დროს ერთმანეთს არ შეეხოს; არც ის ვარგა, თუ ერთი მეორისაგან ძალიან დაშორებით დაეარდნენ, რადგან მოთამაშეს უძნელდება წყვილების ერთმანეთზე გარტყმა. თუ კაკლები ისე ახლოს დაეარდნენ ერთი მეორესთან, რომ არც ეხებიან ერთი მეორეს, მაგრამ არც გარტყმა შეიძლება, იმ შემთხვევაში მოთამაშე მათ შორის ატარებს ნეკს. თუ კაკლები შეანძრია ნეკის გატარების დროს, სწყვეტს თამაშს და იწყებს შემდეგი მოთამაშე. თამაშს სწყვეტს მაშინაც, თუ კაკლები ძირს დაცვენის დროს ერთმანეთს მოხვდა, ან გაშლილი კაკლები გარტყმის დროს ვერ მოახვედრა. თუ რომელიმე მოთამაშე შეასრულებს ყველა პირობას, ის ილაგებს ხელის გულზე ყველა მოთამაშის კაკლებს და ხელის ჰაერში შემოატრიალებით ძირს

დაყრის. ასრულებს თამაშს იმავე წესით: კაკლები არ უნდა შეეხონ ერთი მეორეს და უნდა მოარტყას ყველა წყვილებს. ამ შემთხვევაში ის მოგებული რჩება.

198.

კენტი კაკლებით თამაში

თამაშობენ სამ-სამი კაკლით. კაკლების მიწაზე დაცვენის დროს მოთამაშეს არ აქვს უფლება, აილოს თავისი კენტი კაკალი. კაკალს იღებს მოთამაშის გვერდით მყოფი მოწინააღმდეგე ამხანაგი, რომელიც ცდილობს კაკლის ისე ალებას, რომ მოთამაშემ ააცდინოს, თითოეული მოთამაშე ამით არის დაინტერესებული. თამაშის პირობაა, კაკლები ერთმანეთს მოარტყან და ლუწი არ მოვიდეს. ვინც შეასრულებს ამ პირობას, ის თამაშობს ყველა მოთამაშის კაკლებით. თუ შეასრულა ყველა კაკლებით იგივე პირობა, მიიღებს ყველა მოთამაშის კაკლებს. თუ არა, მაშინ თამაშს აგრძელებს მის გვერდით მყოფი და ა. შ.

199.

კაკლებით თამაში

ამოირჩევენ თორმეტი ნაბიჯის სიგრძის სწორად დაქანებულ ადგილს. მოთამაშენი წინასწარ სდებენ პირობას, თუ რამდენი წყვილით ითამაშონ. თუ ბევრი თამაშობს, თითო წყვილათ თამაშობენ; თუ ორი ან სამი ბავშვი, მაშინ—ორ-ორი ან სამ-სამი წყვილით. მოთამაშეების კაკლები დამწკვრივებულია ერთმანეთის პირდაპირ ორ-ორი ნაბიჯის მანძილის დაშორებით.

პირველი წყვილიდან გადათვლიან სამ ან ოთხ ნაბიჯის მანძილს. ბოლო წერტილში სდებენ ნიშანს. დამწკვები ნიშანთან სდებს ჯილა კაკალს და ცერი თითის ფრჩხილის ამოკვრით ესვრის პირველ წყვილს; თუ მოარტყა, დაუმიზნებს მეორე წყვილს და ა. შ.; თუ პირველადვე ააცდინა, თამაშს აგრძელებს შემდეგი მოთამაშე იმ ადგილიდან, სადაც გაჩერდა კაკალი; თუ მოთამაშემ ყველა წყვილს მოახვედრა, აიღებს მოგებულ წყვილებს და ჩამოუვლის მოსარტყმელად ყველა მოთამაშის ჯილა კაკალს. თუ ყველას მოარტყა, ერთის გარდა, მაშინ გაურტყმელ ჯილა კაკლის პატრონი ესვრის მოგებულის ჯილას, თუ გაარტყა, მოგებული კაკლები მას მიაქვს და საბოლოოდ მოგებული რჩება.

კაკლებით თამაში

ამოთხრიან ორმოს, რომელშიაც უნდა ეტეოდეს თორმეტი კაკალი. კენჭის ყრით არჩეული ბავშვი დაჯდება ორმოსთან „კრუხად“. დანარჩენები-კი მორიგეობით იწყებენ თამაშს. პირველი დაიგროვებს ხელში კაკლებს, რამდენიც მას სურს და განსაზღვრული მანძილიდან გადმოყრის კაკლებს ორმოში ჩასაყრელად. თუ ყველა კაკალი ჩაცვივდა ორმოში, „კრუხად“ მჯდომი ბავშვი თავის ჯიბიდან ჩაყრის კაკლებს იმდენს, რამდენიც მოთამაშე ბავშვმა ჩაყარა ორმოში. „კრუხად“ ჯდება ის ბავშვი, რომელმაც კაკლები ჩაყარა ორმოში. „კრუხად“ ნამყოფი-კი აგრძელებს თამაშს. მორიგეობით თამაშობენ. თუ ორმოში ჩაცვივდა კაკლები კენტი რიცხვით, „კრუხი“ ამოიღებს. თუ წყვილად ჩაცვივდა და კენტი მალლა დარჩა, მაშინ მოთამაშეს „კრუხი“ აძლევს იმდენ კაკალს, რამდენიც ორმოში ჩაცვივდა. „კრუხი“ ისევ გამოიცივლება და მის მაგივრად ჯდება მოგებულ ბავშვი. თამაში გრძელდება მანამ, სანამ რომელიმე ბავშვი არ მოიგებს ყველა მოთამაშის კაკლებს.

ჩხირზე გადახტომა

შეიკრიბება მოთამაშეთა ორი ჯგუფი. თითოეულ ჯგუფს ჰყავს არჩეული დედა. განსაზღვრულია ორმოცნობიანი მანძილი. დაარკობენ მოგრძო ჩხირს და მის გვერდით გაშლიან ქამარს. კენჭის ყრის შემდეგ ერთ-ერთი ჯგუფის წევრი იწყებს თამაშს. თითოეული წევრი სირბილით სამჯერ უნდა გადახტეს ქამარზე ფეხის დარტყმით, გადაზონილი მანძილის მიმართულებით. მოთამაშემ თუ სამივე გადახტომის დროს ააცდინა ფეხი ქამარს, შემდეგ მას აღარ აქვს გადახტომის ნება. მის მანძილს აგრძელებს იმავე ჯგუფის წევრი. როდესაც ჯგუფის მთელი შემადგენლობა გაათავებს გადახტომას, დედა ნიშნავს თავისი შეიღების ნახტომ მანძილს. შემდეგ იწყებს თამაშს მეორე ჯგუფი. ასე ხტებიან მორიგეობით ორივე ჯგუფის წევრები, ვიდრე ერთი მათგანი არ შეასრულებს გადახტომილ მანძილს და არ გაიმარჯვებს. დამარცხებული ჯგუფის თითოეულმა წევრმა უნდა კივილით გაირბინოს გამარჯვებული ჯგუფის დედის მიერ განსაზღვრული მანძილი ამოუსუნთქავად. თუ მარბენალმა ბოლომდე ვერ

შესძლო გარბენა, სადაც ამოისუნთქავს და გასწყვეტს კივილს, იმ ადგილიდან შეისევამს ზურგზე თავის მოპირდაპირეს და მიყავს დანიშნულ ადგილამდე. ასეთი წესით ასრულებს ორივე ჯგუფი წინასწარ დადებულ პირობას.

202.

თვალსუხუღა

გათელის შემდეგ ვინც დარჩება, ის დახუქავს თვალებს; დანარჩენები იმალებიან. თვალდახუქული გაახელს თვალებს და ვისაც პირველად მოძებნის, დაუყვირებს: „ფუუ დაგინახე!“ თანაც დანიშნულ ალაგს დააფურთხებს. შემდეგ ის ხუქავს თვალებს, ვინც პირველად მოსძებნეს და ასე გრძელდება თამაში.

203.

მ ა ლ უ ლ ო ბ ი ა

დედად არჩეული ბავშვი გათელის. ვისაც შეხვდება გათელის უკანასკნელი სიტყვა, მას თვალებს აუხვევენ. დანარჩენები სხვადასხვა ალაგას იმალებიან. რამოდენიმე წუთის შემდეგ თვალახვეული აფრთხილებს დამალულებს და იძახის „მოვდივარო“. თუ არავინ გამოეძახა, აიხსნის თვალებს და იწყებს მათ ძებნას. უნდა მონახოს თვითელი მათგანი, მიასწროს დანიშნულ ალაგას, სამჯერ დაჰკრას ხელი და დაიძახოს „გჩეკი“. თუ ყველას მიმართ შეასრულა ეს პირობა, თვალებს იხვევს ის, ვინც პირველად „ჩეკა“, ე. ი. დაინახა და მიასწრო დანიშნულ ალაგას. თუ ვერც ერთი ვერ მონახა, ან მონახა, მაგრამ ვერ მიასწრო დანიშნულ ალაგას ე. ი. ვერ „ჩეკა“, თვალები ისევ მან უნდა აიხვიოს და ისევ იწყება თამაში.

204.

მალულობი

რამდენიმე ბავშვი შეგროვდება ერთად. ამოირჩევენ ერთ უფროს ყმაწვილს, რომელსაც „დედას“ უწოდებენ. „დედა“ დაჯდება მალლობ ალაგას, ყმაწვილებს გარს შემოისხამს, რომლებმაც თითო ხელი ყველამ მუხლზე უნდა დაუწყონ „დედას“, ცალი ხელი კი უკან დამალონ.

შემდეგ „დედა“ გადაავლებს თვალს ყმაწვილების თითებს და როდესაც შეამჩნევს ნაკლებს, ჰკითხავს თვითელად:

— მეორე ხელი რა უყავი?

— მგელმა მომკამა, — მიუგებს ყმაწვილი.

— მოკმული რა უყავი?

— აგერ მაქვს, მიუგებს ყმაწვილი და თან მეორე დამალულ ხელსაც გამოაჩენს და „ღედას“ მუხლზე დააწყო. ასე ჰკითხავს თვითვეულ შოთამაშე ყმაწვილს. შემდეგ როდესაც ყველა შოთამაშე ყმაწვილების ხელები სრულიად „ღედას“ მუხლზედ იქნება დაწყოილი — „ღედა“ დაიწყებს ერთის ყმაწვილის ხელიდგან და თვითვეულის ხელზე დადების დროს ამბობს თვითვეულს სიტყვას შემდეგი ლექსისას:

„აწილია, მაწილია,

შროშანია, გვრიტინია,

ალხოს, მალხოს,

ჩიტმა გნახოს,

გადაჯექი, გადმოჯექი

სკუპ და რიკ...“ ვისაც შეხვდება სიტყვა „რიკ“, ის,

უნდა დაიმალოს და სხვებმა კი უნდა ეძიონ.

ამ ლექსის გათავების შემდეგ, თვითვეული ყმაწვილი უღებს თავს „ღედას“ კალთაში. „ღედა“ ახალუხის ან ჩოხის კალთას გადაათარებს მათ თავზე, რომ არ გამოიხედონ და ერთი რომელსაც სიტყვა „რიკ“ შეხვდა, იმალება. ყველა დროს თვითვეული ყმაწვილი გულმოდგინედ სცდილობს, იმისთანა ადგილი აირჩიოს დასამალავად, რომ დანარჩენებმა ყმაწვილებმა ვერ მიაგნონ, და ან თუ მიაგნონ, ძალიან გვიან. შემდეგ „ღედა“ აუხელს თვალებს ყმაწვილებს და გაუშვებს დამალულის ყმაწვილის საძებრად. თვითონ კი ხან იქით გარბის, ხან აქეთ და თან ამბობს:

„სადა იყო ფრთხილად იყავ,

ყური არ გაათაჩუნო...“ როდესაც „ღედა“ შეამჩ-

ნევს, რომ ყმაწვილები უახლოვდებიან იმ ადგილს, სადაც დამალულია ერთი ყმაწვილი, აფრთხილებს და თან ურჩევს:

აწ გამოსვლა სჯობს დამალვას,

გამოხტენი, გამოხტენი...“ ამ სიტყვებზედ დამალუ-

ლი ყმაწვილი გამოხტება საფარულიდან, ჯიქურ შემოუტევს „ღედას“ და ცდილობს მოასწროს ხელის მოკიდება, თორემ თუ მაძებარმა ყმაწვილებმა ნახეს იმ დროს, იქამდინ სცემენ, თუ ფეხით, თუ გამოკრულ ხელსახოცით, მინამ ღედასთან არ მივა და ხელს არ მოჰკიდებს, თუ „ღედის“ ხელის მოკიდება მოასწრო, მაშინ ცემას გადაარჩება. ამგვარად თავდება ეს თამაში და ძლიერ გავრცელებულიც არის ზემო იმერეთში.

ფ უ ც ე ც ო ბ ა

ამ თამაშობით იქცევენ თავს როგორც პატარა ყმაწვილები, ისე დიდებიც. ზამთრობით, როდესაც დიდი ღამეებია, შემოუსხდებიან გარშემო სოფლურს, ეგრეთწოდებულს „შუა ცეცხლს“, მოუკიდებენ ცეცხლს პატარა ფიჭვის ან სხვა ხის ჯოხს, დაიკავენ ერთი ხელში და ამბობს შემდეგ სიტყვებს:

— „აფუცეცი, რა ფუცეცი,
ქალას მორბოდა ხუცესი:
ვისიც ხელში ეს დაიფსეს.

სამი ჯილი მის კიკრში“. ერთი იტყვის ამ სიტყვებს და მოკიდებულს ჯოხს მეორეს გადასცემს. მეორემაც ამგვარად უნდა გაიმეორეს ეს სიტყვები და შემდეგ გადასცეს და თუ ამ სიტყვების განმეორების დროს მოკიდებული ჯოხი გაქრა, მაშინ ყველა თამაშობაში მონაწილე ყმაწვილები სამ-სამ ჯილს ჩაჰკრავენ თავში იმას, ვისიც ხელში ჯოხი გაქრება.

ქ ო რ ო ბ ი ა

ამ თამაშობაში ყმაწვილები ჰბაძავენ ფრინველებს. რამოდენიმე ყმაწვილი ამოირჩევს ერთს უფროს ყმაწვილს და დააყენებს „კრუხად“ ანუ „დედად“. შემდეგ ამოირჩევენ „ქორად“ ისეთ ყმაწვილს, რომელიც სისწრაფით და სიცელქით ყველას აკარბებს. ქორი შეაგროვებს რამოდენსამე ჩხირს ერთს ალაგას და ზედ დააჯდება, თითქო ბუდეს იკეთებს თავისთვის.

მოდის კრუხი თავის წიწილებით, რომელნიც ერთმანეთზე არიან გრძლად გადაბმულნი და ჰკითხავს ქორს:

— ქორო გძინავს თუ არა?

— არცა მძინავს, არც თვალი მიხუჭია. კიდევ ჰკითხავს დრო გამოშვებით:

— ქორო გძინავს თუ არა?

— არცა მძინავს, არც თვალი მიხუჭია!.. მიუგებს ქორი. ამნაირად გაუმეორებს რამდენჯერმე კრუხი და შემდეგ შოტყუებით ეუბნება:

— ქორო, გაიხედე ემანდ მინდორზედ რამდენი წიწილებია? ქორი ვითომ ტყუვდება და გარბის მინდვრებისკენ, მაგრამ ვერას კპოულობს. ამ დროს კრუხი წაიღებს ქორის მოტანილ ჯოხებს, წიწილებსაც თან წაიყვანს და მიდის თავის ბინაზედ. მოტყუებული ქორი მოდის, ბუდეს დანგრეულს კპოულობს, ხერხს იგონებს და მიდის კრუხთან.

— კრუხო ჩვენმა ბატონმა შემოგითვალა, წიწილა გამომიგზავნე დღესაო!

— არც ის და არც თქვენ არ მომიკვდეთ, წიწილები ერთიც არა მყავდეს.

— როგორ არა გყავს, აბა დაუძახე.

— წია, წია, წია,—დაუძახებს კრუხი.

— ქუ, ქუ, ქუ, მისცემენ ხმას წიწილები.

— მაშ ეს რა არის?

კრუხი რას იზამს, აძლევს წიწილის მაგიერ ერთ ჩხირს მისი ბუდისას და ქორიც დაკმაყოფილებული მიდის. შემდეგ კიდევ მოდის და სთხოვს წიწილას. ამგვარად განიმეორებს იქამდის, სანამ თავის ბუდის ჩხირებს არ დასტყუებს კრუხსა. შემდეგ ნამდვილ წიწილებსაც მოსთხოვს და წაართმევს კიდევაც. წარამეულ წიწილებს ქორი— ყმაწვილი ერთს მივარდნილ ალაგას დაჰმალავს და თვითონ წავა ამბის შესატყობლად, თუ რა დაემართა იმ ბედკრულ კრუხს, რომელსაც ამოდენა წიწილები წაართვა. მიდის გზაში და ჰხედავს, რომ მინდორში დამჯდარა ეს კრუხი და ცხარე ცრემლითა სტირის.

— შეილო კაკიაო!

— რა გატირებს, ბებერო? ჰკითხავს ქორი.

— ვაი, შეილო, როგორ რა მატირებს; ერთის შვილის მეტი არ გამაჩნდა, ის იყო ჩემი მსმეველ-მკმეველი, ჩემი ავი და ჩემი კარგი, ისიც ქორმა წამართვა და ვარ ასე უბედურად.

— რა ერქვა შენს შვილს?

აქ კრუხი—ყმაწვილი სახელს ერყვის თავის წიწილისას და ქორიც მაშინვე წავა და ფეხებ აკანქულებულს კრუხს მიუყვანს თავის წიწილს. აქ დიდი სიყვარულით გადაეხვევა „დედა“ შვილს და შემდეგ ჰკითხავს:

— სად იყავი, შეილო?

— წისქვილში.

— რა გეგო ქვეშ, ან ზედ რა გეხურა?

— ქვეშ თივა მეგო და თავით ცივი ქვა მედო, დედილო.

— რალას გაქმევდენ, შეილო?

— ჩვენი საქმელი დედი, იყო „ქათამ კორკოტი“.

— ვაი შვილო, შენ მაგას როდის იყავი შეჩვეული, შენი მტერი „გასკდა ბოლომდი“,—მოდი, შვილო, აგერ მომიჯექ გვერდით. მიიღებს ერთ წიწილს და შემდეგ შეუდგება ისევ ტირილს იმავე სიტყვებით, როგორც ზევით მოვიხსენიეთ. ქორიცი იმ გვარადვე მოუყვანს ყველა წიწილებს და შემდეგ ერთად ერთის სიხარულით და პატივისცემით უხდინან მადლს მათ დამხსნელ ქორს და ამგვარად რჩება ქორი გამარჯვებული და კრუხი დამარცხებული.

207.

მელორობა

რამდენიმე ბავშვი შეიკრიბება ერთად. რაც ბევრი იქნებიან— მით უკეთესი. ამოირჩევენ ვაკე გაშლილ ადგილს. ყველა ბავშვი სათითაოდ დაიმზადებს ჯოხს, სიგრძით არწინანხვერიანს. ერთ ადგილას მოსჩიქნიან ჯამის პირის ოდენა ორმოს—„სალორეს“: სალორეში ჩააგდებენ კვერცხის ოდენა მრგვალს ხის ნაქერს—„ლორს“. ღორის საყარაულოდ დააყენებენ კენჭით ამორჩეულს ბავშვს „მელორეს“, რომელსაც ჯოხი აქვს. დანარჩენი ბავშვები „მელორეს“ ირგვლივ შემოერთყმიან, სალორიდან სამი-ოთხი ნაბიჯის მანძილზედ— (მანძილი ბავშვების რაოდენობაზეა დამოკიდებული) და ყველა თავისთვის საკუთარ ორმოს—„ბინას“ ამოითხრის სალორის მაგივრად. ყველას ჯოხები აქვთ, ჯოხის ერთი ბოლო ხელში უჭირავთ და მეორე ბოლო კი საკუთარს ორმოში ანუ ბინაში აქვთ ჩადებული. თვით თამაშობა აი რაშია: „მელორე“ დაიძახებს „ჯერიო“. და მაშინვე წრიდან გადმოხტება ერთი ბავშვი, რომელიც სხვაზედ უფრო მარდია და გამბედავი, დაეცემა მელორეს და ეცდება ჯოხის ერთხელ ან ორჯელ შემორტყმით „ლორი სალორიდან გადმოაგდოს“. „მელორე“ არ უთმობს, ჯოხითვე იმაგრებს „ლორს“ და თანვე იმასა ცდილობს, რომ როგორმე დაიჭიროს იმისი ორმო, ვინც ამას ღორს ართმევს. ამგვარად „მელორე“ ორ ცეცხლს შუაა: თან ცდილობს ღორი არავის მოატაცებინოს და თან სხვის ორმოს დაქერაც უნდა. თუ ამან მოასწრო და მებრძოლის ორმოში ჩაყო თავისი ჯოხი, მაშინ ეს უკანასკნელი ნაჯობნია, ამან უნდა დასტოვოს თავისი ბინა, დაუთმოს ნამელორალს და თვითონ მელორედ დადგეს. მელორეს ის უფრო უჭირებს საქმეს, რომ დანარჩენი ბავშვებიც ამას ემტერებიან და თავიანთ ამხანაგს ჰშველიან. თუ მოასწორეს, ესენიც

არტყამენ ჯოხს ორმოდგან ამოვარდნილს „ლორს“ და შორს სტყორ-
ცნიან. მელორე კი თან ლორს უტრიალდება, ორმოსაკენ აბრუნებს
და თან ცდილობს უპატრონო ორმო დაიჭიროს. ეს რომ თავდანე-
ბებულ ორმოსაკენ გაიქცევა, ორმოს პატრონი ეცდება წინ გაუსწ-
როს (ამ დროს „ლორის“ დევნას თავს ანებებს) და ორმოში ჯოხი
ჩაყოს. პატრონმა ორმოში ჯოხის ჩაყოფა თუ მოასწრო, „მელორე“
პირში ჩალა გამოვლებული უბრუნდება ლორს, რომელსაც დანარჩე-
ნი ბავშვები უწყალოდ ჰპენტავენ და შორს ერეკებიან. „მელორეც“
და სხვა ბავშვებიც ამგვარად დაუწყნარებლივ გარბი-გამორბიან ბი-
ნებიდან ლორისკენ და ლორიდან ბინისკენ. ვააქეთ კიჟინა, ხარხარი.
თამაშობას ათავებენ, როცა ყველა შოილლება და მოპბეზრდებათ.
ყველაზედ მეტად დამარცხებული ის არის, ვინც ყველაზედ ხშირად
მელორედ იყო. ვისაც მელორეობა ასცდა, ყველაზედ მეტად გამარ-
ჯვებული ის არის.

საზოგადოდ ამ თამაშობას დიდი მოძრაობა და მხიარულება
მოსდევს.

209.

აბანგალა-განგალა

შეიკრიბებიან ბავშვები და მანამ თამაშობას დაიწყებენ, თავი-
ანთ შორის ამოირჩევენ „დედას“. „დედას“ ასე ირჩევენ: ერთი რო-
მელიმე მოთამაშე აიღებს კენჭს, დაიქერს ერთ ხელში და ორსავე
მუკას გაუშვერს რომელსამე ამხანაგს და ჰკითხავს:— რომელი გინდა?
ამან უნდა გამოიცნოს, რომელ მუკაშია კენჭი. ესეც დაადგნს ხელს
ერთ მუკას და ეტყვის—აი ეს! თუ გაიგო და ხელი იმ მუკას დაა-
დო, რომელშიაც კენჭია, მაშინ ეს უკანასკნელი ჩამოართმევს კენჭს
და ამრიგადვე მიჰმართავს დანარჩენ ამხანაგებს, თუ მესამემაც გა-
მოიცნო, ახლა ეს ჩამოართმევს. ამრიგად გადაეცემა მეოთხეს, მეხუ-
თეს და დანარჩენებს. ვინიცობაა ერთმა ან მეორემ, ან მესამემ ვერ
გამოიცნო, კენჭი რომელ ხელშია, მაშინ კენჭი ვისაც უჭირავს მუ-
კაში, იმასევე დარჩება და ისევე მიჰმართავს სხვა ამხანაგებს.

„დედა“ ამოირჩევეს ადგილს, ბინას, რომლის შეცვლა თამაშო-
ბის გათავებამდე შეუძლებელია. შემოიხვევს გარს ყველა მოთამაშე-
ებს, თვითონ ჩაიფიქრებს რომელსამე ფრინველს ანუ ოთხფეხს და
მოჰყვება ჩაფიქრებული ფრინველის ანუ ოთხფეხი ცხოველის ტანის
და მისი ნაწილების სიდიდის დასახელებას.

ამის საჩვენებლად უეჭველად ქამარი უნდა შემოიხსნას, ან იშოვოს. ქამრის ერთ წვერს ერთს ხელში დაიჭერს და მეორეს კი, როგორც საჭიროება მოითხოვს, შორს ან ახლოს წააღებს. შემდეგ ორივე ხელით გასკიშავს ქამარს, რამდენადაც უნდა, ასწევს მაღლა ამხანაგების საჩვენებლად და იტყვის:

- ამოდენა თითონ არის (ე. ი. ამოდენა ტანი აქვსო).
- აგანგალა-განგალა!—მიუგებენ ყველანი.
- ამოდენა თავი აქვს (მრგვალად შეახვევს ქამრის ერთ ბოლოს და ისე უჩვენებს).
- აგანგალა-განგალა.—მიადახებენ კიდევ ყველანი.
- ამოდენა კისერი აქვს (უჩვენებს „დედა“ ისევ ქამრით).
- აგანგალა-განგალა!
- ამოდენა თვალები აქვს!
- აგანგალა განგალა!
- ამოდენა ნისკარტი აქვს!
- აგანგალა-განგალა!
- ამოდენა ფრთები აქვს!
- აგანგალა-განგალა!
- ამოდენა ფეხები აქვს!
- აგანგალა-განგალა!
- ამოდენა ბოლო აქვს!
- აგანგალა-განგალა!
- ამოდენა კლანჭები აქვს!
- აგანგალა-განგალა!

ამ ნიშნების ჩამოთვლით დაასრულებს ფრინველის აღწერას. ოთხთხები ცხოველი თუ ჩაიფიქრა, მაშინ „დედა“ ამ ცხოველის ტანის, თავის, კისრის, თვალების, ფეხების და კულის გარდა, ამის კბილების, ბეწვის, რქების და ყურების სიდიდესაც ანიშნებს. როცა დედა გაათავებს ყველა ნიშნების ჩამოთვლას, მიბრუნდება ან მარჯვნივ ან მარცხნივ, ყველას სათითაოდ გამოაშლევინებს ხელს, დაარტყამს გამოშლილ ხელის გულზედ ქამარს და ჰკითხავს:

— აბა რა არის?—ე. ი. რა ფრინველი ანუ ოთხთხები ცხოველი ჩაიფიქრე.

ესეც დაასახელებს ერთს, უეჭველად ერთს რომელსამე ფრინველს ანუ ოთხთხებ ცხოველს,—იტყვის „ბელურა“, მეორე—„მერცხალი“, მესამე—„მტრელი“, მეოთხე... იხვი... ბატი... ძერა... ქორი... ხობობი... არწივი და სხვ... ანუ თუ ოთხთხები ცხოველი უნდა გამო-

იწნოს, იტყვიან: ძალი, ტურა, ნელა, მგელი, დათვი, ძროხა და სხვა. ვინც „დედის“ ჩაფიქრებულს საგანს გამოიცნობს, იმას დედა გადულოცავს: ქამარს, რომელსაც თამაშობაში „ლახტი“ ეწოდება. შემდეგ დედა წამოიძახებს „ჯერი“ და ყველა მოთამაშენი გაიქცევიან სხვადასხვა მხარეს; ამას დაედევნება ლახტის პატრონი და ვისაც მოასწრებს ლახტით სცემს. ამ რიგად ბავშვები გარბი-გამორბიან, მელახტეს აბრაზებენ: ზოგი წინ გაურბის, ზოგი უკან, ზოგი გვერდს; „მელახტე“ კიდევ ცდილობს ყველას „სუსხი“ მისცეს, თვითო-თვითო მაინც დაარტყას. „დედა“ ამ დროს ზის ბინაზედ და თვალს ადევნებს ბრძოლის ველს. როცა ეს მოისურვებს, მალლა ხმით დაიძახებს: „აქა, აქა!“. ე. ი. გეყოფათ, აქ მოდითო. ამ დაძახებაზედ მოთამაშეთა ჯერი შეიცვლება. მელახტე უეცრივ ანებებს თავს სხვების დევნას და ლახტის ქნევას და რაც ძალი და ღონე აქვს მორბის დედისკენ. დანარჩენები ამას ასეთივე გაშმაგებით უკან მოსდევენ დასაქერად. თუ მელახტემ მოასწრო და ყველაზედ ადრე მიიღობინა დედასთან, ხომ რა კარგი, თუ მას გზაზედ წამოეწივნენ და დაიჭირეს, შეჰბოქავენ, გაჰბაწრავენ, შეუკვრენ ხელებს და ამ სახით მიიყვანენ დედასთან, დედა ამას ააოვალიერ; ჩამოათვალიერებს და ჰკითხავს შემპყობლებს:

— ვინ არის, რა დავიშავათ, რისთვის დაგიქერიათო?

— გზაში მივდიოდით, დაგვეცა, გვეცმა და გაგვეცარცვაო, მიუტებენ.

— მაშ დააჩოქეთ, თვალები აუხვიეთ, ქუდი მოხადეთ და ხელები აუხსენით! — უბრძანებს „დედა“. დედის ბრძანებას დაუყონებლივ აასრულებენ: დააჩოქებენ, თვალებს ხელსახოცით აუხევენ, ხელებს აუხსნიან და ქუდს სადმე შორი-ახლო მიწაზე დასდებენ. „დედა“ ჰკითხავს დაჩოქილს და თვალახევეულს: — აბა გამოიცან, სად არის შენი ქუდი. თვალახევეული ორსავე ხელის გულებს ერთმანეთზე მიადებს, გაიშვერს საითმე, რასაკვირველია, ისე, ალაღბელობაზედ და დაუსტვენს: „ა ა ა ე. ი. იქით მეგულებაო. თუ ხელები ქუდის მხრივ გაიშვირა, მაშინვე წამოაყენებენ ფეხზედ, თვალებს აუხსნიან, ერთის სიტყვით, თამაშობა გათავდება და ისევ ხელახლად თავიდან უნდა დაიწყონ. თუ ხელები საითაც ქუდია, იქით არ გაიშვირა, მაშინ დედის ბრძანებით ამას ერთი დამკერი დაარტყამს ზურგზედ ერთხელ, ორჯელ, სამჯერ (რამდენსაც „დედა“ ეტყვის) ლახტს. „დედა“ ისევ გაიმეორებს კითხვას; დაჩოქილი ისევ სტვენით გაიშ-

ვერს ხელებს ქულის სანიშნებლად. ახალ შეცდომას თან ახალ-ახალი
ლახტით ცემა მოსდევს.

გამარჯვებულები ისინი რჩებიან, ვინც ხშირად გამოიცნობს
დედისგან ჩაფიქრებულს საგანს და თანაც ვერც ერთხელ, ან სხვა-
ზედ ნაკლებ დაიქირეს ბინისაკენ გამოქცევის დროს.

უფრო ის ბავშვები იმარჯვებენ, რომლებსაც ფრინველები და
ოთხფეხი ცხოველები ხშირად უნახავთ, თვალი და კეკუა უქრით და
კარგად იხსომებენ ნანახს და თანაც მუხლმარდნიც არიან. ამ თამა-
შობას მომეტებულ ნაწილად ვაჟები ეწევიან.

209.

პ რ ა ს უ ნ ა

მოთამაშენი კენკის ყრით ანუ ერთმანეთის თანხმობით თავი-
ანთ შორის ამოირჩევენ „დედას“. დანარჩენი ბავშვები მხარი-მხარ
მიუდგებიან, პირს ერთ მხარეზედ იქმენ და ისე, ჯარის კაცებივით,
ერთ სწორ ხაზზედ გამწკრივდებიან. ამ თავითვე ამოირჩევენ ორ
ბინას: დაახლოვებით ერთი უნდა იყვეს 15—20 ნაბიჯზედ ბავშვე-
ბიდან; მეორე—იმის გასწვრივ 30—40 ნაბიჯზედ. პირები ყველას
ბინებისაკენ უნდა ჰქონდეთ.

დედა დადგება წრის ანუ რაზმის უკან, აიღებს პატარა კენკს
ხელში, მივა ნაპირა ბავშვთან, რომელსაც ორივე ხელები უკან აქვს
გაშვერილი და გაშლილ მუქად უქირავს; აგრეთვე უკან უნდა ეჭი-
როთ ხელები დანარჩენ ბავშვებსაც, იმ მოლოდინით, რომ მოვა
დედა და ერთ ჩვენთაგანს კენკს ჩაგვიგდებს ხელშიო. დედა მოპყვება
თავიდან და თან ამბობს:

— პრასუნა, პრასუნა, ხელში ჩაგიპრასუნა!

და თან ამ სიტყვებზედ მოწყობით სათითაოდ ყველას მუქაში
ხელს ჩაუდებს. ხელის ჩადებაში „დედა“ ცდილობს თვითეული მო-
თამაშე მოატყუოს, აჩვენოს, ვითომ კენკი ჩაუღო; ნამდვილად კი
ერთ ვისმეს ჩაუდებს იმგვარად, რომ დანარჩენებმა ვერ შენიშონ.
ამიტომ აკრძალულია ამ დროს უკან მიხედვა და საზოგადოდ დე-
დისაკენ ცქერა. ბავშვი, რომელსაც დედამ ხელში კენკი ჩაუღო,
უცებ, მოულოდნელად გახტება რაზმიდან და გაექანება ბინისკენ.
ყველა დანარჩენები ამას გამოედევნებიან დასაქერად; მაგრამ ამათი
საზღვარი პირველი ბინაა. აქამდინ კი მოსდევენ და თუ ვერ შეიპყ-
რეს, ბრუნდებიან უკან თავიანთ ადგილისაკენ. გაქცეული ბავშვი კ
მოვა შორეულს ან მეორე ბინაზე.

აქედან დაიწყება თამაშობის მეორე ხანა. დაბრუნებული ბავშვები წემოესვევიან დედას და სათითაოდ გადასცემენ ღელდახელ გამოგონილს გამოცვლილ სახელებს.

ერთი ეტყვის:—მე კატა მქვიანო, მეორე—აქლემი, მესამე—ცხენიო, ანუ ვეფხვი, რემი, ხე, ყვავილი, შამფური, მწვადი, პური, ღვინო. ერთის სიტყვით, ათასგვარ უცნაურ სახელებს დაირქმევენ. დედა მოვალეა, ყველას სახელები დაიხსომოს. თუ დაევიწყდა ვისმის სახელი, გაამეორებინებს. როცა დედა ყველა მოთამაშეების სახელებს გაიგებს, მიუბრუნდება ბინაზედ მისულს ბავშვს და გასძახებს:—რომელი გინდა: კატა, გველი, დათვი, მთა, ტყე, პური თუ ღვინო? პასუხად მიიღებს მაგ.: „დათვი“. მაშინ ამ სახელის პატრონი ეახლება გამარჯვებულს, რომელიც ზურგზედ უნდა წამოიკიდოს და მოიყვანოს თამაშობის ადგილზე. დანარჩენები შეიქმენ სიცილს—ხარხარს. შემდეგ თამაშობა თავიდან დაიწყობა. მხოლოდ „ღედობა“ ეხლა უცილობლად ამ გამარჯვებულს ეკუთვნის.

თამაშობა თავიდან იწყება მაშინაც, თუ წრიდან გასხლტომილი მოთამაშე ამხანაგებმა პირველს ბინამდე დაიპირეს.

210.

თავდაჯლაობა ანუ ძალააობანა

ყველა მოთამაშე ბავშვები, ერთს გარდა, ვაჟე ადგილას ირგვლივ დასხდებიან. ორ ან სამ ნაბიჯზედ ერთმანეთისაგან. ამასთანავე თითოელს პირი შიგნით წრისკენ ექნება მიმართული და ზურგი გარეთ. ეფხზე მდგომი ბავშვი გაიკეთებს ხელსახოცის ლახტს. ლახტის გაკეთება ასე უნდა: გაშლი ხელსახოცს, შეგრეხ ორად, წვერებს შეუკრავ და ლახტი მზად არის.

ლახტი რომ ხელში უქირავს, ის ბავშვი ძირს მჯდომარე მოთამაშეებს გარს უვლის ჩქარი ნაბიჯით, ანუ რბენით და ამასთან ცდილობს რომელსაჟე მათგანს ლახტი ზურგს უკან მიუგდოს და ჩვეულებრივ გარბოდეს იმგვარად კი, რომ უკანასკნელმა ეს ვერ შეამჩნიოს. ამ დროს ყველანი ვალდებულნი არიან წრეს გარშემო მორბენალს ბავშვს თვალი მოარიდონ და თუ მაინც და მაინც ვინმემ შენიშნა, მეზობელს არ შეატყობინოს, რომელსაც ლახტი მიუგდეს. თვითთელი მოთამაშე მოვალეა ყური ცქიტად ექიროს და თითონვე შეიტყოს, როცა მას ლახტს მიუგდებენ. წესის დამრღვევ ბავშვს მაშინვე გამორიცხავენ მოთამაშეთა გუნდიდან.

ლახტის პატრონი, ანუ მოლახტე, ლახტს რომ მიუგდებს ვისმეს, ისე განაგრძობს გარშემო რბენას, ვითომც აქ არაფერია, რომ ვისაც ლახტი მიუგდო. არ მიუხვდეს. თუ მართლაც ეს უკანასკნელი ვერ შენიშნავს, მელახტე მოუტრბენს ზეორე მხრიდან, დასტაცებს თავისაგანვე დაგდებულს ლახტს ხელს და რამდენსაც მოასწრებს, იმდენს დაჰკრავს ზურგში ძირს მჯდომსა უყურადღებობისა და გაუფრთხალებლობის გულისთვის. პირველ დარტყმის უმაღვე ეს უკანასკნელი უცებ წამოხტება, დაავლებს ხელს ლახტს, რომელიც მელახტემ დარტყმის შემდეგ იქვე უნდა დაავდოს და გამოეკილება, რომ მეტოქეს მიეწიოს და გადაუხადოს. ის კი თავის მხრივ ცდილობს ლახტი არ დაირტყას და რაც ძალი და ღონე აქვს გარბის იმ ადგილის დასაქერად, საიდანაც მისგან გალახული მოთამაშე წამოდგა. თუ მან ამ ადგილს მიასწრო და დაჯდა, მაშინ უკან მომდევარი რჩება ხახამწრალი და თავიდან იწყობს თამაშობას იმ სახით, როგორადაც პირველმა მელახტემ დაიწყო. თუ ძირს მჯდომარემ იმ წამსვე შეიტყო ლახტის მიგდება, მაშინვე წამოხტება, ლახტით გამოუდგება პირველს და ცდილობს, სანამ ეს ბინაზედ დაჯდებოდეს, დაეწიოს და „გასკრას“ ლახტის დარტყმით. ამგვარად თუ მეორემ პირველი მელახტე გასწრა, მაშინ ეს ისევ თავის ადგილზე დაჯდება და პირველი ისევ თავიდან იწყებს თამაშობას.

ყველაზედ მეტად გამარჯვებული ის არის, ვინც სრულიად არ „გაიჭრება“, ე. ი. არ დაირტყამს ლახტს, ან თუ დაირტყამს მაინც სხვაზედ ნაკლებს. გამარჯვება კიდევ იმას შეუძლიან, ვისაც სიცქვიტესთან მუხლიც მისდევს, ან თუ ჩქარი რბენა იცის.

211.

ნახულშ ლისკვენ

რამოდენიმე ყმაწვილი ორს თანასწორ დასად განიყოფება, მაგალითად, ოთხი ყმაწვილი, ექვსი, რვა, ათი, თორმეტი და სხვ... დანიშნავენ ადგილს, საიდანაც ერთმა დასმა უნდა დაიწყოს გახტომა (ლისკენე). გახტომის დაწყებამდე ორი შემდეგი ცერემონია უნდა ასრულდეს: „ლილკე“ არჩევანი და „ლიცხრე“ (ჩხირის ავდება, ე. ი. კენჭის ყრა). ორი ყმაწვილი დადგება განზე და მოახდენენ არჩევანს ამნაირად: თამაშის მსურველი ყმაწვილები ორ-ორი დგანან ხოლმე ერთად. ერთი ამათგანი დაირქმევს „მზეს“ (მიე), მეორე

„მთვარეს“ (დომდეღ). მივლენ ზემოლ ნახსენებს ორს ამომრჩეველს ყმაწვილთან და ეტყვიან: „მზე გინდა თუ მთვარეო“? ერთი ამომრჩეველთაგანი დაასახელებს ან მზეს, ან მთვარეს და ამნაირად ერთი ერთ ამომრჩეველისაქენ წაგა და მეორე—მეორეს დარჩება. ამრიგად განაგრძობენ ბოლომდინ, სანამ ყველა ყმაწვილები არ იქმნებიან ამორჩეულნი.

ახლა რომელმა დასმა უნდა დაიწყოს პირველად გახტომა, ანა-ზე დაიწყებენ ლაპარაკს და გაათავებენ იმითი, რომ ჩხირს, ან რგვალს და პრტყელს პატარა ქვას აისერიან ზევით. ჩხირის ან ქვის მხარეები თვითეულს დასს დანიშნული აქვს. რომელღ დასის დანიშნული გვერდიც ანასროლის ჩხირისა ან ქვისა ბინაზე ზემოდამ მოექცევა, დაწყებაც იმ დასის ხვედრია. ერთი იმ დასის ყმაწვილი დანიშნულს ადგილიდან დაიწყებს და შეუსვენებლად გააკეთებს ორს ნახტომს. სადაც ეს გაჩერდება, იქიდან განაგრძობს ამავე რიგად ხტომას მისი ამხანაგი და ამნაირად, სანამ ეს დასი არ გაათავებს. იმ ადგილს, სადაც მიაღწია დამწყებმა დასმა, დანიშნენ.

ამის შემდეგ მეორე დასი დაიწყებს გახტომას. თუ პირველის დასის ნახტომს (სიგრძით) გასცილდა, მაშინ ეს დასი არის ნაჯობნი; თუ ვერ მიაღწია—მაშინ წაგებულა. წაგებულს მხარეს მიაღებება შემდეგი დასჯა: ნაჯობნი დასის ერთი ყმაწვილთაგანი, თითქმის ყოველთვის სხვებზე უფრო ღონიერი—პირდაღმა დაწვება მიწაზე; აქეთ იქით იღლიებში აპოიდებს თითო ფეხს ორის წაგებულის ბავშვისა. ამ დროს ერთი ნაჯობნი ყმაწვილთაგანი მივა ფეხებით დაკავებულ ყმაწვილებთან, თავის ხელს მათს ხელზე დაარტყამს ისე, რომ არ დაიპირონ და შემდეგ გასწევს, რაც შეუძლია პირუკულმა, ე. ი. ზურგისკენ გაიქცევა.

ამ დროს ფეხებ დაქერილი ორი ყმაწვილი ცდილობს მალე გაუსხლტნენ დამპერს, რომ დროზე დაეწიონ უკუ გაქცეულ ყმაწვილს. მწოლარე ყმაწვილი კი თავისთავად ყოველ ღონეს ხმარობს ეს ორი ყმაწვილი ხანგრძლივად შეაკავოს, რომ ამითი დრო მისცეს უკუ მქცევს თავის დასის ყმაწვილს. შემდეგ რამდენიმე ხნის მითრევე-მითრევის და მიხობ-მოხობებისა მიწაზე, ან თოვლზე, მწოლარე ყმაწვილი იღლება და მას იღლიებიდან უსხლტებიან ორი ყმაწვილი, რომელნიც გარბიან უკუმქცევისკენ დასაპერად. იმ ადგილიდან, სადაც ეს ორი ყმაწვილი დაეწევიან უკუ მქცევს, წაგებულმა დასმა უნდა აიკიდოს ზურგზე ნაჯობნი დასი და წამოიღოს იმ ადგილამდე, საიდგანაც ხტომა დაიწყოს.

კილი კახსუშ ლისკვნი

ოთხ-ხუთი გოჯის სიგრძე ჩხირს წვერს გაუწვეტიანებენ. ან ჩხირს ერთი ყმაწვილი ხელში დაიკავენ, დანიშნავენ ხტომის დასაწყობს ადგილს, რომელსაც „გარდს“ ეძახიან, როგორც ზემოდან აოის ნახსენები; შორიდან ჩხირიანი ყმაწვილი გამოექანება „გარდისკენ“, აქ ცალ ფეხს დაჰკრავს და რაც შეუძლიან ცალივე ფეხით გადახტება. მეორე ფეხი უკან გადალუნული უნდა ჰქონდეს ყმაწვილს და მიწას არ უნდა მიაკაროს. „გარდთან“, სადაც ფეხი დაჰკრა ყმაწვილმა ხტომის დროს, უნდა ჩადგას ცალი ფეხი და გაწვდენილის ხელით დაასვას მიწაზე, ან თოვლზე ჩხირი იქ, სადამდინაც მკლავი გასწვდება. შემდეგ ამავე სახით და რიგით მოჰყვებიან დანარჩენი ყმაწვილებიც და ვინც გარდიდან ყველაზე უფრო შორს დაასობს ჩხირს, ნაჯობნი ის ყმაწვილი იქნება.

ლიბუღარალ

ორ თანასწორ გუნდად გაიყოფა ბავშვების გროვა; დადგებიან მწკრივად, ჩაჰკიდებენ ერთმანეთს სარტყლებში ხელებს. ერთი გუნდი ერთის მხრით იწევს და ეწევა, ეზიდება მეორეს; მეორე კი წინააღმდეგ მხრის ეწევა და ცდილობს მიითრიოს პირველი გუნდი თავისკენ. მომრევი ნაჯობნია.

ლიჩირხალ

ჩარხი არის პატარა მარხილი, ყველა ყმაწვილს აქვს თავისი „ჩარხი“. ახალ წლიდან დამოკიდებული იმავე წლის დიდ მარხვამდის, ყმაწვილები სოსიალობენ ჩარხებით დატკეპნილს თოვლზე. სასოსიალოდ, რასაკვირველია, ირჩევენ მოფერდო ადგილს, სადაც ჩარხი ჩქარა დაექანება დაღმართში. ეს თამაშობა ძლიერ უყვართ ყმაწვილებს.

ლიმხუვანალ

თანასწორად გაიყოფა ბავშვების გროვა, რომელნიც პატარა ნიჩბებით არიან დაიარაღებულნი. დადგებიან თოვლიანს მინდორში ერთი მეორის პირდაპირ და აყრიან ერთმანეთს თოვლს ტანზე, ცხვირპირში. გამქცევი დასი ნაჯობნია.

ლიმურ-ჰვამალ

გაშლილს ადგილს, სადაც თოვლი სქლად სძევს, ყმაწვილები ამოიყვანენ თოვლის ზეინს, შაქრის თავის მსგავსად. ორი ყმაწვილი თავიდანვე შეუდგება მოგროვილის თოვლის ტკეპნას; დანარჩენი ყმაწვილები ირგვლივ აყრიან თოვლს, რომ თოვლის ზეინი აამაღლონ. სიმსხო-სიმაღლე თოვლის ზეინისა, ან პირდაპირ რომ გადმოვსთარგმნოთ „კოშკისა“ (მურყვამ), ყმაწვილების სიმრავლეზე, ღონეზე და თოვლის ბლომად ქონებაზეა დამოკიდებული. როდესაც თოვლის კოშკი იმოდენად ამაღლდება, რომ ყმაწვილები ძირიდგან ვეღარ აწვდენენ თავამდე თოვლს, მაშინ ორი მტკეპნელი ძირს ჩამოვა. თოვლის კოშკს დაამრგვალებენ, გვერდებს შეუსწორებენ. ამ კოშკს ხან ასე დასტოვებენ, ხან კი გულს გამოაცლიან და შიგოთახს გამოსჭრიან დილეგად, და სხვა და სხვა.

ლიღუნალ

ყოველ ყმაწვილს 12 წლამდინ აქვს ხის ლეკური (დაშნა), რომელსაც იგი ინახავს წლიდან-წლამდე, სანამ დანიშნულს ხნოვანებას არ გადასცილდება. ნათლის ცეცხლის მომყოლს ორშაბათს ღამით ერთი სოფლის ბავშვები დაიკიდებენ ამ დაშნებს და თავს მოიყრიან სოფლის ერთ უკაცურს სახლში. დილით ადრე დგებიან, ჩამოივლიან სოფელს და ყოველს მოსახლისას მიდიან ერთად. სახლში შესვლისთანავე ყმაწვილები ამოიღებენ თავისებურს ქარქაშებისაგან დაშნებს და ურტყამენ სხვა და სხვა ავეჯეულობას ოჯახისას, რომელიც კი ოჯახში ჩამოკიდებულია, — ერთი სიტყვით მოქმედობენ ისე ჩქარა და

აღელვებული, თითქო ოჯახს იერიშით იღებენო. ხშირად ოჯახი იძულებულია, ძალით გარეკოს კარში პატარა „მეომარნი“, თუმცა ისიც ახსოვს, რომ ჩვეულებას პატივი უნდა სცეს.

218.

ღ ი ვ შ ვ ღ ა ნ ა ლ

ყმაწვილები დასდგამენ სამი-ოთხის საჟენის სიშორეზე რაიმე ნიშანს: ჩხირს, ქვას... თვითეულად ყველანი - ესერიან ამ ნიშანს „მუჯუროს“ თითოჯერ. ვინც ყველაზე მეტს დააცილებს ნიშანს, მან უნდა დაუდგას დანარჩენს ყმაწვილებს ნიშნად რაიმე საკუთარი ნივთი: დანა, ქუდი, მასრი და სხვა... ჩამორიგებით ყველანი ესერიან ამ ნიშანს, ვინც ამასაც სხვაზე მეტს დააცილებს, მან უნდა დადგას საკუთარი ნიშანი. ამნაირად გრძელდება თამაშობა, სანამ არ მოეწყინებათ. ნიშნად დადგმული ნივთები ძვირად-ლა უბრუნდება პატრონს მთლიანად: დანები დაიმტკრევიან, ქულებს გახევეს მუჯუროს წვერი და სხვა. მანძილი ნიშნის დადგმისა სხვა და სხვაა. კარგს დანას უფრო შორს დასდგამს პატრონი, ვინემ მდარე დანას. ქულებსაც ამგვარად. ეს თამაში ყმაწვილს უვარჯიშებს მხედველობას ერთი წერტილისადმი და აგრეთვე იმ ხელს, რომლითაც მუჯუროს ისვრის. ეს ვარჯიშობა პირველი ნაბიჯია შვილდ-ისრისა და შემდეგ თოფის სროლის შესასწავლად. ამ თამაშს მოზრდილებიც შეექცევიან ხშირად.

219.

მუკამულდი ქულა

რამოდენიმე ყმაწვილი ერთი მეორეს ჩაჰკიდებენ ხელს ბეჭებში და ირგვლივ დადგებიან. ამათ ბეჭებზე დაადგება იმდენივე ყმაწვილი, რამდენიც ქვეით ღვანან და ეგენიც ერთი მეორეს ხელებს ჩასჭიდებენ ბეჭებში. ქვეშ მდგომნი დაიწყებენ აქეთ-იქით ნძრევასიარულს, მიხვევ-მოხვევას და სიმღერას. სიმღერაში ემუქრებიან ზეით მდგომ ყმაწვილებს, რომ მათ ძირს დაახეთქებენ; ზეითურები უშიშრობას უცხადებენ სიმღერითვე. ამ დროს ქვედაურები იმგვარად უხელთვენ ზედაურებს, რომ თუ ეს უკანასკნელნი მარჯვედ არ არიან, გაითხლარშებიან მიწაზე. ეს დამოკიდებულია ქვედაურების მოხერხებაზე და ზედაურების სიმარღზე.

ლიწანუტალ

ვაკე ადგილს ყმაწვილები გამწკრივდებიან რიგზედ და ამას-თანავე წაიხრებიან წინ ისე, რომ მათი ხელები თავ-თავიანთ მუხლებზე იყოს დაყრდნობილი. თავში მდგომი ყმაწვილი დაიწყებს თავიდან და ყველა დაღუნულს ყმაწვილს თითუღლად გადაახტება; ამას მრჟყეება უკან მისი მომდევარი, მას კიდევ სხვა და ასე აზნაირად ბოლოქდე. როდესაც ყმაწვილი სხვას გადაახტება, ვალდებულა დადგეს დაღუნული იქ, სადაც ყმაწვილების წყება თავდება, რომ მასაც გადაახტენ სხვები. წინ მოხრილი ყმაწვილები ერთი მეორისაგან უნდა იდგნენ არა უშორეს ერთის ნაბიჯისა.

221.

ლილჩა

ერთი ყმაწვილი დაჯდება მიწაზე და ფეხს მოირთხამს, მოიკეცავს; მეორე—თავზე ერთერთ ხელს დაადგებს და ისე დაადგება მცველად; დანარჩენი ყმაწვილები, რამდენიც უნდა იყვნენ, გარს შემოებევიან და ცდილობენ მჯდომს ყმაწვილს დაარტყან იელი. მცველი ყმაწვილი თვალზე გაფაციცებული უყურებს ყველას, ტლინკავს, ფეხებს იქნევს უკან, განზე, ედევნება ყმაწვილს, რომელიც უახლოვდება დასარტყმელად მჯდომს ყმაწვილს და ციბრუტივითა ტრიალებს, რომ ყმაწვილი დარტყმისაგან დაიკვას. დამცველის მოვალეობაა, შემოხვეულ ყმაწვილებთაგან ვისმეს შემოჰკრას ფეხი იმპირობით კი, რომ ხელი უთუოდ მჯდომ ყმაწვილს თავზე ჰქონდეს დაბჯენილი, დადებულნი და წიხლი მოარტყას ვისმე წელს ქვეით, წელს ზევით ან შეიწყნარება.

რომელ ყმაწვილსაც ამგვარად მოხვდება მცველის ფეხი, ის ყმაწვილი უნდა დაჯდეს და მისი მცველობა უნდა იკისროს აქამდე მჯდომმა ყმაწვილმა. ასე რიგად განაგრძობენ ოამაშს, სანამ არ მოეწყინებათ. ეს თამაშობა ძლიერ გახშირებულია.

222.

ლიჰანსგუნალ

გამოსპრიან ხოლმე თითქმის ერთ არშინის სიგრძე ჯოხს. ბოლოში ჯოხს გვერდზე მტკაველის სიგრძეს შემოათლიან. ამ ჯოხს

ეძახიან „ყარ“-ს. ამ ჯობის სიმსხოს, სიგრძით სამს გოჯიანს გამოს-
 კრიან კიდევ მეორე ჯოხსა, რომელსაც „ყანსგვ“-ს (აქედან სახელ-
 წოდება „ლიყანსგუნალ“) უწოდებენ. ყმაწვილები ორ თანასწორ
 ჯგუფად გაიყოფებიან. დაწყების შესახებ კენჭს იყრიან, როგორც
 ნაჩვენებია ზემოთ პირველ თამაშში. დამწყების ჯგუფის ერთერთი
 ყმაწვილი „ყარს“ მარჯვენა ხელში (თუ ყმაწვილი მემარცხენეა—მარ-
 ცხენაში) დაიჭერს, „ყანსგვს“ მარცხენაში, პირველს ზენოპკრავს
 ღონივრად მეორეს და გაისერის შორს, რამდენსაც შეიძლება. შემ-
 დევ „ყარ“-ს მიაყუდებს კედელს, მოზრდილ ქვას, კუნძს, ან სხვა
 ამგვარ რასმეს. მეორე ჯგუფი ამ დროს უყურებს, საით მიდის „ყან-
 სგვი“ და ცდილობს როგორმე დაიჭიროს. თუ ვერ დაიჭირეს, მა-
 შინ „ყანსგვი“ უნდა ესროლოს „ყარს“, თუ მოახვედრა ყმაწვილმა
 თავისი რიგი გაათავა, ესეიგი თამაშობას, სროლას თავი უნდა
 დაანებოს და სხვას, თავის ამხანაგს გადასცეს. რამდენ სროლასაც
 მოასწრებს, ე. ი. ყანსგვის გასროლას, იმდენი რიცხვი (შელდ) ჰმარ-
 თებს, ვალად აძევს მეორე ჯგუფსა. თუ მსროლელის ყანსგვი მო-
 წინააღმდეგე ჯგუფმა დაიჭირა, მაშინ მისი ნასროლი უქმად ჩივ-
 ლის, ე. ი. თითქო სულ არ ესროლოს ყმაწვილს. როცა ყმაწვილი
 სროლას გაათავებს, მაშინ მეორე მისი ამხანაგი დაიწყებს, მერე მე-
 საამე... და ატე სულ ბოლომდინ. თითოეულ ყმაწვილის ნასროლს
 ერთი მეორეს უმატებენ და ამნაირად შესდგება საზოგადო ჯამი
 ერთის ჯგუფის მსროლელ ყმაწვილებისა. ვსთქვათ დამწყებმა ჯგუფ-
 მა ასჯერ გაისროლა „ყანსგვი“, მაშინ ამბობენ, რომ მეორე ჯგუფს
 ჰმართებს პირველისა ასი „ყანსგვი“-ო. ახლა უნდა დაიწყოს სრო-
 ლა მეორე ჯგუფმა. თუ ამ უკანასკნელმა ვალი გადიხადა, ე. ი.
 მოასწრო ასჯერ ყანსგვის სროლა და კიდევ გადაამეტა, მაშინ ეს
 ჯგუფი მჯობნია და პირველმა უნდა შეისევას ზურგზე და დანიშ-
 ნულს მანძილზე უნდა ატაროს; თუ ვერ გაისტუმრა ვალი, ე. ი. ასი
 სროლა ვერ მოასწრო, მაშინ ეს უკანასკნელია მოვალე, პირველი
 ჯგუფი ატაროს ზურგით.

223.

ლიზლოქი

აიღებენ ორ ჯოხს; ერთს წინ დაავადებს ყმაწვილი გარდი-გარ-
 დმო, მეორეს ხელში დაიჭერს. ერთის ხელის სალოჯ თითს ჯოხის
 თავს დააბჯენს; მეორე ხელით შუაში ჩაეჭიდება ჯოხს და დაატ-
 რიალებს ერთჯელ ან რამდენჯერმე, მანამ ხელში დაჭერილ ჯოხს

დავლებულ ჯოხს არ მოარტყამს და წინ არ გადაისერის. მერე ამ ჯოხს გაისვრიან და რა ადგილამდიც ეს ნასროლი ჯოხი გასრიალდება, იმ ადგილს უნდა წაიღონ დავლებული ჯოხიც. ასე მეორეთ, მესამეთ და სულ, სანამ მსროლელი ჯოხებს ერთმანეთს არ დააცილებს. მსროლელი კი სულ ერთს ადგილას უნდა იდგეს წინ უწევლად, სანამ თამაშს არ გაათავებს. შემდეგ განაგრძობს თამაშს დამწყების ჯგუფის მეორე ყმაწვილი იმ ადგილიდან, სანამდიც მან, ე. ი. პირველმა მიიტანა ჯოხი სრიალით. დასადგომი მანძილი კი — ყველა ბავშვებისათვის ერთი და იგივეა, რაც უნდა ჯოხი შორს გასრიალდეს. როდესაც ერთის ჯგუფის ბავშვები გამოილევნიან, მაშინ დაიწყებს მეორე ჯგუფი. რომელი ჯგუფიც უფრო შორს გაასრიალებს ჯოხს, მჯობნიც ის არის. სასჯელი ზურგზე აკიდებაა მჯობნიელთა და მათი ტარება.

224.

ლიჯარბეუნალ

იმ მანძილზე, სადამდინაც ყმაწვილს თავისუფლად შეუძლიან მოდიდო რიყის ქვას მიუწიოს ერთის ხელით, დასდგამენ ერთი მეორეს პირდაპირ ორ ბრტყელ ქვას. ბავშვების ერთი ჯგუფი მეორისას ესვრის ქვას და უნდა მოარტყას ნიშნად დასმულ ქვას. მეორე ჯგუფიც ამნაირად უხდის მაგიერობას: რომელ ჯგუფის ქვასაც მომეტებული რიცხვი ქვებისა მოჰხვდება, იგი წაგებულა და ნაჯობნი ჯგუფი უნდა ატაროს ზურგით.

225.

ლიბულთალ

ბურთს აკეთებენ ყმაწვილები პირუტყვის ბალნისაგან. თუმცა ბურთის თამაში უყვარდათ აქ, მაგრამ ისე კი არა, როგორც მაგალითად, იმერეთში. დიდებში სულ არ არის შემოღებული ბურთის თამაში. ამის მიზეზი ადგილის უსწორ-მასწორობა უნდა იყოს. გაშლილ ვაკეებს მარტო აქა-იქა შეჰხვდებით სვანეთის სოფლებში.

226.

ლიჩირჯიპალ

„ჩირჯიკი“ (ბზრიალა) საყვარელი სათამაშოა სვანების ყმაწვილებისა. გაზაფხულის და განსაკუთრებით შემოდგომის ყინვები წყლებს ნაპირად ძლიერ ხელს უწყობს ყმაწვილებს ამ თამაშობაში.

დახვეწილობა

დაბალ ქუდს დააგდებენ მიწაზე. მოკა ყმაწვილი, ხელებს ზურგზე დიწყობს და მაგრად ერთმანეთს ჩასკიდებს. ყმაწვილი ქუდის ახლო დადგება, ცალ ფეხს ასწევს და ცალ ფეხზე მდგომი დაილუნება წინ ქუდის ასაღებად კბილებით. ვინც ამნაირად ქუდს აიღებს, მარჯვე ყმაწვილად ითვლება.

• 28.

ყმაწვილი დაჯდება მიწაზე ისე, რომ მუხლები და ფეხები ერთი მეორეზე ჰქონდეს მჭიდროდ მიდებული. ორივე ხელებს წვივებთან შემოახვევს მუხლებს, ხელის თითებს ერთმანეთში გაუყრის; მუხლებს ქვეშ ყმაწვილს ჯოხს გაუყრიან გარდი-გარდმო; ხელები ე. ი. მკლავები ჯოხქვეშ ამოექცევა ყმაწვილს და მუხლები ზემოთ. ხელების ცერებს ერთი მეორეზე მიუკვრენ ბაწრით, თასმით ან სხვა რითიმეთუ ესრედ ეღ-ფეხ შებოქვილი ყმაწვილი რამოდენსამე ბიჯს გადასდგამს, სიმარჯვედ ჩაეთვლება. ძნელი ასასრულებელი კია ეს თამაშობა.

• 229.

ერთი მეორის პირდაპირ ორ მწკვრივად დამჯდარი ბავშვები მიიბჯენენ ფეხებს ერთი მეორეს. დედად არჩეული ბავშვი იწყებს გათვლას. რომელი ბავშვის ფეხთანაც გათვლა დაბოლავდება, დედა მას ჩაჰკრავს თავში წკიპურტს და იწყებს ისევ გათვლას თავში წკიპურტჩაკრულის მომდევნო ბავშვისაგან და ასე გრძელდება თამაში. ეს თამაშობა უმთავრესად ზამთარში ცეცხლის პირას სრულდება.

230.

ლოი-ლოი

ლოი, ღოი, ბაი, ბაი,
ბახჩა-ბახჩა, ჩაი ჩაი

ყარა-ყუშ (შავო ჩიტო) ყაფი აჩ (კარი გამილე).

ყმაწვილთაგანი ერთი ცერებსა და სალოკ თითებს ერთმანეთს მიაკრავს და ამ რიგად ერთ ორმოს ან პირლია სკივრს მიამსგავსებს და შემოხსენებულ სიტყვებს ავბობს. დანარჩენი ყმაწვილები თითს შიგა ჰყოფენ და სკდილობენ რომ არ დააკერინონ თითები.

იწილო-ბიწილო

ყმაწვილები ფეხებს გამოშლიან და იტყვიან:

იწილო, ბიწილო,
შროშანო, გვრიტინო,

ალხო, მალხო,

ჩიტმა გნახოს.

შენი ფესვი ფესვანდური,

აბდა უბდა,

კატა სკუბდა,

აჯეგ-მაჯეგ

ან ეგეგ ჩაჯეგ. რომლის ფეხზედ დაბოლავდება ლექსი, ის შეიკეცს და ასე ყველაზე ამბობენ. როდესაც ერთი დარჩება, იმასაც ადგილს გაუამხანაგებენ და გადგება ადგილიდან, თუ ერთი დარჩა, დაესევინა ყმაწვილები, მუშტით სცემენ იმ ერთს.

232.

დედამ თაფლი მაჭამა

არჩენით ერთს დაუხუკვენ თვალებს (აუხვევენ ნარმით) და ვინც არიან, სულ ყველანი მიარტყამენ უკან და ეუბნებიან: „დედამ თაფლი მაჭამა, კოვზი გამალოკვინა“. თვალახვეულს გაუშლია მკლავები და ბრუნავს ვინმეს დასაქერად, რითაც იხსნის თავს იმოღენა ცემა-ტყეპისაგან.

233.

თავ მოვლანა

ერთს დასვამენ წინ და ერთიც თავს ადგას თავზე ხელდადებული დაჭმას გარშემო უფლის, რომ გარშემორტყმულმა მოთამაშეებმა არ დაარტყან მჯდომარეს. თავს მომვლელი ცდილობს ფეხი შემოაკრას რაც შეიძლება დამარტყმელთ და „გასქრას“, რომ გაანთავისუფლოს მჯდომარე ცემა-ტყეპისაგან. მაშინ „გაქრილი“ დაჯდება ზი ადგილს თავს მოსავლელად.

234.

ლინლილო, ოძრო ღილო

ქალები გაიყოფებიან ორ წილად; ამათ დედები ხელებ მოკიდულულები წაველენ ამხანაგებთან ერთი მეორის დაშორებით ოციოდენაბიჯზე დაუძახებს ერთი მეორეს:—ლინლილო?

- ოქროს ღილო.
- ქალო ვინა?
- მე გახლავარ.
- დე მობრძანდი?
- აქაცა ვარ.

იტყვის ბოლო და გაექანება გასაწყვეტად; თუ გაწყვიტა, თითო უნდა წაიყვანოს გაწყვეტილ დედიდგან და ხელმეორედ დაიწყებს „ლინლილოს“. პირველისამებრ თუ ვერ გაწყვიტა, ახლა გამარჯვებული გაუწყვეტელი გუნდიდგან დაუძახებს „ლინლილოს“ და ისიც ასე გაიქცევა.

235.

კატა-თავმოპოვია

ერთმანეთზე ხელჩაკიდებული მოთამაშეები აკეთებენ წრეს. წრეში დგას თავგად არჩეული ბავშვი; წრეს გარედ-კი—კატად არჩეული. კატა ცდილობს დაიჭიროს თავგი. თუ თავგი წრეშია, მოთამაშეები ცდილობენ შიგ არ შეუშვან კატა და მღერიან:

აბა ბავშვებო წრე შევკრათ,
 შით ჩავაბათ თავუნია,
 თვალი გეჭიროთ, რომ წრეში
 არ შემოძვრეს კატუნია.

თუ კატამ მოახერხა წრეში შესვლა, თავეს უხსნიან გზას და გარბის წრის გარედ. კატა დაედევნება. თავის დასაცავად თავგი ხან წრეში შემოდის, ხან წრის გარედ გარბის, იმისდა მიხედვით, თუ კატა სად იმყოფება. ხელჩაკიდებულებიც თავეს ყოველთვის გზას უხსნიან, კატას-კი პირიქით—უკრავენ.

!

წიგნები

256.

რწყილი და ჰიანჰველა

რწყილი და ჰიანჰველა დაძმობილდნენ. წავიდნენ გზასა. მიადგნენ ერთს რუსსა. რწყილმა უთხრა ჰიანჰველასა: მე გადავბტები და შენ რალა გეშველებო? განა მე კი ვერ გადმოვბტებო, უთხრა ჰიანჰველამ. რწყილმა ესკუპა, გადახტა; ჰიანჰველამ ისკუპა, წყალში ჩაფარდა. შეეხვეწა რწყილსა: ძმობილო, ნიშვილე რამე, ნუ დამარჩობო. რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ლორთან და სთხოვა:

ლორო, მომე ჯაგარი,
დავგრებ თოქსა, ბაწარსა,
ჩაუგდებ, ამოვიყვან
ჩემს ჰიანჰველსა ძმობილსა.

ლორმა უთხრა: შენ რომ ჩემთვის რკო მოგიტანიო? რწყილი ახტა, დახტა, მივიდა მუხასთან და სთხოვა:

მუხავ, მომე რკო,
რკოს მიეუტან ლორსა,
ლორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრებ თოქსა, ბაწარსა,
ჩაუგდებ, ამოვიყვან,
ჩემს ჰიანჰველსა ძმობილსა.

მუხამ უთხრა: შენ რომ ჩემთვის ყვაფი მოგიშორებო! რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ყვაფთან და სთხოვა:

ყვაფო, ეხსენ მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მიეუტან ლორსა,
ლორი მომცემს ჯაგარსა,

დავეგრეხ თოკსა, ბაწარსა,
ჩაეუგდებ, ამოვიყვან,
ჩემს ჭინჭველსა ძმობილსა.

ყვავმა უთხრა: შენ რომ ჩემთვის წიწილა მოგიყვანიო! რწყი-
ლი ახტა, დახტა, მივიდა კრუხთან და სთხოვა:

კრუხო, მომე წიწილა,
წიწილს მივეგერი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივეუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავეგრეხ თოკსა, ბაწარსა,
ჩაეუგდებ, ამოვიყვან
ჩემს ჭინჭველსა ძმობილსა.

კრუხმა უთხრა: შენ რომ ჩემთვის ფეტვი მოგიტანიო! რწყი-
ლი ახტა, დახტა, მივიდა ორმოსთან და სთხოვა:

ორმოვ. მომე ფეტვი,
ფეტვს მივეუტან კრუხსა,
კრუხი მომცემს წიწილსა,
წიწილს მივეგერი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივეუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავეგრეხ თოკსა, ბაწარსა,
ჭაეუგდებ, ამოვიყვან,
ჩემს ჭინჭველსა ძმობილსა.

ორმომ უთხრა: შენ რომ ჩემთვის თაგვი მოგიშორებო! რწყი-
ლი ახტა, დახტა, მივიდა თაგვთან და სთხოვა:

თაგვო ეხსენ ორმოსა,
ორმო მომცემს ფეტვსა,
ფეტვს მივეუტან კრუხსა,
კრუხი მომცემს წიწილსა,
წიწილს მივეგერი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივეუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,

დავგრეხ თოკსა, ბაწარსა,
ჩავეუგდებ, ამოვიყვან
ჩემს კინკველსა ძმობილსა.

თაგვმა უთხრა: შენ რომ ჩემთვის კატა მოგიშორებიაო! რწყი-
ლი ახტა, დახტა, მივიდა კატასთან და სთხოვა:

კატავ, ეხსენ თაგვსა,
თაგვი დასთმობს ორმოსა,
ორმო მომცემს ფეტვსა,
ფეტვს მივუტან კრუხსა,
კრუხი მომცემს წიწილსა,
წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ლორსა,
ლორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა, ბაწარსა,
ჩავეუგდებ, ამოვიყვან
ჩემს კინკველსა ძმობილსა.

კატამ უთხრა: შენ რომ ჩემთვის რძე მიიგიტანიო! რწყილი
ახტა, დახტა, მივიდა ძროხასთან და სთხოვა:

ძროხავ, მომე რძე,
რძეს მივუტან კატასა,
კატა დასთმობს თაგვსა,
თაგვი დასთმობს ორმოსა,
ორმო მომცემს ფეტვსა,
ფეტვს მივუტან კრუხსა,
კრუხი მომცემს წიწილსა,
წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ლორსა,
ლორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა, ბაწარსა,
ჩავეუგდებ, ამოვიყვან,
ჩემს კინკველსა ძმობილსა.

ძროხამ უთხრა: შენ რომ ჩემთვის ბალახი მოგიტანიაო! რწყი-
ლი წავიდა, დაგლოჯა მინდორში ბალახი და ძროხას მიუტანა. ძრო-
ხამ მისცა რძე, რძე მიუტანა კატასა, კატა დაეხსნა თავგსა, თავი
მოშორდა ორმოსა, ორმომ მისცა ფეტვი, ფეტვი მიუტანა კრუხსა,
კრუხმა მისცა წიწილა, წიწილა მიჰკვარა ყვავსა, ყვავი დაეხსნა მუ-
ხასა, მუხამ მისცა რკო, რკო მიუტახა ლორსა და ლორმა ჯაგარი
უთავაზა. ჯაგრის ბაწარი დაგრიხა რწყილმა და ჩაუვლო წყალში
ქიანქველასა, რომელიც ბალახს მოსკიდებოდა. ქიანქველა ბაწარზედ
შეგდა, რწყილმა ბაწარი გამოსწია, ქიანქველა ნაპირს გამოიყვანა
და სიკედლის გადაარჩინა მერვე ისევე ძმურად გაუდგინე გზასა.

237.

ვეფხვი კატის მოხარჩლე

სოფლის განაპირა ახოში ერთი გლეხი მიწას ხნავდა და გუთნეულ
საქონელს კატაც თან წამოყოლოდა. როცა გაცხარებული ხენა დაი-
წყო, ციცა ტყის ნაპირას პეპლებსა და კალიებზედ ნადირობდა.
ამ დროს ვეფხვმა ჩამოირბინა. კატა რომ დაინახა, სახტად დარჩა,
ძალიან გაიკვირვა და ჰკითხა მას:

— ძამიავ, შენ როგორც გეტყობა, ჩენი ჯიშისა ხარ და რა
ცოდვისა გწევია, რამ დაგგვალაო?

ეშმაკმა ციცამ თავი მოიკატუნა და უპასუხა:

— ჰე, დიდებულო ბატონო, ნადირთ მეფევი; თქვენ არ იცით,
რა წვა და დაგვაში ვართ კაცის ხელშიო.

— მერე ვინ არის ის კაცი, რომ აგრე უდიერად გეკიდება და
დაუჩაგრიხარო? მაჩვენე შენი დამჩაგვრელი და შენ მაგიერად მე
იმას გაუსწორდებო. — უთხრა ვეფხვმა.

კატა გაუძღვა ვეფხვს და დანახვა მას გლეხი კაცი, რომელიც
გუთანს მისდევდა. ვეფხვმა მიმართა კაცს და საყვედურის კილოთ
უთხრა:

— შენ ეს ჩემი მოდგმა კაცი რად დაგიჩაგრიხ
ეს რე, რომ ტანი ველარ უქნიაო. ან ისეთი რა დაგიშავა ამ საცო-
დავმაო, ამის გულისათვის მე შენ უნდა შეგებრძოლოო.

— ბატონი ხარო, — უპასუხა გლეხმა. — მე ძალა სახლში დამრჩაო,
ჩავალ, ამოვიტან და მაშინ შეგებრძოლოთო.

— კარგიო, — სთქვა ვეფხვმა, — წადი და მე აქ დაგიცდიო.

— რომ მონატყუო, წაბვიდე სადნე და მე ტყუილად სო.
ჩასვლა შემრჩესო? — უთხრა გლეხმა; აი ამ ხეზედ თოკით მ.
სოფელში ჩავიბრენ, ძალას ამოვიტან და ჩენი ძალღონე მა.
შინჯოთო.

— კარგიო, — უპასუხა ვეფხემა. გლეხმა მკარგი საბლ.
ვეფხვი ხეზედ, თვითონ იქვე ტყეში კარგი იფნის საბრ.
მივიდა ვეფხვთან და უთხრა: — აი ჩემი ძალაო და ისეთ
ხა სახრით, რომ მთლად გვერდების კანი აუწვა. სიმწ.
სულ მაღლა-მაღლა ხტოდა და იმისი საცოდობით ცაღ.
და. იმდენი ხანი სცემა მას, სანამ მე და შენ მიჯიცი აიყვანა და
როდესაც გლეხმა ცემით კარგად მიბნიდა, აუშვა ვე.
არა მკითხე მოამბეო, მიპერტყე და მიაგდეო, წა
დაიკვებო, იქ ჩემიცა სთქვიო.

ვეფხვი ლას-ლასით გაუდგა თავის გზას და უ.
მიათრევედა; ამ დროს მან კატას თვალი მოჰკრა, — არ გებრალები.
სით უთხრა:

— ბარაქალა, ჩემო ძამიავე, რომ მაგისი ს.
დევ ეგ. ტანი შეგრჩენიაო.

238.

კურდღლის და მისი ბაჭიების თავგადასავალი

ერთხელ მარტში დიდი ყინვები დაიჭირა. ქ. გორის ახლო
მდებარე კვერნაის მთაზედ კურდღელს ხუთი ბაჭია ჰყვანდა და მოუ-
ლოდნელმა ყინვამ ძალიან გაუჭირვა საქმე. დედა კურდღელი ცდი-
ლობდა როგორმე გაერთო თავისი ბაჭიები, ხან ზღაპრებს ეუბნებო-
და მათ, ხან უამბობდა გმირულ თავგადასავალს მკვირცხლთა და
დაუძინებელთა თვისთა წინაპართა. ბაჭიები მაინც აბუზულები იყ-
ნენ და დედის ლათაიები იმათ ვერ ათბობდა.

ერთხელ დედა კურდღელი ჯაგიდან გამოხტა და თან მას ბა-
ჭიებიც გამოჰყვინენ. კურდღელმა სერიდან დაინახა ორმოცი ვერსის
მანძილზედ ციციანთ ტყეში ცეცხლი, ჩამოცუცქდა უკანა ფეხებზედ
და წინა თათები მიუფიცხა ცეცხლს და დაუწყო თათებს ტრიალი.
ბაჭიებმა ჰკითხეს: — დედილო, რასა შერებიო? — კურდღელმა
მიუგო: ცეცხლზედ ვითბობ ხელებსაო.

ერთმა ეშმაკმა ბაჭიამ, რომელიც დედასავით ჩაცუცქებული
იყო, მარჯვენა ფაცი ჩამოიკრა თვალთან.

— დედამ ჰკითხა:— შეილო რა იყოვო?

უდიანმა ბაქიამ უპასუხა: ცეცხლის ნაპერწკალი თვალში მეცაო.

ლი წაგ
ხამ მისც.

239.

მოშორდა

კრუხმა მის

ჩიტი და მელა

ხასა, მუხამ თი ჩიტი-ჩიორა. ტყეში ხეზედ მოხერხებული ალაგი უთავაზა. ჯაუდე გაიკეთა. მერე შიგ ჩაჯდა და სამი კვერცხი დას-
კიანქველასა, ახედ გამოსჩეკა პატარა ჩიორები. დედა თავისს შვი-
შეჯდა, რწყობა კალიებსა, პეპელებსა, ბუზებსა, აკმევდა და ზრდი-
და სიკედილს. ბრულში იყო ჩიორა: ჩქარა დაეფრენ ჩემს ბარ-
ამ მალე უბედურება ეწია. წყეულმა მელამ ბუდეს
რში მიცუნცულდა და ჩიორას შესძახა:

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!

— რაო, ბატონო მელაო?

სოფლის განაპირი შვილი გადმომიგდე,
თორემ შავს დღეს დაგაყენებ:

— ცულს მოვიტან, ცუნცულასა,

ხელეჩოს და წალდუნასა,

ხესაც მოვკრი, ხის ძირსაცა,

შენც შეგკამ და შენს შვილსაცა.

შეეშინდა საწყალ ჩიორას, აიყვანა ერთი ბარტყი და გადმოუ-
გდო მელასა. მელამ პირი დააელო, ბუჩქებში გაარბენინა და გადაყ-
ლაპა. მეორედ კიდევ მიირბინა და შესძახა:

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!

— რაო, ბატონო მელაო?

— ერთი შვილი გადმომიგდე,

თორემ შავ დღეს დაგაყენებ:

— ცულს მოვიტან, ცუნცულასა,

ხელეჩოს და წალდუნასა,

ხესაც მოვკრი, ხის ძირსაცა,

შენ შეგკამ და შენს შვილსაცა;

დალონებულმა ჩიორამ მეორე ბარტყიც აიყვანა და მელას გად-
მოუგდო. მელამ პირი სტაცა, ბუჩქებში გაარბენინა და გადაყლაპა.
მესამედაც მოცუნცულდა მელა და ჩიტს შესძახა:

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!

— რაო, ბატონო მელაო?

ერთი შვილი გადმომიგდე,
თორემ შავს დღეს დაგაყენებ:

ცულს მოვიტან, ცუნცულასა,
ხელეჩოს და წალღუნასა,

ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა,

შენც შეგკამ და შენს შვილსაცა.

მწარედ დაღონებულმა ჩიორამ მესამე ბარტყიც აიყვანა და მელას გადმოუგდო. მელამ გაარბენინა და ისიც სწრაფად გადა-
ყლაპა.

უბედური ჩიტი აფრინდა და მოშორდა იმ არემარეს. შემო-
ჯდა ერთ ხეზედ მეტად დაღონებული. მონადირემ დაინახა და ჰკით-
ხა: „ეგრე მწარედ რამ დაგაღონა ჩიორაო?“ — არ გებრალები,
ერთმა წუწკმა მელამ შვილები სრულიად დამიკამაო. — აბა, წამო,
მიჩვენე ის წყეული და მე გაყურებინებ იმის სეირსაო“. ჩიტი გაუ-
ძღვა მონადირეს და მელასთან მიიყვანა. მონადირემ მელას თოფი
ესროლა, შიგ პირში მოარტყა და კბილები ჩააყრევსა.

240.

ნადირთა ძმობა

დათვი, მგელი და მელია შეხედენ ერთმანეთს და შესჩიულეს,
რომ ხშირად დიდის ხნობით სიმშვილით კუკი გვიხმებო, — მოდი დაე-
ძმობილდეთ და ამიერბიდან რაც მოვინადიროთ, ძმურად გავიყოს
ხოლმეო. დაძმობილდნენ და შეფიცეს ერთმანეთისათვის არ ელა-
ლატნათ.

წავიდნენ სამივენი სანადიროთ. იმათ იღბალზედ დაჭრილი ირ-
მის ნუკრი ნახეს, კისერი მოუგრიხეს, ჩეროში მწვანეზედ დასხდნენ
და გაყოფას შეუდგნენ. დათვმა უბრძანა მგელს, რომელსაც შიმში-
ლით კბილები უკაწკაწებდა, აბა, გაპყავიო.

მგელმა პსთქვა: თავი შენ, როგორც ჩვენს ბატონს და მე-
თაურს, შუა ტანი მე და ფეხები მელიას, რომელსაც ცუნცული
უყვარსო. ეს უკანასკნელი სიტყვები ჯერ არც კი გაეთავებინა მგელს,
რომ დათვმა ისე ღონივრად ჩაჰკრა თავში წინა თათი, რომ თმებმა
ბანი მისცეს. მგელი ყმულით განზე დაჯდა.

დათვი მიუბრუნდა მელიას და უთხრა: აბა, ჩემო მელიავ, შენ გაჰყავიო.

ცბიერმა მელიამ მოწიწებით წარმოსთქვა: თავი შენ, ვითარცა ჩვენს მეფეს, შუა ტანი შენ, რადგანაც შენ ჩვენზედ მარად მამობრივათა ზრუნავ და ფეხებიც შენ, ვინაიდან ჩვენ საკეთილდღეოდ არიან წარმართებულნი სვლანი შენნა.

— ბარაქალა, ჩემო მელიავ, ვინ გასწავლა ეგეთი კუქუიანური გაყოფაო, — ჰკითხა მას დათვმა.

მელიამ მიუგო: შენ რომ წელან ისე ძალიან ჩაარტყი მგელს თავში, კუქუას როგორ ვერ ვისწავლიდიო.

241.

მელია და მწყერჩიტა

მშიერმა მელიან ლეშს მიაგნო და ღონიერად მიაძღა. გაუქირდა მონღელები. შეეხევიწა მწყერჩიტას: მეზობელო, ოღონდ კი ეს საქმელი მომანელგებინე და თავი არ მომიკვდება, ჩემს დღეში შენს ბარტყებს პირს არ ვახლებოა — „კარგიო, უთხრა მწყერჩიტამა: მე აფრინდები და შენ უკან ფეხდაფეხ მომყეო“. აფრინდა და გაიდევნა უკან მელია. ხან მინდორზე არბენინა, ხან ჩირგვებზედ ახტუნა, ხან წყალში ატოპინა. იმდენი ახეტიალა, მინამ ფერდებს დაიხეთქავდა. „ნათლიმამ, მოინელე თუ არაო“? ჰკითხა მწყერჩიტამ. — „მონღელებით მოვიწილეო, უპასუხა მელიამ, მაგრამ ახლა სიცილი მომინდა ძალიანა; ერთი გულიანად მაკინე და შენს შვილი-შვილებსაც არას დაუშავებო“ — „კარგი, ეგეც ადვილი სამსახურია, გამომყე უკან და სიცილითაც გაგაძღობო“. უთხრა მწყერჩიტამ. მწყერჩიტამ მიიყვანა მელა კალოზე და ძნაში დამალა. თვითონ მიფრინდა და ხარს რქაზე დააჯდა. გლახმა სახრე მოუქნია მწყერჩიტას, მაგრამ ის სწრაფად გაუსრიალდა, სახრე ხარს მოხვდა რქაში და მოსტეხა. მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილითა.

მერე მწყერჩიტა მაწვნის ქოთანზე დაჯდა. ქვა ესროლეს, მწყერჩიტამ აიციდინა, მოხვდა ქოთანსა, ქოთანი გატყდა და მაწონი კალოზედ დაიღვარა. მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილითა. მესამედ მწყერჩიტა ბავშვს დააჯდა თავზედ. ბავშვმა სახრე მოუქნია, უნდოდა მოეკლა, მოირტყა თავში და მორთო ღრიალი. მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილითა.

მიფრინდა მწყერჩიტა მელიასთან და ჰკითხა: „კაი სერიი გაჩვენე, თუ არაო“? ამ დროს მელიას კიდევ მოშივნოდა, წაატანა

პირი, უნდოდა მწყერჩიტა დაეჭირა და შეეკამა. მწყერჩიტა აფრინდა, მელისა ზემოდ ძნაზედ დაჯდა და უთხრა: „ერთი სერი კიდევ უნდა გარეწო“. მიეპარნენ მწყერჩიტას და მოუქნიეს დიდი სახრე. აიცდინა მწყერჩიტამ სახრე. მოხედა მელას შიგ თაგში და შუაზედ გაუტეხა: აფრინდა მწყერჩიტა, გასწია თავის ბინაზედ და და მელისას მიაძახა: „სადაც შენი დაიკვებო, იქ ჩემიცა სთქვიო.“

242.

მელა და კაკაბი

მელამ კაკაბი დაიჭირა და კამას რომ უპირებდა, კაკაბმა შესთხოვა: მაინც ხომ შენი ლუკმა ვარ, ღმერთს მადლი შესთხოვე და ისე შემეპამეო. მელამ დაუჯერა, ალაპკრო მალლა წინა თეხები და სთქვა: გმადლობ შენ უფალო, რომ დღეის სადღილი გამომიგზავნეო. ამ დროს იდროვა კაკაბმა და გაფრინდა. მელამ დაიხედა წინ და რომ აღარ დახვდა ლუკმა წამოიძახა:

„კაკბისა მოსატყუარსო,
ვაი შენ ვაგლახ მელასო,
ჰქონდა მშიერი მუცელი,
რალა დიდება ღმერთსაო“.

243.

სანათლაოდ მამახინანო

დათვი და მელა დამშობილდა. იპარეს ქათმები, ხორცი კამეს და ქონი ჭურში ასხეს. გაამსეს ქონით ერთი ქვევრი, წაგნისეს თავი და შეინახეს. დათვი კვდება შიმშილით. მელა გამოვა კარში, გაძღება ჩუმად, მოიხოცს ტუჩს და შევა. „ე, ახლა მოვხადოთ, მიხედვ ღმერთს, მოგვედი შიმშილითო“. ეუბნება დათვი მუცელზე ხელ მიჭირებულნი. „აჰ! რაგა იქნება, თუ ორი კვირე მაინც არ დავატალეთ, არ დავარგდებო“ გამოვარდება მელა კარში. ჰაი, ჰუი! შეიქნება ხმაურობა, ერთი უშეველებელი.

— რა ამბავიაო? კითხავს დათვი.

— სანათლაოდ მეძახინანო, ეუბნება მელა.

უჰ, გაეხარდება დათვს—წადი, წადი ამა და ცოტა რამე წამომიღეო. ეჰ! რაგა არ წაშოგიღებო!—ანუგეშებს მელა.—ოლონ შენ აქანა იყავი, თეხი არ მოაცვალო—დაუბარებს და წაგა. დათვი ჯის სახლში და უცდის. მელა გავა, მოხდის ჭურს, გამოძღება ქონით, მოიხოცს ტუჩს და შემოვა. „რა ქენი? წამომიღე რამეო?—ჰკითხავს დათვი. „რას წამოგიღებდი, ჩემთვისაც არათერი მოუტანიათ,

ფოჩი თუ შემხვედა თუ არა, ხორცი არა მრგებია. ერთი წიწილი წაქლეს, ააწიპწიპეს, დააწიპწიპეს, მეც არაფერი მრგებია, შენ რაღას წამოგიღებდიო?“. „რა დაარქვესო?“ და „თავახდილაო“. დათვს შია, კვდება შიმშილით. „ე, ახლა მოვხადლოთო“—ჩაციებია მეღას. „ჯერ მოიციადე, აგერ სანათლაოდ დამიძახებენ და წამოგიღებ რასმეო“. „ჰაი, ჰუი!“ შეიქნება კილო ერთი ხმაურობა. გამოვარდება მეღა კარში. „რა არიო?“ და აგერ, სანათლაოდ მეძახიანო. „წადი, წადი, ჰო! ჭგება მოირჩინო რამე და წამომიღეო“—უბარებს დათვი. „შენ მისი ჯაგრი ნუ გაქო“ და წავა. მოხდის ჭურს, გაძლება ქონით, მოიხოცს ტუჩს და მოვა. „რა ქენი? არაფერი წამომიღეო?“—იპ! რას წამოგიღებდი, მე რომ არაფერი მრგებია. ფოჩი ფუ ვკამე, თუ არა ხორცი არ შემხვედრია. ერთი ქინკილია ღვინო ქონდათ, ჩაარაკრაკეს, ჩამოარაკრაკეს და ჩემთან რომ მოვიდა—აღარ იყოო. შემოეყარა დათვს გული, მაგრამ „ხვალ აგერ სხვაგან წავალ კილო და მაშინ წამოგიღებო“—ანუგეშა. „რა დაარქვეს“—ო და—„შუათანა“—ო. მეორე ღლეს „ჰაი, ჰუი“ შეიქნება კილო ერთი ხმაურობა. გამოვარდება მეღა კარში და „რა იყო?“ კითხავს დათვი. „აგერ სანათლაოდ მეძახიანო“. წადი, წადი, აპა!—ააგულიანებს დათვი და ცოტა რამე წამომიღეო. „შენ ჯაგრი ნუ გაქო“. მიცენს იმედს მეღა და გავა. მოხდის ჭურს, გაძლება ქონით, მოიხოცს ტუჩს და მოვა. „რა ქენი? არაფერი წამომიღეო?“—„რას წამოგიღებდი, ჩემთვის რომ არაფერი მოუტანიათო“. „რა დაარქვესო? და „ძრო-ხოცილაო“... ასე ამნაირად ატყუა მეღამ დათვი სანამ სულ არ ამოქამა, ამოცალა ქონი. ამოსლაქა ჭური, გაამსო ნაცრით. წაგნისა თავი და დატოვა. რამე აღარ გავიდა ორი კვირე?... აღარ მოვხადლოთო? ეკითხება დათვი მეღას. „კი... იქნება ახლა დავარგებულო“—უთხრა მეღამ და წავიდნენ სანახავად. მოხადეს ჭური. „უჰ!... ჰე არ მოუკიდებია! დაგვგვიანებიაო.—თქვა მეღამ.—აპა, უშველე. სული შეუბერე და ჰე მოცილდებო. დათვმაც მოუჩოქა. „გამოქაჩე ძან თვალეები და რაც შეგიძლია, ღონიერად, მაგრად შეუბერეო“. დათვმაც გამოქაჩა თვალეები და შეუბერა, ავარდა კორიანტელი და ნაცრით ამოემსო სულ თვალეები. არიქა, იყვირა დათვმა, მიშველე რამეო, დაეჯღანა მეღას. მაგის წამალი არაფერი არ არი—უთხრა მეღამ უნდა იხტუნო და თავისთავად მორჩებო. მე დავარაკუნებ და შენ მომყევო. დათვმაც დაუჯერა. მეღამ ჩაყარა კვანში სიმინდის კაკალი და დააწყებია რაკუნი. გაარაკუნებს და აპა, გადმოხტენიო. ისკუპებს დათვი და გადახტება. გაარაკუნებს და—აპა, აქანა გადმოხტენიო. აიწვევა დათვი და გადახტება. მიიყვანა, მიიყვანა ასე.

და დიდ კულის პირას მიაყენა. გაურაკუნა და—აჰა, აიწიე და გად-
მოხტენი. აქანა ცოტა ლელეო...—დაიხევა დათვი და რაც ძალი და
ლონე ქონდა, ისე გადახტა. გადაეწო კლდეს თავზე და... წავიდა
ჯურღმულში. ჩალისა, დაღუპა, მოიცილა მელამ ძმობილი და შინ
წმინდობით წამოვიდა გამარჯვებული.

244.

მელა და მგელი

გლეხმა თევზი დაიჭირა ბევრი. სახში მიქონდა ურმით, კალა-
თი სავსე ეღვა ურემზე. მელიამ დაინახა. ახტა ურემზე. შეძვრა ზრი-
ნენტ-გადაფარებული კალათში. მიმავალ ურემიდან თევზები გადმო-
ყარა. პატრონმა ცარიელი ურემი მიიტანა სახში. მელიამ დაკრიფა
ეს დაყრილი თევზები, შეიტანა თავის უმანოში. კანს არხეინად. გა-
ნოუარა მგელმა.

— ნათლი, მობძანდი, თევზი მიირთვიო!

მგელი მოვარდა გამსუნავებული (სული ეცა, იმითომ დარბოდა).

— ბიჭო, სად იშონე ამდენი თევზიო?

— თევზის კერის მეტი რა მასწავლა ბუნებამო.

— მე მასწავლეო,— უთხრა.

— რატომ, გასწავლიო, ხოლოთ წამოდიო, უთხრა.

წაიყვანა წყლის პირას. „აბა, დაწვიო წყლის პირას და კუდი
წყალში ჩადევო, უთხრა. იყავი ასე თელი ღამეო, უთხრა. რამდენი
ბეჭვი აზია შენ კუდსაო, იმდონი თევზი მოგეკიდებაო. არ აღგე
შენო, უთხრა, პატარა კიპყინებისთვის არ აღგე შენ—სული არ წა-
გივიდესო—თუ გინდა ბევრი თევზი დაიჭიროო... მე სულ ასე ვიპერ
თევზებს და კიდევაც მაძლარი ვარო... ხვალ დილას იმდონი თევ-
ზები გეჟოლებო კუდში, რომ შენ ველარ ზიდავ და მე ნოვალ და
მოგენმარებო. ხვალ დილამდი არ აღგეო“.

წევს თელ ღამის განმავლობაში მგელი წყლის პირზე წყალში
კუდწაღებული... დიდი ყინვა იყო. გაიყინა კუდი წყალში.

მოვიდა მეორე დილას მელია.

— ბიჭო. ე რა მასწავლეო: რამდენი თევზები ნყავს კუდშიო...
თუ ვინმე არ მონაშველე, მე ველარ ვწიკავ მაგას...მძამეა“-ო.

— კი ბატონო! ეხლავე დაეუძახებ მშველელებსო და სიცუ-
ლით წავიდა სოუელში მელია. დაიწყო ჩნავილი. ჩნავილზე ძაღლები
გამოკვივდა. გამოსდიეს გლეხებმა კეტებით. მელიამ განზე გახტა—

ტყეში დეიშალა — გლეხებმა მგელი ნახეს დაბმული, დაჭერილი. დაუშინეს ჯოხები. მგელმა მიხვდა რაშია ც იყო საქმე და დაიწყო ღრიალი: გაქცევა უნდოდა, მაგრამ წყალში კუდი ქონდა გაყინული. აიწია, რაც ძალი და ღონე ქონდა, კუდი იქ ჩატიდა, თავს უშველა თავგატებილი და უკუდო.

245.

გლეხი, დათვი და მელა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხი. მას ცოლის მეტი არავინა ჰყავდა. ერთხელ გლეხი ყანაში სამუშაოთ წავიდა. გზაზე პანტის ძირში დათვი ნახა. დათვს იმდენი პანტა ექამა, რომ იქვე ხის ძირში გორავდა და ველარ მოენელებინა. გლეხს სიცილი შესკდა, ეს რომ ნახა, დათვმა უთხრა: „არავისთან გამამხილო, თორემ შეგქამო. გლეხმა უპასუხა რომ არავისთან არ გაგამხელო. როცა გლეხი შინისკენ წამოვიდა, დათვიც ადგა და ჩუმათ უკან გამოედევნა. გლეხი რომ შინ მივიდა, დათვი სახლის ყურეს ამოეტუხა და ლაპარაკს ყური დაუგდო. გლეხი მოუყვა ცოლს დათვის ამბავს. დათვმა ყველაფერი გაიგონა და გამობრუნდა. წავიდა გლეხის ყანაში და ჩაწვა. მეორე დღეს გლეხი ისევ წავიდა ყანაში სამუშაოთ. იქ დაწოლილი დათვი რომ დაინახა, შეშინდა. წამოდგა დათვი და შესძახა:

„ადრე გამოხნავ,
ადრე გამოგხრავ;
გვიან გამოხნავ,
გვიან გამოგხრავ“.

გლეხი შეშინდა. გამოვიდა გზაზე და დაღონებული დაჯდა. შუადღეზე ცოლმა სადილი მოუტანა: ერთი კარგათ შემწვარი დედალი, სამი ხაჭაპური და ერთი ბოთლი ღვინო. გლეხმა უთხრა ცოლს: რა მესადილებო, ქალო, დათვი ყანაში ჩაწოლილა და ასე მეუბნება:

„ადრე გამოხნავ,
ადრე გამოგხრავ;
გვიან გამოხნავ,
გვიან გამოგხრავ“.

ცოლმა უთხრა შენ რა დაუშავე მაგის ფასიო?—წუხელი რო ამბები გითხარი, იმისთვის მექადნებო. ამ დროს სად იყო და სად არა, გაჩნდა მელია. გლეხი რომ შეწუხებული ნახა, ჰკითხა:—რამ

დაგალონაო?—როგორ რამ დამალონა, აგერ ყანაში დათვი წევს და შეკმას მიპირებსო. მაშინ მელიამ უთხრა:—თუ მაგ ქათამს და ხაქაპურებს მე მაკმევ, გიშველიო. გლებმა მიუგო:—ოლონდ კი მიშველე და ლეინოც შენი ფეშქაში იყოსო. დაჯდა მელია და შეექცა გემრიელ საკმელს. როცა გაათავა, გლებს უთხრა: შენ წადი და დათვის ახლოს დაიწყე ხენა, მე გავალ პატარა სერზე და იქიდან დაგიძახებო; შენ კი მაგიერი პასუხი გამეციო. გლებმა ხენა დაიწყო; მელია გორაზედ გავიდა და—იქიდან გადმოიძახა:—კაცო, შენ ჰეი!

— რა იყო, რა?

— სამი წლის დათვის კვალი ხომ არ გინახავსო. ხელმწიფე შოდის თავისი ჯარით და მისი ნახვა უნდაო. დათვი შეეხვეწა გლებს: არ მინახავსო, ასე უთხარიო.

— არა არ მინახავს.

— მაშეგ რა არის?

გლები დაეკითხა დათვის, რა ვუპასუხოვო?

დათვმა უთხრა:—ჯირკიაო.

— ეს ჯირკია, ჯირკია!

— თუ ჯირკია, ურემზე დაუდევი. დათვი შეგორდა ურემზე. მელიამ გადმოსძახა:— აბა დააკარი ჯირკი ურემზედაო. გლებმა დათვი ურემზე თოკით დააკრა. მელიამ დაიძახა.—აბა უცულდისყუეო! გლებმა დასცხო ცულდი დათვს და მოკლა. მელიამ და გლებმა ბეგრი იცინეს. გლებმა დათვის ხორცი ხორცათ გაჰყიდა, ქონი ქონათ შოიხმარა და ტყავი ტყავათ.

ელასა, მელასა,

ქიქა მეკიდა ყელასა;

მთქმელსა და გამგონებელსა

თითო სტაქანი ყველასა.

ქირი იქა,

ლხინი აქა;

ქატო იქა,

ფქვილი აქა.

246.

მელას ოინი

ერთი დათვი და მელა დამეგობრდნენ. დღე ყოველ რასაც ინადირებდნენ სალამოს მოიტანდნენ სოროში, მივარდებოდა დათვი,

როგორც თავის, ეგრეთვე მელიას ნაშოვარსაც შეთქლათდა ხოლმე-
დარჩებოდა მელა მშიერი. დამაცადე, რა გიყო შენ, იტყოდა ხოლმე
თავისთვის მელა. ერთხელ რო კიდევ მიდიოდენ ესენი ჩვეულებრივ-
სანადიროთ, მელამ მოიძია გზაში ერთი თხილი, აილო, გატეხა და
შეკვამა. რას შრობიო,--ჰკითხა დათვმა.—არასფერსა, მომშივდა და
თვალი გამოვიგდებინე და შეეკვამეო. დათვმაც გამოიგლიჯა ფანჩით
ერთი თვალი და შეკვამა. მელამ მეორე თხილი ნახა, გატეხა და ის-
იც შეკვამა. დათვმა დაინახა ეს, ეგონა თვალი შეკვამაო და იკრა მე-
ორე თვალში ფანჩა გამოიგდო და შეკვამა. დაბრმავდა ორივე
თვალით დათვი და იძახდა:

— მიშველე მელავ, ველარ ვხედავო.

მოჰკიდა ფანჩა მელამ და წაიყვანა დათვი.

— სად მიგყევიარო,--ჰკითხა დათვმა.

— სადა და მანდერ ბატები და წავიდეთ შეეკვამოთო. მე მა-
ინც მშინანო და აბა ჩქარა მიმიყვანეო.—ნისული ვართო, უთხრა მე-
ლამ, მიაყენა უშველებელ ღრმა ხევის კლდის წვერზე, ჰკრა ფანჩა
და გადააგდო უფსკრულში.

247.

მელია და მგელი

იყო ერთი კურდღელი. ერთხელ წავიდა კურდღელი და მუხის
ქვეშ დაწვა. მუხაზე ყვავი შემოჯდა და რკო ძირს ჩამოაგდო. რკო
კურდღელს თავზე დაეცა. კურდღელს ეგონა, ქვეყანა იქცევაო, წა-
მოხტა და გაიქცა. გზაზე შეხვდა მგელი და კითხა, კურდღელო, სად
მირბიხარო, ნადეთ ძმობილო ცა და ქვეყანა იქცევა და ნუ მიდიხარ.
მგელს მართალი ეგონა და ისეც გაიქცა. შემოეყარათ მელა და იმა-
საც ისე დაემართა, ირბინეს სამივემ და მივიდნენ ისეთ ალაგს, რო
საქმელი ვერ იშოვეს და სიმშლით კუჭი ეწვისთ. საქმე რო გაუ-
პირდათ მგელმა და მელამ კურდღელი შეკვამეს. კურდღელი რო გა-
მოინელეს, ისევ მოშივდათ. ახლა მგელმა მელიას შეკვამა დააპირა.
გაიქცა მელა, უკან დაედევნა მგელი. მიადგა მელა ერთს წყალს და
რალა ქნას ახლა? აიხედა ზევით და შეხვდა კაქკაქს. მეტი რო ვერა-
მოახერხა, მიუბრუნდა მელია მგელს და უთხრა, თუ დამგისნები და არ
შემკვამ, აი ასე დაგაპრელებ, როგორც ეს კაქკაქია პრელიო. მგელი
მოსტყუვდა და მელას დაუჯერა, მელამ უთხრა მგელს, წავიდეთ ერ-
თი სადმე კამეჩი ვნახოთ, დავეკლათ, ჯერ ვსკამოთ და გამაძლარო
უფრო დაპრელებიო. ესინი წავიდნენ, მართლაც ნახეს ერთი კამე-

ჩი და დაჰკლეს. მელა სანამდის გაძლებოდა წავიდა, ცეცხლი და სახნისი იშოვნა, ცეცხლი დაანთო და სახნისი შიგ ჩაღვა გასახურებლად. მგელს უთხრა კამეჩი შუაზე გაეხვიტოთ შიგ გაეძვრეთ ხოლმე ორივე დაეჰრელდებითო. მგელმა დაუჯერა, ზელამ კამეჩი წვრილად გახვიტა შუაზე, ისე რომ თვითონ შეეძლო გაძრომა შიგ. მერმე უთხრა მგელს გაეიქცეთო და გაეძვრეთო. მელა გაიქცა და გაძვრა შიგ, მგელი გაიქცა, შიგ ვერ გაეტია და თავით გაეკვეტა. მელამ წამოუხსვა ხელი გახურებულ სახნისს და ზურგზე დაჰკრა, იქამდის ურტყა, სანამ სული არ გაანახევია. მგელმა ბევრი იყვირა, მაგრამ თავს ველარ უშველა. მელია მოდგა და დაუწყუო ქეიფიანათ კამა კამეჩს და მგელს. ქონი ჭურში ჩაასხა, ძვლები ხორათი დადგა და შეშათ წთელი ზამთარი ეყო.

248.

ლომის ერთგულება

ერთი ტუსალი გამოიქცა ციხიდან, მთაში იმალებოდა, აქა-იქ იმდონ ხეტიალში იპოვნა გამოქცეაბული კლდე და, შეეფარა ავდარწვიმაში სისველისგან მაინც გადაეჩინებო. სალამო ეამდებოდა. დაინახა უზარმაზარი მომყალი ლომი. ტუსალი მიხვდა ლომის ბუნაგნი იყო. შიშმა აიტანა, რალა ექნა, სადლა გაექცეოდა. ლომი ხინხილკოკლობით მიუახლოვდა ბუნაგს. დაინახა შეშინებული კაცი, დაწვა, გაიშვირა ფეხი კაცისკენ. კაცი მიხვდა ლომი საშიშო არ იყო. მივიდა, ფეხი გაუშინჯა. ნახა დასიებოდა და ეკალი შერკობოდა. ამოიღო, ჩირქი გამოწურა, თავის პერანგის სახელი მოხია, შეუხვია და იმ დღიდან დამეგობრდნენ. ლომს ისე შეუყვარდა კაცი. რომ ყოველთვინ საზრდოს უზიდავდა კაცს. ასე ატარებდნენ დროს.

იმ ქვეყანაში დამნაშავე კაცს ლომებით სჯიდნენ. ამ სასჯელითვის ეძებდნენ ტუსალს, ვერ პოულობდნენ. მაგრამ ახში მაინც მიავნეს. ლომი და კაცი ერთად დაიპირეს და უკვირდათ მათი მეგობრობა. ტუსალი ცალკე დაამწყვდიეს, ლომი ლომებთან შეიყვანეს.

ერთ დღეს მეფე-დედოფალი და რჩეულნი პირნი შეიკრიფნენ დროს გასატარებლად და მეფემ ბძანა ტუსალი ლომებისთვის შეებრძოლებინათ. ტუსალს ხუთი ლომი მიუხიეს, რომელი ლომიც ყველა ლომზე დიდი და ღონიერი ჩანდა, გადაელობა ლომებს და დაუწყუო ჩხუბი, ტუსალთან არ უშვებდა. ხან ერთს წააქცევდა, ხან ზეორეს, ხან მესამეს, ხან მეოთხეს. მეფე, დედოფალ და მაჟურებელთა შორის განცვიფრება გამოიწვია; მიიყვანეს ტუსალი და ჰკითხეს, რას ნიშნავდა

ლომის თავგანწირული მოსარჩლება. ტუსალმა უამბო მეგობრობა ლომთან, რა დღიდგან, რა საბუთით დაამხანაგდნენ. მეფემ მოიწონა ლომის გონიერება და ტუსალი და ლომი გაანთავისუფლა.

249.

ჯინჯარაჲ და ჯინჯინოგელა

იყო პაწია ჩიტუნია კინკრაქა. მეზობელს ოჯახის შვილი მოკვდომოდა და სატირალში მიიპატივეს: მოაგროვა კინკრაქამ დიდძალი ასაბია და მოზარედ კიკინობელა გაიყოლია. მივიდნენ სატირალში დიდის ამბითა და ზეიმით. აუშვა ზარი კიკინობელამა და გააბა და გააბა, —სულ გული და მუცელი შეუწუხა ხალხსა. იმისმა კიკინმა მთლად ყურები წააქამა მთელს ასაბიასა. შერცხვა კინკრაქასა და ლობეში მიიმალა. სამი თვე იკიკინა და იკიკინა მოზარემ; ეგონა, კინკრაქაც გულამოსკენით მოსთქვამსო, ის-კი არ იცოდა, რომ იმისმა ზარმა მთლად გააყრუა იქაურობა და კინკრაქაც სირცხვილით მიიმალა. მობრუნდა უკან კიკინობელა და იკითხა: რას შერება მატირალიო, მაგრამ კინკრაქა იქ ველარა ნახა, თვალი-ლა მოჰკრა, რომ შორს, ლობეში შემძვრალიყო და ძმალებოდა. დასწყევლა მაშინ მოზარე — კიკინობელამ მატირალი-კინკრაქა და სთქვა: სანამდის კიკინობელა კიკინობს, კინკრაქას ჯილაგმა თავი მალლა ვერ იჩინოსო. მას აქეთია, რომ კინკრაქა სამს თვეს, როცა კიკინობელა კიკინობს, ლობე-ლობე დაძვრება და თავი ველარ გამოუყვია.

2 0.

მ ე ლ ი ა

იყო და არა იყო რა, ლეთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი რწყილი და მელია. დაძმობილდნენ და მიდიან. ერთი წყალი შამოხვდათ. გადაფრინდა მელია და წავიდა. პური, ხორბალი წელზე, ზურგზე შამაიკრა. მიდის და ერთ ოჯახში დაულამდა. დაულამდა და დაუძახა: ოჯახიანო, სტუმარი არ გინდათო?

— როგორ არა მელა, მობძანდი, მობძანდი, სტუმარი ხეთისა არიო. შეიყვანეს სახში, მოართვეს საკმელი რაც უნდოდა და დაძინეს. ყველამ რომ დაიძინეს იმ ლამეს, ადგა მელა, გამოვიდა გარედ, გამაიპარა და საქათმეში შაიტანა ის პური. გაშალა ქათმებ ქვეშ, შავიდა და ისევ დაიძინა. ადგნენ მეორე დღითა, მაიკითხეს

პური. რალას იზამენ. ნახეს ქათმებს უყრია. დაიჩემა მელიამა ერთი მამალი.

— თუ ამას მამცემთ, თუ არა და აქედან აგყრითო. აიღეს და მისცეს ის მამალი. წაიყვანა ის მამალი და კიდევ ერთ ოჯახთან დაუღამდა. კიდე ისე დაუძახა, როგორც წელანა ვთქვი. შეიყვანეს ისიც სახლში. რო დაიძინეს, კიდე ადგა, გამაიყვანა ის მამალი, მოგრიხა თავი და ცხვრის ქვეშ ამოდო. მეგრე ადგნენ მეორე დილითა. მაიკითხა მამალი. ნახეს რომ ცხვრის ქვეშ არის.

— თუ მაგ ცხვარს მამცემთ, მამცემთ, თუ არა აქედან არ წავალო. რას იზამენ, აიღეს და მისცეს ის ცხვარი. მიყავს და ერთ ოჯახში კიდე დაუღამდა. დაუღამდა და მივიდა. იქაც დაიძინეს. რალა ბევრი გაფაგრძელო, ადგა იმ ღამეს, გამაიყვანა ის ცხვარი, მოუგრიხა თავი და ხარ ქვეშ ამოდო. ეგორე დილით მაიკითხა ცხვარი.

— ჩქარა ჩემი ცხვარი მამიყვანეთო. რას იზამდნენ, ნახეს, ხარ ქვეშ არი.

— თუ მაგ ხარს მამცემთ, მამცემთ, თუ არა და აქედან აგყრითო. შაშინდა ეს ხალხი, მისცეს და წაიყვანა. მიდის და ერთ ოჯახში ქორწილია. დაინახეს მელა.

— მობძანდი მელა, მობძანდი, მივიდა. დასვეს პატარძალი გვერდზე. იქეიფეს იმ ღამეს, დაიძინეს. სულ ყველას დაეძინა. ადგა ეს მელია, ყველას ჯიბეები დასინჯა. პატარძლის ჯიბეში დანა ყოფილიყო. ამიილო, წაილო და ის ხარი დაკლა. დაკლა, გაასისხლიანა დანა და ისევ პატარძლის პალტოს ჯიბეში ჩადო. ადგნენ მეორე დილით, მაიკითხა ხარი. ნახეს დაკლული.

— აბა ვისაც სისხლიანი დანა ამააჩნდება, ის უნდა წაეყვანო. ნახეს და პატარძალს ამააჩნდა. დალონდა ეს პატარძალი. მაგრა რალა იქნება, აშინებს ი მელია.

— აბა თუ მაგ პატარძალს მამცემთ, მამცემთ, თუ არა დაგხოცამთო. მელიას ეუბნებიან:

— გინდა, ორი ხარი წაიყვანე და პატარძალს ნუ წაიყვანო. მარა არა ქნა მელამ, ჩასვა გუდაში პატარძალი და წაიყვანა. მიდის და მღერის:

პური გავცვალე მამალზე,

მამალი—ცხვარზე,

ცხვარი—ხარზე,

ხარი—პატარძალზე.

ბანი პატარძალო! ი, ი, ი, ი, ი!

ლილინებს თითონა. მიდის და მეგუთნეებმა დაინახეს. დაინახეს და დაუძახეს:

— მობძანდი მელია, სადილზე გვეწვიეო.

— არა მადლობთო, მელიამ დაუძახა.

— მობძანდი, მობძანდი, წყალი მაინც ამოგვიტანეო. მიბრუნდა, მაიხსნა გულდა. მერე ცხრილი მისცეს და გაგზავნეს წყალზე, ჩაყოფს ამ ცხრილსა და აიძვება. ამოიღებს, დაცალიერდება. იქიდან დაუძახა, ვერ ვამსებო და მერე დაუძახეს, გაგლისე და გაიმსებო. ის იქ არი. ყვირის მაინც, ვერ ვამსებო. იმათ ამოსვეს პატარძალი. უთხრეს:

— წადი ჩქარაო, სუ ირბინეო. ჩასვეს ერთი დიდი შავი ძაღლი. ჩაუყარეს ბევრი პურის ნამტვრევები. დაუძახეს:

— მოდი მელიავ, კარქი მოდიო. მოიდა და რამდენი ვეწვალე, ვერ ავამსეო. არა უშავ რა მელა, მადლობელი ვართო. აიკიდა გულდა და მიდის. მიდის და კიდევ მღერის:

პური გავცვალე მამალზე,

მამალი—ცხვარზე,

ცხვარი—ხარზე,

ხარი—პატარძალზე.

ბანი პატარძალო, ი ი ი ი ი! ლილინებს. ძაღლი დაიღრენს. —ეს რალაც ცუდ ხმაზე იძახის, თუ არა ენახეო. მაიხსნა გულდა. მოხსნა პირი და ამოვარდა ეს ძაღლი. ეცა ამ შენ მელიასა და 'გაგლიჯა და გამოგლიჯა. პატარძალიც სახში მივიდა და ძაღლი პატრონთან მივიდა.

251.

ცხვარი და სილარიბე

ცხვარი შევიდა სახლში, დაინახა სილარიბე, ფეხები დაუბაკუნა და დაუყვირა:

— ადე, სილარიბევე, გამეცალე აქედანაო!

— რად უნდა გაგეცალო? ეს სახლი ჩემიაო!

— შენი კი არა, ჩემი უპრიანიიაო. ეხლავე უნდა გამეცალოო! რო გაუჭირა საქმე ცხვარმა, სილარიბემ სთხოვა:

— სახლის ნახევარი მაინც დამითმეო.

— არა, ვერ დაგიტმობო.

ბოლოს სილარიბე შეეხვეწა: ერთი კუნჭული მაინც დამითმეო.

— ვერ დაგიტმობო, მთელი სახლი უნდა დაგიჭიროვო.

— რად გინდაო?

— რათა და მათათ, რომ ერთ ქუთხეში მე უნდა დაედგეო, მეორეში ბატკანი უნდა დავაყენო, მესამეში მატყლს დავდებ და მეოთხეში—ყველსაო.

აღვა სიღარიბე და გაეცალა.—მთელი სახლი ცხეარს დარჩა.

252.

ნაცარქექია

იყო ერთი ნაცარქექია კაცი. იჯდა სულ ნაცარში და ქექაქქდა. ცოლმა ბრაზისაგან არ იცოდა რა ექნა და უჯავრდებოდა ხოლმე: კაცო, სულ რა ნაცარში ზიხარ, აღექი, წადი, გაისარჯე და იშოვე საცხოვრებელი, ჩვენ რჩენა არ გეინდოა?.. ნაცარქექია ცოლის ჩივილს ყურსაც არ ათხოვებდა და ის თავისას არ იშლიდა. ერთხელ გამოჯავრებულმა ცოლმა კარგი ოინი უყო ნაცარში მქექაქეს ქმარსა. ვინცალას ქადა გამოართვა და ქამაქამით შემოვარდა სახლში: კაცო, ღმერთი კარში ქადას ჰყრის ზევიდგან, მთელი ქვეყანა დაედვა და ზიდავენ ტომრებით ქადას, აი, ერთი ქადაც მე მოვიტაცე და გამოვიქეც შენკენ შესაღყობად, აღექი, გაიქეცი და მოჰკრიფე შენცაო. როგორც იყო შეიძრა, ქადას ხათრისათვის, წამოდგა ზანტად და გასწია კარისაკენ, გასვლა და ცოლის კარის ჩაკეტა ერთი იყო, თან უთხრა: წადი, იმუშავე და საცხოვრებელი მოგვიტანე, თორემ სულ აღარ შემოგიშვებ სახლშიო. ნაცარქექიამ დახედა მოსტყუვდა ცოლისაგან და კარში დარჩა. შეეხვეწა, რახან სამუშაოდ მისტუმრებ სხვაგან ეოთი გულდა ნაცარი მაინც მომეცი, მასთან ერთი ნაქერი ყველი და ერთიც კვერცხიო. ცოლმა დიდი ხნის ხვეწნის შემდეგ, მისცა ქმარს მონათხოვი და ისიც წავიდა გზად. ბევრი იარა თუ ცოტა იარა ნაცარქექიამ, შეხვდა ერთი დევი. მიესალმა მას და ვინაობა ჰკითხა. მე ფალაფანი მდევი ვარ, უპასუხა მან, ჩვენ შვილი ძმანი ვართ ყველანი მოკიდავენო. ნაცარქექიას ცოტა შეეშინდა, იფიქრა, არ იქნას მაწყინოს რამე უღონო კაცსაო, მაგრამ მან მაინც გული გაიმაგრა და ტრაბახობა დაიწყო. მეც ფალაფანი ვარო, უთხრა ნაცარქექიამა. დევმა ახედა ჩახედა ნაცარქექიასა და ფალაფნობა ვერა შეაღყო რა და ცოტა ტუჩებში ღიმილს მოჰყვა. ეს შენიშნა ნაცარქექიამ და ყოჩაღად უთხრა მოდი, მაინც ორნი ვართ და ერთმანეთი გამოვცადოთ ამ მინდორში, რომელი უფრო ღონიერი ვართო. გაეგორდეთ ამ მინდორში, რომელი უფრო დიდ მტვერს ავადენთო. გაეგორდა მდევი და მეტი ღონისაგან მიწაში ჩაეფლო, ჩააღრმავა და მტვერი კი ვერ აადინა. გაეგორდა ნა-

ცარქეჟია თავის გუდა ნაცარით. რონელიც ზურგზე მიმაგრებული ჰქონდა და იმდენი მტვერი აადინა, რომ თვალები კინალამ დაჯბრმავა მდევსა. მდევნი გაჰკვირდა ნაცარქეჟიას ღონეზედა. ეს რა არის გულგაკეთებულმა ნაცარქეჟიამ წამოუძახა: ქვას მოუჭიროთ ხელი და რომელი გამოვადენთ წყალსაო. აილო მდევმა ქვა, მოუჭირა ხელი და დაფშენა, მარა წყალი ვერ გამოადინა. ამოილო ჩუმათ ჯიბიდან ყველის ნაკერი, მოუჭირა ხელი და წვენი კი გაადინა. ამის ნახვასე ცოტა არ იყოს შეეშინდა მდევს, არ იქნას რამე ამტეხოს ამ მძლავრმა კაცმაო. ნაცარქეჟიას უფრო მხნეობა მიეცა და უფრო ხმამალა უთხრა: აბა ქვა გავისროლოთ და სადაც მოვარტყამთ თუ რომელი გამოვიყვანთ წყალს იმ ადგილიდანო. გაისროლა მდევმა ქვა, სადაც დაეცა კლდეს სულ დაფხენა, გასროლილი ქვა, მარა წყალის გამოდენა კი ვერ შეიძლო. ამოილო უბიდგან კვერცხი ნაცარქეჟიამ, მოიქნია და კლდეს დაათქვიფა და გადმოადინა სისველე კლდეზე. მდევს ძალიან გაუკვირდა ნაცარქეჟიას ღონეზედა და უთხრა: მოდი, შენც გვეძმე. რვა ძმანი ვართ და შენ მეცხრე ძმა იქნები და წავიდეთ სახლში ერთად ვიცხოვროთო. ნაცარქეჟიამ თქვა თავისთვის, ჩემი ცოლი მაინც არ მიშვებს სახლში, მოდი წავეყვები, რაც მომივა მომივაო. აღგა და წაჰყვა, მდევმა რო მიიყვანა თავის ძმებს გააცნო ნაცარქეჟია და უთხრა თუ რა საგმირო საქმეები ჩაიდინა მან. ერთი გაგორებით იმოდენი ხვარი ააყენა, ხელის მოჭერით ქვას წყალი გამოადინა, ქვის გასროლით დანაცემ ადგილიდან წყალი გამოადინა. ცოტა არ იყოს ასეთი საკვირველი ამბებით ისინი შეეშინდნენ, რომ არაფერი ეწყინებით, რომ რამე უბედურება არ დაემართნა მათთვის და ყველანი კრძალვით ეპყრობოდნენ მას და ჰყავდათ მიღებული, როგორც ძმა, მარა მაინც იქვი ჰქონდათ არაფერზე გაჯავრებულიყო და არ გაეწყვიტა ისინი და ამიტომაც გადასწყვიტეს ერთხელ გაეგზავნათ ის კაკლის ხის საყარაულოთ, სადაც დათვი შემოჩვეოდა და ავერანებდა კაკალსა. იფიქრეს დათვები მოკლავენ მას და ჩვენ მოვისვენებთო. ნაცარქეჟიას შიშისაგან სული კინალამ გაეპარა, როდესაც გამოუცხადეს კაკლის ხე დაეცვა დათვისაგან. რას იქდა, წავიდა კანკალცახცახით საყარაულოდ. რო დაღამდა მართლა გაჩნდა დათვი. ნაცარქეჟია მაშინათვე ხეზე აცოცდა. დათვმა რო ვერ ნახა რა ძირს საქმელი, ისიც ხეზე ავიდა. ნაცარქეჟიამ უფრო ზევით აიწია. დათვი ვერ უყურებდა ხეზე ადამიანს და ქვეშ ტოტებზე რა ვერას ხედავდა, მალა, მალა ინაცვლებდა ტოტებზე. ნაცარქეჟია კიდევ ზევით უსწრობდა, სანამდი სულ წვერში მოექცეოდა. ასე დათვი რა

მიუახლოვდა წვერს, ველარა აწამა რა ნაცარქექიამა და შიშისაგანდ ისეთი სახარელი ხმით დაიკვირა, დათვი შეხტა და ძირს კი დრახანი—ტყაპანი გაუხდა. ნაცარქექიას ცოცხალი ეგონა კიდევ დათვი ძირს და კაკლების სროლა დაუწყუო ზევიდან დათვს. ინათლა კიდეც. რა დარწმუნდა რომ დათვი მომკვდარი იყო, ჩამოვიდა ძირს და სინარულით გაიქვა მღევებისაკენ სახლში. ძმა დევეებს ეგონათ, რომ დათვი დაჩეხავდა მას, მარა რომ ცოცხალი ნახეს გაუკვირდათ. ნაცარქექიამ ტრახახს დაუწყუო: უჰ, წუხელის რომ მიველი კაკლის ძირში დავიძინე. ძილში შევნიშნე რალაც თავგმა გადამიარა ტანზე, მივატანე ხელი და ვკარი ხეს და შემომაკვდო. გაკვირვებული მღევები გაიქცნენ კაკლის ძირისკენ, ენახათ რა თავგი შემოაკვდა თავიანთ ძმობილს ნაცარქექიასა, მარა რა ნახეს უშველებელი მკვდარი დათვი, სულ შიშით დაიფეთნენ. რა ღონის ვინმე ყოფილაო, ეუბნებოდნენ ერთიმეორესა და უფრო და უფრო ფრთხილად და თავაზიანად ეპყრობოდნენ, ეშინოდათ მისი, არ დავამარცხოს რამეზეო. ერთხელ მღევებს დღესასწაული მოუვიდათ, გადასწყვიტეს, ამ დღესასწაულზე დასაკლავი ხარი კუდით მოეკიდნად ნაცარქექიასთვინ და მოეყვანიებიანთ მინდვრიდან, რომ დაეკლათ. იფიქრეს, რომ აიკიდებს წელი მოსწყდება და აღარ გვექნება შიში წელმოტეხილი კაცისაგანაო. მინდორში მღევებს ორმოცი ხარი ჰყავდათ. ნაცარქექიამ ყველა ხარებს ერთად შეუყარა თავი და ერთი მეორეზე კულების გადაბმა იწყუო. რას შრობი ძმაო,—ეკითხებიან მღევები.—რასა და ვერა ხედავთ, ყველა ხარები უნდა გადავაბა რომ ავიკიდო ერთიანო და წავიყვანო დასაკლავათო, თორემ ერთი ხარი რას გვიზამსო. რას შვრები ძმაო, ორმოცი ხარივე რომ დავკლათ, ჩვენ რალა ვქნათ, რით ვიმუშაოთ და ვიოჯახოთო. თვითონ ერთმა მღევმა წამოიკიდა ერთი ხარი და წაიყვანა სახლნი და დაკლა. ნაცარქექია კი ცალიერი მისდევდა მოსვენებული. მღევებს თანდათან გული უწყალდებოდათ. ნაცარქექიას სიმძლავრეზე, ვარ თუ რამე ეწყინოს ჩვენგანო, ფიქრობდნენ და ყველა გაგეწყვიტოსო, ამიტომაც მოინდომეს მისი მოკვლა. ერთხელ მღევებმა უთხრეს ნაცარქექიას, ჩვენ ამ დღესასწაულში ჩვეულებათ გვაქვს, მამაჩვენის საფლავს უნდა ვუყარაულოთო ღამეო. უთხრეს ზედ საფლავის ქვაზე უნდა გაწვეო. ნაცარქექიაც წავიდა დაღამებულში თავისი გუდით სასაფლაოზე. გულა მიწით გაამსო და ნაჩვენებ საფლავის ქვაზე დადვა და თვითონ კი შორს ლოდებში მიყრუებულ ადგილას მიიკუნჩხა და თბილად დაიძინა. შუაღამე რა გახდა, მივიდნენ შორიახლოს მღევები და საფლავზე გაგდ-

ბულ გუდას დაუწყეს სროლა თოფებისა. როდესაც კარგად დაცხრილეს ტყვიებით გუდა და დარწმუნდნენ იმდენ ტყვიას ადამიანი ცოცხალი ვეღარ გადურჩებოდა, შესწყვიტეს სროლა და დაბრუნდნენ სახლებსაკენ არხეინად. როდესაც გათენდა, ნაცარქექია წამოდგა, მივიდა საფლავთან, აიღო ნაცრით დახვრეტილი გუდა, გადინახა შორს და თვითონ გაწვა საფლავის ქვაზე მითომ ეძინა. წამოვიდნენ მღევები, რათა ენახათ თოფებით დახვრეტილი თავიანთი ძმობილი. მარა რო მოვიდნენ, იმან თავი წამოჰყო და უთხრა: წუხელის იმდენი რწყილები დამეხვია და შემაწუხეს რომ მეტი არ შეიძლებაო. მღევებს ძალიან გაუკვირდათ. ააყენეს და წავიდნენ სახლში დალონებული. მღევებმა გადასწყვიტეს გაყრილიყვნენ და ნაცარქექიასთინ, როგორც მეცხრე ძმისთვის მიეცათ თავისი ხვედრი წილი. იქნების ამით მოეცილებინათ მაინც და შეესვენათ შიშისაგან. მართლაც გაიყარნენ და ნაცარქექიას ყველაზე მეტი ოქროები არგუნეს. ნაცარქექიამ ეს ოქროები აჰკიდა ერთერთ მღევძმას და თვითონაც ზედ შეჯდა და ისე გასწია სახლისაკენ, თავის ცოლ-შვილში. ცოლმა დიდი ამბით მიიღო ოქროებით საესე ქმარი ნაცარქექია. მღევმა როდესაც დააწყო ოქროები სახლში და უნდა გამობრუნებულიყო, ნაცარქექიამ უთხრა ცოლს, სადაა მამაჩემის ძველი ხმალი, ჩამოიღე, ამ მღევს თავი უნდა მოეჭრაო. ამის გაგონებაზე გამოვარდა კარში მღევი და ერთი მოლისას ძლივს შეასწრო შევარდნა სახლში. ღვემა შესჩივლა მოლას, კინალამ მომკლა ნაცარქექიამ, ძლივას შემოვასწარი შენთანაო. მოლამ უთხრა: არათფერი შეუძლია იმ უბედურს, ტყვილა შეგშინებიაო. ღვემა არ დაუჯერა მოლას, რადგანაც ბევრი საგმირო საქმენის მნახველი იყო მისაგან: წამოდი იმის უბედურობას დაგიმტკიცებ, რომ არა შეუძლიან რაო. თუნდა მე შევალ მასთან სახლში. თუნდაც მოკვლა რომ მომინდომოს, ბაწარს შევიტან და კისერზე წავიბამ შენ გარეთ გამათრიეო, ღვევი დაეთანხმა. მოლამ კისერზე თოკი მოიბა, ცალი წვერი მღევს ხელში მისცა და თვითონ შევიდა ნაცარქექიასთან სახლში. იმის შესვლა და ნაცარქექიას ფეხზე წამოხტომა ნაცარადან და მალლა დაძახება „ჩქარა მამაჩემის ძველი ხმალიო“, ერთი იქნა. გარეთ მღევმა გაიგონა ხმალი და საჩქაროთ გზითრია ბაწარით მოლა კარში და კიდევ დაიხრჩო მოლა. რა დამხვჩალი მოლა ნახა მღევმა, დააგდო და ილი-მილი გადიკარვა თვითონ. ნაცარქექია კი ნაცარს ბედნიერებაში ქექდა.

ჭირი იქა; და ლხინი აქ.

იყო ერთი ნასია. ისეთი მჩაღტე იყო ფუტივით, რო ქარის შემობერვაზე ერთს ვერსტზე გადავარდებოდა. ერთხელ ნასია ქარმა სკაში ჩააგდო. თამაშობდა ნასია ფუტკრებში და იყო. მოიმწყვდევდა ათასს ფუტკარს ხელში და ხოცავდა. ერთხელ ნასიამ ქალაღდზე დააწერა: „მე ვარ ბიქი ნასია, ცალი ხელით მომიკლავს ათასი კაცი“. ქალაღდი მინდვრად დააგდო. ქალაღდი ხელმწიფის ვეზირებმა ნახეს და მიართვეს მეფეს. ხელმწიფეს გაუკვირდა და ნასიას მოძებნა ბრძანა. ვეზირები წაეიდნენ და მინდორში შეხედეს, რომ კაცი გორავს. ეს ნასია იყო. თურმე სკიდან ამოეგდო ქარს და მიწაზე გორავდა. როცა იგი ხელმწიფეს მიგვარეს, სახელმწიფო ტანისამოსით შემოსეს.

შეუტყვია მეზობელ ხელმწიფეს, რომ ამ ხელმწიფეს ასეთი და ასეთი შესანიშნავი კაცი ჰყოლია. მოწერა წერილი და შემოუთვალა, ეგ ვიღაცაა ჩემთან გამოუშვი საჩხუბრათო. გაუშვეს ნასია ცხენზე შემჯდარი. ხელმწიფეს ურიცხვი იარაღი აუხსამს და ისე მოდის ნასიასკენ. ნასიამ რომ დაინახა ის, შიშით გული კინალამ გაუსკდა, თვალეზე ხელი მიიფარა და ისე მიუახლოვდა მტერს. ხელმწიფემ სთქვა: ეს კაცი რას შვრება, საცინლად მიგდებს, თუ როგორაა ნავის საქმეო. მოდი მეც დავხუქავ თვალებს, სთქვა. მართლა დახუქა თვალეზი. ნასიამ გამოიხედა და შეხედა, რომ მტერი თვალდახუქულია. იძრო ხმაღი, ჰკრა ხელმწიფეს და წააგდებია თავი. დაბრუნდა ნასია გამარჯვებული და ხელმწიფემ სიძედ მოიკიდა.

შეიტყო ეს მეორე ხელმწიფემ და გამოითხოვა ნასია ომში: ნასიამ უთხრა სიმამრს, ნუ გეშინია, ჯარი არ მინდა, მარტო ასი კაცი გამატანე, თითოს გამოატანე თითო კოკი და თითო ქათამი და რაც მე ვქნა, იმათაც იგივე განიმეორონო. გამოეთხოვა ნასია სიმამრს და ცოლს და წაეიდა საომრად. გზაში მიაღდგენ მდინარეს. ნასიამ გადგა ზედ თავის კოკი, ასმა კაცმაც ასე ქნა და გაეიდნენ ზედ, როგორც ხიღზე. იარეს, იარეს და შეხედეს, რომ მტრის უთვალავი ჯარი მოდის. ნასიამ მინდორზე დააჯინა კაცები და ყველამ დედლებს დაუწყეს კამა. მტრის ძალი მოვარდა და ერთი დეღალი მოიტაცა. წამოავლო ნასიამ კეტს ხელი და გამოუღგა. მას სხეებმაც მიბაძეს და მისდიეს ძალს მტრის ბანაკამღი. მტერმა იფიქრა, ესენი

ამოგველტენ კეტებითო და გაიქცნენ. გამარჯვებული ნასია მოვიდა მეფესთან. მეფემ თავის ტახტი მისცა.

ელასა, მელასა,
კიქა მეკიდა ყელასა.
ბატონს ძილი,
ჩვენ ზღაპარი.

254.

მატყუარს მკითხავი

იყო მეტად ზარმაცი სოდომი კაცი. ზამთარში ცეცხლის პირს არა შორდებოდა. ზაფხულში შვედარივით იდო, ეძინა და ბუზებში სკამდნენ. ერთხელ ცოლმა ველარ მოითმინა და მოატყუა: კაცო გადი გარეთ, ღმერთი ქადა-პურსა ყრის. გაიტყუა და ჩაუკეტა კარები, აღარ შეუშვა. ზარმაცი აივლის გზაზე და ჩაივლის მოქნარებით. ორი კაცი შეხვდნენ და უთხრეს: მეფის გამოგზავნილი კაცები ვართ, მეფემ ოქროს ტარიანი ხანჯალი დაკარგა და კარგი მკითხავი ზომ არსად გეცოდინებო. — მე თითონ მკითხავი ვარ, უთხრა ზარმაცი. ხანჯალი წყალში გდია. კაცებმა მოახსენეს მეფეს, მკითხავმა გვითხრა, წყალში გდია ხანჯალიო. მეფეს გაახსენდა იმ ცოტა ხანში წყალზე მოუხდა გადასვლა და კაცები გაგზავნა საძებნელად. ხანჯალი მართლა იპოვნეს წყალში. მეფე ყოველ წელიწადს ხაზინებიდან აუარებელ ოქრო-ვერცხლს ჰკარგავდა. მკითხავი დაიბარა, სანამ მოვიდოდა, ყუთში კალიები ჩაამწყვდია და იფიქრა, თუ ამ კალიებს ამოიცნობს, ნამდვილ ხაზინების ქურდებსაც გამოიცნობსო. უთხრა მკითხავს, აბა ამ ყუთში რა არის? ზარმაცი კაცი საგონებელში ჩავარდა, დაუსახელო, ვის დავადო ხელი ტყუილად, არ გამოვიცნო, ვაი თუ დამსაჯოს. მოაგონდა ერთი ლექსი და სთქვა:

ახტი კალია, დახტი კალია,
ვაი შენ ჩემო თავო,
რა ძალად მოგკალია.

მეფესთან ერთად ნაზირ-ვეზირებმა დაიძახეს, გამოჩენილი გულთმისანი მკითხავი ყოფილაო. მეფემ უბრძანა: ხაზინის ქურდებიც გვაპოვნინე და კარგად დაგასაჩუქრებო. მკითხავს კინალამ შიშით გააცივ-გააციხელა და უთხრა: ერთი კვირა დამაცადეთო. გავაღდა ერთი კვირა. ქურდების ასავალ-დასავალსაც ვერ მიაგნო და რა უთხრას — მეფეს, ცოლს სთხოვა, ნაზუქი გამოეცხო, მეფისთვის მფერთმია და ბოლიში მოეხადა, რომ ქურდები ვერ აღმოაჩინა. საღამო უკმა-

ზე შევიდა სათონეში და ჰკითხა ცოლს, რამდენი ნაზუქი გამოაც-
 ზეო. ერთი ნაზუქი თონის თავზე იდო. ცოლმა უთხრა: აი ეს ერთი,
 ცხრაჰერტც სახლში შევიტანე, ოცი იქნება. სწორედ ამ სიტ-
 ყვების დროს ბანზე გაიარა ერთმა ქურდთაგანმა. გაიგონა, გაიქცა და
 უთხრა ამბანაგებს: დავილუპეთ, გაუგიათ, რომ ხაზინის ქურდები
 ოცნი ვართ. ეს არის ახლა მკითხავის სახლში ლაპარაკობდნენ. ქურ-
 დები მივიდნენ მკითხავთან და სთხოვეს, არ გაეცა ქურდები და
 ქრთამს რამდენსაც მოითხოვდა, მისცემდნენ, მაგრამ მკითხავი მივი-
 და შეფესთან და ოცივე ქურდი მისცა ხელში. მეფემ მრავალი სიმ-
 დიდრე ოქრო-ვერცხლი მისცა და მკითხავის სახელიც ერთი ათად
 გააპარდა.

255.

ჰაზარტი და ლარიზი ცოლ-ჰაზარი

ლარჯ ცოლ-ჰაზარს ერთი ვაჟიშვილი ჰყვანდათ და ერთი ბერწი
 ძროხა. შვილს უთხრეს: შვილო, წაიყვანე ძროხა, ბაზარში აატარ-
 ჩაატარე, სამ თუმნათ იყოს, თუ ოთხათ გაყიდე, კირნახული ვიყი-
 დოთ, მშვივრები ხომ არ დავიხოცებითო. შვილმა წააბა თოკი, ჩაატა-
 რა ბაზარში. დაინახა ერთმა ვაქარმა და დაუძახა:—კაცო, კაცო,
 მოიყვადე ეგ ხბო, მე მომიყიდე, სამ მანეთს მოგცემ. ბიჭმა უთხრა: ხბო
 კი არ არის, ძროხაა და სამ მანეთად როგორ მოგცემო. ჩაატარა.
 გამოვიდა მეორე ვაქარი. ბიჭო, ბიჭო, ეგ თხა სადღა მიგყავს, მომ-
 ყიდე, ორ მანეთს მოგცემო. ბიჭმა უთხრა: საიდან თხა არის, ძრო-
 ხაა, ორ მანეთათ ძროხას ვინ მისცემსო. ჩაატარა. კიდევ დაედევნა
 მესამე ვაქარი—რალას ახეტიალე ამ ციკანს, მანეთს მოგცემო. ბიჭ-
 მა უთხრა—ციკანი კი არ არის, ძროხაა. ძროხა როგორ უნდა მოგ-
 ცე მანეთათ, სამ მანეთათაც არ მივეციო. ბიჭმა იფიქრა, იქნება ის
 სამი მანეთიც დავკარგო და სხვა ვაქარებმა ათი შაური, აბაზი შე-
 მადლიონო. აატარა პირველ ვაქართან, სამ მანეთათ მიჰყიდა. სახლში
 დედ-მამა ძალიან გაუჯავრდნენ, ბოლოს მამამ უთხრა: წადი, უთხარი ვა-
 ქარს, ვისაც ძროხას მიყიდი, კული ჩვენთვის უნდა მიეცა, თუ
 არ მოგვცემ, აჰა, სამი მანეთი უკანვე წაიღეთქო. ვაქარმა ძროხა
 ვერ გაიშტა, ამოსკრა კული, მისცა. მამას უნდოდა შედლისთვის კუ-
 დით ეცემა, მაგრამ იფიქრა, ჩემი შვილი რომ მოგვკლა, ვაქარებს რა
 დააკლდებათო. იშოვა ფული, გააკეთა კარგი საკმელები, სახლში
 ამოთხარა სამი პატარა ორმო, ჩადგა საკმელები, წააფარა მიწა. და-
 პატიჟა სამივე ვაქარები, გაშალა სუფრა, დაკრა ბარი ერთ ორმოს,

ამოიღო საკმელი; დაჰკრა მეორე ორმოს, ამოიღო საკმელი; დაჰკრა მესამე ალაგს, ამოიღო საკმელი. ვაქრები ხარბათ სქამდნენ და უკვირდით, ამისთანა გემრიელი საკმელები საიდან ჩნდება მიწაშიო. მასპინძელმა უთხრა: ეს ბარი ისეთი თილისმინიანია ვახლავთ, რომ როცა მინდა, დავკრამ მიწას, ამოვა საკმელები. ვაქრები შეევაკრენ: ჩვენ მოგვყიდე, რამდენი მოგცეთო. მასპინძელი განგებ არ ყიდდა ბარს, მაგრამ ათ თუმნათ მისცა. წაიღეს ბარი, მოუვიდათ ჩხუბი ვაქრებს, არა ჩემი უნდა იყოს, არა ჩემიო. როგორც იყო მორიგდნენ, რიგრიგით ვინმაროთო. მიიტანეს შინ, დაკრეს მიწას, საკმელი არ აღმოჩნდა. მთელი სახლის მიწა სულ დაბარეს, მაგრამ საკმელს რა გააჩენდა. მეორე დღეს საჩხუბრად წავიდნენ ბარის პატრონთან. კაცმა იცოდა, ვაქრები მიეკრებოდნენ, იყიდა ორი კურდღელი. ცოლს ერთი კურდღელი დაუტოვა და უთარა: საკმელი გააკეთე, სუფრა გაშალე, სადილი მზათ გქონდეს. ვაქრები რომ მოვიდნენ, ჩემთან მინდორში გამოასწავლე. მეორე კურდღელი წაიყვანა. ვაქრები მივიდნენ ყვირილით. ცოლმა მინდორში გაგზავნა. ვაქრებმა ჩხუბი დაუწყეს, რად მოგვატყუე სახლები სულ დავთხარეთ და საკმელები არ აღმოჩნდა. კაცმა დაუწყო: თქვენ გნდომებიანთ ყოველდღე ბარი საკმელებს გაძლევდეთ. კვირაში, თვეში ერთხელ იძლევა საკმელს. ვაქრები დარწმუნდნენ. კაცმა სახლში წაიყვანა, გაუშვა კურდღელი და დაუბარა, ჩემ ცოლს უთხარი, სანამ მოვიდოდეთ სუფრა გაშლილი დაგვხვდეს, სტუმრები მომყავსთქო. კურდღელმა ვინ იცის საით მოუსვია. ვაქრები განცვიფრდნენ კურდღლის გონიერებაზე და სთხოვეს, კურდღელი ჩვენ მოგვყიდეთო. მორიგდნენ ათ თუმნად, წაიყვანეს. გზა და გზა სტუმრები დაპატიყეს. გაუშვეს კურდღელი და უთხრეს: აბა, კურდღელო, ჩვენ ცოლებს უთხარი, სტუმრები მოგვყავს და სანამ მოვიდოდეთ, სუფრა გაშლილი დაგვხვდეს. მივიდნენ სახლში, არც კურდღელი, არც სუფრა გაშლილი. ჰკითხეს ცოლებს—კურდ-

ღელი სად არის რომ გამოგიგზავნეთო? ქალებმა უთხრეს: კურდღელი ჩვენთვის არავის მოუყვანიაო. ვაქრებს შერცხვათ სტუმრებისა, გზაში შეკვებოდნენ კურდღლის გონიერება-გაწრთენას. დამუქრებულები წავიდნენ გამყიდავთან. კაცმა გააკეთა სტვირი, ცოლს ყელზე სისხლით სავსე წელი შემოახვია, უთხრა: ვაქრები მოვლენ, მე სტვირს დაუკრამ, შენ დაამღერე. მერე დანას გაგისვამ ყელში; წელს გაეკრი, სისხლი გადმოგივა, წაიქეცი, მოიმკვდანურე თავი. ერთხანს სამგლოვიაროს დაუკრამ, შემდეგ სამზიარულოს. შენ წამოხტი, დაიწყეთ თამაშობა. გაათავა დარიგება და ვაქრებიც ჩხუბით, აყალმაყალით მოეკრენ. კაცმა თავის მართლება დაიწყო, იქნება შორს გაუშვითო.

ჯერ უნდა სახლში გაგეშინაურებინათ, რა იცოდა თქვენი სახლი, სხვასთან მივიდოდაო. გაშალა სუფრა. სქამენ პურს. მასპინძელმა დაუკრა სტეირი, ცოლმა დაამლერა. ცოლს გაუჯავრდა, კარგა არა მლერიო, მივარდა დანით ყელში, გამოუსვა, ცოლი დაეარდა ძირს, მოკვდა. კაცმა დაუკრა სამგლოვიარო, მეოც სამხიარულო დაუკრა. ქალი წამოხტა, თაქაშობდა, ხტოდა. ვაჟრები კინალამ გადაირიგნენ გაკვირვებისაგან. დაუწყეს ხეწნა, რახან კურდღელი დაკვარგეთ, სტეირი მაინც მოგვყიდეთ. კაცი არ იმეტებდა, მაგრამ როგორც იყო, დაიყოლიეს კარგ ფასში. კაცი შვილს ყოველ ვაჟრების მოსვლისას მალავდა, რომ არ ეცნოთ. ვაჟრებმა მიიწვიეს სტუმრები, დაუკრეს სტეირი, დაამლერეს ცოლებმა. ვაჟრებს გული მოღვიდათ, რატომ კარგად არ დაამლერეთო, მივარდნენ, დანებით გამოსკრეს ყელები, ცოლები დაეარდნენ ძირს. დაუკრეს სამგლოვიარო, მეოც სალხინო. ქალები არ ინძრეოდნენ. უკრეს, უკრეს, მოილალნენ. ნახეს ცოლები. ანძრიეს, ასურიელეს, მაგრამ მკვდრებს როგორღა გააცოცხლებდნენ. შექნეს ტირილი, თავში ცემა. დასწნეს გოდორი, მიიტანეს კაცთან გინებალანძღვით, ცოლები რად დაგვახოცინეთო. ჩასვეს გოდორში, გადაუხლართეს თავი, მიაქვთ, უნდა მალა სადმე მთის წვერზე აიტანონ და გადააგდონ ხრამში. ერთ მინდორში დააგდეს გოდორი, წყლის მოსაძებნად წავიდნენ. გოდორი ინძრევა და იძახის კაცი, ბუტბუტებს: არ წავალ, არ მინდა. არ მინდა. მეცხვარეს ცხვარი მიუღის, გაიგონა გოდორიდან კაცის ბუტბუტი. მივიდა, ჰკითხა: 'კაცო, ვინა ხარ. გოდორში რას ტუტუნებ?'—რას ვტუტუნებ და იმას, რომ ჩამკიებიან გინდა თუ არა, ხელმწიფის ქალი შეირთეთო. რად მინდა ხელმწიფის ქალი, რა ჩემი საქმეა ხელმწიფის სიძე გავხდე. ეს ცხვარი შენი იყვეს, ამოგიყვან, მე ჩაფხლები, ხელმწიფის ქალს მე შევიტრთამ, უთხრა მეცხვარემ. —კარგი, გადამიხსენ თავი, ამოსძახა კაცმა. ჩაჯდა მეცხვარე, გადაუხლართა თავი კაცმა, გაუძღვა ცხვარს. ვაჟრები მივიდნენ, წამოიკიდეს გოდორი, აიტანეს კლდეზე; გადააგდეს. არხეინად წამოვიდნენ; ჯავრი ამოვიყარეთო. შინ შეხვდათ კაცი ფარა ცხვრით. ვაჟრები განცვიფრდნენ. იმ სიმაღლე კლდიდან ხრამში გადააგადეთ და კიდევ ცოცხალი გადარჩიო, ან ამოდენა ცხვარი სად იშოვეო.

—თქვენ გეგონათ მოგკვდებოდით, ძირს სულ დოშაკ-დორები ფენია და ფარა და ფარა ცხვარი დადის. აი ეს ცხვარი იქიდან წამოვასხი, უთხრა კაცმა. ვაჟრებმა სთხოვეს, რახან ეგრე ყოფილა, გოდორი დაგიწიანი, ჩავსხლებით და გადაგვაგდეთო. კაცმა დასწნა დიდი გოდორი, ვაჟრები იშველია წვნაში. აიტანეს კლდეზე, ჩასხდნენ სამივ ვაჟარი. კაცმა გადაუხლართა პირი, ჰკრა და გადაუძახა უფესკრულ-

ში. თითონ წამოასხა სახლში ცხვარი და იძახოდა გზადაგზა: ეხლაც გაყვლეფთ ხალხს? ეხლაც მოაჩუყებთ ხალხს? თან თავის მაგიერ დალუპული მეცხვარე ენანებოდა, მაგრამ იმის ცოდოსაც ვაქრებს ახვევდა თავს.

256.

ზ ა რ მ ა ც ი

იყო და არა იყო რა, ღეთის უკეთესი რა იქნებოდა.

იყო შაშვი მგალობელი,

ღმერთი თქვენი მწყალობელი.

იყო ერთი ცოლი და ქმარი. ქმარი მეტის მეტი ზარმაცი იყო, არაფერს არ აკეთებდა, მხოლოდ იჯდა, ქამდა და ხან ერთს გვერდზე გადაბრუნდებოდა და ხან სხვაზედ. ცოლი კი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შრომობდა, იმასაც ჰკვებავდა, აცმევდა და თავის თავსაც. მაინც მეტად ღარიბად სცხოვრობდნენ; იმათ ბედობაზე მარტო ერთი ქარის პირი იყო სადღაც შორს, რიყეზე და ქვიშაზედ, ჰინჰრისა და ლოლოს მეტი არც არაფერი იღვა იმაზედ და არაფერი მოდიოდა. ერთს გაზაფხულზე ცოლმა ჰთხოვა მეზობლებს, მოახვენინა, მერე თესლი ჩამოითხოვა, მოთესეს. ყანა ამოვიდა, რა ყანა, სუ ზღვასავით ჰღელავდა. მოვიდა მკათათვე. შემოვიდა ყანები. ცოლმა უთხრა ქმარს: კაცო, ადექ, წადი, ნახე იქნება ი მამულზე არაფერი არ მოგვივიდა და ჩვენ კი ტყუილად იმედი გექონდესო. ადგა როგორც იყო ზარმაცი, წავიდა მამულის სანახავედ. ნახევარი გზაც არ გაუვლია, დაბრუნდა ისევ უკან და ცოლი მოატყუა, რომ იქ ვიყავ და იქ ლოლოსა და ჰინჰრის მეტი არაფერი მოსულა, თესლი რაზედ გადავყარეთ ტყუილადო. ცოლმა იცოდა, როგორი ყანაც იღვა და არაფერი არ უთქვამს. როდესაც სამკალი გახდა ყანა, ცოლმა უთხრა ზარმაცს: კაცო, ან სამკალს წადი, ან სახლში დარჩი, რძე შედღვიბე, კრუხ-წიწილას საკენკი დაუყარე, თვალი დაიჭირე, ფქვილი დაცერ და პური გამააცხეო.

ზარმაცმა სახლში დარჩენა ირჩია. რო კრუხ-წიწილა არსად წასულიყო, ზარმაცმა აიღო ცოლის თხორი (გორგალი), გადააბა ერთმანეთს წიწილებიც, კრუხიც და ისე გაუშო კალოზედ. უცებ საიდანდაც გაჩნდა ქორი, დააფრინდა კრუხ-წიწილას და გააქანა ერთბაშად ყველა. დარჩა უკრუხ-წიწილო ზარმაცი. ზარმაცმა აიკიდა ზურგზედ. საცერი და ფქვილიანი გუდა, სარძეული და ისე გამოუდ-

ვა ქორს,—კრუხ-წიწილასაც დაეაგდებინებ, ფქვილიც დაიკრება, რძეც შეიღვებება და ერთბაშად ყველა საქმეს გაეკეთებო. მაგრამ ვერც კრუხ-წიწილა გააგდებინა, ფქვილიც დააბნია: დაბრუნდა ზარმაცი სახლში, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანებული. —რაღა უთხრა ცოლსაო. იფიქრა ზარმაცმა: საიდგან უშოგო ან კრუხ-წიწილა და ან ფქვილიო. იფიქრა, იფიქრა და მოიგონა: ჩემს ცოლს ხომ კვერცხები აქვს, ჩაეაწყობ იმათ გოდორში, შიგ მე ჩაუჯდები და სანამ ცოლი სანკლიდან დაბრუნდება, მე კიდევ წიწილებს გამოეჩეკო. აილო მართლაც, ჩააწყო კვერცხები ბუდეში, ზედ თავად დააჯდა და მოჰყვა კრუხ-კრუხს. საღამოზედ ცოლი დაბრუნდა სახლში სამკლიდან, ქმარს დაუძახა: კარი გამიღეო. „კრუხ, კრუხ, კრუხ“. მოესმის სახლიდგან—კარი გამიღეო, გაუმეორებს ცოლი. ისევ „კრუხ, კრუხ, კრუხ!“. მოესმის სახლიდან. მესამედ დაუძახებს ქმარს: სადა ხარ, სად დაიხატე და დაიკარგე, ე კარი გამიღეო! მაგრამ იმას ხმას არავინ გასცემს და მარტო კრუხ-კრუხი მოესმის. შეამტვრევს ცოლი ძალად კარს და შევა სახლში. იმისი ქმარი ჩამჯდარა ქათმის საბუდარში და კრუხ-კრუხებს.—რა არი, კაცო, ეგ რაღა საქნელი რეო, რა მოგიგონებავ, ეგ რასა ჰშვრებიო? ამოდი მა გოდრიდამაო! —კრუხ-წიწილა ქორში წამართო და კვერცხებს დაეჯექე გამოსაჩეკადო, უპასუხა ქმარმა.—შენი გამოჩეკილი არ მინდაო, უთხრა ცოლმა: ამოდი მა გოდრიდამაო. ამოიყვანა ბუდიდგან ცოლმა ზარმაცი ქმარი და დასო კერაზედ.

მეორე დღეს ცოლმა ჰკითხა ზარმაცს:—აბა, რას იზამ, ისევ სახლს მოუვლი, თუ სამკალს წახვალო?—სამკალს წავალო,—უპასუხებს ქმარი, თუ დღეში სამ ქათამს დამიკლავ: ერთს სადილად, ერთს სამხრად და ერთს ვახშმად, მარტოკა მე მოვმეკი იმ მანულსაო, —ოლონდ შენ ის ყანა მომეკე და თუნდა ოთხს ქათამს დაგიკლავო,—უპასუხა ცოლმა. წავიდა ზარმაცი ყანაში. მთელი დღე ორი-სამი ძნა ვერ გამოჰჭრა, სუ ეგდო და ეძინა, სამი ქათამი კი შექამა. ასე გავიდა სამი-ოთხი დღე. ყანა მამულში აპირობდა ჩაწვას. ერთ დილას ადგა ზარმაცის ცოლი, ითხოვა ცხენი, კაცის ტანისამოსი, იარაღი, ჩაიკვა ტანზე, იარაღიც აისხა, შეჯდა ცხენზე და ქმრისაკენ გაჰწია. ზარმაცს რომ მიუახლოვდა, დაუძახა: მომკალო, ერთი ზარმაცი კაცი არ იცი, ხელმწიფეს შვილი ყავს ავად, უკვდება და ზარმაცის ღვიძლი გვასწავლეს, ის უშველისო; ზარმაცი შეშინდა, შეპფიცა, რომ აი ეს ერთი საათია, რაც მკა დავიწყე და მეტს როგორ მოვმკიდო.—თუ საღამომდისინ არ მოგიმკია ეგ ყანა, მოვალ, ვნახავ, თავს მოგჭრი და ღვიძლს ამოგარიდებო, უთხრა მგზავრმა, გაჰცდა და წავიდა. ეცა

ზარმაცი ყანას და სალამომდისინ ბოლი აადინა. დაჯდა გადაწყვეტილი და დაიწყო ქშენა. სალამოზედ ცოლმა საკბელი მოუტანა, მაგრამ რალა საკმლის თავი ჰქონდა, იჯდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, კენესოდა. ცოლმა განგებ ჰკითხა: რას დაუღალიხარო? ზარმაცმა უამბო, რომ ერთმა ხელმწიფის კაცმა გამაიარა და დამეშუქრა: თუ სალამომდისინ ამ ყანას არ მოჰკვი, სალამოზედ მოვალ, თავს მოგჭრი, ღვიძლს ამოგარიდებ და წაველებო. ცოლმა გული გაუკეთა: ნუ გეშინიან, მოგიმკია, ის შენ აღარაფერს გეტყვისო. როგორც იყო, მოიტანეს ძნაც, გაღეწეს და ჩაყარეს მარცვალი.

ზარმაცს ერთი ღორი ჰყავდა, რაც რამ ებადა, იმას აქმევდა. ცოლმა უთხრა: კაცო, ჩვენთვინაც არაფერი გვაქვს, რომ ვქამოთ, შენ ღორს აქმევ, მოვიშოროთ, დავეკლათო.—სანამ უკან ქონი არ გამოეჩრება, არ დავეკლავო,—უპასუხა ქმარმა. ცოლი ადგა, გაათბოებო, მიასხა ღორს, მოიყვანა ქმართან, აჩვენა და უთხრა: აი, ასე გასუქებულა, რომ ქონი გამოჰდისო. მცონარამ დაკლა თავის საყვარელი ღორი, რადგანაც მუცელი უფრო საყვარლად მიაჩნდა. ღორის ხორცი მალე შექამა ზარმაცმა, მხოლოდ ერთი იმის ცოლისგან დამალული ბარკალიღა დარჩა. ქმარმა შეიტყო, რომ ჩემს ცოლს ღორის ბარკალი დაუმალიაო და გადაეკიდა, მომეციო. ცოლმა უარი მოახსენა.—მოვეკვდები, თუ არ გამოიჩენო, უთხრა ზარმაცმა.—მოკვდი, თუ მოჰკვდები, ვის დააკვდებიო, შეჰმადლა ცოლმა.

ადგა მცონარა, წაწვა ტახტზედ, დახუჭა თვალები, განაბა სულ

ტყავი და მიიმკვდარუნა თავი. ცოლმაც ყასიდათ დაიწყო ტირილი ქმარზედ. მოიყვანა მღვდელი, გააკეთებინეს კუბო, ჩადვეს შიგ და წაიღეს საყდარში. ცოლი ერთხელ კიდევ მივიდა ქმართან და წაჩუროულა: გაცოცხლდი, თორე დაგმარხავთო.—მკვდარი ვარ. როგორ გავცოცხლდეთო. უპასუხა ქმარმა.—გაცოცხლდიო,—დაუყინა ცოლმა, მაშ თუ ღორის ბარკალს მომცემ, გავცოცხლდებიო, უთხრა ქმარმა.—არაო, უთხრა ცოლმა.—მაშ ჯერ მე ავღვებო. წაიღეს მცონარა და დაასვენეს ეკლესიაში. რო დაღამდა, ზარმაცის ცოლი ადგა, მივიდა საყდრის კარებთან და დაიძახა: მკვდარნო, ახალნო და ძველნო, გეუფრებოდესთ, ადექით, ცაში საყდარი შენდება; ვინც ახალი მკვდრები ხართ, ორას-ორასი აგური უნდა აიტანოთ და ვინც ძველნი—ას-ასიო. მცონარამ იფიქრა: ვაჟო, მე ხუთ აგურს აქაც ვერ მოვრჩინილვარ და იქ ორასი რით ეშმაკით უნდა ავიტანოვო. წამოხტა და გაადინა ფხაქა ეკლესიიდან. ის დღეა და ის დღე, აღარც მომკვდარა, აღარც ღორის ბარკალი მოუყითხნია და აღარც გვერდზე უგორავნია. მუდამ შრომობდა და იყვინ ტკბილად და მდიდრად.

ქირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
ელასა-მელასა,
ქიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსა და გამგონებელსა,
ქირი გაშოროსთ ყველასა.

257.

ოზოლი და ძოსა მატყუარა

იყო და არა იყო რა, ღეთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი საბრალო ობოლი, უქონელი და უყოლელი. ერთხელ ობოლმა ერთი გულდა საუქვავე იშოვა, წაიღო წისქვილში და დაფქვა. ამ დროს მოიტანს წისქვილში ქოსა მატყუარაც თავის ერთ გულდა მარცვალს და დაჰფქვავეს. წასვლის დროს ობოლს ეტყვის: ერთად ვიაროთო.—ძალიან კარგიო, დაჰთანხმდება ობოლი. წავლენ. მიდიან გზას. ქოსა ეტყვის: იცი რა ვქნათო?—რაო? უპასუხებს ობოლი.—ისა ვქნათო, ეტყვის ქოსა მატყუარა, რომ ჩემი ფქვილი მოვზილოთ, შენი შეფუგოთ საფენლად და, შენი მოვზილოთ—ჩემოო. ძალიან კარგიო, უპასუხა ობოლმა. მოზილეს ქოსასი და შეუფგეს ობოლის ფქვილი; ჩააკრეს კეცში და წითელ-წითელი შოთები ამოალაგეს. ეს შოთები რო ნახა, ქოსა მატყუარამ უთხრა: მოდი, ეყადოთ და ვინც უკეთესი ტყუილი თქვას, შოთები იმას დაჰჩრესო.—ძალიან კარგიო, უპასუხა ობოლმა. ქოსა მატყუარამ დაიწყო: ერთი ბატი გვეყვანდაო, პაპა ჩემის გაზდილი იყოო; ის ოხერი და ტიალი ისეთი რამ კარგი იყო, რომ მთელ სახლს გვინახავდაო. სახნავე იყო, სათიბი იყო, თუ მგზავრობა—სუ ის დაგვეყვანდა. მე ვჯდებოდი ზედა და ხან მინდვრებზე დავაქენებდი და ხან მთებზედაო. ერთხელ, საუბედუროდ, ტყეზე მივაქენებდიო. უცებ ვნახოთ ერთი მშვიერი ტურა გადმომიხტება, ეცემა ჩემ ბატს და გამოაგლეჯს გვერდს. წაიქცევა ბატი და დაიწყებს კლომას. მე მაშინვე აზრს მოველ. მოვეკერ ხე. მოვგრიხე წნელი, გაუკერე იმით გვერდი, წამოვახტუნე და გავაქენე სახლშიო... ეხლა შენი ჯერია, ობოლაჲ!

ობოლმა დაიწყო: მამაჩემს ასი თვალი ფუტკარი ედგა, მუდამ დღე მოუვლიდა და დაჰთვლიდა. ერთხელ, ერთიც ვნახოთ, დათვალა ფუტკრები, მოიკითხა და ერთი არ დააკლდა სათვალავში! მაშინვე აი აქით, აი იქით, ვეძებთ... თურმე ფეხი არ მოსტეხია და დარჩენილა ზღვას გაღმა. მოუსწვრია ვილაც ავაზაკ ხალხს, დაუქერიათ, წაუყვანიათ, შეუბია გუთანში და ახენეინებენ. ჰნახავს მამაჩემი.

ძალიან გაჯავრდება. ვინ მოგცათ თქვენ? ჰკითხავს. ისენი უარზე შედგებიან. აი იქით აი აქეთ, გახდება ერთი ხათაბალა. ბოლოს მოავლებს მამაჩემი ყურზე ხელს და დაეზიდება წასაყვანად. ამ დროს მოჰწყდება კისერი ფურტკარს და თავი ხელში არ შეჩრება? მაშინვე ამოიღებს მამაჩემი ჯიბიდან ნიგოზს, მოუსვამს კისერზე ფურტკარს და მოაბანს. ნანიგვზარზე აქი ნიგვზის ხე ამოვა; გაიზდება ერთი საშინელი. დაისხამს კაკალს; მუდამ ვებრტყთ და ვყიდით კაკალს. ერთხელ კაკალს ყვავი შემოვიჩვია და სულ გააძევა. ესროლა მამაჩემმა ბელტო და ზედ არ დარჩა! გაიზარდა ეს ბელტო, გადიღდა, გაკეთდა სახნავ-სათიბი მიწები. გავაშენეთ ზედ ვენახი, დავრგეთ ვაზი, ისე გავაჩიხრიხეთ, რომ ერთი სიტყვით, მტერსაც კი ეამება, დაისხამს ყურძენს, დამწიფდება მშვენივრად: ვაზებზე მტევნები სულ წითლად ღუვიან. ჩვენ ველით, რომ ან ახლა მოვკრეფთ და ან ახლა. უცებ ერთი მელა ტურა არ შემოაჩვევია! გავვიოხრა, გავვიტიალა ერთიან; სუ ხელი აგვალდებინა. ერთის სიტყვით, წყალი გადაგვიწორა, გამოჰკამა ვენახი. ბოლოს ვსთქვი: მოდი ერთი წავალ, დაუჯდები, უყარაულებ და ღმერთს გაუნაწყრომებ, დავიჭერ და სუ კუდით ქვას ვასროლინებთქო. თქმა და ქნა ერთი იყო; ვიპოვე, საიღამაც მელა-ტურა შემოდგრებოდა ხოლმე; დაუჯექ და დაუწყე ლოდინი. ერთი ვენახით მოდის რალაც და მოათაჩუნებს. მე თან გული მისკდება შიშით, თან ჯავრით ვსკდები და თან სიხარულით მაკანკალებს. ერთი მელა-ტურა დავიჭიროთქო. მართლამელა-ტურა არ იყო! ვტაცე კულში ხელი და დავიჭირე, გაუსვი და გამოუსვი სახრე, გაუსვი და გამოუსვი. სიკეთე მოგეცეს, მე ის დავზილე დაქარიანებულ კაცივითა! ვცემ და ის კიდევ სუ ბარათებსა და კურკლებს ჰყრის...

— რა ეწევა, მართლა, იმ ბარათებშიო?—გაღუქვა სიტყვა ქოსა მატყუარამ.

— ობოლს კვერი და ქოსა მატყუარას კურკლიო.

დარჩა შოთები ობოლს.

• კირი იქ დავაგდე,
 ლხინი აქ მოვიტანე;
 ქატო იქ დავაგდე,
 ფქვილი აქ მოვიტანე.

58.

ხუთკუნგულა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყვნენ ცხრანი ძმანი. ცხრავე ისეთი ღარიბები იყვნენ, რომ იმათას ვერც

არას ცეცხლი დაჰწვავდა და ვერც არას წყალი წაიღებდა. ნახევარზე მშვიკრები იყვნენ. ბოლოს სთქვეს ძმებმა: წავიდეთ, ან ბოჯამაგირედ ვისმე დაუდგეთ ან კიდევ ვიმუშაოთ, დღიური ლუკვა ვიმოვოთო. წავიდნენ; იარეს. ერთ ქვეყანაში მივიდნენ. იქ ერთი დევი შეჰხვდათ. დევმა ჰკითხა: სად მიპლინხართო? იმათ უპასუხეს: საბუშაოდ, ლუკმის საზოგენლად, გვინდა მოჯამაგირედ ვისმე დაუდგეთო.—მე დამიდექითო,—უთხრა დევმა.—კარგო, უპასუხეს ძმებმა. წაიყვანა დევმა და წავიდნენ. დევს ცხრა ქალი ჰყვანდა, აუარებელი საქონელი, ძროხა და ცხენი ჰყავდა. იმ ღამეს დევმა კარგი ვაშაში აქამა, დააწვინა და თვითონაც დაუწყო თვალის ქერა, თუ როდის დაეძინებათო. რვა ძმასა ჰსძინავს, ხუთკუნქულა კი, უმცროსი ძმა, არ იძინებს, ლოგინში წევს და ღვეხედა აქვს თვალი.—დაგეძინათო? დაუძახა დევმა.—არაო! უპასუხებს ხუთკუნქულა. რა არ გაძინებსო? ჰკითხავს დევი.—შენი ბატების ყიყინო! უპასუხებს ხუთკუნქულა. წავა მაშინვე დევი, გადაჰყლაპავს ბატებს და ცოტას მოიცილის.—დაგეძინა თუ ისევ გღვიძავსო? დაუძახა ისევ დევმა. არაო! უპასუხებს ხუთკუნქულა. რა არ გაძინებსო? ჰკითხა ხელახლად დევმა.—შენი ძროხების ფეხის ხმაო, უპასუხებს ხუთკუნქულა. წავა დევი, გადაჰყლაპავს ყველა ძროხას და დაბრუნდება; დაუგდებს ყურს, ყველას ჰძინავს ვითომ.—დაგეძინაო? დაუძახა ხუთკუნქულას.—არაო! უპასუხებს ისევ ხუთკუნქულა.—რა არ გაძინებსო? დაუძახებს გაცეცხლებული დევი.—შენი ცხენების კიხეინო, უპასუხებს ხუთკუნქულა. დევი ისევ წავა, ახლა ცხენების დასაქმელად. ამ დროს ადგება ხუთკუნქულა, აიღებს დევის ქალების ტანისამოსს ძმებს დაუწყობს, ძმების და თავის ხანჯლებს და ტანისამოსს დევის ქალებს და გაიტრუნავს სულს, თითქო დაეძინაო. მოვა დევი. დაუვლის თავის ქალებს, ვაჟები ჰგონია, დაჰკრის თავებს და დაჰყრის. ხუთკუნქულა ჩააცმევს ძმებს ქალების ტანისამოსს, იმათ კი გაისტუმრებს, ეტყვის, თქვენ წადით, ხიდს გადითო. თვითონ იქ დარჩა. მეორე დღეს ქალად ჩაცმული დევს ეტყვის: ხორცს ჩავყრი, ის ვაჟები რო დავხოცეთ იმათას, და მეც ჩემ ღებთან წავალ, საყდარში წავიდნენო. კარგი, წადიო, ეტყვის დევი. წავიდა ხუთკუნქულა და გავიდა ხიდს, ამოიღებს ხორცს დევი, ჰჭამს და აკი ძუძუები ამოუნდება. მაშინვე ეტყვის: ეს ხუთკუნქულამ მიყოვო. აგდებს ხორცს და გამოუდგება ხუთკუნქულას. კარგა გზას გაივლის და დაუძახებს: ხუთკუნქულავ! გამასწარ ხიდსაო?—გაგასწარ და თვალიც მოგთხარეო! უპასუხებს ხუთკუნქულა. ის ხიდი დევისა და ერთის ხემწიფის სამზღვარზე იღო. იმ ხიდს დევი ვერ გავიდოდა.

ღდა ძალიანაც ეშინოდა, ამიტომ რაკი ხიღს გავიდა ხუთკუნქულა, საშვინდობოს იყო გასული. დაბრუნდა დევი სახლში კბილის კრავუნით. ძმები კი წავიდნენ და მივიდნენ ერთ ხემწიფესთან. ახლა იმას დაუდგნენ მოჯამაგირედ. ძმები აპშურდნენ ხუთკუნქულას, მონდომეს იმის მოკვლა. ხემწიფეს უთხრეს: ერთ დევს ერთი თხა ჰყავს, ის თხა გულთმისანია და რასაც ან ჰნახავს, ან გაიგონებს, ყველაფერს იტყვისო. ის თხა რომ მოიყვანოს, კარგი იქნებაო. ის თხა იმ დევისა იყო, ვისთანაც ძმები იყვნენ. ხელმწიფემ დაიბარა ხუთკუნქულა და უთხრა. წადი და ამა და ამ დევს რო თხა ჰყავს, აქ მოიყვანეო, თუ არ მოიყვან, შენის სიცოცხლის მეტი, ვერაფერი გიხსნისო. ადგა, რას იზმოდა ხუთკუნქულა და წავიდა თხის მოსაყვანად. მივიდა დევის სახლში და დაენახვა თხას. თხამ დაუძახა დევს: „ხუთკუნქულა! ხუთკუნქულა!“ გავიდა დევი გარეთ, ეძებს ხუთკუნქულას. ხუთკუნქულა კი კარის უკან არის დამალული. ეძებს დევი, მაგრამ ტყუილად. ხუთკუნქულა კიდე დეენახვა თხას. თხა კიდევ დაიძახებს: „ხუთკუნქულა!“. კიდევ ეძებს დევი, მაინც ვერა პოულობს. ბოლოს გაბრაზებული გადისვრის თხას გარეთ. ხუთკუნქულა დაავლებს ხელს, გაიქცევა და გაეარდება ხიღს. დევი იფიქრებს: ბიჭო, იქნება ის ოხერი ხუთკუნქულა ღართლა სადმე იყვეს, თხა მომტაცოს და წაიყვანოსო და გამოიხედა გარეთ. სადღა თხა! იმის კვალიც აღარ იყო. მაშინვე გამოეკიდება დევი, ირბენს და მოუახლოვდება ხიღს: ხუთკუნქულავ! გახველ ხიღს თუ არაო?—თვალი კი არ მოგთხარეო!! მოაძახა ხუთკუნქულამ და წაიყვანა თხა. დევი შინ დაბრუნდა გაბრაზებული. მოუყვანა ხუთკუნქულამ თხა ხემწიფეს და ძმებს კი, რასაკვირველია, ვერაფრად ეპიტნავათ. ხელმწიფეს უთხრეს: დიდებულიო ხელმწიფევე, მაგ თხის პატრონს ისეთი ხალიჩა აქვს, რომ იმისი ფასი დედამიწის ზურგზედ არაფერი იქნებაო. თუ ხუთკუნქულამ იმისი თხა მოიყვანა, ხალიჩასაც აღრე მოიტანსო. ხემწიფემ ისევ დაიბარა ხუთკუნქულა და უთხრა, რომ შენ უნდა წახვიდე და იმ დევს რომ ერთი ხალიჩა აქვს, ის მოიტანოო. ხუთკუნქულას მეტი რა ღონე ჰქონდა. ადგა და წავიდა. ხემწიფეს კი მოახსენა, რომ ერთი მუჰა ნემს-მახათი მიბოძეთო. მისცეს და წაიღო. ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა დევის სახლში, შეიპარა, სადაც ხალიჩა იყო დაგებული და დაარქო ხალიჩაში ნემსები. მოვა დევი, დაჯდება ნემსებზე, — შეერკვნენ, იქით გადაიწვეს—იქიდგან შეერკობიან, აქეთ გადმოიწვეს—აქედგან. ბოლოს რაკი ძალიან შესწუხდა, მოაელო ხელი ხალიჩას და გადაუძახა გარეთ. დაავლო ხელი ხალიჩას ხუთკუნქულამ, გააქცია და გა-

ვარდა ხიდს. დევმა იფიქრა: ეს ეშმაკი ხუთკუნქულა კი არ იყვეს სადმე და ის ხალიჩა არ წაილოსო. გამოიხედა, მაგრამ სადღაა ხალიჩა! დარჩა ხახა ცარიელი დევი. გამოეკიდა ხუთკუნქულას და დაუძახა: ხიდს გახველი, ხუთკუნქულავ, თუ არაო?—გაველ და თვალის მოგთხარეო! უპასუხა ხუთკუნქულამ. მოვიდა და მოუტანა ხალიჩა. ძმებს უფრო აერიათ გული. ხემწიფეს მოახსენეს: ხუთკუნქულამ მაგ თხისა და ხალიჩის პატრონიც რო მოიყვანოს, ძალიან კარგი რამ სახილველი იქნებაო. დაიბარა ისევ ხუთკუნქულა ხემწიფემ და უთხრა: უნდა წახვიდე და ამ ხალიჩის პატრონიც აქ მიიყვანოვო.—კარგიო, მოახსენა ხუთკუნქულამ და ერთი ხელი იმერული ტანისამოსი კი მიშოვეთ და ხუროს იარაღები, რაც რამ არისო. ხემწიფემ უშოვა, ჩაიცვა ხუთკუნქულამ, აიღო ხელში ხერხი, ეჩო, ხუსტა-ჩო, საწარბელა, შალაშინი და სხვა და გაჰწია. ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა დევის საბრძანებელში. უცებ დევეს შეჰხვდა ტყეში.—ოჰ, შენ არა ხარ ხუთკუნქულაო?—დაუძახა დევმა.—აი ასე და ისე მოუვიდეს ხუთკუნქულას და ჩემი ცოდო ნუ დაუღიოს ღმერთპაო, უთხრა დევეს ხუთკუნქულამ: იმ ვერანას ვშველოდი, იმერელი ვარ, არაფერი მომცა, გამომაგდოვო. დევმა მართლა დაუჯერა.—თუ იმერელი ხარო, ჰკითხა, მაშ შენ კაი ხელობა გეცოდინება, რას გააკეთებ საკვირველსაო. მე ისეთს კილობანს გავაკეთებ, უთხრა ხუთკუნქულამ, რო შიგ ჩაჰჯდე და ფიცარიც ვერ გააგდებინოვო.—აბა გააკეთო, —უთხრა დევმა. საჩქაროთ გააკეთა კილობანი ხუთკუნქულამ და უთხრა დევეს: აბა ჩადი, ნახე, ძირს გააგდებინებ თუ ვერაო. ჩაჯდა დევი. ჰკრა წიხლი და გააგდებინა. გააკეთა მეორედ, ჩასვა დევი და უთხრა: აბა ეხლა გააგდებინეო. დევმა მართლაც ველარ გააგდებინა, დაულურსმა და უთხრა, ფეხით არ იარო. ზურგზედ ავიკიდებ და შენ სახლში ისე მიგიტანო. კარგიო—უთხრა დევმა. მოიკიდა ხუთკუნქულამ და ხუსხუს ხემწიფისაკენ! ხიდს რო გავიდა, დევეს გულმა გაუგო: აი გადამიყვანე განა ხიდსაო! უთხრა ხუთკუნქულას და დაიზიდა, მაგრამ სად წავიდოდა, წამოიღო ხუთკუნქულამ და მოუყვანა ხემწიფეს. შაიკობა მთელი ჯარი, ნაზირ-ვეზირი, ხემწიფე და სხვა დიდებული დევის სანახავად. უნდოდათ გაეხსნათ და ენახათ. ხუთკუნქულა კი გაეცა, წაიღო ერთი მარილის ქვა და ავიდა ერთ მაღალ კანდარზედ. იქიდან უცქერის სეირს. აჰხადეს კილობანს. ამოვარდა იქიდან გაგიჟებული დევი, დაერია ხალხს და ყველა ერთად კი ნააქცია თავის ხემწიფით და რვა ძმით შავს მუცელში. რაკი ყველა მიყლაპ-მოყლაპა, ხუთკუნქულას დაუწყო ძებნა და მერე კანდარზე შეიხედა. იქ მჯდომი ხუთკუნქულა დაინახა და დაუძახა:

ხუთკუნქულავ, მასწავლე, მანდ როგორ ახველო? ამ მარილის ქვას ხომ ჰხედავო? დაუძახა ხუთკუნქულამ დევს, ეს მარილის ქვა გულზე დავიდევ, ამოვფრინდი და ამოველო.—სად ვიშოვო მაგისტანა ქვაო? ჰკითხა დევმა. გულალმა დაწევ, მე ჩამოუშვებ, გულზე დაგეცემა და ამოჰხტებიო, დაუძახა ხუთკუნქულამ. დაწვა დევი გულალმა. ჩამოუშო მარილის ქვა, დაეცა დევს და ორაზედ გახვრიტა. ხუთკუნქულამ ამრიგად დევი მოიშორა თავიდან. ჩამოვიდა ხიდან, ის იმოდენა სარჩო იმას დარჩა, გახდა სიმდიდრისა და შეძლების პატრონი; გახდა ქვეყნის ბატონი და პატრონი. აქვს მუდამ ძველი პური და ძველი ღვინო.

მთას ურემი ავიტანე,
წამოვიდა გორებითა,
აქ სიცოცხლით გაგვიძელით,
საიქიოს ცხონებითა.

259.

მართი ხელადის ამბავი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელადა. წავიდა საქურდლად, ღვინო უნდა მოეპარა. ბევრი იარა, ცოტა იარა, შემოჰხვდა ერთი კვერცხი.—გამარჯვება!

- გაგიმარჯოს!
- საითკე გაგიბეღია?
- ღვინის მოსაპარადად!
- მეც შენი ამხანაგი ვიქნები!
- ძალიან კარგი.

გაუძმობილდა და წავიღვნენ. მიდიან. წინ ერთი მახათი შეჰხვდათ.

— გამარჯვებათ!

— გაგიმარჯოს!

— სად მისდინხართ?

— ღვინის მოსაპარად!

— მეც თქვენი ამხანაგი ვიქნებიო.

— კარგიო. გაუამხანაგდა და გაულგნენ გზას. ბევრი იარეს, ცოტა იარეს, შემოეყარათ ფილთაქვა.

— გამარჯვება თქვენი, მიაძახა ხელადას, კვერცხს და მახათს.

— გაგიმარჯოს—უპასუხეს იმათ ერთხმად.

— სად მიჰდინხართ?

— ღვინის მოსაპარად!

— მაშ მეც გამომხანაგეთო.

— ძალიან კარგო. წავიდნენ, ოთხნი მიდიან. წინ ერთი მგელი შემოჰხვდათ.

— გამარჯვებათ!

— გაგიმარჯოს!

— საითკე?

— ღვინის მოსაპარავეად.

— მაშ მეც მიამხანაგეთო.

— ძალიან კარგო. გახდნენ ხუთნი და ხუთნივემ გაჰწიეს ღვინის მოსაპარავეად, სადაც ეგულეობდათ. შევიდნენ სახლში. კაცს ეძინა. მგელი კარებს უკან აიტუზა; მახათი კარებში ჩაერქო; კვერცხი ცეცხლში ჩაეცხო და ფილთაქვა საკიდელზე შეჯდა. საღვინე ქვევრში ჩაძვრა და დაიბუყბუყა: „სახლის პატრონო! არიქა, ღვინო მოგპარესო!“ წამოფრინდა სახლის პატრონი, მივარდა ცეცხლს— უნდა აენთო. გატყვრა კვერცხი და ცხელი ნაცარი თვალებში კი შეაყარა. ფილთაქვა ჩამოვარდა და თავში დაეცა. კაცი კარებისაკენ გაიქცა. კარებში ფეხში მახათი შეერქო და წაიქცა. მგელმა კიდე პირი დაავლო და გააქტუნა ტყეში. საღვინემ ღვინო ამოიღო და წამოვიდა სახლში... მორჩა და გათავდა თქვენნი მტერი და ღუშმანი!!

260.

უ ხ ე ი რ ო

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი და დედაკაცი. ესენი იყვნენ ძალიან ღარიბები, მათ ქონდა ერთი ძველი წნული სახლი სიცივით რო იხოცებოდნენ, ცოლმა უთხრა ქმარს: კაცო, ეს სიცივით რო ვიხოცებით, წადი ერთი ზურგი კუწკუწა მოიტანე. კაციც წავიდა/კუწკუწაზე. როდესაც მიდის დაინახა მახათი, ნემსი და კუწკუწაში ჩადვა და მივიდა შინ. თავის ცოლს უთხრა, რო ემანდ კუწკუწაში მახათი ნემსი არი და ამოიღეო. ცოლმა დაკივლა გულშივე გაიბნევიდო. ახლა წავიდა მეორეთ. ახლა იპოვნა წალდი და გულში გეიბნივნა. მთელი ახალოხი დახვეწოდა. შინ რომ მივიდა თავისმა ცოლმა გაუჯავრდა, ზურგზე ვერ აიკიდამდიო. ახლა წავიდა მესამეთ, ახლა იპოვნა ლეკვი და აიკიდა ზურგზე და მთელი ახალოხი დაწეწა თათებით. შინ რომ მივიდა თავისმა ცოლმა გაუჯავრდა, უნდა დაგეძახნა ტუგრი, ჩუგრი და მაშინ წამოვიდოდა. ახლა წავიდა მეოთხეთ და დაინახა, რო მკვდარი მოაქვთ და დაუძახა ტუგრი, ჩუგრი.

11. ქართ. საბავშვო ფოლკლორი.

მერე იმ კაც კირისუფლებმა სცემეს, აქ ძალს სადა ხედამო, რო შენ ეძახი. შინ რომ მივიდა თავის ცოლს ამბავი მიუტანა. იმან კიდე უთხრა, უნდა გეთქვა, საწყალი მამკვდარაო. ახლა წავიდა მეოთხეთ. ახლა მოდის მემცხვარე. იმ კაცმა რო დაინახა, ეძახის, საწყალი მამკვდარა. მემცხვარე ეკითხება, ვინ მამკვდარა, მაგრამ ის იგრევე გაიძახის, საწყალი მამკვდარა. მემცხვარემ ერთი მაგრა სცემა. შინ რო მივიდა, უამბო ცოლს. იმან გაუჯავრდა, უნდა გეთქვა ბარაქა შენ სამწყემსოს. ახლა წავიდა კიდე და შახვდა მექურჭლე. მან რო დაინახა, დაუძახა, ბარაქა შენ სამწყემსოს. ახლა იმანა სცემა ერთი მაგრა, აქ სადა ხედავ ცხვრებს, რო შენ იძახი ბარაქა შენ სამწყემსოს და ის კაცი მოკვდა ცემისაგან.

ქატო იქა, ფქვილი აქა,
კირი იქა, ლხინი აქა.

261.

გ ლ ე ხ ი კ ა ც ი

იყო ერთი გლეხი კაცი. მას ყავდა სამი შვილი. დუშუბარა შვილებს: მე რომ მოვკვდე თქვენ ქოსა კაცს მოჯამაგირეთ არ დუ-
ულდგეთო. როდესაც მოკტა მამამისი ქე დოულდგენ ქოსა კაცს მოჯამა-
გირეთ, იმ პირობით, რომ ღერთმანეთი უნდა გიეტანენ და ბძანე-
ბა გიეგონენ. ვისაც რამეზე კუჭი მუჭვიდოდა უნდა მიეკლენ. წვი-
და ერ დღეს უმფროსი ძმაი ყანაში სახნავათ. მან წიეყვანა ხარები
სახნავათ მიწის საყანაში. დალამდა სადილი არ აღრისეს. გაკუჭებუ-
ლი მევიდა სახში. შეიკდთხენ გული ხომ არ მოგივიდაო. მან თქუა—
აბა რა იქნებოდა სიმშლით მომკალით დღეს კაციო. შეასრულეს
პირობა და მოკლეს უმფროსი ძმაი. წვევიდა შვაშვალი ძმაი. არც
მას ჩუჭტანეს იქინე საკმელი. რომ მევიდა შინ სალამოს გაკუჭებუ-
ლი, იმასაც შეეკითხენ—კუჭი ხომ არ მოგივიდაო. იმან უპასუხა—
რეზა არ მომივიდოდა სიმშლით მომკალით დღეს კაცი იქინეო.
მოკლეს იგიც. ახლა უნცროს ძმას გაატანეს საბალახოთ ცხვრები
და გაგზანის ხანს ზაკუსკაზე არ დეიწვიენ შინ. კითხეს—გული ხომ
არ მოგივიდა კაცო ზაკუსკაზე შენი დაწოზა დაგზანვიწყტაო. მან
უთხრა იგენს—რეზა უნდა მომსლოდა კაცოვო. წვევიდა ახლა და
გადენა იგი ცხვრები. დაანთო ეგერ იქით ცეხლი. აარჩია კაი სუქა-
ნი ცხვარი და გუჭყარა დანა კისერში. ზოგ ქე დეიტია მან და ზოგ
მეზობლებში კადზე და მარილზე გადაცუალა. გამოდლა კარქათ. მი-

ვიდა შინ და კითხეს,—კუჭი ხომ არ მოგივიდა კაცო ხელი შეგვეშალა სადილი ვერ გამოგიგზავნეთ დალუპოს და დარანწყოს ღმერთმაო. ბიკმა უთხრა.—გული რელეაზა მომივიდოდა, რა მქონდა კუქმო-ნავალი. მშიერი კი ვიყავი მარა, ერი სუქანი ცხვარი დავკალი და მივეცი ყბაშიო. შორე დღეს კილო გაატანეს ცხვრები საბალახოთ და კილო არ გეგზავნეს სადილი. კილო ისე ქნა. წინდაწინ დუბარეს, რომ ეს ცხვრები ისე გააძლე, რომ აქითობას რომ წამოდენი სიარული უკირდენ და სულ პეტელ-პეტელით მივიდოდნო. არც შუუ-წუხებიცა თავი იგენის გაძლომიზა. წამოსლის ხანს ნიგუზალი იშონა საცხა და ყველას ტუჩი დაწჭა. მოდენის და შუა ყველა პეტელ-პეტელით. მივიდა შინ და მიხთენ დამუჭარია ცხვრები. რა იყო კაცო გული მოგივიდენ თუო, კითხა უნცროსმა ძმამ. აბა რა კაცო, აგენი ქე დაგილუპავს მქლათო. ამან თქვა მეც აგი მინდოდაო. კუჭი ხომ კი მოგივიდენო. დიერია და დაწყვიტა ყველე იგენი. გაყიდა ცხვარიც და სხეიცი ყოლიფერი და შევიდა დუქანში აფხანაგათ ფართლის ვაჭრეფთან.—რა ქვია შენო, კითხეს იქინე.—რა და არშინი ხიეო. მერე რომ ვაჭრობდა, რამდენ არშინს დუუზომავდა მყიდველს, იმდენს გადახედავდა. უჩივოდენ აფხანაგები—რატომ შობიო. აგი უჩივოდა:—ჩემი სახელი აია და რა ვქნა აბაო. უთხრენ აქანე არ ივარგეფო და წეიყვანეს და იქინე კითხეს—ნამდვილი შენი სახელი რა არისო. ამან უთხრა:—რა კაცო და ანტრიეო. ყოლიფერს ანტროვდა დასურ და ისე აძლევედა მუშტარს. გულის მოსლა იყო იქინეც ნიზლეებში და იმიზა შობოდა ამას. იგენი უჩივოდენ გული მოგდის თუ რეიზა შობი ამასო. კუჭი თუ მოგდის თქვიო. ბიკმა უთხრა—არ იხუმროთ, კაცო, გული რავა მომდის. აია ჩემი სახელი და აბა რა ვქნაო, ახლა მოცილებე მენილომეს ამის. გამეიყვანეს და შიადენ ერთი სახში. წიუკილტენ კარი და შინ ამოწჭა დუუპირენ. საგზალი მისმა ხაზენმა ზრუგში მეიკიდა იაშიკით. აი გამოძვრა სახლიდგან და შეძრა იაშიკში. წუუკილდენ სახს ცეხლი და გუუდგენ გზას. გზაზე მან ქე შექამა საკმელი შით. იგენმა გახსნეს არათერია იაშიკში და აი ქე ამუუდგა გვერდში. წამევიდენ ისეველე უკან ნაპარტახალზე. ამას მაინც ვეფერი ვერ მუუხერხეს. წყალზე წამოი, ვიბანავოთო, ხაზენმა უთხრა და ბაწარი წეილო. მუუნდომა დახჩობა, მარა ამან იგი დაახჩო თვითონ. მივიდა მერე და ცხოვრობდა სულ ტკბილათ.

262.

ერთ-ცილა ქმარი და ორ-ცილა ცოლი

ერთ-ცილა ქმარი იყო და ორ-ცილა ცოლი ყავდა. ცოლმა შალ-აბრეშუმი გააკეთა და გაატანა ქმარს გასაყიდლად. წაიღო

ქმარმა და ხარში გადაცვალა; ხარი წამოიყვანა და მამალში გაცვა-
ლა; მამალი—სამ ნემსში, ნემსი წამოიღო, გამოხტა სამ—ლელებს და
სამივე დაეკარგა. შეხვდა ვაჭარმა. სამი ჯორ-კიდებული მოაქ და.
„ხომ მოგკლავს შენი ცოლი“—ო უთხრა. „არათერს არ მეტყვისო“—
დანიძლავდენ: „თუ არათერს გეტყვის, ჩემი ჯორ-კიდებული გქონ-
დესო“. უთხრა ვაჭარმა და წავიდენ. შევიდა ვაჭარი ქალთან და.
„ამისთანა იქნება, შენ ქმარს შალ-აბრეშუმში ხარში გადუცვლიაო“—
უთხრა, მიახარა. „იპ! ნეტაი ხარს მოიყვანდეს, თუ არა... შიმშილი
ჰკლავს, მოხნავს რამეს და პურს მოიყვანსო!“—ხარი მამალში გა-
დუცვლია...—იპ! ნეტაი მამალს მოიყვანდესო, თუ არა... ამდენ ლა-
მეს ძილი ჰკლავს, ქე მაინც გაგვალეძებსო.—მამალი ნემსში გადუ-
ცვლია...—იპ! ნეტაი ნემსს მოიტანდეს თუ არა... ტანისამოსი სუ-
კია-კია გვაქ, ხორცი გვიჩანს, ქე მაინც დავიკერავეთო.—გამომხტა-
რა სამ ლელებს და სამივე დაკარგვიაო... ნეტაი, თვითონ მოვიდოდეს
და... გამოხტა ამ დროს ქმარი და—ხომ გითხარი არას იტყვისო,
მიაძახა „მიჯობნიაო, მოგებული ვარო“ და წაართვა ვაჭარს ამდენი-
ჯორ-კიდებული.

263.

იყო და არა იყო რა, ლეთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო
ერთი მეფე. იმასა ჰყავდა ერთი მღვდელი. მეფეს ძალიან უყვარდა
ქეიფი და დროს გატარება. ამისათვის მღვდელი ყოველ დღეს უსა-
ყვედურებდა და ჰკიცხავდა მის საქციელს.—მეფეს მთელი ქვეყანა
აბარიო, რგი თავის თავის დაკმაყოფილებაზე კი არა, ხალხის ავ-
კარგინობაზე უნდა ზრუნავდესო, ეუბნებოდა მეფეს მღვდელი.
მაგრამ მეფე თავისას არ იშლიდა და ცდილობდა ასეთი თავის
ქკულის დამრიგებელი თავიდან მოეშორებია. ერთხელ მოიხმო მეფემ
მღვდელი და ასე უთხრა:—სამ კითხვას მოგცემ და სამი დღის
ვადას გაძლევ; თუ ამ სამი დღის განმავლობაში სამივე არ აგიხსნია,
თავს მოგჭრიო. პირველი: უნდა გამიგო რამ სიშორეს არის ცა ხმე-
ლეთზე; მეორე:—რა მაქვს მე გულში, და მესამეც ისა, რომ მთელი
ზღვა უნდა დალიო. წადი!

გულშემოყრალი მღვდელი გარეთ გამოვიდა. საშველი არსაი-
დან იყო. დღეს თუ ხვალ იგი სიკვდილს მოელოდა. უცბათ წინ ბე-
რიკაცი შემოხვდა.—შენდობა მამაო!—მიეგება მოხუცი მღვდელს.

— გაკურთხოს უფალმა! გადასახა ჯვარი მღვდელმა.

— რას ჩაფიქრებულხარ მამაო, აგრე მწარეთ?—ჰკითხა მოხუცმა-

— ეჰ! შეილო, როგორ არ ჩაეფიქრდე, დღეს თუ ხვალ სიცოცხლეს უნდა გამოვეთხოვო!— და მღვდელმა მოხუცს ყველაფერი უამბო.

— ნუ გეშინია მამაო, მე გამოგიხსნი მაგ გაკირებებისაგან. შენ მხოლოდ მეფეს ერთი ტომარა ნართი გამოართვი და სხვა მე ვიცი და ჩემმა გამოცდილებამ.

მღვდელს ძლიერ გაეხარდა და მეფეს ერთი ტომარა ნართი თხოვა. მოხუცმა ჩაიცვა მღვდლის ანაფორა, გაიკეთა იმისავით წვერი, ეს ნართიანი ტომარაც ზურგზედ წამოიკიდა და ასე ამგვარად მეფესთან გასწია.

— რა ჰქენი, ახენი ჩემი კითხვები? დაეკითხა მისვლისთანავე მეფე მოხუცს, რომელიც იმას მართლა მღვდელი ეგონა.

— კი შენი ჭირიმე, ლეთისა და ქვეყნის წყალობით ავხსენი.

— აბა თქვი, დალიე ზღვა?

— დავლევ ბატონო, თუ რომ რაც იმაში წყლები ჩადის, შეაჩერებ და შიგ ალარ ჩაუშვებ.

მეფემ დამარცხებულივით თავი ძირს ჩალუნა.

— კარგი! გაიგე რა მანძილია ცასა და დედამიწას შუა?

— კი ბატონო, გავიგე და აგერ ზომაც მოგიტანეთ ტომარა და თუ არა გჯერათ, თქვენ თვითონ გაზომეთ და მაშინ დარწმუნდებით, რომ მე მართალი მითქვამს.

მეფემ მეორეთაც თავი ძირს ჩალუნა.

— ვთქვათ ესეც ასეა. ამაზე რაღას იტყვი, რას ვფიქრობ ახლა მე?

— თქვენ ახლა ბატონო, იმას ფიქრობთ, თქვენს წინ მღვდელი იდგეს, მაგრამ მოტყუებული ბრძანდებით. ამასთანავე მოხუცმა წვერი ჩამოისხნა და ანაფორა გაიხადა.

მეფე გაწითლდა და სრულიად დამარცხებული განშორდა.

264.

ფლავარი ორი ძმისა, მართი რომ ზაჰიანი იჟო და მორკე ზიში

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყვნენ ორნი ძმანი, ერთი გიჟი და მეორე ჭკვიანი. გიჟი ძმა არაფერს არ აკეთებდა, მართო სკამდა; ჭკვიანს შამოჰქონდა და იმას კი გაჰქონდა. უთმინა ჭკვიანმა, უთმინა, ვეღარ მოუთმინა, ადგა და გაეყჭრა. გიჟს ერთი ვირი ერგო. წაიყვანა გიჟმა თავისი ვირი და წავიდა. ერთ ტყეში ერთ კლდეს შეჰხვდა. მიიყვანა ვირი იმ კლდესთან და

ეუბნება კლდეს: ვირი არ გინდა მოგყიდო? კლდე აბა რა ხმას გაჰცემს! თვითონვე იტყვის გიჟი:—მამყიდეო.

— როდის მოვიდე, ან რამდენს მომცემო?—ჰკითხავს კიდე კლდეს. კლდე პასუხს არ აძლევს. მერე თვითონვე იტყვის გიჟი:

— ხვალ მოდი და ხუთ მანეთს მოგცემო. ეტყვის და წაეგა გიჟი. მეორე დღეს ადრიან წამოვიდა კლდესთან გიჟი; დაინახა, რომ მგლები დაჰხვევიან ვირს და ჰჭამენ. სთქვა: ეჭ, თავადი შვილობა დაუპატიჟნია კლდეს, იმათ უმასპინძლდება და ხუთი მანეთი როგორა ვთხოვო ეხლა, სირცხვილია, როგორ შევარცხვინოვო. გამობრუნდება და წამოვა. მოვა შინ ძმასთან (კარიელი. ძმა რო დაინახავს, ეტყვის: აკი, გითხარ ძმაო, რომ მაგ ვირს ნუ წაიყვან, თორემ დაჰკარგავო.—ეჭ, შენ რა იციო, გაუწყრა გიჟი, ხუთმანეთად მყვანდა გაყიდული, ღღეს გეკონდა პირობა; მიველ, ვნახე, თავადი შვილობა დაეპატიჟნა, ველარ შევარცხვინე და წამოველო. იმათთან ხუთი მანეთი როგორ მეთხოვნაო. მესამე დღეს რო გათენდა, წავიდა გიჟი კიდე კლდესთან, მივიდა და ნახა, რომ ვირს კაჰკაჰები და ყვავები დაჰხვევიან და ჰწიწკნიან.—ეჭ, ეხლა გლეხკაცობა დაუპატიჟნია და იმათ უმასპინძლდებაო, სთქვა გიჟმა, ან ეხლა როგორ შევარცხვინოვო და დაბრუნდა ისევ კარიელი შინ. ძმამა ჰკითხა: ფული მაიტანეო?—არ მომიტანია: გლეხკაცობა ჰყვანდა დაპატიჟებული, ველარ შევაწუხე და წამოველო. მეოთხე დღე რო გათენდა, გიჟი ისევ კლდესთან წავიდა; ნახა რომ იმის ვირისა მარტო დახრული თეთრი ძვლებილა ყრია.—მამეცი ჩემი ხუთი მანეთიო! დაუწყეო კლდეს. არ მომცემო? ეტყვის კიდე. არ მოგცემო! ეტყვის თვითონვე. აილო გიჟმა ერთი დიდი ქვა და დაჰცხო კლდესა.—არც ახლა მომცემო? კლდილამ ერთი ქოცო გადმოგორდა, სულ თეთრი ფულით სამსე. აილო გიჟმა თავისი ხუთი მანეთი და წავიდა შინ. ძმამა ჰკითხა:—აბა ფული მოიტანეო?—მოვიტანეო! უპასუხა გიჟმა, ერთი ქვა დაეცხე კლდეს, ერთი ქოცო ფული გადმოგორდა და იქიდან ავიღე ხუთი მანეთი და წამოველო. ადგა ჰკვიანი ძმა, წაიყვანა გიჟი ძმაც თანა, წაიყვანა ხარი და წაილო თან ხორბალი. მივიდნენ, აჰკიდეს ხარს ფული და წამოვიდნენ. გზაზედ ერთი მღვდელი შეჩხვდათ. ჰკვიანმა უთხრა გიჟს ძმას: მოკალი ეგ მღვდელიო! გიჟმა მართლა მოკლა. მოდიან გზაზედ და ჰკვიანი ამოიღებს თითო მუჭა ხორბალს და შეისვრის ცაში, ეტყვის ძმას: უყურე, ხორბლის წვიმა მოდისო. სახლში მივიდნენ. სოფლობა იყო, მღვდელი მოიკითხეს, აღარსად არის მღვდელი. გიჟი ეუბნება. მე მოვკალიო.—რა ღამესაო? ჰკითხეს.—ჰური'რო ჰწვიმდაო.

— რას ამბობს ეგ ოხერი, პური როდისა ჰწვიმდაო, გაჯავრდა ხალხი, სიტყვა აღარ დაუჯერეს. მერე ჰკითხეს: სად მოჰქალიო გვაჩვენეო! წავიდნენ, გაუძღვა გიჟი. წყალში თხა დაინახა, ხალხსა ჰკითხავს, თქვენ მღვდელს რქები ჰქონდაო? წვერები ჰქონდაო? თვალები ჰქონდაო? აი თქვენი ღვდელიო. ხალხმა ველარაფერი უთხრა. გიჟი გაჯავრდა: მაშ რალასა მკითხავდითო!

ბებერი რომ დაბერდება,
საქათმეში ჩაგორდება,
კვერცხი რო არ დაუხვდება,
მოჰკურცხლავს და გავარდება.

265.

ძ უ რ ღ ი

კაცმა ველარ შეუძლო სიმშლისგან გულშეწუხებულ ცოლ-შვილის ტირილს. წავიდა, გავიდა მინდორში და ნერგის ხეს მიეყუდა. ფიქრობდა როგორ შეეოკებინა ცოლ-შვილი, ვისთვის ეთხოვნა, სად ეშოვნა. მეორე კაცი მივიდა, მიესალმა და ჰკითხა: რამ დაგალონა შენც ხომ ჩემსავით ცოლ-შვილის სიმშლის არ გამოქცევინაო? პირველმა კაცმა უთხრა: მაშ შენც ჩემ ტათაში იწვიო. აბა, აიხედე ნერგზე ჩიტს ბუდე ჰქონია, რას დამენაძლავები, ავიდე, ისე მოვპარო კვერცხები, რომ ჩიტი არ ავაფრინო. ფუ ისე მოიპარამ, როგორც შენ ამბობ, შენი ბადალი სხვა არავინ იქნებოა, უთხრა მეორემ. პირველი რომ ჩამოვიდა ხიდგან, ჰკითხა მეორემ: აბა, ამოილე კვერცხებიო. პირველმა კაცმა კვერცხები ველარ იპოვნა უბეში. მეორე კაცმა უჩვენა თავის უბეში, აი მე მოგპარეო. მაშ ძმებათ გავიფიციტო, ორივემ ხომ გაპოვცადეთ ჩვენი თავი, ქურღობას მოვახერხებთო. ცოლ-შვილი ერთად დააყენეს. წავიდნენ ხეწიფის ხაზინის მოსაპარად, ისე გამოიტანეს ფული, რომ ვერავინ გაიგო. მეორეთაც მივიდნენ ხაზინის მოსაპარად. ხაზინის კარებში კუპრი ჩაედგათ. შედგა თუ არა ფეხი ერთმა, ჩაფარდა. უთხრა მეორეს, თავი მომკერი, თორემ შენც დაგიკერენო. მოსჭრა თავი, წაულო ცოლს. უთხრა: ხვალ გამოკიდებენ, ვინც იტირებს, მკვდრის პატრონად იმას მიიღებენ. შენ კოკები წაილე წყალზე, მიკა ერთმანეთს, დაიმტვრეს. ტირილს ქურქლის დამტვრევას დააბრალებენ. მეორე დღეს ქალს ახალი კოკები მიჰქონდა წყალზე, დაინახა ქმრის თავმოჭრილი ტანი. მიანარცხა ერთმანეთს კოკები, დაიწყო ტირილი. მკვდრის დარაჯებმა ჰკითხეს: რა გატირებს კოკების გულისთვის, ხემწიფემ

არ დაგინახოს, ჩვენ გიყიდიოთ კოკებსაო. ამისთანას ველარ მიყიდიოთ, კარგი დავკარგე, ტირილით გაიძახოდა, ქალი. მოიოხა გული ტირილით და წავიდა სახლში დაოსებული. მკვდრის პატრონი ვერ იპოვეს. ხემწიფემ ხალიჩა გააშლევინა, ზედ ფული დააწყეს და ხემწიფე მეთვალყურეთ მოუდგა, ვინც ფულს წაეტანებოდა, დაიქერდნენ, ხაზინის ქურდათ იმას დასახადდნენ. მკვდრის ამხანაგმა ისე მოიპარა ხალიჩიდან ფული, რომ ხემწიფემ ვერ შეიტყო. მაშინ ხაზინის დარაჯებმა მოახსენეს: ეხლა ხომ თქვენ უდევით ფულს, რატომ ვერ გაიგეთ, ჩვენ რომ დავგესაჯეთ? ხემწიფე დარდში ჩავარდა, გულის გასახალისებლად მოიწვია საზანდრები და გარეთ გამართა ლხინი. ხაზინის გამქურდავმა საკრავები ისე მოიპარა, რომ ვერც ერთმა იქ მყოფთ ვერ დაინახეს. ხემწიფე უფრო დადარდიანდა, რა მოვლენა ხდება ჩემ თავზეო, ალბათ ღმერთს ჩემი განადგურება უსურვებიაო. სხვა ხემწიფემ თავშალი და ქუდი გამოუგზავნა ხემწიფეს, ხაზინაც შენ მოგპარეს, ხალიჩაზე ფულიც შენ აგაცალეს, საკრავებიც ხელიდგან გამოგაცალეს, ვერც ერთის ქურდი აღმოაჩინე. ჯილდოთ გიგზავნი თავშალს და ქუდს. ქუდი ღედოფალს დახურე, თავშალი შენ დაიხურე და ისევ განაგეთ სახემწიფოო.

ხემწიფემ დაიბარა ხალხი და სთქვა: ვინც ხაზინა გაქურდეთ, ფული ხალიჩიდან აიტაცეთ, საკრავები მოიპარეთ, ამ თავშლის და ქუდის გამომგზავნ ხემწიფის ჯავრი ამომყარეთ და ყველა დანაშაულს გაპატიებთ. წადგა ქურდი და მოახსენა: მალე მტერი მოგიკვდეს, მალე ის ხემწიფე აქ მოგვვარო, მხოლოდ კიდობანი გამიკეთეთ ორი ადამიანის ჩასაჯდომი, მომეციოთ ქლარუნებიანი რკინის კეტი და ჯორი. რომ მოვიდე, ხმა არავინ ამოიღოო. რაც მოითხოვა, მისცეს. ქურდი მივიდა ხემწიფის კარებზე, აიპარა ბანზე და შეაქლორია ქლარუნები. ხემწიფემ კარისკაცები გაგზავნა, ვინ არის, ვინ აქლორიალებს შემოიყვანეთო. ქურდი შეიყვანეს. ხემწიფემ ჰკითხა: ვინა ხარო.—მე სულთამხუთავი ვარ. თქვენ როგორ გირჩევენანთ, ეგრე ხორციელათ წაგიყვანოთ ხემწიფე-ღედოფალი, თუ სული ამოგართვათ. ხემწიფე და ცოლი შიშით კანკალებდნენ. უთხრეს: ხორციელად წაგვასხიო.—მაშ ტანისამოსი გაიხადეთ და კიდობანში ჩასხედითო. გატიტვლდნენ. ტირილი-გლოვნით ჩასხდნენ. ქურდმა დაარიგა, ძალღვიოთ რომ დავიყუფო, თქვენც დაიყუფეთ; კატასავით დავიკნავლო, თქვენც დაიკნავლეთ; მამალსავით დავიყვილო, თქვენც დაიყვილეთ. სამი ბეწვის ხიდი გვაქვს გასავლელი და ყეფა-კნავილყივილით გადავრჩებით უბედურებას. წამოკიდა ჯორს კიდობანი და გასწია არხენად. აიტანა ხემწიფის ბაღში. ხემწიფეს სტუმრები

ჰყვანდა, დაიყუდა და შეუბანეს ყვეთთ კილობანში მსხდომებმა; დაი-
კნავლა და კნავილით მისცეს ბანი; ყიყლიყო და კილობანში გააბეს
ყიყლიყოს ძახილი. ახადა კილობანს თავი, ერთი აქეთ თვალში იჯ-
და, მეორე იქით. ხემწიფემ თავშალი ხემწიფეს დახურა, ქული დე-
ლოფალს. თქვენი მოძღვნილი საჩუქარი, ისევ თქვენ მიიღეთო. მე
თუ ხაზინა გამიტეხეს, ფული ამტაცეს, საკრავები მომპარეს და ვერ
გავიგე, შენ კოლით მოგიპარეს და ვერ გაიგეთო.

266.

კ ო მ ბ ლ ე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კომბლე. იმასა ჰყვანდა სამი
ცხვარი, გარეკა ტყეში, ცხვრებს თავი გაანება და თვითონ დაჯდა,
კომბლებს კეთება დაუწყო. კაცებმა ჰკითხეს: კომბლე, რა სულ კომ-
ბლებს აკეთებო? კომბლემ უპასუხა: მე ეს ხელობა ვიცი და ამან
უნდა მაცხოვროსო.

მერე გაიღო ერთი დიდი კომბალი მხარზედ და წავიდა საძებ-
ნელად. მიადგა ერთ მგლის სოროს და დაუძახა: შენ შესქამე ჩემი
ცხვრებიო?—არაო!—აბა პირი დააღე. კბილებში ჩაგრჩენია ხორციო.
მგელმა უთხრა:—ოღონდ ნუ მომკლავ და ბედსა გწევო.

— რა ბედსო?—აგე, აქ მეცხვარეებს ბევრი ჰყავთ, იმ ცხვარში
ერთი ოქროს ბატკანი ჰყავთ; იმ ოქროს ბატკანს მე მოვიტაცებ და სულ
ყველანი მე დამედევნებიან, შენ მოუარე და გარეკეო. წავიდა მგელი
და მოიტაცა ოქროს ბატკანი. სულ ყველანი იმას დაედევნენ. მოუ-
არა კომბლემ ცხვარსა და გარეკა. კომბლეს კაცები შემოჰხედნენ და
უთხრეს: კომბლე, შენ სამი ცხვარი გყვანდა, მაგრე როგორ გაამ-
რავლე ერთ თვეშიაო? კომბლემ უთხრა: ტყეში გაუშვი და გამრავ-
ლებულანო. იმათაც იყიდეს სამი ცხვარი, გაანებეს ტყეში თავი და
წამოვიდნენ შინ. ერთი თვის შემდეგ წავიდნენ საძებნელად, ცხვრე-
ბი უნდა ეპოვნათ, მაგრამ ცხვრები მგელს შეეკამა.

წამოვიდნენ შინ და სთქვეს, რა ვუყოთ კომბლესაო?—სახლი
დაუწოთო. დაუწვეს სახლი. კომბლემ გაანელა ცეცხლი და აიღო
ერთი საცალო ნახშირი, დაახურდავა სამი მანეთი და გადააშალა;
ნახშირს მოჰკრა პირი; აიკიდა საცალო, წაიღო, მივიდა ხაზინასთან
და უთხრა ხაზინის ყარაულს: ამალამ აქ დამაყენეთო და ეს საცა-
ლოც შემინახეთო.—დადექო. იმ ლამეს იქ იყო. მეორე დილა გა-
თენდა და უთხრა კომბლემ ხაზინის ყარაულს: ჩემი საცალო მომეცი-

თო. მოუტანეს საცალო. კომბლემ გახსნა და ნახა; მერე შარი მო-
უღო: მე საცალო ფულით სავსე მქონდაო და აქვენ ნახშირი ჩაგი-
ყრიათო და ზევიდამ თეთრი ფული გადაგიშლიათო. თუ მომცემთ,
მამეცით, თუ არა და წავალ ხემწიფესთან გიჩივლებთო.—ოლონდ
ნუ გვიჩივლებ ხემწიფესთან და ავიცებთ ფულით და გაატანთო.
აუვსეს ფულით და გაატანეს.

კომბლემ მოიტანა შინ ფული და ჰკითხეს კაცებმა: კომბლე,
შენ ნახშირი წაიღე და ფული მოიტანეო?—სახლი დაკწვი, ნახშირი
გაეპკრე, წავიღე და ფულზე გავცვალეო.

დაწვეს თავიანთ სახლები იმათაც, აიღეს ნახშირი ჩაყარეს სა-
ცალოებში და დაჰქონდათ სოფელში და იძახოდნენ: ნახშირი ფულ-
ზედაო! ნახშირზედ ფულს ვინ გაუცვლიდა და აკი არაფინ გაუცვა-
ლა. წამოვიდნენ შინ და სთქვეს: რა უყოთ კომბლესაო?—ცოლი
მოუუკლათო.—მოუკლეს ცოლი.

კომბლემ წამოიღო თავისი ცოლი და მივიდა ერთ კაცთან-
ამ კაცს ჰყვანდა სამი ქალი ძალიან კარგები და უთხრა კომბლემ:
ამალამ აქ დამაყენეო.—დადექიო. თვითონ მივიდა და თავისი
მკვდარი ცოლი იქით მიაყუდა. ჰკითხეს იქ ვინლა დადგავო?—ჩემი
ცოლიაო ჰკვიანია, სცხენიან და იქ დადგაო. წადით, ხელი მოსკი-
დეთ და წამოიყვანეთო. წავიდა ერთი ქალი, ხელი მოსკიდა და გა-
დაიქცა. მერე შინ მივიდა ქალი და უთხრა თავის მამასა: ხელი მოგ-
სკიდე, გადაიქცა და მოკვდაო. წამოხტა კომბლე და დაუწყო ჩხუბი:
ჩემი ცოლი ცოცხალი იყო, რად მომიკალიო; თუ მომცემთ, მო-
მეცით ერთერთი ქალი, თუ არა და წავალ ხემწიფესთან გიჩივლებთო.
—ოლონდ ნუ გვიჩივლებ ხემწიფესთანაო და აი ემ სამ ქალს დავამ-
წკრივებ და რომელიც გინდა, აიყვანეო. დამწკრივდნენ სამივე ქა-
ლი და რომელიც მოეწონა, აიყვანა და წაიყვანა.

შინ რომ მიიყვანა, ჰკითხეს: კომბლე, შენ მკვდარი ცოლი წა-
იღე და ცოცხალი ვინ მოგცავო?—მკვდარს ცოცხალზედ სცელიანო.

დახოცეს თავიანთ ცოლები, წაიღეს სოფლებში და იძახიან:
მკვდარი ცოცხალზედაო. მკვდარზედ ცოცხალი არაფინ არ გაუცვა-
ლა, წამოვიდნენ შინ და სთქვეს: რა ვუყოთ კომბლესაო?—მოვკლა-
თო.

წამოვიდნენ, უნდა მოეკლათ კომბლე, მაგრამ კომბლემ უთხრა:
ოლონდ ეხლა ნუ მომკლავთ და მე თვითონ მოგეკვლევინებითო.
წავიდა კომბლე მინდორზე, გასჭრა სამი თხრილი, მერე წაიყვანა
ორი კაცი, წააღებინა თან ხმლები, შუა თხრილში კომბლე დადგა,
აქეთ-იქით ის კაცები დააყენა ხმლები დააქერინა და უთხრა: როცა

დავიყვირო, მაშინ შემომკარით ხმლებიო. უცებ დაიყვირა, თითონ. თხრილში ჩახტა და ერთმანეთის ხმლები ერთმანეთს მოხვდათ და ორივენი დაიხოცნენ და კომბლე კი მშვიდობით გადაარჩა.

267.

ღარიბი კაცი

ყოვლად უმოწყალო ღარიბი კაცი იყო. მეტი სიღატაკისაგან ის იყო კინალამ სიკვდილად მიიხრწნა. იფიქრა, რაც იქნება, იქნება, უნდა ხემწითეს მოვახსენო ჩემი გაპირება. ჯნ იქვე მომკლას, ან საზღო გამიჩინოს. ჩაისვა მშვიერი კატა გულაში და გასწია. კარის კაცი არ უშვებდა ხემწითესთან, მაგრამ როგორც იყო დაჰყვა ნებას, თუ შუაზე გაუყოფდა, რასაც ხემწითე აჩუქებდა. გლებმა ამოუშვა კატა. მშვიერი კატა ეცა კედლებს, დარბოდა აქეთ-იქით კნავილით. ხემწითემ ჰკითხა მისელის მიზეზი. კაცმა მოახსენა: გიახელით, რომ ორი სილა გამკრათო. ხემწითეს გაუკვირდა, რა სათხოვარი იყო სილის გაკერა, მაგრამ კაცმა იმდონი ეხვეწა, რომ ორი კარგი სილა გაარტყა. კაცმა მადლობა გადაუხადა, ჩასვა კატა გულაში, გავიდა. კარის კაცი მიეგება მხიარულად, აბა ჩქარა გამოიყვირო. გლებმა ლაზათიანი სილა სტკიცა. შეიქნა ჩხუბი. ხემწითეს შეესმა, გამოვიდა. ჰკითხა, რაზე ჩხუბობთო. გლებმა უთხრა:—„ხემწითევე, თქვენთან არ მიშვებდა ეს კაცი, სანამ რასაც მიბოძებდით შუაზე არ გაუყოფდი. იმიტომ გთხოვეთ ორი სილა, რომ ერთი ამას რგებოდა.“ ხემწითეს მოეწონა გლების მოქმედება, კარგად დაასაჩუქრა და კარის კაცი შერცხვენილი დარჩა.

268.

გუშინ, გუშნამ და კიღამ ხარი მომპარეს

ერთ დედაბერს ყავდა თხა. ძალიან უყვარდა თავისი თხა, ისე რომ თავის ოთახში აწვენდა თხას და ძილში თხის რქები ეკირა ხელევაში. ერთ საღამოს ამ დედაბერთან მივიდნენ სამი მგზავრი და ღამის გათევა სთხოვეს. დედაბერმა სიხარულით მიეგება სტუმრებს, მაგრამ სუყველას თითოეულად სახელი გამოჰკითხა. ერთმა უთხრა, გუშინ მქვიაო; მეორემ—გუშხამო; მესამემ—კელანო. სტუმრებს ვახშამი აქამა და დაალაგა. თვითონაც დაიძინა. ძინავს და ხელში უქირავს თხის რქები. სტუმრებს თხის მოპარვა სდომებიათ; ადგნენ, რქები გამოართვეს ხელებიდან და მის მაგიერ ნიგოზალი მიცეს ხელში.

დილას რომ გაეღვიძა, ხედავს რომ რქების მაგიერ უჭირავს ნიგო-
ზალი. გადმოვარდა კარში და მორთო ყვირილი: „გუშინ, გუშხამ
და კელამ თხაი მომპარეს, გუშინ, გუშხამ, კელამ თხაი მომპარეს“.
ამ ყვირილზე მოცვიდნენ მეზობლები და ელაპარაკებინან: „თუ გუშინ
და გუშხამ თხა კელამ მოგპარესო, რა გაყვირებსო“.

269.

ვირის მამებარი

იყო ერთი გლეხი, რომელსაც ჰყავდა ერთი ვირი. გლეხს რო-
ცა ფქვილი დაეღვეოდა, გადაკიდებდა ვირს სიმინდს და წისქვილში
გააგზავნიდა. ვირი დაფქვავდა და ისევ სახლში მოიტანდა.
ერთხელ გლეხმა გაატანა სიმინდი დასაფქვავად. ვირმა გზაში ბალა-
ხობა დაიწყო, შეხვთა მგელი და შექამა ვირი. გლეხმა უცადა, უცა-
და ვირს და მერე წამოვიდა საძებრად. გლეხი პირველად წისქვილ-
ში მოვიდა და ჰკითხა მეწისქვილეს, ჩემი ვირი სად არისო. მან უპა-
სუხა ხუმრობით: აქ არ იყო ცარიელი წისქვილი და ზედა წისქვილ-
ზე წავიდაო. წავიდა გლეხი ზედა წისქვილზე, იქაც მეწისქვილემ
ხუმრობით უთხრა: შენმა ვირმა სიმინდი გაყიდა, იყიდა ჯორი, შეჯ-
და ზედ და პეტერბურგისკენ წავიდაო. გლეხმა დაუჯერა, დაბრუნ-
და სახლში, გააკეთა საგრძალი და წავიდა პეტერბურგში. შეხვთა
ხუთი კინტო და ჰკითხეს—სად მიდევარო. გლეხმა უამბო სულ ყვე-
ლაფერი, როგორც მისმა ვირმა ჯორი იყიდა მისი სიმინდით, შეჯ-
და და პეტერბურგში წამოვიდა. კინტოებმა იფიქრეს, რომ ან ჩვენ-
ზე უკინტოესი არისო ან და მთლად გამოუცდელიაო. მაგრამ ბო-
ლოს მიხვდნენ, როგორც იყო საქმე და უთხრეს, შენი ვირი პეტერ-
ბურგში კი არა, აგერ რო სამსართულიანი სახლია, იქ შესულა მე-
სამე სართულზე, გამოწყობილა კაცივით და სკამზეა წამოკიმულიო.
იქ მართლა იჯდა კაცი. იშოვნა გლეხმა ბაწარი და შეიპარა სახლ-
ში. მიეპარა აქ კაცს, გადააცვა კისერზე და წაუჭირა ყელში. ჰკით-
ხეს გლეხს, რატომ შეგები ამასო. გლეხმა უპასუხა, ეს ჩემი ვირი
არისო, აქ გამოიმპარა და უნდა წავიყვანოო. მოჰკიდეს ხელი გლეხს
და ცემით გააგდეს კარში.

270.

ორი ცრუპენტილა ძოხა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რაღა იქმნებოდა, იყო
ერთი კაცი. ამ კაცს ჰყავდა ცოლი, ესენი იყვნენ მეტად ღარიბები.

ერთხელ ცოლმან უთხრა ქმარსა. წადი კაცო, იზოვნე რამე, ან მო-
იგეო. კაცი დასთანხმდა. აილო გულდა, ჩაჰყარა შიგ ნაგავი, გაავსო-
პირთამდე, გადააფარა ბამბა და გასწია სოფლებიდაკენ. ეს კაცი
ვახლდათ ქოსა მატყუარა. გზაზედ იმას შემოეყარა მეორე ქოსა მატ-
ყუარა. გამარჯობა! გაგიმარჯოსო.

— ეგ რა მიგაქვსო?

— ბამბაო.

— შენ რაღა მიგაქვსო?

— მატყლიო.

— მაშ გავცვალოთო.

— კარგი გავცვალოთო, უპასუხა მეორემ. გაცვალეს და გა-
მოსწიეს შინისაკენ. შინ არ შემოსულიყო, რო ცოლს დაუძახა, არც
ეხლა დამიქსოვ წინდებსო. შემოვიდა შინ და ცოლს უთხრა, მოიტა
რამე, ამოვიღოთო. ცოლმა მოიტანა თაბახი, კაცმა წამოყარა და
ნახეს რო ნაგავი იყო. გაჯავრებულმა კაცმა აიკიდა გულდა და წა-
მოვიდა ისევ იმ გზისკენ. შემოეყარა ისევ ის კაცი.

— შე ოხერო რათ მომატყუილეო.

-- შენ რაღათ შომატყუილეო.— უსაყვედურა მეორემაც.

— მაშ დაეძმობილდეთო. სთქვა ერთმა.

— ძალიან კარგი იქნებოაო, დაუკრა კვერი მეორემ. ისინი დაძ-
მობილდნენ, წავიდნენ და ერთს კაცს დაუდგნენ მოჯამაგირეთ. ამ
კაცსა ჰყავდა ერთი ძროხა. ერთხელ აღამ უბრძანა მოჯამაგირებს,
ერთმა ბოსელი დახვეტოსო, მეორემ ძროხა აძოვოსო. მოჯამაგირეები
დასთანხმდნენ. ერთმა ძროხა წაიყვანა საძოვრად, გააცილა სოფელს
და ძროხამ დაჰკურცხლა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. მისდევს უკან
მოჯამაგირე და უყვირის: „დიდოჰ, დიდოჰ, შე სამგლევე, შენს პატ-
რონს დაურჩი ოხრად“. ძლივს, წვალეებით და ვაი-ვაგლახობით მოი-
ყვანა შინ. მეორე მოჯამაგირემ, რომელიც შინ დარჩა, დახვეტა ბო-
სელი, ნაგავი წაილო და სხვის ბანზედ დაყარა. გამოვიდნენ კაცები,
შეიყვანეს შინ, კარგად გატყიბეს და გამოაგდეს კარზედ. შინ რო
მოვიდა, ამხანაგმა ჰკითხა: როგორ გაატარე ღლევიანდელი ღლეო?
ძალიან კარგათო, უპასუხა მან. შენ როგორ გაატარე ღლევიანდელი
ღლეო? ძალიან კარგათო, უპასუხა მეორემ. მაშ კარგი ხვალ შენ აქ
დარჩიო, მე კი ძროხას ვაძოვებო. ძალიან კარგიო, უპასუხა იმანაც.
მეორე დილით ძროხა მეორემ წაიყვანა საძოვრად. გააცილა სო-
ფელს და ძროხამ დაჰკურცხლა. მისდევს უკან მოჯამაგირე და უყვი-
რის. ბევრი უყვირა, მაგრამ ვერ დააყენა ძროხა. ძლივს ვაი-ვაგ-
ლახ მოიყვანა შინ ძროხა. რომელიც შინ დარჩა, იმან დახვეტა ბო-

სელი, წაიღო და ისევ იმათ ბანში ჩაჰყარა ნეხვი, სადაც პირველმა გამოვიდნენ კაცები, შეიყვანეს შინ, კარგათ გატყიპეს და გამოაგდეს კარზედ. შინ რო მოვიდა, მეორემ უთხრა: ეჰ ძმოსა დამთვრალებარ და დაგძინებია განაო? ისე შენ დაითვერი, როგორც შე მთვრალი ვარო, უპასუხა იმან, რომელიც შინ იყო. არა შე სულელო, რაზე მოაკვლევინე ამ კაცებსო ჩემი თავიო? არა შენ თითონ სულელო, რაზე მომკალი დღეს სირბილითაო, უპასუხა იმან. მაშ მოდი და ძროხა დაეკლათო. მე ზევით ავალ, შენ ხორცი გამოხვიე ტყავში და დამიძახა, ასწიეო; მეც ავწევ და ხორცი ავზიდოთ ზევითო. ძალიან კარგიო, უპასუხა მეორემ. ძროხა დაკლეს. ერთი ზევით ავიდა და დაუხახმ გამოხვიეო. ხორცი კი არ გამოხვია, თითონ გაეხვია და დაუძახა ასწიეო. იმანაც ასწია და ზურგზედ აიკიდა. გაიქცა და დაუძახა, ალას შენ გაეცი პასუხიო. გზაზედ მეცხვარის ძაღლები გამოვარდნენ, ეცნენ, ტყავი გახიეს და კაცი წამოდგა. არა შე ოხერო, რაზედ მომაწყვეტინე წელიო. არა შენ თითონ ოხერო, იქ რო გაგეშვი, კარგი იქნებოდაო? უპასუხა იმან.

ელასა, მელასა,
ძილი და მოსვენება ყველასა.

271.

დახდარინა

იყო ერთი გურული მასხარა. შევიდა უფულოდ დუქანში და მოითხოვა საქმელი. გაძლა და არ მიდის. დახლიდარს უკვირს. ხან სურათებს უცქერის კედელზე, ხან გაზეთს კითხულობს, ხან სხვის თამაშს უცქერის. მედუქნე რომ ფულს სთხოვდა, გურული ჯავრობდა ნუ მაცდენო, კიდევ რომ სთხოვს, გურული ყირამალაზე გადადის, ბუქნას უვლის და პასუხს არავის აძლევს. დაუძახეს ბოლოს პოლიციას, შეუყენეს ოქმი და გადასცეს საქმე სასამართლოში. დაიბარეს გურული და ჰკითხეს: სახელი შენი გურულიო?

— ჩემი სახელი?!

— ჰო შენი სახელი რაა?

— დახდარინა! აგი რავა არ იცი დია!

— გვარი შენი?

— გვარი?

— ჰო გვარი, ჩქარა!

— დარინა!

— დარინა?

— დიად, დარინა!

ეს გიყი ყოფილაო, სთქვა მოსამართლემ და გაუშვა.

272.

საწყალი გლეხის ნიჟვანი

საწყალმა ღარიბმა გლეხმა ნიყეები იპოვნა. თქვა „ამის შეკმით, რას გავხთები, ამას ნეტეს მივართმევ. ის მე დიდად დამაჯილდოვებს“.

წაიღო ნიყეები—ნეტეს მიართვა. ნიყეები გლეხს ჩამოართვეს, შეწვეს საჩქაროდ, ნეტეს მიართვეს. გლეხი კარებს უკან აყუყეს.

როდესაც შემწვარი ნიყეი ბლუდით ნეტეს მიართვეს, საწყალმა გლეხმა წამეიკვირა:

„ვაჰმე, ჩემო ნიყო!...—

ჩემო თავო ბრიყოო!...—

შენ ნეტის წინ იყო [და]

მე კარებს უკან ვიყო!..

ოდეს გნახო, ნიყო,

პირში ულუწ გიყოო!“

ნეტემ ეს სიტყვები გაიგონა. „ეს კაცი მომგვარეთ, ვინ არი ამის მთქმელიო?“.

სწრაფ ნეტესთან მიიყვანეს.

— რა იყო, ეს სიტყვები რომ წაჰოიძახეო?...

— ბატონო, მე ნიყვი კი არ მძულდა! ეს ნიყვი მითემ მოგართვით, თქვენგანით წყალობას მოველოდი. წყალობა კი არა, შიმშილით კარებს უკან მაყუყეს.

ამაზე ნეტე გაუჯავრდა თავის ქვეშამდომებს:

— სირცხვილი რათ მაჭამეთო?

ნეტემ დიდათ დაასაჩქრა და გახარებული გამოუშვა საწყალი ღარიბი გლეხი.

საწყალი გლეხი ამბობდა: „ალაგ თქმა ჯობს უთქმელობას, ალაგ თქმითაც დაწავდება“.

273.

ღეღაბერი და ბერიკაცი

იყო ერთი ღეღაბერი და ბერიკაცი. უთხრა ბერიკაცმა ღეღაბერს: მე ყანაში წავალ და შენ სადილი ჩამომიტანეო. გზაი არ

ვიციო უუთხრა. ლომის კეკალს წვეიყრი გზაზე და იმას გამოყევიო. წვეიდა და წვეიყრა. დედაბერმა რომ გააკეთა, წულო სადილი. უთხრა ბალანას წამყევიო. ბალანამ უთხრა მწყურიაო. ბალანას ვუთხრა ჯერე არ არის წყალი და მერე დაგალევიეფო. მერე დალია წყალი. ჩააგორა მურგი ძაფის და ჩაყვა იმას წყალზე ბალანამ. დალია წყალი და ამევიდა. დედამის უთხრა—შენ წადი და მე მოგიცთი აქანეო. დაინახა ბალანამ წითელი ვაშლი და ქე გევიდა ზეთ. დედაბერმა გამეიარა და ქე ნახა ყაზილარი ხეზე, უთხრა—ჩამომიგდეო. ერთი ჩამოუგდო, მორე, მესამე, მეოთხე და რომ აღარ ეყო დედაბერს გეიქცა ბიჭი და გევიდა სახლის თავზე. მევიდა დედაბერი და კითხა რაფერ აი მაქანეო—რაფერ და სფიჩქის ლერი სფიჩქის ლერზე, სფიჩქის ლერი სფიჩქის ლერზე, დაჯკარ ფეხი და ევედი ზეთო. ქნა ისე დედაბერმა და ქე დეინტრა. კილომ უთხრა—რაით გაი მაგაზეო. რეით და ნემსი ნემსზე, ნემსი ნემსზე, დაჯკარ ფეხი და ქე ევედი ზეთო. ქნა ასე დედაბერმა და ქე დეინტრა. კილო კითხა და უთხრა ბიჭმა—კიბე კიბეზე, კიბე კიბეზე, დაჯკარ ფეხი და ევედი ზეთო. მერე თქუა, რაით გაი მაგაზეო. სადგისი სადგისზე, სადგისი სადგისზე დაჯკარ ფეხი და ევედი ზეთო. ქნა დედაბერმა ასე და ქე დეინტრა და ზეც ქე ჩამიეცუა და მოკტა იგი. ბიჭმა დამარხა იი დედაბერი. რადგან კას არ უპირობდა იცოდა და იმიზა მენილა. რაცხა უნელი დედაბერი იყო თუ არა არ მოკლიდა ისე. შეირთო მერე ქალი და ცხოვრობდა ტკპილათ.

274.

დედაბერი და ხბო

იყო დე არა იყო რა, იყო ერთი დედაბერი. ჰყავდა ერთი ძროხა და ერთი ხბო. ერთხელ ძროხა რომ შოწველა, ხბო გარედ გამოუშვა და თვითონაც გამოჰყვა. იმ დროს ჯორიანმა კაცმა ჩამოიარა, ხბოს თვალი უქცია და წაიყვანა, მაგრამ ხელით კი არა, ჯორს გააყოლა, ვითომც შვილი ყოფილიყოს. დედაბერი გამოუდგა, ხბო რად მიგყავს ჩემიო. კაცმა უთხრა: რას ლაპარაკობ, შენი რად იქნება ჯორის ნაშობია. თუ აგრე არაა, წადი და მიჩივლეო. საწყალი დედაბერი ადგა და სოფლის მამასახლისს შესჩივლა. სოფლის მამასახლისი თურმე ბრმა იყო. ის იყო ჯორის პატრონიც მოვიდა. ხბო ფეხებში უხტოდა ჯორსა და ძუძუს ულოკანვდა. მეჯორემ ბრმას უთხრა: ჩემი საქმისა რა გაარიგეო.—დამაცა, აგერ ერთი შემომტი-

რის, თევზებმა ოთხი ქცევა შემიქამესო. კაცმა უთხრა: თევზებისგან
ყანის ქამა სად გაგონილაო?

ან ის სადღა გაგონილა, რომ ჯორი ხბოს შობავდესო.
— მიუგო მამასახლისმა.

275.

ან ჰო, ან არა!

იყო ერთი დიაკონი. მას ყავდა მოსამსახურე ბიჭი, რომელიც
ქირივით ეჯავრებოდა და უნდოდა როგორმე თავიდან მოეშორებია.
ბევრი რამ უღონა, მარა ვერაფერი მუუხერხა. დიაკონს ყავდა ერთი
გულთმისანი ვირი, რომელსაც დააჯალა ბიჭის მოკვლა. აკიდა ვირს
ხორბალი დასაფქოვათ და გაატანა ბიჭს წისქვილზე. ბიჭი ძალიან
ემშაკი და მოხერხებული იყო. როცა სახში ბრუნდებოდნენ, ვირი
ჩაწვა ტეირთით ტლაპოში. იფიქრა, ბიჭი მოვა ასაყენებლათ, ვკრავ
წისს და მოვკლავო. ბიჭი მიხვდა, რაშიაც იყო საქმე, წამოწვა მხარ-
თეძოზე და ძოყვა ნელი ხმით ლიღინს:

ეეჰ ჩვენი ბატონი ცოლს შეირთავს,

ან შეირთავს, ან არა!

იმათ შეილი გაუჩნდებათ,

გაუჩნდებათ ან არა!

ინას მქედლობას ასწავლის,

ან ასწავლის, ან არა!

მაშინ წამოვალთ მე და ჩემი ბატონი.

ან წამოვალთ, ან არა!

მივალთ და ავაყენებთ ამ ვირს,

ავაყენებთ ან არა!"

ვირმა გაიგონა ეს სიტყვები და იფიქრა, ვინ იცის როდის
შეირთავს ბატონი ცოლს, როდის შეილი გაუჩნდება და ისიც ვინ
იცის ამაყენებენ თუ არაო და სანამღი უნდა ვეგლო ამ ტლაპოშიო
და წამოდგა ზედ. ბიჭი უფნებლად დაბრუნდა დიაკონთან. დიაკონი
რაღას იზაძდა და ბიჭი ცხოვრობდა კარვად.

276.

ცმარა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო
ერთი ცოლი და ქმარი, ერთი ღვთის საწყლები, უქონლები, ღარი-

ბები, მაგრამ ფეტივიტო მრავალი შვილები კი ჰყვანდათ. იმათ შვილები სუ ცერის ოდნები ძლივ იყვნენ. ერთხელ ქმარი სამკალს იყო, მუშები ჰყვანდა. ცოლი კი პურს აცხობდა. შემოეხვივნენ შვილები დედას და დაუწყეს ყვირილი და ძახილი: დედავ, კვერი დაგვიკარ, კვერიო. დედამ იფიქრა: ამათ რომ ყველას თითო კვერი ჩაუკრა, პურად რალა გამოვაცხოვო, მოუსო ცოცხი და ეს ამოდენა შვილებს თონეში კი უკრა თავი... მარტო ერთი ცერა ცოცხში შემძვრალიყო და გადარჩა სიკვდილს. ტირის დედა: აქამდი ბევრი შვილები მყავდა, იმასა ვჩიოდი. ეხლა ღმერთი გამიწყრა და ერთიც აღარა მყავი; ვისლა უნდა წავალებინო პური მუშებისთვისაო. გაიგონა ცოცხნი მჯღომმა ცერამ დედის ტირილი, გამოყო თავი და დაუძახა დედას: დედავ, მე კიდევ გადავრჩი, მუშებს სადილს მე წაუღებ, თუ კვერიას ჩამიკრავო. გამოდი, შვილო, კვერიას როგორ არ ჩაგიკრავ, ოლონდ შენა მყვანდე ცოცხალი; უთხრა დედამ ცერას. დედამ კვერია დაუკრა, დაკლა ქათამიც და მოუმზადა სადილი. ცერას სული წაუვიდა ქათმისათვის, გადაჰყლაპა საჩქაროდ, თვითონ კუჭში შეძვრა და დაინალა. ეძება კიდევ დედა, ჩივის და ტირის: მე ქათამი არ მაჯავრებს, ნეტავი შვილი არ დამკარგვიყოვო. დედის სიტყვები რომ გაიგონა, ცერას გული მოეცა. აქა ვარ დედი, აქაო! დაუყვირა დედას კუჭიდან: გამოძვრა ცერა, აუკიდა ჯორს დედამ მუშების, სადილი და გაისტუმრა. ცერა ჯორზე ვერ შეჯდა, ყურში ჩაუძვრა და მოიკალათა. მიგოგავს ჯორი გზაზედ. ცერა ჯორის ყურში თბილად ია ზის და იმღერის... გზაზედ ერთი კაცი მოდის, სამი ცხვარი მოჰყავს; დაინახავს აკილებულ ჯორს, მოეწონება და იტყვის: მოდი ამ ჯორს წავიყვან, ბარგს კი მოვიხმარებ, ვინ გაიგებსო. გაიგონა ცერამ მგზავრის სიტყვები და დაუყვირა: რას ამბობ, კაცო, ჩემი კვერია ხახაბი, ჩემი ქათამი ხახაბი, შენც ახახაბიო (ე. ი. ჩაველაპეო); ამოხტა ჯორის ყურიდამ და დაუდგა გზაზედ. ცერავ, გზიდან ჩამოგვეცალე, დაუძახა მგზავრმა, ცხოვრებმა ფეხი არ ჩაგკრან და მოგკლანო. გაულო ხახა ცერამ და გადაყლაპა მგზავრი და იმის ცხვრებიც, თვითონ ისევ ჯორის ყურში შეძვრა, მიდის და მიიმღერის. წინ ერთი ცხენიანი კაცი მოდის, სიმღერა ესმის, იხედება ირგვლივ, არაეინა სჩანს მომღერალი, ეშმაკი ეგონა. ბოლოს ვირი დაინახა, მოეწონა და წაყვანა მოინდომა. ამოხტა ვირის ყურიდამ ცერა და დაუყვირა მგზავრს: ვირს თავი დაანებე, თორემ ჩემი კვერი ხახაბი, ქათამი ხახაბი, კაცი და ცხვრები ახახაბი, შენც ახახაბიო. რას ამბობ, ცერავ, უთხრა მგზავრმა, გზიდან ჩამოგვეცალე, ცხენმა წიხლი არ ჩამოგკრასო. გაჯავრდა ცერა, გაულო ხახა და

გადაყლაპა ცხენიანი კაცი. მიდის ცერა და მიიმღერის. ერთი მეძროხე შეჰხვდა, ნახა ვირი და საუქვა: ვირს მოეხდი, სადილს მივირთმევ და წავალო. გაიგონა ცერამ, სისხლი აემღვრა და შეუტია მეძროხეს: გხილამ ჩამოაქეცალე, თორემ შენც იემ კვერთხსთან, ქათამთან, ცხვრებთან და ცხენიან კაცთან ჩაგალაგებო. ცერავ, ძროხებს გზა უყავ, ფეხი არ დაგადგანო, დაუქახა მეძროხემ. მეძროხევ, ქვეინად მოიქეცი, დაუძახა ცერამ, თორემ ინანებო. გაულო იმასაც ხახა და ჩააბრჩანა თავის ძროხებიანა ცხვრებთან... წამოვიდა ცერა და მიუტანა პური მამას. მამამ სახლში გაგზავნა: დედას საქმე ექნებო. ცერამ დანა მოჰპარა მამას და წამოვიდა. სახლში ერთი ხარი ჰყვანდა, ერთი ქვევრი ღვინო ჰქონდა, დედას უთხრა: მამამ დაიბარა, ეგ ხარიც დაკალით და მაგ ქვევრსაც აჰხადეთო. დაკლეს ხარი, მოჰხადეს ქვევრსაც. წაილო ცერამ მამასთან ერთი პუგზური, მიჰცა მუშებს და უთხრა: ვინც უფრო ბევრს დააწვავთ, იმას უფრო კარგ კერძს გაგიკეთებთო. მიუკიდეს მღვებმა ყანას ცეცხლი და სულ ერთიანად გადაბუგეს. საღამოზედ დაბრუნდნენ, მშვენიერი ვახშამი დაჰხვდათ. ერთს მუშას, რომელსაც უფრო ბევრი ყანა დაეწვა ცუდი კერძი ერგო და დაუძახა: აკი იმას აპობდით, ვინც უფრო ბევრს დააწვავს, იმას კარგს კერძ მივცემთო. ეს სიტყვები ცერას დედამ გაიგონა; ელდა ეცა: ყანა ხო არ დააწვითო, ჰკითხა ქმარსა. ეს ხორცი საით იშოვნეო? ჰკითხა ქმარმა ცოლს. გაიგეს თუ არა ცერას ეწმაკობა, მიჰღვნენ და მიბერტყეს, სცემეს და გამოაგდეს. წავიდა ცერა გზას. ბევრი იარა, ცოტა იარა, ნახა ერთი ცხვარი დაკლა და შექამა; ერთი ნაჭერი ღა დარჩა. შიგ შეძვრა და დაიმალა. მოვიდა მგელი, გადაყლაპა ხორცი და წავიდა. დადის მგელი, მიეპარება ცხვრებს, უნდა მოტაცება, მაგრამ ცერა დაიწყებს მუცლიდამ ყვირილს: მოვიდათ მგელი, მოვიდათ მგელიო! და გააქცევენ მგელს. დარბის მგელი შიმშილისგან გაცოფებული! ხან სად ეხლებო კლდეს და ხან სად. მგელი ხან აბოყრნებდა, ხან რასა ჰშვრებოდა და ხან რას, უნდოდა აბოგედო და გავეო რა ჩაყლაპა. ბოლოს მგელი შიმშილით მოკვდა. ცერა კი ანიძვრა და გაუდგა თავის გზას. ცერა გზაზედ ერთ ქურდს შეჰხვდა:—გამარჯვება!—გაგიმარჯოს!

— ვინა ხარ? სად მიჰდინარ? ჰკითხავს ქურდს ცერა.

— ქურდი ვარ, საპარავად მივიღივარ! უპასუხებს ქურდი.

— მეც დიდი ქურდი ვარ, ეტყვის ცერა, გამიამბანავდი, მე მოვიპარავ, ვერავინა მნახავს და შენ ზიდღე მარტო, ჭერი ვნახოთ.

— ძალიან კარგიო, უთხრა ქურდმა და წავიდნენ საქურდავად: შეიპარნენ ერთ სახლში, გამოზიდეს ოასაც მოერეოდნენ. მოიკიდა ქურდმა და მოძუდა. ცერა კი ღე ყორეში შეძვრა და იწყო ყვირილი. ქურდმა სასლი გაჭურდა, ჩქარა დაიქირეთო. გამოეკიდნ ქურდს და მოკლეს. ამნაირათ ოთხი ქუდი მოაგვლევიანა ცერამ. ბოლოს ერთი ხარი და ფური იშოვა და დაბრუნდა თავის დედ-მამასთან.

ეხლაც ტკბილად სცხოვრობს და ეს თავის ამბავიც იმას გამოეგზავნა ჩემთვის.

ქირი იქ დავაგდე,
 ლხინი აქ მოვიტანე.
 ქატო იქ დავაგდე,
 ყუკვილი აქ მოვიტანე.

277.

წიგნარი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ცოლ-ქმარი; ჰყავდათ ერთი ვაჟი. კაცი მალე დაქვრივდა, ვაჟიც დაობლდა, დარჩა პატარა. სახლისა და შვილის მოსაგლეჯად ვაჟის მამამ მეორე ცოლი შეირთო. ვაჟი დედინაცვალის ხელში ჩა-ვარდა. უღიერი დედინაცვალი ჰყავდა. მუდამ სცემდა პატარა ვაჟს და აყენებდა ცეცხლის კალოში. დედინაცვალსაც მეგობარი ჰყავდა. ქმარმა კი არ იცოდა; ვაჟმა იცოდა დედინაცვალსაც გულთ იმი-ტომ უნდოდა ვაჟის მოშორება. კაცს ერთი ხარი ჰყავდა—წიქარა. ვაჟსა და წიქარას ერთმანეთი საჭისლად უყვარდათ. მუდამ დადიო-და ვაჟი წიქარასთან, ამოებდა იმასაც და თვითონაც ერთობოდა. დედინაცვალი კი დროს ელოდა, რომ ვაჟი თავიდან ოოგორმე მოე-შორებინა. ერთხელ მოიხვდა თავი და დაიწყო ტყუილად კვნივა და გმინვა. ქმარმა ჰკითხა:—რა გიშველისო? ცოლმა უთხრა: „შენი შვილის გულ-ღვიძლის მეტი ვერაფერი მიშველისო“. მამა ცოტა შე-წუხდა ამ სიტყვის გაგონებაზე, მაგრამ რო მეტი ღონეც არა ჰქონ-და! ირჩია ცოლი შვილსა და დაკვლა დაუპირა. მეორე დილაზედ ვაჟი პებდავს, რომ მამა დანებსა ჰლესავს.

-- რად გინდა მამავ, ეგ დანა, რომ ჰლესავო, კითხა ვაჟმა.

— დაიყვანე შვილო,—ეტყვის მამა ვაჟს, წიქარას წყალი დაა-ლევინე, უნდა დავკლათ. წაიყვანა ვაჟმა წიქარა წყალზედ, ასმევს წყალს და ტირის, ტირის რომ იმის ცრემლები წყალს ეწევიან.

„რა ვატირებს, ჩემო მეგობარო!“ ჰკითხავს წიქარა. „რაზედ ითხრი თვალებს, შემოგველოს შენი წიქარა თავს!“

დაკვლას გიპირებენ, დაკვლას! ეტყვის ვაჟი. დაღონებული
წიქარა ამოიდგამს ენას და ეტყვის ვაჟს: —მე კი არა მკვლენ, შენ
გიპირობენ ყელის გამოჭრასათ. წადი, წამოიღე ერთი საღესაფი,
ერთი სავარცხელი და ერთი ბოთლი წყალი, შემჯექ და წავიდეთო“.

წავა ვაჟი, მოიტანს ყველაფერს, რაც წიქარამ უთხრა და მოვა.
შეჯდება ვაჟი წიქარაზედ და გაჰქუსლავს. გაიგო ვაჟის მამამ შეი-
ლის წასვლა, შეჯდა ერთს წყეულს ღორზედ და გამოუდგა. მირბის
წიქარა, მიაბრუნს პატარა მეგობარს, მისდევს მამაც ღორზე მჯდომი
დაღესილი დანებით; მისდევს და ის არის უნდა დაეწიოს. წიქარამ
უთხრა ვაჟს:

— რაღას ელი მეგობარო, სიკვდილი თვალწინ გვადგა, გადა-
ღვარე წყლიანი მინაო. გადააქცევს წყალს ვაჟი, გაჩნდება საშინელი
ზღვა. ჰღელავს შავად ზღვა, გაბრაზებულია, ტალღები სიკვდილს
უქაღიან ყველას, მაგრამ ღორი არ უღრკება ზვირთების ცემას და
მისცურავს. სანამ ღორი ზღვას გადაცურდება, წიქარა და იმისი
მეგობარი კარგა გზას გაივლიან... ბოლოს გამოვა ღორიც. წიქარა
ეტყვის ვაჟს: თავი მიიბრუნე, აბა მოდის თუ არაო? მიიბრუნებს
ვაჟი თავს; შორს ბუზივით რაღაც მორბის და მოფრინავს. წიქარას
ეტყვის:—ბუზის ტოლად 'კი სჩანს რაღაცა.—ეგ ღორია და ზედ მა-
მაშენი ზისო, ეტყვის წიქარა და გაეშურება; წავიდეთ. მეგობარო,
გავექცეთ უსამართლობას, როდესაც იმის წინააღმდეგი ფარი არა
გვაქვს! მირბის წიქარა, მიაქროლებს პატარა ვაჟს; მოზობის ღორი
და მოაგელებს ვაჟის მამა დაათორებულს დანებს... ცოტა კიდევ და
ღორი დაეწევა წიქარას!!!—გადააგდე სავარცხელიო! შესძახა ვაჟს
წიქარამ. გადააგდო ვაჟმა სავარცხელი, უცებ ისეთი წვრილი და
ბშირი ტყე აიყარა, რომ შიგ თავი კუღს ვერ მოიბრუნებდა. სკრა
კბილით ღორმა, სკრა და გავიდა. წიქარა და ვაჟი კი მორბიან,
კარგა გზა აქვო გავლილი, მოიხედავს ვაჟი, შორს ბუზივით რაღაც
მოჩანს.—ღორი მოგვედევსო, ეტყვის წიქარა... ცოტა კიდევ, ცოტა
კიდევ და ღორი წიქარას დაეწია, მაგრამ გადააგდებს, ვაჟი საღე-
სავს და აიბართება საშინელი თვალ-აუწყვედნელი კლდე წიქარასა და:
ღორს შუა. სკრის ღორი, სკრის რაც ძალი და ღონე აქვს, აკეთებს
კლდეში საკიბურებს და აღის ზევით. შუა ადგილში რომ მივიდა
ღორი, ჩააჭრა კლდის ფხას ფეხი და თავის მხედრით უფსკრულში
კი ჩაინთქა... წაიღო ჩემიცა და თქვენიც კირი. ვაჟს და წიქარას
ხსნის იმედი მოეცათ... იარეს და გავიდნენ სამშვიდობოს. წიქარამ
გაიყვანა ვაჟი ერთ ტრიალს მინდორზედ, იქ ერთი ალვის ხე იდგა,
რო იმის წვერი ცასა ჰხვედა. შესვა ზედ, მისცა ორი სალამური,

ერთი საქირო, ერთი სალხინო და უთხრა: „მე წავალ, მარტოკავიელი მინდვრებზედ, ვძოვ, დავიროვნ თავს, შენ აქ იჯექ; გაგრირდეს, დაუქარ საქირო სალამური და მე მაშინვე აქ დავიბადებ; გილხინდეს, უქარ სალხინო სალამური. საქმელსაც ის მოგიტანს და სასშელსაც“. გამოეთხოვა და წავიდა წიქარა. ვაჟი იჯდა ალვის ხეზედ და უქრავდა სალხინო სალამურს... გაიგონა ერთმა მეცხვარემ სალამურის ხმა, საშინლად მოეწონა და გადაწყვიტა იპისი შოვნა. მიჰყვა სალამურის ხმას, მივიდა ალვის ხესთან და ნახა, რომ ბიჭი სალხინო სალამურს უქრავს, პეპელები კი მოგროვილან იმასთან და სალამურის ხმაზედ თამაშობენ და ირევიან ერთმანეთში. ნეცხვარეს შურით თვალები გადმოუბრუნ და; ვაჟს დაუძახა: „ჩამოდი ძირს, სალამური მაჩვენე, რისაა გაკეთებულიო“. მაგრამ ვაჟი არ ჩამოვიდა. წიქარისგან ჰქონდა ნათქვამი, რომ ალვის ხიდან არ ჩამოხვიდეო. ვაჟმა არ გაუგონა მეცხვარეს და არ ჩავიდა. ადგება შურიანი მეცხვარე და წავა ხელმწიფეთთან. ხელმწიფეს მოახსენა: ამა და ამ ადგილას ერთი ვაჟი ზის ალვის ხეზედ და ისე უქრავს სალამურს, რომ იმის დაკვრით მთელი ქვეყანა ხარობს. ხელმწიფემ მაშინვე დაიბარა თავის ნაზირვეზირი და უთხრა, რომ თქვენ უნდა მოიყვანოთ ის ვაჟი და ან უნდა კაცი იშოვოთ იმის მომყვანიო. ნაზირ-ვეზირმა ხელმწიფესთან ერთი ბებერი მიიყვანეს. ბებერმა უთხრა, მე მოვიყვან იმ ვაჟსაო. ადგება ბებერი, წაიყვანს ერთ თხას, ერთს სადგისს წაიღებს და მივა ალვის ხის ძირში. ვაჟი ზის ალვის ხეზედ და უქრავს სალამურს; ბებერი ალვის ხის ძირში დგა. ჰჩხვლეტავს სადგისით თხას და აჩხავლებს; ვაჟი დაინახავს, რომ ბებერი თხას აჩხავლებს და დაუძახებს: „რასა ჰშვრები დედილო, რად აჩხავლებ მაგ თხასაო“. — დაკვლა მინდა და ვერ დამიკვლია, იმდენი სიკეთე მიყავი, ჩამოდი, დამიკალიო. ვაჟი რას მოიფიქრებდა, თუ ბებერს ლალატი ეღვა გულში. ჩავიდა ვაჟი ძირს. ბებერმა დაათრო და დააძინა. წაიყვანეს ხელმწიფეს კაცებმა და ჩასვეს ცხრაკლიტულში. ვაჟს გამოეღვიძა, ნახა თავის თავი დატყვევებული და დალონდა. დაიწყა ტირილი, /ინატრა თავისი სალამურები, მაგრამ იმის სალამურები ალვის ხეზედ იყვნენ ოხრად დარჩენილები. ვაჟი ფანჯარასთან იჯდა და გასცქეროდა ცასა. ცხრაკლიტულს ყვავმა გაუარა გვერდზე. დაინახა ვაჟმა და შესძახა: „ყვავო, ყვავო! სად მიჰფრინავ, სად მიგჩქარებ? წადი შენი შვილების მზეს, მინდოროთ რომ ალვის ხე დგა, იქ ჩემი სალამურებია და აქ მომიტანე!“ — მე რომ ლეშა ვკამდი და შენ კი ქვებს მესროდი, აღარ გახსოვს? უპასუხა ყვავმა და გაუდგა

გზას. გააყოლა თვალი ვაჟმა და ჩამოყარა ცრემლები. გაუარა ყო-
რანმა. „ყორანო, ყორანო! წაღი, შენის შეილები მზეს. ალვის ხეზე
სალამურები დამრჩა და აქ მომიტანე!“ გასძახა ვაჟმა ახლა ყორანს.
„მე რო წიქარას ლეში გთხოვე და არ მომეცი, სალაჟურს რად მოგიტა-
ნო! ჩამოსძ ხა ყორანმა. გასცილდა და თავის სიშავით უფრო გაა-
შავა ისეც შავი და მწარე დღე პატარა ტყვისა. ვაღუარა არწივმა.
„არწიო, არწიო, მხარ კვერიანო!“ გასძახა ვაჟმა, „ფრინველთ მეღუ
ხარ, სადაც მაღალი კლდე არის და ხე, შენი საბუღარია, მაშ წაღი
და მინდორთ რო ალვის ხე დვა, იქ სალამურები დამრჩა და მომი-
ტანე!“ — „მე ჩემი საქმე მაქვს. წენგან კრავი როდის მიძიღია სა-
ჩუქრად, რო მე სალამური მოგიტან-1“. უპასუხა არწივმა და მხრე-
ბის შხლარტუნით გასცდა.

გაღმოდრინა ჩიტმა. „ჩიტო, ჩიტო, შენის ბარტყების გაზრ-
დას, მინდორთ სალამურები დამრჩა და მომიტანე!“.

— „შენ რო მახეს გვიგებდი და ბუდეს გვიშლიდი. მე ვერ მო-
გიტან სხვას სთხოვე“ უთხრა ჩიტმა და გასცდა ჟივილ-ხივილით.
გააყოლა იმასაც თვალები ვაჟმა და ჩამოსცივიდა ცრემლები. ბო-
ლოს მერცხალი დაინახა. ვაჟმა შესტირა:

„საით მიჰფრინავ მერცხალო,
საით ვენ მიეშურები?
მინდორთ რო ალვის ხე ხარობს,
ციენი წყარონიც დიანო;
პეპელებიც იქა სხდებიან,
ტურფად კრელს მხრებსა შლიანო;
შაიყრებიან ჩიტებიც,
ყვავილნიც შეკრებებიანო,
წიქარაც იმათან მოდის,
იქ დაინახავ ღვთიანო!
სალამურებიც იქ არის,
უჩემოდ დაღპებიანო...
გაფრინდი, აქ მომიტანე,
ჩემო ლამაზო მხრიანო!“

გაფრინდა მერცხალი და მოუტანა სალამურები. დაუკრა სა-
ჭირო სალამური ვაჟმა, დაუკრა და აატირა. წიქარამ გაიგონა სა-
ლამურის ხმა და მაშინვე გაეშურა ვაჟისკენ. გააფთრებული ეცა
რქებით ცხრა კლიტულს და დაუწყო მტვრევა. რვა კარი გატეხა,
მაგრამ მეცხრე კარი გასატეხი ჰქონდა და მოსტყდა ერთი რქა.

დალონდა წიქარა. ისე თავის რქას არა სჩიოდა, როგორც თავის მეგობრის ტყვეობას. ღმერთს რქა შესთხოვა. ერთი თავგი გამოძვრა და წიქარას უთხრა: „რას მომცემ, რქა მოგაბაო? შენ ლეშს ხომ მაკმეევო?“—გაკმეევო, უთხრა წიქარამ. თავგმა გაუშთელა რქა. ეცა წიქარა და შელენწა მეცხრე კარიც. შევიდა ვაჟთან, შეისვა ზურგზედ მეგობარი და გააშურა ალვის ხისაკენ. შესვა წიქარამ ვაჟი ალვის ხეზედ და თვითონ კი ისევ მინდორში წავიდა.

არის ვაჟი ალვის ხეზედ, უკრავს სალხინო სალამურს და ერთობა. ბოლოს მოაგონდება წიქარა, მოუნდება იმისი ნახვა, დაუკრავს საკირო სალამურს, მაგრამ არსად არის წიქარა. ელის ვაჟი წიქარას, მაგრამ არსადა ჩანს წიქარა. დალონდა ვაჟი. ჩამოვიდა ძირს. დაუკრა საკირო სალამური, დაუკრა და აატირა მთელი ქვეყანა. იმის ცოდვით ბალახნი ტიროდენ; პეპლებიც აღარა ფრინავდენ და ცრემლსა ჰღვრიდენ. ხეებიც აღარ ინძრეოდენ. უკრავდა სალამურს და შავი ყორანი კი ხალეშარით საითლაც მიეშურებოდა. წავიდა ვაჟი, ეძება წიქარა და ბოლოს მინდორში მკვდარი იპოვა. შავს ყორანს და უგვანო სვაფყაჯირებს თვალები დაეთხარათ. დასტირა ვაჟმა წიქარას, დასტირა ცხარედ. აღარც სალხინო და აღარც საკირო სალამური არ დაუკრავ. შეძვრა წიქარას გვამში და მოკვდა იმასთან.

კირო იქა,
ლხინი აქა,
ქატო იქა,
ფქვილი აქა.
ელასა, მელასა,
კიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსაც და გამგონელსაც
ღმერთი გვწყალობდეს ყველასა.

27ბ.

თვალთმაქცი ოსტატი და შაგირდი

იყო ერთი ღარიბი გლეხი და ერთი ვაჟიშვილი ჰყავდა. წაიყვანა გასაზრდელათ შვილი და ერთს კუდიანს (თვალთმაქცს). კაცს მიაბარა. ოსტატმა უთხრა გლეხს, ჩემს ხელობას შევასწავლი, მოდი მერე და თუ შენი შვილი ველარ იცნო, ჩემი იყოსო. ერთი თვის განმავლობაში, ოსტატს გადააქარბა შეგირდმა, იმდენი ისწავლა: წამოვიდა ერთხელ მამა შვილის სანახავად. შვილი შეხვდა გზაში და

ვერ იცნო. შვილი თვითონ გამოემცნაურა და დაარიგა მამა ასე: ჩვენ რო სადალათ დავსხდებით, მე ლვინოს დაგისხამთ და რომ გკითხოს ოსტატმა, რომელია შენი შვილიო, შენ მიუგე, ლვინოს რომ ასხამს, ის არისთქო. გლახიცი ასე მოიქცა და წამოიყვანა თავისი შვილი. გზაში შვილი ფეხმორტეხილ ჩიკვად გადაიქცა. მამამ სდია, სდია, ვერ დაიქირა. ჩიკვმა დაუარა თავი და უკან დასკუბდა. მორხელა უკან და შვილი შერჩა ხელში. მამამ უთხრა, შვილო, უკან რომ არ ჩამორჩენილიყავი და არ დაგებრკოლებიე, იმ ჩიკვს დავიქერდიო. შვილმა მიუგო, ის ჩიკვი მე ვიყავიო. ახლა ფეხმორტეხილ კურდღლად გადაიქცა ვაჟი. გამოგვიდა მამა, სდია, სდია, ვერ დაიქირა. მოიხედა უკან და შვილი დაინახა ჩამორჩენილი. საყვედურით აავსო, შვილო, შენ მომყოლოდი; იმ კურდღელს არგაუშვებდიო. ვაჟმა უთხრა ის კურდღელიც მე ვიყავიო. მესამეთ შვილი ჯოხათ იქცა, შეიჯინა მამა, სახლში მიიყვანა და ისევ ბავშვათვე იქცა.

ცხოვრობდნენ ძლიერ ღარიბათ. ერთხელ შვილმა უჩრია, მე ჯორათ გადავიქცევი, შენ წამიყვანე და გამყიდე, მხოლოდ ჩემს ოსტატს არ მიმყიდო. იქცა ჯორათ, წამიყვანა გლახმა და ხილთან ოსტატს შეხვდა. შეევაქრა ოსტატი, მაგრამ გლახმა უარი უთხრა. ბოლოს სამას თუმნამდე ასწია ფასი, შეაცდინა გლახი და იყიდა ჯორი. ჯორი მიიყვანა ოსტატმა სახლში, დააბა თავლაში და ცოლ-შვილს უთხრა, მე სხვაგან მივდივარ, არა და არა ჯორი კარში არ გამოიყვანოთო. წყალი თუ მოუნდეს, შიგ თავლაში ასვითო. მივიდნენ შვილები მეორე დღეს ჯორთან და შეკუნტრუშდა ჯორი. შვილებმა სთქვეს გავლა უნდა და მოდი წყალზე წაიყვანოთო. წამიყვანეს. მიუახლოვდა თუ არა ჯორი მდინარეს, იქცა თევზად და მიიმალა წყალში. მოვიდა მამა და იკითხა ჯორი. როცა გაიგო საქმე, იქცა ბადეთ და დაიქირა თევზი. თევზი თავად იქცა და გაიქცა; იქცა ოსტატი კატად და გამოეყიდა თავგს. თავგმა იმდენი ირბინა, რომ მხეთუნახავის კალთაში ჩახტა და ვაშლად იქცა. ოსტატი იქცა მთხოვლად, მივიდა მხეთუნახავთან და სთხოვა ვაშლი. ქალმა ვაშლი გადმოუგდო, მაგრამ ვაშლი ახლა ერთ ფუთ ფერვად იქცა. უცებ გამზრდელი იქცა წიწილებიან კრუხათ, დაესიენ მარცვლებს და აკენკეს, ერთი მარცვალი კერში შეხტა და ნემსათ შეერქო კერს. გამზრდელი ძაფათ იქცა და ნემსში გაეყარა. ამასაც ეს უნდოდა, ჩახტა ნემსი ცეცხლში, დასწვა ძაფი, იქცა ისევ ბავშვათ და მამასთან გაიქცა.

ოძროს ბატი.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი მეფე. წიფეს ყავდა ერთი ქალიშვილი. ეს ქალიშვილი არასოდეს არ იცინოდა. მაგრამ იმისთანა ლამაზი იყო, რომ მის ხელს თხოულობდნენ არა ერთი და ორი ტახტის მემკვიდრეები. მეფემ უბრძანა თავის ვეზირებს, რომ მათ გამოეცხადებინათ ყველა ადგილებში თავისი სამეფოსი, რომ მეფე მიათხოვს თავის ქალიშვილს და თავისი სიკვდილის შემდეგ დაუტოვებს თავისი სამეფოს იმას, ვინც გააცინებს მეფის ქალიშვილს. ვეზირებმა გამოაცხადეს მეფის ბრძანება ყველა ადგილებში.

*

ერთი ახალგაზრდა კაცი, ძალიან ღარიბი, სახელად ევგენი, მიდიოდა დიდ გზაზე. მას მიჰქონდა პატარა ქურქელში საკმელები და პატარა ლიტრაში—წყალი. ევგენი მივიდა ტყესთან, დაჯდა ერთი დიდი ხის ძირს და გაშალა სუფრა. ამ დროს მოვიდა პატარა კურდღელისდონე კაცი. ეს კაცი იყო „კინკე“. „კინკემ“ მოუჯდა სუფრას და ევგენს წვრილი ხმით უთხრა: „ევგენი ძალიან მშია! ერთი, თუ შეიძლებოდეს მაჭამე რამე!“ — „ბატონი ბრძანდებით!“ — უთხრა ევგენმა და დაუწყო დათვალიერება ამ უცნაურ სტუმარს. დაიწყო თუ არა „კინკემ“ ჭამა, ღარიბი საკმელები ძვირფასი საქმელებად გადაიქცა. ლობიო გადაიქცა წვენად და ქათმის ხორცად, ბატკნის და ღორის ხორცად, ხარის და იხვის ხორცად. ცივი მქალი გადაიქცა ცივ ღომად. უბრალო პური—ცხელი ხაჭაპურად. საქმელების ქურქელი—ოქროს ბატად და ეს ბატი შუა სუფრაში გაჩნდა. წყალი გადაიქცა ძვირფასი ღვინოდ, იმისთანა ღვინოდ, რომელსაც სვამს მარტო მეფე. ევგენს გაუკვირდა ეს საოცარი საქმე და გაკვირებებისაგან პირი დააბრჩინა თვალები ხარბად უყურებდნენ საქმელებს, ხელები თვითონ სტაცავდნენ საქმელ-სასმელს და პირს აძლევდნენ, და პირი კი—მუცელს. გაძლა ევგენი. დარჩა მარტო ოქროს ბატი. „წადი, წაიღე ეს ოქროს ბატი და მიუტანე მეფეს საჩუქრათ“, უთხრა „კინკემ“ ევგენს. მერე მისცა ევგენს ფული და დაუმატა: „აი ესეც წაიღე. ეგება დაგპირდეს“. „კინკემ“ წავიდა და ევგენმაც გაუდგა გზას სატახტო ქალაქისკენ.

ევგენი მოვიდა სატახტო ქალაქში. შევიდა ერთი დუქანში. დასდო ოქროს ბატი სტოლზე და მოითხოვა ვახშამი. დილას ადგა. ისაუბმა. დუქნის პატრონის ოთხმა ქალიშვილმა დაინახეს ოქროს ბატი. უფროსი მივიდა ბატთან და უნდოდა ერთი ლერი ფრთის ამოძრობა, მაგრამ ვერ ამოაძრო და თვითონაც მიეწეპა. სხვა სამი დანები ზივიდენ უფროსს დასთან და ერთმანეთს მიეწეპენ. ევგენი მოვიდა ოქროს ბატთან, მოკიდა ხელი, გამოვიდა ქუჩაზე და წავიდა მეფის პალატასკენ. მელუქნეს ქალიშვილებს ყურადღება არ მიაქცია. მელუქნეს ქალიშვილებს უნდოდათ რომ არ წასულიყვნენ, მაგრამ როცა ხელი ეტკინენ, გაპყვნენ ევგენს. გზაზე ნაცნობი მღვდელი დაინახეს. მღვდელმა მიიჩინა ქალებთან, სტაცა ხელი უმცროსს, რომელიც იყო სულყველაზედ უკან და უთხრა ქალებს: „განა არა გრცხვენინათ?!... დაბრუნდით ჩქარა უკან სახლში. მღვდელი მიეწეპა ქალიშვილის ტანისამოსს თითით. ცოტა გაიარეს და დაინახეს დიაკონი, რომელმაც მოვიდა მღვდელთან. მოკიდა ხელი მღვდლის ანაფორას და სთქვა: „არა გრცხვენია, ახალგაზრდა ქალს რომ დასდევ?!. და მიეწეპა თითით მღვდლის ანაფორას. ცოტა გაიარეს და შეხვდათ სტაროსტა. სტაროსტა მივიდა და დიაკონს მიეწეპა. ცოტა გაიარეს და კატა შეხვდათ. კატამ მიიჩინა სტაროსტასთან და თამაში დაუწყო: ეს კატა სტაროსტას იყო. თამაშობის დროს კატას ყური უცხად სტაროსტას ტანისამოსს მოხდა და კატის ყური სტაროსტას ტანისამოსს მიეწეპა. ცოტა გაიარეს და ძალლი დაინახეს. ძალლი გაჯავრდა და კატისკენ გამოიქცა. ძალლმა კატის კუდს უკბინა და პირით მიეწეპა კატის კუდს. კატა იყურება უკან, ძალლისაკენ და იძახის: „ნთხხხ...“ ძალლი ჯავრდება კატაზედ: „ლლლრრ... უაი, უაი... ლლლრრ“... ამასობაში ისინი მივიდნენ მეფის პალატაში. მეფემ და მეფის ქალიშვილმა გაიცინეს. იმავე დღეს ევგენმა დაიწერა ჯვარი მეფის ქალიშვილზე.

მხრივი დედა და შვილი

იყო საწყალი ქვრივი დედაკაცი. ჰყავდა ერთი ვაჟი. მეტი საშუალება რომ არა ჰქონდა, შვილი დედამ მოჯამაგირედ დააყენა — კვირაში აბაზად. გავიდა კვირა. აიღო ბიჭმა აბაზი აღისაგან და წამოუღო დედას. გზაში დაინახა, რომ პატარა ბიჭები ძალღს აწვალე-

ბენ. რას ერჩითო მა ძალღს, ჰკითხა ვაჟმა, ამან ერთი აბაზი მოგვ-
ტაცა და უნდა მოვკლათო. დაანებეთ თავი და მე მოგცემითო აბაზს,
მიუგო ვაჟმა. მისცა აბაზი. ძალღმა მადლობა გადაუხადა ბავშვს.
მივიდა ბავშვი დედასთან ცალიერი და უთხრა, აბაზი მომქონდა
დედა შენთვის, მაგრამ გზაში დამეკარგაო. დედა დალონდა ძლიერ,
მაგრამ რას იზამდა. მეორეთ რომ წამოიღო აბაზი ბავშვმა,
შეხედა და დაინახა, რომ ბიჭები კატას აწვალებენ. გამოკითხა
მიზეზი და გამოდგა იგივე მიზეზი. მისცა ბოვშმაბიჭებს აბაზი
და გადაარჩინა კატა. კატამ მადლობა უთხრა ბოვშს. მოვიდა
ბოვში დედასთან ცალიერი და უთხრა, დედა, კიდევ დაეკარგე
გზაში აბაზიო. შეწუხდა დედა, მაგრამ რას უზამდა შეიღს.
მესამედ ბოვშმა გველი გადაარჩინა. გველმა უთხრა ბოვშს, მომი-
ღეო კულზე ხელი, წაგიყუან მამასთან და როცა იმან გკითხოს, რა
გინდა, რომ გაჩუქოო. შენ ის ბეჭედი მოთხოვე, რომელიც მას ენის
კლიტის ქვეშ აქვს და მეტი ნურა გინდაო. წავიდნენ. ! შეხედ-
ნენ გზაში გველები, დააღეს პირი და უნდათ ბოვშის შექმა.
გველმა უთხრა, მაგან მე სიკვდიღს გადამარჩინა და ხელი არ ახ-
ლოთო. გველები დაწყნარდენ. მიიყვანა ბოვში მამასთან, დააღო
გველმა პირი ბოვშის შესაქმელად. შეიღმა უთხრა. შექმა კი არა,
მაგან სიკვდიღისაგან გადამარჩინაო. გველი მოშორდა და დიდი მა-
დლობა გადაუხადა. ბოღოს უთხრა ბავშვს, რაც გინდოღეს, ის
მთხოვე და მოგცემო. ბავშვმა სთხოვა ბეჭედი. ეგ ძნელი შესასრუ-
ლებელიაო, უთხრა გველმა, მაგრამ მაინც მოგცემ, რადგან ჩემი
შვილი დაგინხნია სიკვდილიდანაო. რასაც ეტყვი ამ ბეჭედს, იმას
შეგისრულებსო. ჩააბარა ორს არაბს ბავშვი გველმა და უბრძანა,
ზურგზე შეისვით და ისე მიიყვანეთ დედასთანაო. არაბებმა წაიყვა-
ნეს ბოვში. როცა მივიდნენ ღამე იყო. არაბები გამოეთხოვენ და
წავიდნენ. ბიჭმა დედა არ გააღვიძა, ამოიღო ბეჭედი და
უბრძანა, შესანიშნავი სახლი ააგე ახლავე აქ, ძვირფასათ მოაწყვე
და დედაჩემს საუკეთესო ლოგინი გაუმართეო. ბეჭედმა ეს ერთს
წუთში შეასრულა. ყველაფერი ოქროთი და მარგალიტით მოიქედა
სასახლეში. გათენდა. შვილი მივიდა დედასთან და გააღვიძა. დეღამ
უთხოა შვიღს, პატარა მაცალე ძიღი, კაი სიზმარში ვარ და ძიღს
ნუ შეძიშღიო. შვიღმა ისევე გააღვიძა, დედა მაინც ეუბნება სიზმარ-
ში ვარ და ძიღს ნუ შეძიშღიო. მესამეთ გააღვიძა და დარწმუნდა
დედა, რომ თურმე სიზმარი კი არა, ეს ყველაფერი ცხადი იყო.
რასაც ხედავდა. ახლა ვაჟს ქაღის შერთვა მოუნდა, მოიხმო დედა,
გაგზავნა ი გველთან (ის გველი ხელმწიფე იყო), რომელმაც ბეჭედი
მისცა და შეუთვალა, შენი ქალი მომათხოვეო. გველმა შემოუთვალა,

თუ ერთი თვის განმავლობაში შენა ეზოს ოქროს გალავანს ჰკბოაჯ-
 ლებ, მაშინ მოგათხოვებო, თუ არა და შეგქამო. დაიწყო დედამ ტი-
 რილი და წამოვიდა. როცა გველის სიტყვები გადასცა შეილს, მას
 გაეცინა და უთხრა დედას, მაგიტომ რა გატირებს, მაგას ერთს წუთ-
 ში გავაკეთებო. გავიდა სამი კვირა და ვაჟი არაფერს არ იწყებს,
 შეშინდა ისევ დედა და უთხრა. შეილო, რატომ არაფერს იფიქრე-
 ბო. შეილს აღარც კი ახსოვდა, უბრძანა ბეჰედს ამავე წუთში ოქ-
 როს გალავანი შემოაღლე ეზოს და შიგ შესანიშნავი ბაღი გააშენეო.
 ეს იქნა იმავე წუთში. ხემწიფენ ქალი მისცა ვაჟს, თან ერთი არაბი
 გაატანა მოსამსახურედ. ერთხელ ბიჭი პირს იბანდა, გაუვარდა ბე-
 ჰედი, დაავლო არაბმა ხელი და უბრძანა ეს სახლი მისი პატრონის
 ცოლიანა ჩადგო შუა ზღვაში რომ ხმელეთია იქ. შენ თან წამყვი
 და ამ შენს ბატონს უწინდელად ქოხი მიეციო. ასე შესრულდა ყვე-
 ლაფერი. გაიგო ეს ქალის მამამ და შემოუთვალა სიძეს, — შენ რომ
 ჩემი ქალი ისეთ ადგილს გადამიკარგე, უნდა შეგქამო, თუ ისევ არ
 მოგიყვანიო. შეწუხდა ვაჟი. გაჩნდნენ მასთან ძალღი და კატა და
 შეპირდნენ ყველაფრის დაბრუნებას, თუ სიმაპრს სამი თვის, სამი კვი-
 რის, სამი დღის და სამი წუთის ვადას გამოსთხოვდა. ვაჟმა იზოვა
 ეს ვადა. ძალღი და კატა გაცურდნენ ზღვაში, იქცნენ კაცებად და-
 უდგენ არაბს მოსამსახურედ, ერთგულობდნენ, ძილში მოპარეს ბე-
 ჰედი და ვაჟს წამოუღეს. შუა ზღვაზე ძალღი ჩააცივდა კატას, აწი
 მე წავიღებ ბეჰედსო. კატა უარზე იყო, მაგრამ მაინც გამოართვა.
 შედგნენ ერთს ხილზე, ძალღმა დააძაჟდავა. ჩაუვარდა წყალში ბეჰე-
 დი და ჩაყლაპა წითელმა ოვეზმა. მეტი ჯანი აღარ იყო, კატა და
 ძალღი მეთევზეს დაუდგნენ მოჯამაგირედ და უცლიდნენ იმ დროს,
 როცა მეთევზე იმ წითელ თევზს დაიჭეოდა. დიდი ხნის შემდეგ და-
 ინახეს თევზებში ის წითელი თევზი, მოიტაცეს, წამოვიდნენ, გასჭ-
 რეს გზაში, ამოუღეს ბეჰედი. მოუტანეს ბიჭს. ბიჭმა უბრძანა ბე-
 ჰედს, ახლავე უწინდებურად გამართე აქ ყველაფერიო და იქნა ასე.

281.

სიზმარი

ერთს ქვეყანაში სცხოვრობდნენ ცოლ-ქმარი და ჰყვანდათ ერ-
 თად ერთი ვაჟი. ამ კაცს გარდაეცვალა ცოლი და სხვა ცოლი მოი-
 ყვანა. ერთხელ დედინაცვალმა მზეზედ ხორბალი გაშალა გასახზო-
 ბად და გერი მოუყენა ყარაულათ. ყმაწვილს დაეძინა და ხორბალი
 ქათმებმა მიიბნ-მოაბნიეს. დედინაცვალმა რომ ნახა ეს, მისდგა მძი-
 ნარე გერს და დაუწყო ცემა. ყმაწვილს გამოელვინა და შეჰყვირა:

„ვაიმე დედა, რათ გამომაღვიძე სიზმარში ვიყავიო“. ახლა დედინაცვალის ჩამოეკიდა რა სიზმარი ნახე მითხაროო. ვერ გეტყვიო, მიუგო გერმა. საღამოზედ მოვიდა ვაჟის მამა და ცოლმა უთხრა: „კაცო, ან შე გამაგდე და ან ამ შენს ვაჟს სიზმარი ათქმევინეო“. მამაც ბევრი ეხვეწა თავის ვაჟს, რა სიზმარი ნახევი თქვიო, მაგრამ ვეოაგზით ვერ ათქმევინა. მაშინ მამამ ეს თავისი ვაჟი ერთს ვაქარს მიჰყიდა. ახლა ვაქარმა დაუწყო ამ ყმაწვილს ხვეწნა: შენი სიზმარი მითხარი და ჩემს საცხოვრებელს ნახევარს შენ მოგცემო, მაგრამ ყმაწვილი მაინც არ დაჰყაბულდა და ვერ ათქმევინა სიზმარი. ადგა და გაჯავრებულმა ვაქარმა სხვა კაცს მიჰყიდა ეს ყმაწვილი. ახლა ამ კაცმაც დაუწყო ხვეწნა ყმაწვილს, ოლონდ შენი სიზმარი სთქვი და რასაც მთხოვ მოგცემო, მაგრამ ამ კაცსაც არაფერი პასუხი მისცა ყმაწვილმა; ამიტომ ამანაც კიდევ ერთს ბატონს მიჰყიდა. ამნაირად ეს ყმაწვილი სამჯერ გაიყიდა იმისთვის, რომ თავისი სიზმარი არავის უთხრა. ამ ბატონსაც რო არაფერი პასუხი მისცა ყმაწვილმა თავისი სიზმრის გამო, მაშინ ბატონმა გაათხრევეინა ორმო, ყმაწვილი შიგ ჩააგდო და ზევიდგან დიდი სარკველი დააფარა. ორმოში ამ ყმაწვილმა კარგა ხანს დაჰყო. ერთხელ ეს ყმაწვილი დალონებულად შეევედრა ღმერთს: „ღმერთო მარჯვენა ხელის ნეკი გუთნის საკვეთლად გადამიქციე, რომ აქედან როგორმე დავეხწიოვო“. მარჯალაც ღმერთმან უსმინა და ნეკი საკვეთლად გადაექცია ამ ყმაწვილს. ყმაწვილმა საკვეთლით მიწის თხრა დაიწყო, იმთენი თხარა, იმთენი რომა მიაღწია იმ კოშკამდინ, სადაც ბატონის მზეთუნახავი ქალი ცხოვრებდა. ათხარა ძირიდან კოშკი, საიდანაც თავისუფლად შეეძლო ასვლა კოშკში და შემდეგ უკან დაბრუნდა ისევ ვორმოში. როცა კოშკში მჯდომ ქალს ძილის დრო ჰქონდა, მაშინ ეს ყმაწვილი შევიდოდა ხოლმე კოშკში, რაც სუფრაზედ ნარჩენი საქმელი ჰქონდა ხოლმე ქალს, შესჰამდა, ავეჯეულობას მაურემ-მოურევედა და დაბრუნდებოდა ხოლმე თავის ორმოში. კოშკში მჯდომი ქალი, ძლიერ გაკვირვებაში იყო და თავის გუნებაში ფიქრობდა: ეს რასაკვირველია ამ კოშკში შემოსავალი არსაიდ არის და ამ ჩენს ავეჯეულობას ვინ ურევს ხოლმეო. ადგა და ქალმა გადასწყვიტა იყარაულნა და ენახა ეს ვინ იყო. ქალმა დაიწყო ყარაულობა. ენახათ რომა ყმაწვილი შევიდა კოშკში და მოუჯდა საქმელს. ამ დროს დამალული ქალი გამოჩნდა დაუძახა: რა ხარ, რა ხატი, რა ანგელოზი ხარ, გამოჩნდიო. ყმაწვილმა მიუგო. არც ხატი ვარ, არც ანგელოზი, ხორციელი ადამიანი ვარო. ქალის წინ წამოდგა ყმაწვილი, სალაში მისცა და ყველა უანზო ქალს, რაც ტანჯვა-ვაება გამოყარა

ისენი. მას დღის შემდეგ ყმაწვილი ქალთან ცხოვრობდა ფარულად. ერთხელ ამ ქალის მამა, ბატონის ერთს სხვა მესობელ ბატონს დაე-
ნაძლავა. სხვა ბატონმა ქალის მამას ორი მტრელი გ:მოუგზავნა და
შემოუთვალა: ამ ორში მტრედში რომელი უფროსია, გამოიცანო.
ქალის მამა ბატონმა შეჰკრიბა ბევრი ხალხი, მაგრამ ვერაინ გამოი-
ცნო იმ ორ მტრედში რომელი უნფროსი იყო. ბოლოს თავის ქალ-
თან გაგზავნა მტრედები და ქალმა შემოუთვალა მამას, ამაღამ მტრე-
დებს წითელი ქალაღლის ნაჭრები შეაბით ფეხებზე და დაამწყვდე:
ხვალ დღით ორივე ერთად გამოუშვით და საკენკი დაუყარეთ, წი-
ნით რომელმაც აყენკოს საკენკი, უნფროსი ის იქნებაო. ქალის მამა
მართლა ასე მოიქცა და მოიგო სანაძლაო. ახლა მეორე ბატონმა
ქალის მამას ორი ახალი გახედნილი ჩოჩორი (კვიცი) გამოუგზავნა
და შემოუთვალა: რომელი უნფროსია ამ ორში გამოიცანო და სა-
ნაძლაო შენი იყოსო. ბატონმა ისევე თავის ქალს შეუთვალა: ასეა
საქმე, ახლა ორი ჩოჩორი გამოუგზავნია ჩემს მეზობელს ბატონს
გამოსაცნობათ და რომელია უნფროსიო. ქალმა შეუთვალა მამას:
ამაღამ ორთავეს მარილი აქამე, ხვალ დღით წყალზედ გაუშვი და
რომელიც წინაწინ მივიდეს წყალზედ დასალევათ, ის იქნება უნ-
ფროსიო. ქალის მამა ბატონი მართლა ასე მოიქცა და მეორე სანა-
ძლაოც მოიგო; მესაუელაც ისევე იმავე ბატონმა ქალის მამას გამოუ-
გზავნა მშვილდი და ისარი და შემოუთვალა: გამოისროლე ეს მშვილ-
დი თორმეტი ტბის გაღმიდან ისე, რომა ჩემი სახლისთავი ოთხი
თითის დადება გაიტანოს თანაო. ქალის მამა ბატონმა შეჰკრიბა
ხალხი და უთხრა: ვინც გაისვრის ამ მშვილდს-ისარს და იმ ბატო-
ნის სასახლის თავს ოთხ თითის დადებას გაატანინებს, იმას ჩემ ქალს
უოლათ მივსცემო. რასაკურველია, ბევრი კაი ბიჭი შეეცადა ამ
მშვილდ-ისრის გასროლას და ლამაზი მზეთუნახავი ქალის ხელში ჩაგ-
დებას, მაგრამ ყველას ბედმა უმტყუნა, ალაგიდანაც ვერ დაძრეს
მშვილდ-ისარი. მაშინ ბატონმა ორმოდან ამოაყვანინა დამწყვდეუ-
ლი ყმაწვილი და მისცეს მშვილდ-ისარი. ყმაწვილმა მომართა, გაის-
როლა, სხვა ბატონის სასახლის თავი ოთხი თითის დადება გაატა-
ნინა და სავარძელში დაასო ისარი. ამნაირად მესამეთაც ქალის მამა
ბატონმა მოუგო სხვა ბატონს სანაძლეო. რასაკურველია, ქალის მამა
ბატონმა თავისი ქალი მისცა ამ ვაჟს და თავისი საცხოვრებლის ნა-
ხევარიც და უთხრა: ჩემთან იცხოვრეო, მაგრამ სიძემ უთხრა: „არა,
მე ვერ დავდგები ისე, ერთი თუ არ ვიმგზავრე საღმეო“. სიმამრმა
სიძეს ნება მისცა. სიძე გამოემშვიდობათ და წავიდა სამგზავრეთ.
ეს ყმაწვილი მიდის და ნახა, რომა ერთ ალაგას მინდორში ცეცხ-

ლის აღში არწივი ფრთხილებს და ნაღლა ველარა ფრინდება. ამ
ყმაწვილმა მიირობინა და არწივი დაწვას გადაარჩინა. ყმაწვილს არ-
წივმა მადლობა გადაუხადა და უთხრა: აი ეს ერთი ჩემი ფთის ბუმ-
ბული, გამოიგლიჯა, მისცა და უთხრა: „თუ ჩემი თავი დაგჭირდეს
როდისმე, ეს ბუმბული ხელში აიღე და მე შენთან გავჩნდებიო“.
გამოემშვიდობა ყმაწვილი არწივს და გაუდგა გზას. იარა, იარა და
შეხვდა, რომა ერთი თევზი მშრალზედ გორამს. ყმაწვილს თევზი
შეეცოდა. აიღო, მიიტანა და წყალში ჩაავლო. თევზმა ყმაწვილს
მადლობა გადაუხადა, მერე გამოიძრო ბოლოდგან ერთი ფთა, მის-
ცა და უთხრა: თუ გაგიჭირდეს როდისმე რამე, ეს ფთა ხელში აიღე
და მე შენთან გავჩნდებიო. ყმაწვილი გამოემშვიდობა თევზს და
გაუდგა გზას. იარა, იარა ყმაწვილმა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა,
მიადგა ეროს მინდორს. ნახა რომა ერთი მელა მინდორში გორამს
და მშიერია ისე, რომა ადგომას ველარა სძლებს. მივიდა ყმაწვილი,
მშიერი მელა თავისი საგძლით გააძლო და გაუშვა. მელამ მადლო-
ბა გადაუხადა, კუდში გამოიძრო ერთი ბეწვი, მისცა და უთხრა:
„ჩემი თავი თუ გაგიჭირდეს როდისმე, ეს ბეწვი ხელში აიღე და მე
შენთან გავჩნდებიო“. ყმაწვილი მელასაც გამოემშვიდობა და გაუდ-
გა გზას. იარა, იარა, და მიადწია ერთ სოფელს და ერთს კუდიან
დედაკაცთან დაბინავდა და დედობილად გაიხადა. ყმაწვილმა რომ
დაისვენა, ჰკითხა დედობილს: ამ თქვენს ქვეყანაში რა ანბავიაო? ის
ანბავიაო რომა ჩვენი ბატონის ქალი კოშკში ზის და კეკემალულო-
ბას თამაშობს და ვისაც იპოვნის, თავსა, სკრის და იმ თავებით
თავისი კოშკის გარშემო გალავანს აშენებსო. მაშინ ყმაწვილ-
მა სთქვა: „თუ იმ ქალთან არ ვითამაშე მალულობა, არ იქნებაო“.
კუდიანი დედაკაცი არ უშვებდა და ეუბნებოდა: ნუ წახვალ იმ ქალ-
თან, თორემ თავს მოგჭრისო, თუ წახვალ, ჩემს პურ-მარილს გემოთ
ნულარა ნახამო, მაგრამ ყმაწვილმა მაინც არ გაიგონა დედობილის
რჩევა, დილით ადრე ადგა და იმ ქალთან მივიდა და ავიდა კოშკ-
ში. რასაკურველია, ქალმა უთხრა ყმაწვილს, დაიმალეო, თუ სამჯერ
დამალეაზედ გიპოვნეო, თავს მოგჭრი, თუ ვერ გიპოვნე და ცოლად
მოგთხოვდებიო. ყმაწვილი გამოვიდა გარეთ და აიღო ხელში არწი-
ვის ფთა: არწივი მაშინვე მოფრინდა და უთხრა: „რა გაგიჭირებიაო?“.
ყმაწვილმა უთხრა: „ასეა ჩემი საქმე და უნდა დამმალო სადმეო“.
არწივმა აიყვანა ეს ყმაწვილი და წაიყვანა შვიდი მთას იქით და
მერვე მთის თავზედ დაჯდა და ფთებს ქვეშ ამოისევა. კოშკში მჯდო-
მი ქალი დილით ადრიან ადგა, აიღო ხელში ჩასახედი სარკე, დი-
ლიდგან სადამოძინ შივ ჩასცქირა და ყმაწვილი ვერსად ვერ დაი-

ნახა. მოსალამოვდა; მაშინ არწივს გვერდით ერთმა პეპელამ გაურბინა, არწივი პეპელას რომ წაეტანა ისე საუბედუროდ ყმაწვილი გამოჩნდა და ქალმა დაინახა და რასაკურველია უკან დაბრუნდა. ვაჟმა ახლა მეორე დღეს თევზის ფთის ფხა აიღო ხელში. თევზი იმავე საათს მოვარდა. ყმაწვილმა თავისი ანბავი რო გააგებინა თევზს, თევზმა ყმაწვილი გადაყლაპა, შესტურდა ზღვაში და თავის კუდი პირში დაიჭირა და ისე დაიძინა. ქალმა დილიდგან სალამომდენ იცქირა იმავე სარკეში და ვერსაიდ დაინახა ყმაწვილი. სალამომ რომ მოაღწია, ეს დიდი თევზი ერთს პატარა თევზს წაეტანა; თევზს კუდი პირიდან გაეშვა, პირი ღია დარჩა და ქალმა დაინახა ყმაწვილი. მეტი რა გზა იყო მეორეთაც წაგებული მოვიდა. მესამე დღეს ყმაწვილმა ახლა ხელში აიღო მელის კუდის ბეწვი. მელია იმავე საათს იქ დაიბადა. ყმაწვილმა თავისი საქმე გააგებინა მელიას. მაშინ მელიამ ყმაწვილი თოფის ტყვიათ გარდააქცია, თავათ მელია კი კოშკში მჯდომი ქალის მეზობლის ქალათ გარდააქცია. მეზობლის ქალათ გადაქცეულმა მელიამ ტყვია ხელში აიღო და გარედგან ბაღდადი დაიხვია, შევიდა კოშკში და ბატონის ქალს ალერსი დაუწყო და გვერთ ამოუდგა. რასაკურველია ბატონის ქალმა სარკე აიღო ჩასახედათ. მეზობლის ქალად გაიქცეულმა მელიამ ალერსით უთხრა: „ხელი შენს უბეში ჩამაყოფინე და ამ მშვენიერ ბაღდადს შენ მოგცემო. ბატონის ქალმაც ჩააყოფინა უბეში ხელი და მეზობლის ქალად ქცეულმა მელიამ თოფის ტყვია (ვაჟი) უბეში ჩაუნარჩუნა. კოშკში მჯდომმა ქალმა დაიწყო კიდენ ხედვა სარკეში, დილიდგან სალამომდინ იყურა და ვერსაიდ დაინახა ვაჟი და გაჯავრებულმა სარკე მიწაზედ დაათხლიშა. კოშკში მჯდომ ქალს მეზობლის ქალათ გადაქცეულმა მელიამ ჰკითხა: „არაფერს უხამ, რომ გამოგჩინო შენი მონაძლევე ვაჟიო?“. ქალმაც შეჰფიცა, არას უხამო. მაშინ ვაჟი ბატონის ქალის უბიდან გადმოხტა და თავის დედობილ კუდიან დედაკაცთან წავიდა და ყველაფერი უანბო. ამის შემდეგ რასაკურველია, კოშკში მჯდომმა ბატონის ქალმა თავის მამას თეფშით ყვითელი კიტრი გაუგზავნა. ბატონმა ამითი გაიგო რომა მის ქალს გათხოვების დრო მოუვიდა. ერთ დღეს ბატონმა გამართა წვეულობა. ბევრისაგან ბევრი ხალხი მოიწვია. დაუძახა თავის ქალს, ძინცა სასმელათ სავსე თასი და უთხრა: „ეს წაიღე და ვინც გინდა ქმრათ იმას მიეციო“. ქალმა გამოართვა თასი, მიიარ-მოიარა შეკრებილ ხალხში, უკანვე მოიტანა ისევე თასი და სუფრაზე დადგა. მაშინ ქალის მამამ ჰკითხა თავის ხელქვეითებს: „ამ სოფელში კიდენ არის ვინმე კაციო? იმათ მიუგეს: კუდიან დედაკაცთან ერთი ყმაწვილი

არისო. ბატონმა საჩქაროთი მოაყვანიდა ეს ყმაწვილიც. ბატონმა კიდევ მეორეთ მისცა თავის ქალს სამსე თასი ხელში: წილე და ვისაც გინდა იმას მიეციო. ქალმა თასი დაატარა. სანედლევის ვისთანაც თამაშობდა, ის ყმაწვილი კარებს უკან დაინახა, მიიტანა და იმას მისცა თავისი თასი. ამოდენა შეკრებილი ხალხი ძრიელ გაჰკვირდა და იძახდნენ: იმ საწყალს ბიჭს როგორ მისცა თასიო, მაგრამ რა იქნებოდა. რასაკუთრელია ბატონმა თავისი ქალი მიათხოვა ცოლათ ამ ვაჟს და უთხრა: „აილე ჩემი საცხოვრებლის ნახევარი და იცხოვრე ჩემთანაო“, მაგრამა სიძე არ დაჰყაბულდა სიმამრს და უთხრა ცოლს: „თუ მამაშენს რაიმე შესანიშნავი იარაღი აქვს, სთხოვე გვაჩუქოს და აქედან წავიდეთო“. ქალმა სთხოვა მამას ერთი ძველი გაღეული ცელი, წამოიღეს ეს ცელის ძველა და წამოვიდნენ ცოლ-ქმარნი. იარეს, იარეს და ეს ყმაწვილი პირველ ცოლთან მოვიდა თავისი მეორე ცოლით. აქ ყმაწვილმა თავის პირველ ცოლს უთხრა: „მამაშენს რაც უფრო უკეთესი ავეჯი ჰქონდეს, ის სთხოვე და აქედან წავიდეთო“. ქალმაც თავის მამას საუკეთესო ავეჯის მაგივრად სთხოვა ხის თაბახის ძველა; აღდგენ და იქიდგან წამოვიდნენ. იქიდგან რომ წამოვიდნენ, მოახწიეს ერთი სოფლის ბოლოს და იქ დაბინავდნენ. ყმაწვილმა ძველი ნალევი ცელით თაბახის ძველა ჩამოთალა და მშვენიერი სასახლე გადიქიმა, რომელშიაც ყველანაირი საზღო თავათ მზადდებოდა. ეს ყმაწვილი თავისი ორი ცოლით რასაკუთრელია იქ დაბინავდა და დაიწყეს ცხოვრება. გავიდა რასაკუთრელია დრო და ქამი და ორს ცოლთან. ამ ყმაწვილს თითო ვაჟიშვილი შეეძინა. ეს ყმაწვილები რომ წამოჩიტდნენ და თამაშობა რომ შეიძლეს, ერთ დღეს ყმაწვილები თავიანთ მამის გვერდზედ თამაშობდნენ, ორი ცოლი კი ხელსაქმობდნენ. უცბათ ყმაწვილებს მზის სხივმა მიანათათ მამას მოულოდნელად გაეცინა. მისმა ცოლებმა მზის სხივი ვერ შენიშნეს და ჰკითხეს ქმარს: „რათ გაიცინეო? ახლა კი ქმარმა უამბო ცოლებს და უთხრა: თქვენ ვერ შენიშნეთ რომა ამ საათში ჩემს ორს ვაჟს მზის სხივი მოეფინათ თამაშობის დროს, ეს მზის სხივი როგორც ეხლა ცხადლივ ვნახე, სწორედ ამნაირად პატარაობისას სიზმარში ვნახე და არავის უთხარი სიზმარი, სანამ ახლა ნამდვილ ჩემის თვალით არა ვნახე, რადგანაც გამეგონა: სანამ კაცმა თავისი თვალით არა ნახოს და ყურით არ გაიგონოს, არ უნდა დარწმუნდესო. ამიტომ სამჯერ გავიყიდე (სიზმარი რო არავის უთხარი მისთვისო) და ბევრი წვალუბაც გამოვიარეო. ახლა ჩემის თვალით რო ვნახე სიზმარი, თვალწინ წარმომიღვა და უცბათ გამეცინაო და ღმერთს ვმადლობ რომ ჩემი

ბევრი ტანჯვა-წვალება დამითასდაო. ყველა ამებრის შემდეგ ამ ყმა-წვილმა თავისი ორი ცოლით და შვილებით ზედნიერად იწყო ცხოვრება.

იმით მოსვლამდინ
არა გეტკინოთ რა.

282.

ღარიბი გლეხი და ღვევაბი

იყო ერთი საწყალი გლეხი. ერთხელ ცოლს უთხრა, აქ ხომ არას ვაქეთებ და წავალ სადმეო. წაიღო საგზალი და წავიდა. მიაღდა ერთს სახლს, ბებერმა გამოხედა, მას დაყენება სთხოვა გლეხმა. ბებერმა მიუგო, აქ რომ დაგაყენო, დევები შეგკამენო. ამისთანა სიცოცხლეს შექმა სჯობსო, მიუგო გლეხმა რა დადგა. ბებერმა ქვაბში დამალა. დევი რომ მოვიდა ადამიანის სუნი აიღო. ბებერმა ჯერ უფიცა, მერე შეეხვეწა ნურას ჰკადრებ, საწყალი კაციო და როცა დევმა პირობა მისცა, გამოიყვანა კაცი ქვაბიდან. ქამეს ვახშამი და დაიძინეს. მეორე დღეს დევმა ჰკითხა გლეხს, რას მთხოვ, რომ გაჩუქოო. ცოცხლად გაშვებასაო, მიუგო გლეხმა. თუ შენი შექმა მდომებოდა, მიუგო დევმა, წუხელი ვერ შეგკამდიო? მაინც რას მთხოვო. ცოცხლად გაშვებასაო, კიდევ უპასუხა—გლეხმა. მაშინ დევმა თვითონ გადაწყვიტა და აჩუქა ისეთი ძროხა, რომელიც დღეში სამჯერ იწველიდა და თითო კვირაში თითო ხბოს შობდა, ხბოც თითო კვირაში მაკდებოდა და შობდა. დევმა თანვე დაატანა: ერთი წლის შემდეგ გეწვევი, სამს სიტყვას გეტყვი, თუ იმაზე პასუხს მომცემ, ძროხა და მისი ნაშენი შენი იყოსო და თუ ვერა, ჩემი იყოს ის ნაშენიც და პატრონის ნაშენიცო. კარგიო, მიუგო გლეხმა და წაიყვანა ძროხა. ძროხა ისე გამრავლდა, რომ მთელი ფარა გახდა და გლეხი გამდიდრდა ისე, რომ დიდკატურად ცხოვრობდა, მოსამსახურეებიც დაიყენა. მაგრამ ერთ საქმეს სტიროდა: დევს რა პასუხი მივუგოო.

ვილაცამ კარებზე დააკაკუნა. გამოხედა გლეხის ვაჟმა. მოსულყო ორი კაცი და ღამის გათევას ეხვეწებოდა. ბიჭმა მამას მოახსენა, მაგრამ გლეხმა სთქვა, ხვალ დილას დევს მოველი, მე უნდა შემეკამოს და მაგათ მაინც როგორ შევაქმევო და არ დააყენა. ქალი ეძალებოდა, მაგათთან დევს ხელი არა აქვს და დავაყენოთო. დააყენეს და ვახშამი ქამეს. მარტო გლეხი არაფერს ქამდა. ორი კაცი ეუბნება, რა გატირებს, საქმეს ეგ რას უშველის, ღმერთი და

ბედით. გლეხი მინც ტირის. დილას ადგენ სტუმრები, ხელ-პირადიბანეს და ილოცეს.

ქარზე თორმეტი დევი მოადგა და სამხერ დაიძახა: „ჰო-ჰო-ჰო-ჰო!“ ორმა კაცმა შიგნიდან შესძახა: ჰე-ჰე-ჰე-ჰე!

დილას რომ ბუზი გამოვგზავნეთ, ის სადღააო, იკითხეს დევებმა. ის აქნამდი ზღვაში გავიდოდა; იყო პასუხი შიგნიდამ.

— ის პატარა ზღვა იქნება.

— პატარა როგორ იქნებოდა, ყორანი შუამდი ვერ მიფრინდა!

— პატარა ყორანი იქნებოდა.

— პატარა ყორანი როგორ იქნებოდა, ექვსს სოფელს ფრთებით ჰჰარავდა.

— ის ექვსი სახლი იქნებოდა.

— სახლი როგორ იქნებოდა, ერთის თავზე ვირმა დაიყვირდა შუამდი ვერ მიაწვდინა ხმა!

— ის პატარა ვირი იქნებოდა.

— პატარა როგორ იქნებოდა, ექვსი-ექვსი წისქვილი აქეთ-იქით ეკიდა და მუხლებით კურდღელს იპერდა!

— ის კურდღლის ბაჰია იქნებოდა.

— ბაჰია როგორ იქნებოდა, დილიდამ საღამომდი ცოლმა დაქმარმა ტყავი ვერ გააძრო!

შეშინდენ დევები და გაიქცენ. გადარჩა გლეხი ოჯახობით და ცხოვრობდენ მშვიდობით.

283.

ლოვლათი ღამკარგე

იყო ორი ძმა კაცი. უმფროსი ძმა გლებობდა, უმცროსი ძმა კი მოთაობას უწევდა ოჯახს, ასაღებ-მისაცემი იყო თუ შესავალ-გასავალი ოჯახობაში სულ ამ პატარა ძმის ხელთ იყო, რადგან ეს უფრო გონება გახსნილი კაცი იყო უმფროს ძმაზე მეტად და სოფელშიც პირველ პირად ითვლებოდა. ამათ ორთავ ცოლები ჰყავდათ და ცხოვრობდნენ ერთათ ასეთს პირობებში უწყინარად. ერთხელ ამ უმფროსს თავისმა ცოლმა უთხრა საყვედურით: კაცმან რომ თქვას სიმართლე, შენი ნაქნარი არაფერსა ჰგავს, შენ ვირსავით წაგილიათავი და მუშაობ ოჯახისათვის და შენი უნცროსი ძმა კი უმფროსად დაგისვია და მას ემსახურები ვირსავითო.

— აბა როგორ ექნათო,— ჰკითხა ქმარმა ცოლს.

— როგორ და გავყარნეთ, ჩვენთვის ვიცხოვროთო. ცოლის

რჩევა დაუჯდა უფროსს ძმას და მაშინათვე გამოუცხადა ეს თავის უმცროს ძმას.

— აბა, შენ განაგე ოჯახის საქმეები და მე ვიმუშავებ მიწას, უთხრა უნცროსმა ძმამ და გაყრა კი ორთავეს დაგვაქცევსო.

— არა, გავიყარნეთ—დაჟინებით გაიძახოდა უფროსი ძმა და ცოტა საწყენი ლაპარაკი შემოერიათ. იმ საღამოს უნცროსი ძმა სადღაც წასულიყო სტუმრად და რომ დაბრუნდა სახლისაკენ, ახალად გათოვლილი იყო და დაინახა რომ თავიანთ სახლისაკენ რაღაც კვალი მისდევდა. დაადგა ამ კვალს და მისდევდა. რომ დაახლოვდა სახლს დარწმუნდა, რომ თავის სახლში მიდიოდა კვალი და მაშინათვე თავში შემოიკრა ხელი: ოოვე, ანგელოზის ფეხი გამოსულა ჩემი ოჯახიდან და ეშმაკის ფეხი შესულაო, ძმა გამოსული ეგონა ოჯახიდან, მარა რომ შევიდა სახლში და ძმა კი იქ დახვდა, მანც შემოიკრა თავში: დოვლათი გასულა და ეშმაკი შემოსულა ჩემ ოჯახში, აი ნაკვალევით და დაიწყო ტირილი. ოჰანი, სად წასულა დოვლათი. წავალ მოვნახავო, დაიძახა უმფროსმა ძმამ და წაჰყვა ნაკვალევსა, რომელმანაც თან მიიძახა: ოლონდ შენ ნუ ტირიო. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, შეხვდა ერთი ბრმა მგელი. გამარჯვება—გაგიმარჯოს.—სად მიხვალ? ჰკითხა მგელმა.—დოვლათი დავკარგეთ და იმის საქმენელად მივალო,—მიუგო მან.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, უთხრა მგელმა. მე აგერ თოთხმეტი წელიწადი იქნება, რაც დაებრმავდი და დავყრუედი და ერთი უთხარი, რა მეშეველება, თუ არ წამოგყვავო.

— ძალიან კარგო,—უთხრა დოვლათის მძებნელმა და გაუდგა გზას.

იარა, იარა და ერთი ქვრივი დედაკაცის სახლში მივიდა.—გამარჯობა!—გაგიმარჯოს!

— სად მიხვალ,—ჰკითხა ქვრივმა დედაკაცმა.

— ასე, ასე დოვლათი დავკარგე და იმის საპოვნელად მივალო. თუ წარ წამოგყვა დოვლათი, უთხარი: ამ სახლის კედელს ორი წელიწადია ვაკეთებ და არ იქნა ვერ ავიყვანე სიმაღლეზეო. დღით ნაშენი ღამით ინგრევეაო. ძალიან კარგო დააიმედა დოვლათის მძებნელმა და გაუდგა გზას. იარა, იარა და როგორც იყო მიეწია დოვლათს, მარა იქ ახლოს წყალი იყო გასაველელი და გაასწრო დოვლათმა წიგ გასვლა და ეს კი გამოღმა დარჩა. დგას ნაპირას და ვერ ვასულა წყალში. გამოცურდა ერთი თევზი შუა წყალიდან და ამ ყმაწვილს ჰკითხა:—სად მიხვალ აღამიანის შვილოო!

— დოვლათი დაჯვარგე, ვეძებდი, როგორც იყო ვიპოვნე და აიგერ წყლი გაღმა გამასწრო ველარ მივეწიო, წყალში გასვლა მინდა და მეშინიან არ დავიხრჩოვო. ნუ გეშინია, კი გაგიყვან, მარა ერთს გეხვეწები შეეკითხო, რომ ყოველდამ რაც ამ წყალში თევზი არის, სულ მე მესხვიან და ძილს მიფთხოვბენ, არ მასვენებენო, გამიგე რა მეშველებო. შეისვა ზურგზე და გაიცურვა იქით ნაპირისაკენ და გაიყვანა. დოვლათის მძებნელმა დოვლათს ჰკითხა: სად მიხვალ წამოწყევი სახლშიო. დოვლათი სახლში არ წამოჰყვა, მარა კი ჰკითხა:— გზაში რა ნახეო.

ამანაც მიუგო სათითაოდ: ასე, ასე ბრმა, ყრუ მგელი ვნახე და მითხრა, რომ თოთხმეტი წელიწადია, რაც დავბრმავდი და დავყრუვდი რა მეშველებო, შემოგითვალესო; მერმე ერთი ქვრივი დედაკაცისას მიველი და შემოჰჩივლა, გითხრათ, რომ თურმე ორი წელიწადია რაც ის კედელს აშენებს და ვერ გაუშენებია, რასაც დღით ზმენებს, ის ღამით ინგრევა თურმე, თხოულობს შენგან ამის მიზნის გაგებასო. ბოლოს წყალში ერთი დიდი თევზი ვნახე და იმანაც თავისი დარდი შემომჩივლა: დაღამდება თუ არა, იმ წყალში რაც თევზია, თურმე იმ საწყალს თევზს ესევიან და ძილს უწყვეტავენ და მოსვენებას არ აძლევენ. მთხოვა შენგან გამეგო ამის მიზეზი და ან რა ეშველება.

დოვლათი მოუბრუნდა და დაწვრილებით აუხსნა ყველას მიზეზი: „იმ თევზს თავში ჯავაირის ქვა უდევს, რომელსაც ის თავისება აქვს რომ ღამღამით ანათებს იქაურობას და იმ ნათელზე იკრიბებიან ყველა თევზები და ელამუნებიან იმის სიბრწყინვალესაო და რომ გამთავისუფლდეს იმისაგან შეწუხებისა, ვინმეს გააჩეხვიოს თავი, ამოაღებინოს ის ჯავაირი და გამთავისუფლდებაო.

იმ ქვრივ დედაკაცს ეტყვი, რომ იმ კედლის საძირკველს ქვეშ ქვაბით ოქრო ფულია, ამოთხაროს, ამოიღოს ოქრო და მხოლოდ მაშინ დაიჭერს და აღარ დაინგრევა აშენებული კედელიო; ხოლო იმ ბრმა და ყრუ მგელს კი ეტყვი, რომ ბრიყვი კაცის ტვინი სჭამოს და მაშინ აეხსნება თვალში სინათლე და ყურიო.

რა მოისმინა ყველა ეს, გამოემშვიდობა დოვლათს, რადგანაც თვითონ არ წამოჰყვა და წამოვიდა. წყალთან რომ მივიდა, მიეგება დიდი თევზი და ჰკითხა, რა პასუხი მოუტანა დოვლათისაგან. იმანაც უამბო, რომ შენ თავში ერთი ძვირფასი მანათობელი ჯავაირის ქვა გაქვს და იმის სინათლეზე იკრიბებიან შენთან მთელი თევზებიო, რომ ასცილდე მაგისგან შეწუხებასაო, უნდა გააჩეხინო ვინმეს თავი. რომ ამოგაცალონ იქიდან ის ქვაო, რომ აღარ დაგესივნენ თევზებიო.

— შენზე უკეთესს ვილას ვნახავ, შენვე მიყავი ეგ სიკვლე და ამომაცალე თავიდან ქვაო. გაიყვანა ხმელეთზე, დასცხო უშველებელი ქვა თავში და ერთიან გაუტეკეკა, ამოიღო ჯავიარის მშვენიერი ქვა. აქეთ აბრუნა ხელში, იქით აბრუნა ძალიანაც მოეწონა, მარა წაღებიით აღარ წაიღო, რადგანაც დახარდა, გადაადგო წყალში და გაუდგა გზას. მერმე მივიდა ქვრივ დედაკაცთან იმასაც დანგრევის მიზეზი უნებო. შენზე უკეთეს ვილას ვნახავ, შენვე ამოთხარე ოქრო, ნახევარი შენ და ნახევარი მეო. მართლაც თხრაში ორი ქვაბი ოქრო ამოიღო ამ კაცმა, მარა უარი უთხრა ოქროს წაღებაზე. იარა, იარა და მივიდა იმ ბრმა, ყრუ მგელთან. იმასაც რა უნებო დოვლათის შემოთვლილი, მერმე უთხრა. სხვა რა ნახეო. ამან იმ ქვრივი დედაკაცის ამოთხრილი ოქროების იქ დატოვებაზე და თევზის თავიდან ამოღებული ძვირფასი ჯავიარი ქვის წყალში გადასროლაზე რო უნებო, არ წამოიღო, მაშინ მგელმა სთქვა: ამაზე ბრიყვს ვილას ვნახავო და მივარდა ყელში კბილებითა. გამოუღადრა ყელი და შემდეგ თავიდან ამოუსვლიდა ტვინი, რის შემდეგ მართლაც მგელს თვალები აეხილა და ყურის სასმენელი გაეღო.

ქირი იქ და ლხინი აქ.

284.

შპარბს შვილი შპარა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი მონადირე. ეს მონადირე ერთ დღეს ჩვეულებისამებრ სანადიროთ წავიდა. პირველ და მეორე დღეს მონადირემ ვერა მოკლარა. მესამე დღესაც იარა და მხე რომ გადიხარა, შეხვდა ერთ მშველს. მშველის დანახვაზედ მონადირეს გული აუფანცქალდა, ჩაესაფრა, ახსენა ღმერთი, ამოიღო ნიშანში, მოსხლიტა თოფი და გააგორა მშველი. მონადირემ მშველი იქვე ახლო ჩანჩქარა წყლის პირას მოიტანა, იარალი აიხსნა, იქვე პატარა ხის ტოტზედ ჩანოჭიდა, დაიკლავა, მშველი სუფთად გაატყავა, ასო-ასო ასკრა და ხეზედ ჩამოჰკიდა. მერე ცეცხლი დაანთო, ხის შადფური გათალა, აავო კარგი ლაზაჩიანი მწვადი, ცეცხლს დაუფიცხა და თვითონ იქვე ჩანჩქარა წყალთან მივიდა ხელების დასაბანათ. მონადირემ ხელები რომ დაიბანა, მოიბედა ცეცხლისაკენ და ნახა, რომ აღარც მწვადი სადმე და აღარც ხორცი. ასო-ასო აკრილი მშველი გაცოცხლებულიყო და გარბოდა. მონადირე ჯერ შეკრთა, მერე იარალს ხელი წამოავლო და სთქვა: ეს რა საკვირველება არის, თუ არ გავიგე, ცოცხალი თავი არ მინ-

დაო და გამოუდგა მშველს. მირბის მშველი და მისდევს მონადირეც. კარგა მანძილი რომ გადაირბინეს უცებ მშველი შესდგა, მოუბრუნდა და შემოსძახა მონადირეს: „ჩემზედ რასა ჰკვირობ, ამა და ამ სოფელში წადი, უმარას შვილი უმარა ნახე და ის გიამბობს საკვირველს ანბავსაო“. მონადირემ დაანება თავი მშველს და გაუდგა გზას უმარას შვილის უმარას საძებნელად: ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიაღწია ერთ საღამოთი ერთს სოფელს. სოფლის განაპირას დაინახა, რომ ერთს კაცს დედალ-მამალი ვირი შეუბამს კვერებში და ცარიელ კალოზედ ატრიალებს. მონადირე მივიდა ახლო და დაუძახა: „ბარაქა შენს კალოსაო“. ღმერთმა მშვიდობა და ბარაქა მოგცესო, უთხრა მეკალოვემ.— უკაცრავად კი არ ვიყო კითხვაზედ და რას სჩადიო? ჰკითხა მონადირემ. კალოსა ვლენწაო, მიუგო მეკალოვემ. ძნა კი არ გიშლია, და რას ლენწამ ცარიელ კალოზედაო, უთხრა მონადირემ. ჩემი წესი ასეაო, მიუგო მეკალოვემ. კარგი და კეთილიო, მაგრამ თუ შეიძლება მასწავლე უმარას შვილი უმარას სახლი რომელიაო— ჰკითხა მონადირემ. მეკალოვემ სახრე გაუღირა ერთი სახლისაკენ და უთხრა: „აგე, ის ჩემი სახლია, წადი, იქ მიბრძანდი, მოისვენე, მეც ეს არის კალოს გაფათავებ, მოვალ და უმარას შვილის უმარას სახლსაც ღვთის შეწევნით ვიპოვნითო“. მონადირემ გასწია ნაჩვენები სახლისაკენ. შევიდა ეზოში თუ არა, უნცროსები მოეგებნენ და შეიწვიეს სტუმარი სასტუმრო ოთახში და კაი პატივი სცეს. მზე რომ ვადიხარა, მეკალოვემ გამოუშვა თავისი ვირები, მოიყვანა ეზოში, ერთი ხმელი ბოდის ძირში თივა დაუყარა და ორთავეს თავები მალა ჩამოუბა, ისე რომ თივას ვერ დასწვდომოდნენ; თავად კი შევიდა სტუმართან, მოუჯდა გვერდით და ჰკითხა: „კარგო სტუმარო, უმარას შვილი უმარა მე ვარ და რისთვის გარჯილხარ, რა გნებავსო“. მონადირე სტუმარმა უანბო თავისი თავგადასავალი და ყველა უთხრა. უთხრა ისიც, როგორც მშველი მოჰკლა, გაუცოცხლდა, როგორც გამოუდგა მშველს და მშველმა როგორც გამოასწავლა მასთან საკვირველების გასაგებად. „მაშ რაკი აგრეა და გარჯილხარ შორის ქვეყნიდგან, ყველას გიამბობ, ყური დამიგდეო და დაიწყო უმარას შვილმა უმარამ: „მე ცოლის შერთვის დრო რომ მომივიდა, მეც ჩემს სწორ ამხანაგში რასაკურველია თავი მომწონდა, მომქონდა. ამოვირჩიე ჩემთვის საცოლე და ისიც ყაბულს გახდა. ერთს იმ ბედნიერ დღეს ჩემის მეჯვარეებით და მაყრიანად მოვიყვანე ცოლი, ქორწილი დიდის ანბით გადავიხადე. გულის ფანქქალით მოველოდი პირველ შეხვედრის დამეს მუულღესთან. ვინ იცის რამ არ გამიელვა თავში და არ გავიფიქრე გულში; ერთი სიტყვით

.პოსვენება არა მქონდა. სალამოს ქამმაც მოატანა და, ახლა უფრო
 სხვა და სხვა ნაირად დამიწყო გულმა ცემა და თითქოს ჩემს თავს
 შვევ ალარ ვეკუთვნოდი; თურმე ნუ ბძანებთ, ბედი კი სხვას მიმზა-
 დებდა. გათავდა ვახშამიც. მეჯვარემ და ხელის მომკიდემ შეგვიყვან-
 ნეს საკუთრად ჩვენთვის მომზადებულ ოთახში. დაგვლოცეს, ლამე
 მშვიდობისა გვითხრეს, გავიდნენ და გაიხურეს კარები. მე ჩემმა
 ცოლმა ფეხთ გამხადა, ტანთსამოსი გავიხადეთ ორთავემ და ჩაწე-
 ქით ლოგინში. ის იყო საბანი წავიხურე თუ არა და ვილაცამ დამიბ-
 რახუნა კარები: „უმარას შვილი უმარა შინა ხარო?“ აბა რა იქნებო-
 და, რომ არ გამომხეხენდა, სირცხვილი იყო. წამოვდექე, ტანთსაცმე-
 ლი ისე მხარზედ წამოვისხი და გავალე კარები თუ არა, შევხედო,
 ერთი უზარმაზარი კაცი დგას კარებში. უცნობმა არც აცივა, არც
 აცხელა, ისე გადმომკრა პატარა ნაბდის მათრახი და მითხრა: „ლო-
 ლის ცხენად ღმერთმა გადაგაქციოსო“. მეც მაშინვე გადავიქეცი დო-
 ლის ცხენად და შლეგიანივით გამოვარდი გარედ. ჰაი და ჰა! გა-
 მიგდეს ძალღებმა ამ ღამეში და ხან იქით და ხან აქეთ, თავ-პირ
 გადაგლეჯილი დაერბოდი. გავარდი მინდვრად. სამი დღე და ღამე
 ალარ მოვკარებივარ სახლს. გრძნობა-გონება ადამიანისა მაქვს და
 ცხენი კი ვარ. მესამე დღეს ვსტევი ჩემთვის: მოდი ერთი ვნახო
 ჩემი სახლი და კარი მეთქი. სალამოთი მოვედი ჩემს ოთახთან და
 დავდექი. გამოვიდა ჩემი ცოლი და დამიწყო დაცინვით სიცი-
 ლი. აილო ისევე პატარა ნაბდის მათრახი, გადმომკრა მათ-
 რახი და მითხრა: „ქეციან ძუენა მწვერათ გაქციოს ღმერთ-
 მაო“. მართლაც გადვიქეცი ახლა ქეციან ძუენა მწვერათ და გაუდე-
 ქი გზას. სოფელში დამეხვივნენ ძალღები და სულ ძველი ხალთასა-
 ვით მათრიეს. გამოვარდი მინდვრად და გაუდექი გზას უგზო-უკუ-
 ლოდ. რა ვქნა, გონება აზრი ადამიანისა მაქვს, ყველა მესმის, თან
 დარდით ვკედები და თან შიმშილით. ორი დღე და ღამე ვიარე ამ
 ყოფით. მესამე დღეს შევხედო, რომა მინდორში ორი მგზავრი მო-
 დის. როცა მომიახლოვდნენ, დამაცქერდნენ და ერთმანეთს უთხრეს:
 „კაი ჯიშის მწვეარი ყოფილა საწყალი, მაგრამ დაბერებულა და
 გამოუვლია პატრონს, მოდი წავიყვანოთ, ბინაზედ მინც დაგდე-
 მაო“. დამიძახეს თუ არა, მე მაშინვე გავჰყევი მათ. ეს მგზავ-
 რები თურმე მეცხვარეები კი ყოფილიყვნენ. მიმიყვანეს ბინაზედ,
 გეჯაში რძე დამისხეს, მივედი, დავსუნე, თუნცა შიმშილით კუჭი
 მეწოდა, მაგრამ აბა როგორ ვსჭამდი გეჯაში. გონება ადამიანისა
 მქონდა. მერე ერთი ნაქერი უმი ხორცი გადმომიგდეს, მივედი,
 დავსუნე, მაგრამ აბა უმ ხორცს რა შემაქმედა? მივედი და იქვე

მივეგვღე ჩემთვის. ახლა ამ მეცხვარეებმა უთხრეს ერთმანეთს: ეს უთუ-
ოდ აზიზად გაზდილი ძაღლია და აბა მოდი სუფთად რამეზედ დაუსხა-
თო. სუჟთა ხის ჯამზედ დამისხნეს რძე, მოპიტანეს, დამიდგეს და
მეც საჩქაროდ ამოვსვლიპე. ახლა მოხარშული ხორცი მომცეს ჯამ-
ზედ და ისიც საჩქაროდ გადავჰყლაპე. მერე რაკი შემატყეს, დამიწ-
ყეს შეპატივება და მალეც ფერი ვიცვალე, მოვსუქდი, ავდექი და
დავიწყე ნადირობა. დღით წავიდოდი, საღამოთი ხან მშველი, ხან
მელა-კურდღელი და სხვა და სხვა ნადირი მომქონდა ხოლმე, ასე
რომ ეს ჩემი პატრონები ჩემი ნანადირებით განდიდრდენ: ვნახოთ,
ახლა დაიწყეს ცილობა ერთმანეთში: არა ჩემია, არა ჩემია ძაღლიო.
ადგნენ და ჰკითხეს ერთ ჰკუიან კაცს: „რომელს გვეკუთვნის ძაღ-
ლიო“. ჰკუიანმა კაცმა გაარჩია საქმე და უთხრა: „თქვენ ორივენი
ერთნაირად ხართ და მოდი, რადგანაც ვერა რიგდებით, ძაღლი მე
მომყიდეთ, სამოც თუმანს მოგცემთ და შუაზედ გაიყავითო“.

ორივენი ყაბულს გახდნენ და მიმყიდეს ჰკუიან კაცს. ახლა
წამიყვანა ამ ჰკუიანმა კაცმა. თურმე ნუ ბძანებთ ამ კაცს შვილი
არა რჩება ასე, რომ როგორც გაუნდებთ თუ არა შვილის შეძენის პირ-
ველსავე დამეს ყველა სახლის წევრთ ჩაეძინებათ თუ არა, რაღაც მო-
დის და აკვანში ახრჩობს ხოლმე ყმაწვილს. მიმიყვანეს თუ არა შინ,
ცოლს უთხრა, ისეთი ჰკუიანი და ყოჩალი ძაღლი ვიყიდეო, რომ
ყარაულად გამოგვადგებო. ჩემს ახალ პატრონს ცოლი ფეხმძიმედ
ჰყვანდა. რამოდენიმე დღის შემდეგ ჩემი ახალი პატრონის ცოლი
დალოგინდა და ვაჟი შეეძინა. ჩემი პატრონი ძრიელ გახარებას მი-
ეცნენ. პირველ დამესვე ყმაწვილი ჩააწვინეს აკვანში. მეც მომიწვი-
ნეს აკვანთან. მე რასაკურველია მესმოდა მათი ლაპარაკი და რო-
გორც იმედი ჰქონდათ ჩემი. და ამიტონაც მე ვცდილობდი კარგად
მეყარაულნა. შუალამეზინ ყველა ოჯახის წევრნი ჰყარაულობდნენ
და მერე მათაც მიეძინათ. მე კი გატვრენილი შევჰყურებდი აკვანს.
შუალამე რომ გადავიდა, ვნახოთ რომ ერთი საკურველი შრიალის
ხმა მომესმა. შევხედე და ერთი საშინელი, ვეებერთელა კატა შემო-
ვიდა და დაეცა აკვანს. მეც წამოვხტი და ვეცი კისერში კატას და
ამოვადე ქვეშ. კატამ რომ შემატყო, აღარ მიხლობს და ველარ წა-
ლვალ ხელიდანაო, შემომძახა: „უმარას შეილო უმარა. გამიშვი და
ერთ დროს გამოგადგებო“. მეც უპასუხე: „ფიცი მომეცი, რომ ამ
სახლში აღარ მოხვიდე, აღარც დაუშაო რა ჩემი პატრონის ბავშვს
და გავიშვებ მეთქი“. კატამ შემომფიცა, მეც გაფანთავისუფლე და
კატა გაუდგა გზას. მეორე დღეს რასაკურველია, ყველანი წამოდგ-
ნენ თუ არა, აკვანს მოაშურეს. რო ნახეს ყმაწვილი ისევ ცოცხალი

იყო, დიდს სიხარულს მიეცნენ. რაკი გაიგეს, რომ ყმაწვილი მე გადავარჩინე, მაშინ ჩემმა პატრონმა სამოცი თუმანი ხელსახოცში გამოკრული ყელზედ შემაბა და მითხრა: „წადი, ვისიც იყავი, ღმერთმა იმას მოახმაროს შენი თავიო“. მეც წამოვედი და ვიფიქრე: წავალ ჩემს სახლს ვნახამ მეთქი. ვიარე, ვიარე და მოვედი ჩემს სახლში. შუაღლე იყო, სიცხე, მზე, პაპანაქი. შემოუარე ჩემ ოთახს, შევიხედე კარებიდან და ვნახო, რომ ჩემს ტახტზედ ერთი ვეებერთელა კაცი გადაწოლილა, ხვრინავს და ჩემი ცოლი ხის ტოტით ბუზებს უგერიებს. ჩემმა ცოლმა შემომხედა თუ არა, მიცნო. რომ შემამჩნია ყელზედ ხელსახოცით რალაც შებმული, თვალთმაქცურად მომეალერსა, თავზედ ხელი დამისწა, შემხსნა ხელსახოცი, გახსნა და რომ ფული ნახა, ძლიერ გაეხარდა; რასაკურევლია, ფული იქვე ზანდუქში ჩადვა. თავად აიღო ნაბდის პატარა მათრახი. გადმომკრა და მითხრა: „ჯღარბად ღმერთმა გაქციოსო“. მართლაც ვიქვეცი ჯღარბად. გამომიყვანა აივანზე, ამომკრა ფეხი, გამომავდო და თან გადმოსძახა მეზობლის პატარა ბიჭებს: „პარიქათ ბიჭებო, ჯღარბს დაუშინეთო“. მართლაც შემომეხვივნენ ბიჭები: ზოგი მწვეტანს ჯოხს წამატაკებს, ზოგი ჯოხს ამომკრავს და ჩამაგორებს და ზოგი რას. მეც რასაკურევლია, ადამიანის გრძნობა მაქვს და ჯავრით ვკვდები. ავდექი და რომ ბიჭები შემეშინებინა, ისლა ნოვიგონე, რომ დავპირდაპირებოდი ფეხშიშველა ბიჭებს და ტიტველა ფეხზედ მივარდებოდი ხოლმე. ბიჭები შემომეფანტნენ გარშემო. მეც ვიცოცე, ვიცოცე და იქვე ერთს პატარა მდინარეს მივატანე, ჩავარდი შიგ და ამნაირად ბიჭებს გადავრჩი. ორი დღე და ღამე გავატარე იმ წყალში. მესამე დღეს ნაპირას გამოვედი და ვწრიპინებ ჩემთვის ჯღარბის ჩვეულებისამებრ. ვნახოთ, რომ ერთბაშად შემომესმა ძრვილი შრიალ-შრიალი. მე ისევე ვწრიპინებდი. ამ დროს შემომესმა ხმა: —უმარას შეილო უმარა შენ არა ხარო? მე ვარ მეთქი, ვუპასუხე. —ნაპირად გამოდი, საქმე მაქვს შენთანაო. დამიძახა უცნობმა. მეც ვსთქვი: რაც იქნება, იქნება მეთქი. გამოველ და შევხედე, რომ ერთი მშვენიერი, მთვარესავით გაბადრული ღვდაკაცი კი დგას. ღვდაკაცმა მითხრა: „უმარას შეილო უმარა! გახსოვნს მე რომ ფიცი მოგეცი, გამიშვი და გამოგადგები როდისმე მეთქი? მე ჩემი ალთქმა უნდა შევასრულო და მომყევი უკანაო.“ მეც ცოცვით მივჰყევი უკან დედაკაცს. მიველით ჩემს ოთახთან. სწორედ შუალამე იქნებოდა. ამ დედაკაცმა აიღო ბარი და დაუწყო თხრა ჩემი ოთახის საძირკველს. კარგად რომ გამოთხარა, მითხრა: „წეძვერი და ის პატარა ნაბდის მათრახი გამომითრიე როგორმეო“. მეც შევძვერი, მაგიდიდგან, რო-

გორც იყო, წველებით ჩამოვიღე მათრახი და პირით გამოვათრიე გარეთ. დედაკაცმა აიღო მათრახი, გადმომკრა და მითხრა: „ვაშკაცათ ლმერთმა გადაგაქციოსო“. რასაკურველია, გადავიქეცი კაცათ. მაშინ მითხრა ჩემა მშველელმა: „აილე ეხლა ეს მათრახი, შედი ოთახში და რადაც გინდოდეს, იმად აქციე შენი ცოლი და მისი კუროცაო“. მე შევალე ოთახის კარები, შევხედე, რომ ჩემს ცოლს და მის კუროს არხეინად ეძინათ ერთმანეთის მკლავზე. გადავჰკარ ნაბდის მათრახი ჯერ ჩემ ცოლს და უთხარი: „დღელ ვირათ ლმერთმა გადაგაქციოს მეთქი“. გადავჰკარ კუროს და უთხარი: „მამალ ვირად ლმერთმა გაქციოს მეთქი“. რასაკურველია, ორივენი ისე გადიქნენ, როგორც ლმერთს შევნატრე. მას დღეს აქეთ ჩემს ჯავრს ამითი ვყრილობ: დილით შევაბამ ხოლმე ორთავეს კვერში და ცარიელ კალოზედ ვალეწინებ, ვატრიალებ. როცა გამოუშვებ და ასე მალლა მიუკრამ ხოლმე თავებს ორთავესაო. აი ეს არის ჩემო სტუმარო ჩემი თავგადასავალი და ჩემი საკურველი ანბავი. მონადირე გამოეთხოვა უმარას შვილს უმარას და გაუდგა გზას. დღესაც ამ საკვირველს საქმეზედ ჰფიქრობს ჩვენი ნაცნობი მონადირე.

285.

ა ნ ა ნ ა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხემწიფის შვილი; ჰქონდა ერთი ბალი. ბალში ორი მწვენილის კვალი ჰქონდა გავლებული. ერთ კვალში ეთესა პრასა და მეორეში კაია. ხემწიფის შვილი ისე არა ჰჰამდა პურსა, რომ არ ჩამოსულიყო და იმ კვალებთან არ დამჯდარიყო. ერთხელ ხემწიფის შვილი ჩვეულებებისამებრ ბალში დადიოდა; კვლებში ერთი ქალაღი ეგდო; დაწერილი იყო, მაგრამ ვერ წაიკითხა კი. აიღო და სხვას მიჰცა. ქალაღი ქალად იქცა. ისეთი ლამაზი იყო, რომ იმაზედ მშვენიერს კაცის თვალი ვერაფერსა მხახავს. ნახა ერთხელ ხემწიფის შვილმა ეს ქალი, ძალიან მოეწონა. ცოლად შერთვა ინება. ქალსა ჰკითხა: რა გვარი ხარო? ქალმა უპასუხა: გვარი მაქვს პრასისა, კამის სარტყელი მარტყიაო. ერთი საწყალი ქალი ვარო. ადგა ხემწიფის შვილი, ანანას თავი დაანება და სხვა ცოლი შეირთო, — უხეირო გვარისააო. ანანას კი უყვარს ხემწიფის შვილი, უყვარს საშინლად. დაიბარა მთილამ ირმები ანანამ, დაწველა, ჩაასხა ქვაბში, ჩაჯდა შიგთვითონ, დულს რძე, და იბანება შიგ ანანა. ხემწიფის შვილმა დაინახა, რომ ანანა რძეში იბანება; ცოლს უთხრა: ჩვენი ანანა იცი,

რასა შერებთ: მოიღამ ირმები დაიბარა, დაწველა, ჩაასხა რძე ქვაბ-ში, აადულა და ჩავიდა შიგ. საბანაოდ. ხემწიფის შვილის ცოლი ებანა და მოიხარშა შიგ. დარჩა ქვრივად ხემწიფის შვილი. წავიდა ანანასთან ხემწიფის შვილი და ჰკითხა: რა გაქვს გვარიო? ქალმა ისევ ის უპასუხა: გვარი მაქვს პრასისა, კამის სარტყელი მარტყიო. დაიწუნა ისევ ის გვარი ხემწიფის შვილმა, სხვა ცოლი შეირთო. წავიდა ანანა, დაჯდა მალ-ლა სართულზედ და დაუწყო აბრეშუმის ტარს რთვა. უცებ კვირიპ-ტავე გადმოუფარდა; მოიქრა ანანამ ცხვირი, ჩაგზავნა და ამოატა-ნინა კვირიპტავე, და ცხვირიც ისევ მაიბა. ნახა ეს ხემწიფის შვილ-მა, წავიდა და ცოლს უთხრა: ჩვენი ანანა საკვირველი ქალიაო; მალლა სართულში ავიდა, აბრეშუმს ართავდა; კვირიპტავე ჩამოუ-ფარდა ძირს, მოიქრა ცხვირი, ჩამოაგდო და აატანინა კვირიპტავე: მერე ცხვირი ისევ მოებო.

— ეგ რას გაგკვირებიაო უთხრა ცოლმა, განა მე ვერა ვიქ მავასაო. ავიდა ბანხედ, აიტანა ტარი და დაუწყო აბრეშუმს რთვა. კვირიპტავე ჩამოაგდო, მოიქრა ცხვირი და ჩამოაგდო. ცხვირმა კვირიპტავე ვერ აუტანა, აღარც მოება. უდინა სისხლმა, უდინა და მოკვდა.

დაქვრივდა ისევ ხემწიფის შვილი, წავიდა და ანანასა ჰკითხა: — რა გვარი გაქვსო?

— გვარი მაქვს პრასისა და კამის სარტყელი მარტყიო, უპა-სუხა ქალმა.

ხემწიფის შვილმა კიდევ გვარი დაიწუნა. ადგა და წავიდა მთაში. მელორე ნახა, უთხრა მელორეს: — ერთი ღორი მაშეიდეთო; სისხლი მე და ხორცი თქვენო.

დააკვლევიანა ღორი, უბრძანა: — მაგ სისხლში მომთხუპნეთ, წა-მიღეთ მერე და ანანას წინ დამდეთო.

დაკლეს მელორეებმა ღორი, სისხლი ადინეს, სისხლში მოთ-ხუპნეს ხემწიფის შვილი, წაიღეს და ანანას წინ დადეს. დაინახა სისხლში მოსვრილი ხემწიფის შვილი ანანამ და შეჰძახა:

მზეო — დედავ, მამავ — მთვარევ,

ვარსკვლავებო — ჩემო მზეო!

ჩამოუშვით ოქროს სკამი,

აღარ არის ხემწიფეო!

გაათავა თუ არა ეს სიტყვები, გვიხსნა ცა, და იქიღამ ჩამო-ეშო ოქროს სკამი. ადგა ხემწიფის შვილი და მოეხვია ანანას, და-უწყეს ერთმანეთს კოცნა და სურვილება. გახდნენ ცოლი და ქმარი და დასხდნენ ოქროს სკამზედ.

სიკეთის გაღაცდა

ერთი ლარიბი და კვიანი კაცი ცხოვრობდა. ორი შეძლებული კაცის ვალი ემართა და მოვალეები მოსვენებას არ აძლევდნენ. ლარიბს იქნებ როგორმე გადაეხადა ვალი, მაგრამ ფიქრობდა, რომ მემუქრებიან, ვნახოთ რას მიზამენ. ერთ დღეს მოვალეები მიეჭრენ, რატომ არ გვადლემ ფულსაო. წაიყვანეს მინდორში, წააბეს თოკი, ხან ერთი ათრემდა, ხან მეორე. თან უშვერის ენით ლანძლავდნენ. ამ დროს გაიარა ახალგაზრდა სოვდაგრიშვილმა, მივიდა და ჰკითხა კაცებს, კაცს ისე შეუბრალებლად დედამიწაზე რათ ათრემდნენ. კაცებმა უთხრეს: ჩვენი ოცდაათი თუმანი მართებს და არ გვადლემს, რახან ფული დაგვეკარგება, ჯავრის ამოყრა მაინც შეგვრჩებაო. სოვდაგრის შვილმა მისცა ორივეს სამოცი თუმანი, ცოცხალ-მკვდარი კაცი მოასურიელა და გაისტუმრა სახლში. სოვდაგრიშვილმა დედ-მამას უამბო იმ კაცის შესახებ, როგორ დაეხმარა, სიკვდილს გადაანარჩუნა. დედ-მამამ მადლი გადაუხადეს, კარგათ მოქცეულბარო. მისცეს ფული, რაც კაცებისთვის მიეცა—სოვდაგრიშვილს და სოვდაგარის შვილი წავიდა სავაჭროთ ერთ ქალაქში. ღამე სოვდაგრიშვილს ავაზაკები დაესხნენ, რაც ფული ჰქონდა წაართვეს და მხლებელიც მოუკლეს. სოვდაგრიშვილი სწუხდა, მკვდარი რითი დაემარხა, გროში აღარ გააჩნდა. შევიდა ერთი კაცი, საფულე პარკი ფულით გადასცა, რომელიც სოვდაგრიშვილისთვის ავაზაკებს წაერთმიათ. სოვდაგრიშვილმა ჰკითხა: მისი ფულის პარკი საიდან ჩაუვარდა ხელში. კაცმა უთხრა: მოვპარე და იცოდე სიკეთე ნამუსიან კაცზე არ დაიკარგებაო. სოვდაგრიშვილი მაშინ მიხვდა, რომ ის კაცი იყო, რომელიც მოვალეების ტანჯვისაგან დაიხსნა.

287.

ცრუ და მართალი კაცი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რალა იქნებოდა. იყო ორი ამხანაგი: ცრუ და მართალი. თავის დღეში პირველს მართალი არ ეთქვა და მეორეს—სიცრუე.

ერთხელ მოიხზო ცრუმ მართალი და უთხრა: რას ვაკეთებთ აქ რომ ვართ. რა ხეირს შევეყრებით. გავაკეთოთ საგზალი—პური და მჭადი და წავიდეთ ბედის საძებნელად.—კარგი, მიუგო მარ-

თალმა. გამოაცხვეს პურები, შქადები და გაულდგენ გზას. იარეს, იარეს და მოშივდა მართალს. შეეხვეწა ცრუს, პატარა თუ არ მაქამე, სიარული აღარ შემძლიაო. ცრუმ უარი უთხრა, რა დროს ჭამაა, ფეხი გამოადგი ჩქარაო. პატარახან გაჰყვა მართალი, მაგრამ უარესად დასუსტდა და კიდევ შეევედრა ამხანაგს—ცოტა მინც მაქამეო. ცრუმ უთხრა, თუ მარჯვენა ძვალს ამოიგლეჯ, გაქმევო. რალა უნდა ექნა მართალს. ამოითხარა თვალი და ლუკმისათვის გაუშვირა ხელი. ცრუმ აქაც იცრუა: ჯერ იარე და მერე მოგკემო, უთხრა ამხანაგს. ცოტაზე გაჰყვა მართალი, მაგრამ სიმშლიმა შეაწუხა და ისევ სთხოვა პატარა ჭადი. ცრუმ უთხრა, სანამ მეორე თვალსაც არ მოითხრი, არას გაქმევო. მართალს მეტი გზა აღარ ჰქონდა, ამოიძრო მარცხენა თვალს და მქადისთვის ხელი გაუშვირა ცრუს. ცრუმ მქადის ნაცვლად ხელში ბრმას ჭვა ჩაუდგა და სადღაც გაეპარა. დარჩა მართალი თვალბმობრილი უღაბურ ტყეში. ძლიერ შეწუხდა საწყალი, მაგრამ რას უზამდა ჯაერი. გადადგა ორი ნაბიჯი და ხეს დაეტაკა. ბრმამ იფიქრა, ძირს რო დავრჩე, ნადირი შემქამსო და დიდი გაჭირებებით ხეზე აცოცდა. მოუსტა აქეთ-იქით ხელები და რალაც რბილი მოჰყვა ხელში. თურმე ხეზე მწიფე მსხალი ესხა ბლომად. დაუწყო ბრმამ ჭამა მსხალს, ძალზე გაძღა და ღმერთს მადლობა შესწირა.

გავიდა ცოტა ხანი და ბრმას ხის ძირიდან რალაც ხმა შემოესმა. თურმე სამი ეშმაკი მოსულა და ერთი მეორეს რალაცას ელაპარაკებინან. პირველმა ჰკითხა მეორეს, შენ რა იციო.

— აქ ერთი წყალია, ზევით რომ ბრმა ზის, ის რო იმ წყლით თვალს ამოირეცხდეს, მაშინვე აეხილებათ. ბრმამ ეს დაიმახსოვრა კარგად. მეორემ სთქვა, ერთ ქვეყანაში ძლიერ ქესატობაა ფულის; ამ ქვეყანაში ერთი დიდი ჭადარია, მის ძირში აუარებელი ფულია, ვინც ჭადარს მოთხრის, ფულს მისია. მესამემ სთქვა: ამა და ამ მეფეს ერთად ერთი ქალი ჰყავს და უკვდება, ვერავეინ ვერ უშველა და არც მორჩება თუ ის ბაყაყი არ მოჰკლეს, რომელიც ქალის ტახტის ქვეშაა. ეშმაკები წავიდნენ. ბრმა ჩამოცოცდა ძირს, როგორც იქნა მოძებნა წყალი, ამოიბანა თვალები და მორჩა. შესწირა ღმერთს მადლობა და წავიდა ჭადრის საძებნელად. მიაგნო, წარუდგა იქაურ მეფეს და მოახსენა რას მარგებ, იმდენი ფული რომ აღმოვაჩინო შენს სახელმწიფოში, რომ ყველას ეყოსო. მეფემ უპასუხა, რამდენაც გენებოს, მიირთვიო. გამოართვა მართალმა მეფეს კაცები, მოთხარა ჭადარი; ამოიღო ხაზინა, ერთი ჯორკიდებული მეფეს მიაბარა და სხვა მასვე აჩუქა. ეშველა სახელმწიფოს. ახლა

მართალი წავიდა მეორე ხელმწიფესთან და როცა მიაგნო, მოახსენა—მეფე, რას მიბოძებ სააქიმოს, შენი ქალი რომ მოგიჩინოო. მეფე დაპირდა, რასაც ისურვებდა. გამორეკა მართალმა ქალის ოთახიდან ყველა, მოჰკლა ბაყაყი და ქალიც მორჩა. გახარებულმა მეფემ უხვად დაასაჩუქრა ექიმი, გამოატანა ჯორკიდებულები და გამოუშვა. მართალმა გამოუარა პირველ მეფეს, მიბარებული ფული გამოართვა და წამოვიდა სამშობლოში. წინ შეხვდა ცრუ ამხანაგი და ჰკითხა, რამ გაგამდიდრაო. მართალმა ყველაფერი სიმართლით უამბო. ცრუმ იფიქრა, ჩემი საქმე გაკეთდაო, წავიდა და დაჯდა იმ ხეზე, სადაც ეშმაკები ლაპარაკობდნენ იმ ღამეს. დაუგდო ყური და შემოესმა ეშმაკების ლაპარაკი. ცრუს უხარია და უგდებს ყურს. ერთმა ეშმაკმა სთქვა: „ამ ხეზე ცრუ კაცი ზის, ჩამოვიღებ და ერთი რჯულზე დავბრეგავ!“

მეორემ სთქვა: „მე სულ მოვკლავ!“.

მესამემ სთქვა: „ეს მოლესილი დანა რად მინდა? მივალ და სულ ლუკმა-ლუკმა ვაქცევო“. მართლაც ასე დაემართა ცრუს: ერთმა დაბრიგა, მეორემ მოკლა და მესამემ ლუკმა-ლუკმად აქცია.

ასე გათავდა ცრუს დღე-ბელი.

288.

ჯაშუა და ღოჯლათი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი საწყალი დედაკაცი ქვრივი და ჰყავდა ერთი ვაჟი. იმას ყავდა ერთი უღელი ხარი. იმითი ხნავდა და ცხოვრობდა. ერთ დღეს შეაბა იმ ბიჭმა უღელი ხარი და შჩოთამდა მიწასა. სახნისმა მაშინ ერთი რაღაცა მძივი ამაჯდო. მოეწონა ამ ბიჭსა, ააგო ძაფზედა და ხარს დაჰკიდა ყელზე: „ჩემს შვინდას ძალიან უხდებოაჲ. იმ დროს ჩამოიარა ერთმა სოვდაგარმა და დაინახა ის. იმან იცნო რაც იყო მძივი და უთხრა: „ბიჭო, ეგ მძივი მე მომყიდე, ათ თუმანს მოგცემო“. გაიცინა ამ ბიჭმა და უთხრა: „რას მასხარად მიგდებო“. მერე უთხრა: „მართლა ოც თუმანს მოგცემ და მომეციო“. იმოდენად იარა, ასი თუმანი გაუხადა იმ სოვდაგარმა. მაინც არ მისცა.

„თუ კი ემ ფასად ღირს, წავიღებ და ჩვენს ხელმწიფეს მივართმეო. წელიწადში ერთი კვერცხის ნაჭუჭი ხარჯი გვაქვს, იმასაც მაპატრივებს და საჩუქარსაც მამცემსო“. საღამოთი მივიდა სახლში და დედას უთხრა: „აჰა დედი, ეს ვიპოვე დღეს სახნისმა ამაჯდოო. სოვდაგარმა ასი თუმანი მაძლია და არ მივეციო. წაიღე და ჩვენს ხელმწიფეს.“

მნიართვი. ხარჯსაც გვაპატიებს და საჩუქარსაც მოგცემსო^ა
ბებერმა წაიღო მეორე დღეს და მნიართვა ხელმწიფეს ეს მძი
ვი და უთხრა: „ეს ჩემმა შვილმა მოგართვაო“.

ხელმწიფემ უთხრა: „რა კარგი შვილი გყოლიაო. ასეთი კიდე
ვა აქვსო?“. „არა ბატონო. ეგ ერთი ჰქონდა და ~~სხეც~~ შენ მოგართ
ვაო“. უთხრა ხელმწიფემან: „ბებერო, მე შენს შვილს ქალი უნდ
მივცეო“, დაიბარა მეორე დღეს ის ბიჭი და უთხრა: „ბებრის შვი
ლო, ჩემი სიძე უნდა იყო და ჩემს ქალზედ ჯვარი უნდა დაგწე
როო“. იმას რალა უარი შეეძლო და იმანაც იმ კვირას დასწერა
ჯვარი. ცხრა დღე და ღამე ქორწილი გადაუხადა. მერე მისცეს სა
კუთარი ოთახი და იყენენ ერთად. მოუვიდათ ამ ბიჭის ქეუას დ
დოვლათს ჩხუბი. დოვლათმა უთხრა: „დოვლათიანი იყო და იმის
თვის მისცა ხელმწიფემ ქალიო“. ქეუამ უთხრა: „ქკვიანი იყო და მის
თვის მისცაო“.

— არაო, აუხირდა დოვლათი „დოვლათიანი იყოო“. ქეუან
უთხრა: „კარგი თუ დოვლათიანი იყო მე ჩემთვის წავალ და იყოს დოვლა
თიანიო“. გამოეცალა ამ ბიჭს ქეუა და დარჩა როგორც ხე. არიან საკუ
თარ ოთახში ეს ბიჭი და ქალი. დაწვება ისევე ტანისამოსითა და აღკე
ბა. არც ხმასა სცემს ამ ქალსა და არც რა. ამის შემდეგ გავიდა
ერთი-ორი კვირა და მერე თქვა-ამ ქალმა: „თუ ეს ქკვიანი ჭიკია
და ბებრის შვილი, მე მეფის ქალი ვარ და ნუ თუ არა მკადრულო
ბსო?“ უთხრა მამას: „მე არა მკადრულობს ესაო, არცა მელაპარა
კება და არცა ხმასა მცემსო და არც რასო“. მეორე დღეს დაიბარა
ხელმწიფემ ეს ბიჭი და უთხრა: „შენ ჩემ ქალს რათ არ კადრულობ,
რაშია საქმეო“. დგა ხესავით და არც პასუხს აძლევს. უთხრა თავის
ნაზირ-ვეზირებს ხელმწიფემ: „წადით ძელი ამართეთ და დაახ
რჩეთო“. ამართეს ძელი და უნდა დაახრჩონ ეს ბიჭი. მოვიდა
ქეუა და უთხრა დოვლათს: „დოვლათო, უშველე ხომ ხედავ კაცს
ახრჩობენო, დახე, მაგი დედა რა დღეშიაო“.

ორჯერ სამჯერ უთხრა ასე ქეუამ დოვლათს და მერმე დოვ
ლათმა უთხრა: „შენი ჰირიმი, ოლონდ უშველე რამე, ნუ დაახრჩო
ბინებ, მაგი დედის ცოდოს ნუ მაყურებინებ და შენი ნაჯობანი
იყოსო“.

შემოურბინა და შეუჯდა თავში ეს ქეუა და მოვიდა გონებაზე
ბიჭი და უთხრა კაცებს (ჯალათებს): „ოლონდ ერთი წუთი მაცა
ლეთ, ერთი სიტყვა მათქმევინოს ხემწიფემ, უთხართო“.

ზოგმა თქვა დაახრჩეთო, ზოგმა რა. ბოლოს წავიდნენ და უთხ
რეს ხელმწიფეს: „ერთ სიტყვასა გთხოვსო“.

მოაყვანიდა ხელმწიფემ ეს ბიჭი და უთხრა: „რა გინდაო“. უთხრა: „დიდებულო ხელმწიფე, იქნება მცდიდით, მე იმისთვის არ ვავეცი ხმა შენს ქალსაო“.

ხელმწიფემ აღარ დასაჯა და კვლავ მისცა თავისი ქალი.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ნაცარი იქა, ფქვილი აქა,
მე ავღებები, საწოლს წავალ,
თქვენ კი ძილი ნებნისაო.

289.

ალალი კაცი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რაღა იქნებოდა, იყო ერთი ალალი კაცი, რომელსაც ერთად ერთი ვაჟიშვილი ჰყავდა. როცა ალალმა სიკვდილის მოახლოება იგრძნო, მოიხმო შვილი და დაარია: „შვილო, მე ვკვდები, რაღა გითხრა. შენ იცი და შენმა ბიჭობამ, ეცადე, რომ არ შემარცხვინო“. მართლაც ეს კაცი მამაზე უფრო ალალი გამოდგა და სახელმწიფოში დიდი სახელი გაუვარდა. ხელმწიფემ მოიწვია კარის კაცად და აღარ იცილებდა. ეს ძლიერ შეშურდა სხვა კარისკაცებს და ერთ დღეს აუტყდენ მეფეს, გააგდე, ან მოკალი ეგ კაციო. ხელმწიფე დიდ უარზე იყო, რა დააშავა, რო მოგვკლა, ან გავაგდო, რა საბუთი მაქვსო. კარისკაცებმა მიუგვეს, თუ უსაბუთოდ ვერ ავღებ, ერთი საქმე დაავალე და თუ ვერ შეგისრულოს, მაშინ გააგდო.—რა დავავალო მერე?—იკითხა მეფემ.

— აი ამ თეთრ მთაზე რო რაშია, ის დაიჭიროს და მოგვკაროს. დათანხმდა ამაზე ხელმწიფე და გამოუცხადა ეს ალალს. ალალმა მოახსენა: „ბატონო, კარგე, მაგრამ თუ იმ მთამდრ ოქროს გზა არ გაკეთდა, ისე იმ რაშის დაჭერა შეუძლებელია. გაუკეთეს ეს გზა და ვაქმა რაში მოიყვანა. ვეზირები შეწუხდნენ და კიდევ დაავალეს ამა და ამ კოშკში მზეთუნახავია და ის მოგვკაროს, თუ არა მოკვდესო. გამოუცხადეს კაცს. ეს დავარდა მიწაზე და შეევედრა. ღმერთს. ღმერთო, როგორც ალალი ვიყო, ისე მიშველეო. გაიხედა გვერდზე და ოქროს სალამური დაინახა. აიღო ეს ხელში, მივიდა კოშკში და უთხრა ქალს, თუ წამომყვები, ამ ნივთებს გაჩუქებო, თუ არა და უნდა მომკლანო.—რა შეუძლია ამ ნივთებს?—იკითხა ქალმა.—რაი და ამ სალამურს რო სტოლზე დადებ, ყველა მხეცები ცეკვას დაიწყებენ, თუ დაკიდებ ამღერდებიან და ფრინველები ბანს გეტყვიან.—ბეჭედი რაღას იზამს?—რასა და თუ ნეკზე

წამოიცივი, უჩინარი გახდები, უსახელო თითზე წამოიცივა—წყალში გადარჩები, შუა თითზე წამოიცივა, ცეცხლში დაწვას გადარჩები, სალოკ თითზე წამოიცივა, როგორი ტანისამოსი გსურს, მოგივა, ცერზე წამოიცივა—გამდიდრდე. ქალმა ჩამოართვა ნივთები და წამოყვა. მეფის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა კაცი და ქალი დაინახა. ახლა უფრო გაბრაზდენ შურიანი ვეზირები და კიდევ ჩააცვიდნენ მეფეს, ერთი კიდევ დაავალე და მერე შენი ნება იყოსო. რაიო? იკითხა მეფემ. ოკეანეში რო დიდი თევზია, იმის ძვლების სასახლე ავიშენოსო. ამაზედაც დათანხმდა კაცი. შეეკედრა ღმერთს და წავიდა. მოჰკლა ის თევზი, ააგო სასახლე და დააბძანა შიგ მეფე. ამის შემდეგ მეფემ ალალი ძმად დაისვა და ხარბი და ბოროტი ვეზირები გააგდო: ანდაზა: „ალალს ლუკმა არ დაეკარგება“.

290.

სამი მძიმი ძმა

